

საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და
საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით

ნინო ჭიპაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის ხარისხის მინიჭებისთვის
დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2015 წლის 17 დეკემბერი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ზურაბ ჭეჭელაშვილი**
სამართლის დოქტორი, პროფესორი.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
თბილისი 2015

განაცხადი ეთიკის თაობაზე

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი „საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით“ ორიგინალურია. ის არ შეიცავს ისეთ მეცნიერულ თვალსაზრისს, დებულებას, თეორიას, კვლევის მონაცემებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მითითებული დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულად არის დაცული ეთიკური ასპექტები.

ნინო ჭიპაშვილი

რეზიუმე

დამოუკიდებელი გარანტია საერთაშორისო ვაჭრობის არსებითი შემადგენელი ნაწილია. ის მსოფლიოში ავტონომიურ გარიგებადაა აღიარებული და ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა, რომელსაც ქართული კანონმდებლობა საბანკო გარანტიის სახით იცნობს. ამ სამართლებრივი ინსტიტუტის იდეა ისაა, რომ კრედიტორის სასარგებლოდ ფულად თანხას, მოვალის ნაცვლად, იხდის ფინანსურად ძლიერი მესამე პირი: ბანკი, სადაზღვევო კომპანია ან სხვა საკრედიტო დაწესებულება, რომელიც არ არის ძირითადი გარიგების მხარე.

საბანკო/დამოუკიდებელი გარანტიის წარმატების პერსპექტივა დამოკიდებულია მის მომწესრიგებელ სამართალზე და სასამართლოების მიდგომაზე, რომლებიც გადაწყვეტილებას კონკრეტული იურისდიქციის ფარგლებში იღებენ. წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება საქართველოს კანონმდებლობაში საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ნორმებისა და სამართლებრივი ურთიერთობების განხილვას საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებთან URDG N 758 -თან მიმართებით.

თემა აქტუალურია, რადგან მიზანშეწონილია საბანკო გარანტიის შესახებ ქართული ნორმების ჰარმონიზაცია საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებთან. გლობალურ ეკონომიკურ პროცესში საქართველოს ინტეგრაციის ზრდასთან ერთად, მოთხოვნა იზრდება საბანკო სფეროს ჩართულობაზე, რაც მარეგულირებელი ნორმების სრულყოფას ითხოვს.

კვლევის მიზანია წარმოაჩინოს საბანკო გარანტიის მნიშვნელობა თავისუფალი ბაზრის პირობებში, გამოკვეთოს საბანკო გარანტიის სრულფასოვანი ფუნქციონირების ხელშემშლელი ფაქტორები და განსაზღვროს მათი დაძლევის გზები, ჩამოაყალიბოს მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციები ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფისა და საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაციისთვის, გამოავლინოს საქართველოში დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა და გამოძვევი მიზეზები მისი აღმოფხვრის მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ზოგადმეცნიერული და კერძო მეთოდები. ანალიზის, შედარების, აბსტრაგირების, ინდუქციის, დედუქციისა და ანალოგიის

მეთოდები. ნაშრომში განხილულია ეროვნული და სხვა ქვეყნების კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა იმ ზოგადი და სპეციალური ფაქტორების ერთიანობა, რომლებიც გავლენას ახდენს საბანკო გარანტიის გამოყენების ეფექტურობაზე. გამოიკვეთა საკანონმდებლო და სასამართლო ხარვეზები, მომზადდა კონკრეტული წინადადებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შესატანად. საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის შედეგად, შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია საბანკო გარანტიის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის, შემდგომი განვითარებისა და დახვეწისკენ.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა კვლევის ახალი ობიექტი: მოთხოვნით გარანტიების შესახებ საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებთან URDG N758 მიმართებით საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებული საბანკო/დამოუკიდებელ გარანტიებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობანი. წარმოჩენილია საბანკო/დამოუკიდებელი გარანტიის მომწესრიგებელი ნორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში; საერთაშორისო კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების შესწავლის, ანალიზისა და ურთიერთშედარების საფუძველზე დასაბუთებულია რეკომენდაციები ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციისთვის.

SUMMARY

Independent guarantee is an essential component part of the international trade. It is recognised as a separate legal act as well as a means of security of pecuniary obligation, which is known in the Georgian law as a bank guarantee. The idea of this legal institution is that instead of debtor the sum of money shall be paid for the benefit of the creditor by the financially strong third party: bank, insurance company or other credit organisation that is not a party of the main transaction.

The successfulness of the bank/independent guarantee depends on its governing law and approach of the courts that take decisions within the particular jurisdiction. This work is dedicated to the research of the provisions in the Georgian law regulating the bank guarantee as well as - of the legal relations with regard to the international uniform rules of URDG #758.

The topic is vital since it is essential to harmonise the Georgian laws regarding the bank guarantee to the international uniform rules. In the global economic process the more Georgia is integrated the more the banking sector's integration is demanded that requires improvement of the governing laws.

The objective of the research is to demonstrate the importance of the bank guarantee in the a free-market economy, to reveal the factors hindering the flawless functioning of the bank guarantee and determine the ways of elimination of that factors, to give scientifically substantiated and practical recommendations with regard to improvement of the national legislation and its harmonisation with the international rules, to unveil the wrong practice in Georgia and its causes in order to facilitate their elimination.

The methodological basis of the research is general scientific and particular methods, comparative, abstraction, specification, induction, deduction methods. A logical analysis was used in the research, informational-educational and comparative aspects are exposed, national and other countries' legislations and judicial practice were analysed.

As a result of the research the uniformity of general and specific factors was revealed, which influence the effectiveness of the use of bank guarantee. Defects were revealed in legislation as

well as in judicial practice; the particular suggestions were prepared to amend the Civil Code of Georgia. As a result of the study of the international practice some recommendations were prepared with the intention of further development and improvement of the bank guarantee as a legal institution.

The scientific innovation of the research is a new object of survey: legal relationship related to bank guarantees of Georgian legislation against international unified rules on the independent bank guarantee on first demand (URDG 758); also the positive and negative features of the provisions regulating the bank/independent guarantee were exposed. Based on the analysis and comparison of the survey of the international legislation as well as normative acts, some recommendations were substantiated for harmonisation of the Georgian with the international legislation.

მადლიერებას გამოვხატავ ჩემდამი გამოჩენილი ყურადღებისთვის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლებისა და რექტორატის წევრების მიმართ, რომლებიც მუდამ მზად იყვნენ ჩემს დასახმარებლად. მათ არასოდეს დაუშურებიათ დრო კონსულტაციებისა და რჩევებისთვის, იჩენდნენ დიდ მოთმინებას, ყურადღებას და პირადად მიჩვენებდნენ აკადემიურობის მაგალითს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორს და პროფესორს, ბატონ მამუკა თავხელიძეს, რომელმაც დამარწმუნა, საბანკო სამართალში ჩემი პრაქტიკული გამოცდილება თეორიულ კვლევაში ამესახა.

მადლობას ვუძღვნი ჩემს ახალგაზრდა მეცნიერ-ხელმძღვანელს, სამართლის დოქტორს და პროფესორს, ბატონ ზურაბ ჭეჭელაშვილს, გერმანიის სამოქალაქო კოდექსისა და კომენტარების ქართულენოვანი თარგმანის ავტორს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო წინამდებარე ნაშრომს.

მადლიერებას გამოვხატავ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ვიცე-დეკანის, ქალბატონი ნინო ციხისელის მიმართ, რომელმაც ფასდაუდებელი დახმარება გამიწია რიგი ორგანიზაციული საკითხების დროულად მოგვარებაში.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ჩემს შვილს, გიორგის, მომავალ იურისტს, მმას დავითს, და დედას, ქალბატონ ტურფას, რომელსაც გულით უნდა ამ ნაშრომმა თავის სიცოცხლეში იხილოს მზის ნათელი.

სარჩევი

შესავალი.....	1
საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა	1
კვლევის მიზანი	2
კვლევის ამოცანები	3
მეცნიერული ჰიპოთეზა.....	4
მეცნიერული სიახლე.....	5
თავი I. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის თეორიული კონტექსტი.....	10
§1.1. ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კონტექსტი	10
1.1.1. ქართველი მეცნიერები საბანკო გარანტიის შესახებ.....	11
1.1.2. უცხოელი მეცნიერები საბანკო გარანტიის შესახებ	30
1.1.3. საბანკო გარანტია განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობებში.....	43
§1.2 საერთაშორისო სავაჭრო პალატა - ICC მოთხოვნით გარანტიების შესახებ	55
§1.3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია დამოუკიდებელი გარანტიებისა და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ	58
§1.4. სასამართლო პრაქტიკა	63
1.4.1. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა	63
1.5.2. უცხოური სასამართლო პრაქტიკა	69
თავი II. მეთოდოლოგია, კვლევის აღწერა და კვლევის შედეგები	81
§2.1. მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა	81
§2.2. კვლევის შედეგები.....	85
თავი III. განსჯა და მეცნიერული მიგნებები	89
§ 3.1. საბანკო გარანტია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი	89
§ 3.2. საბანკო გარანტიის განმარტების საკითხი	98
§ 3.3. საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული პრობლემები.....	101
§3.4. მეცნიერული მიგნებები	109
§ 3.5. საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით	123
3.5.2. ტერმინები URDG 758-ში.....	124
3.5.3. URDG N 758 -ის ახსნა-განმარტებანი.....	130
3.5.4. გარანტიის გაცემა და ძალაში შესვლა.....	131
3.5.5. გარანტიის, კონტრგარანტიის დამოუკიდებლობა.....	133
3.5.6. დოკუმენტები და საქონელი, მომსახურება ან შესრულებული სამუშაო	134

3.5.7. არადოკუმენტური პირობები.....	135
3.5.8. გარანტიის და ინსტრუქციის შინაარსი	136
3.5.9. გარანტისათვის მიუღებელი განცხადება.....	137
3.5.10. გარანტიის და ცვლილებების ავიზირება	138
3.5.11. ცვლილებები დამოუკიდებელ გარანტიაში	139
3.5.12. გარანტის პასუხისმგებლობის ფარგლები	141
3.5.13. გარანტიის თანხის შეცვლა	142
3.5.14. მოთხოვნის წარდგენა გარანტისათვის ბენეფიციარის მიერ.....	144
3.5.15. მოთხოვნის წარდგენის წესი.....	146
3.5.16. ინფორმაცია მოთხოვნის შესახებ	149
3.5.17. ნაწილობრივი და მრავალჯერადი მოთხოვნა, მოთხოვნილი თანხა.....	150
3.5.18. ყოველი მოთხოვნის დამოუკიდებლობა	152
3.5.20. გარანტის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შემოწმების დრო და გადახდა.....	154
3.5.21. გარანტიის ვალუტა და გადახდის ვალუტა	156
3.5.22. გადახდაზე მოთხოვნის ასლის გადაცემა	161
3.5.23. ალტერნატიული მოთხოვნა „ვადა გააგრძელებ ან გადაიხადე“	162
3.5.24. სათანადო მოთხოვნა, თანხმობა მიღებაზე და შეტყობინება	164
3.5.25. გარანტიის თანხის შემცირება და გარანტიის შეწყვეტა	168
3.5.26. ფორსმაჟორი	172
3.5.27. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება დოკუმენტების არანამდვილობისას	175
3.5.28. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება გადაცემისას, გაგზავნისას ან არასწორი თარგმანისას	179
3.5.29. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება მეორე მხარის მოქმედების გამო.....	181
3.5.30. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ფარგლები	182
3.5.31. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება უცხო ქვეყნის კანონებთან და ჩვეულებებთან მიმართებით	183
3.5.32. პასუხისმგებლობა ხარჯებისათვის.....	184
3.5.33. გარანტიის ტრანსფერაცია (გადაფორმება) და ამონაგების დათმობა.....	186
3.5.34. გამოსაყენებელი სამართალი.....	189
3.5.35. იურისდიქცია.....	190
§ 3.6. საბანკო გარანტიის კლასიფიკაცია ტიპების და სახეების მიხედვით.....	191
თავი IV. საბანკო გარანტიის სამართლებრივი ურთიერთობის პრაქტიკული მხარე	199
§4.1. გარანტიის ფაკულტატიური (დამატებითი) პირობები	199

4.1.1. დრო მოთხოვნის წარსადგენად თუ განსხვავებულია გარანტიის გაცემის თარიღისგან	199
4.1.2. პირობა გარანტიის თანხის შეცვლის შესახებ.....	200
§ 4.2. გარანტი და პრინციპალი	201
§ 4.3. გარანტი და ბენეფიციარი	203
§ 4.4. საბანკო გარანტიის პირობები და ელემენტები.....	206
§ 4.5. ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის ნიმუში.....	209
§ 4.6. უარი გადახდაზე და მისი შედეგები	210
§ 4.7. კონტრგარანტია, მისი აუცილებელი პირობები და ელემენტები.....	212
§ 4.8. საბანკო გარანტიის ელექტრონული ფორმატი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და IBAN.....	213
დასკვნა და რეკომენდაციები	218
ბიბლიოგრაფია	229
დამატება (დანართები)	241
დანართი N 1 საბანკო გარანტიის პირობები და ელემენტები, რომლებიც რეკომენდებულია აისახოს კანონმდებლობაში	242
დანართი N 2 მოთხოვნით გარანტიის რეკომენდებული ტექსტობრივი რედაქცია.....	243
დანართი N 3 კონტრგარანტიის ტექსტობრივი ნიმუში URDG -758 ის შესაბამისად	245
დანართი N 4 ცვლილების ტექსტობრივი ნიმუში საბანკო გარანტიაში	249
დანართი N 5 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 26/07/2012წ. №290 ბრძანების.....	250
„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ დანართი V-01	250
დანართი N6 ავანსის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ნიმუში.....	252
დანართი N7 SWIFT ფორმატის საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ნიმუში	255
დანართი N8 სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის შესახებ .	258
დანართი N9 აუქციონის/კონკურსის საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ნიმუში.....	260
დანართი N10 სატენდერო საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ნიმუში.....	262
დანართი N11 დეფექტებზე პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ნიმუში (ხარისხის უზრუნველყოფა)	264
დანართი N12 საბიუჯეტო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისთვის.....	265
საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ნიმუში	265
დანართი N13 საქართველოს კანონი (პროექტი) საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებისა და დამატებებისთვის.....	267

საქართველოს კანონი (პროექტი)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1) 879-882-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

879. საბანკო გარანტიის ცნება და ფორმა

1. საბანკო გარანტია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა, რომლის ძალითაც გარანტი კისრულობს წერილობით ვალდებულებას სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით, გადაუხადოს ბენეფიციარს (პრინციპალის მიერ მითითებულ პირს) საბანკო გარანტიით განსაზღვრული ფულადი თანხა გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, დათქმულ ფარგლებში და წესით, ბენეფიციარის მიერ ჯეროვნად შედგენილი წერილობითი მოთხოვნის გარანტისათვის წარდგენის საფუძველზე.

2. ბენეფიციარის მოთხოვნა ჩაითვლება ჯეროვნად თუ მოთხოვნა და მასზე თანდართული დოკუმენტები შეესაბამება საბანკო გარანტიის პირობებს და იძლევა საბანკო გარანტიით გადასახდელი თანხის დადგენის შესაძლებლობას გარანტის მიერ ვალდებულების შესრულების მომენტისთვის.

3. საბანკო გარანტია გაიცემა წერილობითი ფორმით (მათ შორის ელექტრონული დოკუმენტის სახით, რაც გადაიცემა კავშირგაბმულობის არხებით და საშუალებას იძლევა უტყუარად დადგინდეს დოკუმენტის გაგზავნა ხელშეკრულების მხარის მიერ), რაც საშუალებას იძლევა სარწმუნოდ დადგინდეს გარანტიის პირობები, განსაზღვრული პირის მიერ მისი გაცემის ნამდვილობა კანონმდებლობით დადგენილი წესით, საერთაშორისო წესებით და მიმოქცევის ჩვეულებებით ან გარანტთან ბენეფიციარის შეთანხმებით.

4. საბანკო გარანტია შეიძლება გაიცეს ბანკების (საბანკო გარანტიები), სხვა საკრედიტო ორგანიზაციების და სადაზღვევო კომპანიების მიერ. სხვა კომერციული ორგანიზაციების მიერ გაცემული დამოუკიდებელი გარანტიების მიმართ გამოიყენება თავდებობის წესები.

5. საბანკო გარანტიაში რეკომენდებულია მიეთითოს:

გაცემის თარიღი;

პრინციპალი;

ბენეფიციარი;

გარანტი;

ნომრით ან სხვა ინფორმაციით იდენტიფიცირებული ძირითადი ვალდებულება, რომლის შესრულებასაც უზრუნველყოფს გარანტია;

გარანტიის თანხა ან გარანტიის მაქსიმალური თანხა, რაც ექვემდებარება საბანკო გარანტიით გადახდას ან მისი განსაზღვრის წესი;

ვალუტა, რომელშიც შეიძლება მოხდეს გადახდა;

გარანტიის მოქმედების ვადა;

გარემოება, რომლის დადგომისას უნდა იქნეს გადახდილი გარანტიის თანხა;

გარანტია შეიძლება შეიცავდეს პირობას გარანტიის თანხის შემცირებას ან გაზრდაზე გარკვეული ვადის ან გარკვეული მოვლენის დადგომისას.

გადახდაზე მოთხოვნასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირობას;

მოთხოვნის და სხვა დოკუმენტების ქალაქით ან და ელექტრონულად წარმოდგენის აუცილებლობის შესახებ პირობას;

რა ენაზე უნდა იქნეს შესრულებული მოთხოვნა გადახდაზე და მასზე თანდართული დოკუმენტები;

მოთხოვნის წარდგენის ადგილი;

ხარჯებზე პასუხისმგებელი მხარე.

მუხლი 880. საზღაური საბანკო გარანტიისათვის

საბანკო გარანტიისთვის პრინციპალი გარანტს უხდის შეთანხმებულ საზღაურს.

მუხლი 881. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა სხვა ვალდებულებებისგან

1. საბანკო გარანტიით დადგენილი გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე,

რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, ასევე რომელიმე სხვა ვალდებულებაზე, რაც წარმოშობილია გარანტსა და პრინციპალს შორის, ან სხვა რომელიმე ვალდებულებებზე მაშინაც კი, როცა საბანკო გარანტია შეიცავს მითითებას მათზე.

2. გარანტს არა აქვს უფლება წაუყენოს ბენეფიციარს შესაგებელი მოთხოვნაზე, რაც გამომდინარეობს იმ ძირითადი ვალდებულებიდან რის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, ასევე რომელიმე სხვა ვალდებულებიდან, მათ შორის საბანკო გარანტიის გაცემაზე შეთანხმებიდან. გარანტი თავის შესაგებელში ბენეფიციარის წინააღმდეგ არ არის უფლებამოსილი მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც არ არის მითითებული საბანკო გარანტიაში.

3. გარანტს არა აქვს უფლება წაუყენოს ბენეფიციარს მოთხოვნა იმ ურთიერთმოთხოვნათა გასაქვითად, რაც დაეთმო პრინციპალისაგან, თუ გარანტის ბენეფიციართან შეთანხმებით ან საბანკო გარანტიით ან სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 882. საბანკო გარანტიის გამოთხოვა და შეცვლა

1. საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტის მიერ, თუ საბანკო გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. თუ საბანკო გარანტიის პირობებით დაშვებულია გარანტის მიერ მისი გამოთხოვა ან შეცვლა, მაშინ ასეთი გამოთხოვა ან შეცვლა დაიშვება იმავე ფორმით, რა ფორმითაც საბანკო გარანტია გაიცა.

3. თუ საბანკო გარანტიის პირობებით დაშვებულია გარანტის მიერ მისი გამოთხოვა ან შეცვლა ბენეფიციარის თანხმობით, მაშინ გარანტის ვალდებულება ჩაითვლება შეცვლილად ან შეწყვეტილად ბენეფიციარის თანხმობის მიღების მომენტიდან.

მუხლი 883. უფლების გადაცემა საბანკო გარანტიის მიხედვით

1. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, ბენეფიციარის კუთვნილი უფლება გადახდის მოთხოვნაზე გარანტის მიმართ, არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. საბანკო გარანტიის მიხედვით, ბენეფიციარის მოთხოვნაზე კუთვნილი უფლების გადაცემა სხვა პირისთვის დაიშვება მხოლოდ იმავე პირზე ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე ბენეფიციარის უფლებების იმავდროული დათმობის პირობით.

3. თუ საბანკო გარანტიით დაშვებულია ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის მოთხოვნის გადაცემა, ასეთი გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ გარანტის თანხმობით, თუ საბანკო გარანტიაში სხვა რამ არ არის მითითებული.

2. 884-ე მუხლის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის 884¹ მუხლი:

მუხლი 884¹. ცვლილება საბანკო გარანტიაში

1. საბანკო გარანტიაში ცვლილების შეტანისას რეკომენდებულია მიეთითოს თუ რა იცვლება მოქმედ საბანკო გარანტიაში.

2. ცვლილება შესაძლებელია ეხებოდეს:

ა. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელებას ან შემცირებას;

ბ. საგარანტო თანხის გაზრდას, შემცირებას, გადახდის ვალუტის შეცვლას ან გადახდის წესის შეცვლას;

გ. ძირითად ვალდებულებაში შეტანილ სხვა ცვლილებას, რაც მოქმედებს საბანკო გარანტიის პირობებზე.

3. თუ მოქმედ საბანკო გარანტიაში ცვლილება შეტანილია ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნით, რასაც პრინციპალი დაეთანხმა, ცვლილება ძალაშია მისი გაცემის მომენტიდან და არ საჭიროებს დამატებით აქცეპტს. სხვა შემთხვევაში ცვლილება ძალაში შედის ბენეფიციარის თანხმობის მომენტიდან. მიუხედავად ამისა, გარანტი გამოუთხოვადად შეზღუდულია ცვლილებით გაცემის მომენტიდან მანამ, სანამ ბენეფიციარი არ უარყოფს აღნიშნულ ცვლილებებს.

4. თუ ცვლილების შეტანა ან შეტანის წესი საბანკო გარანტიაში დათქმული არ იყო ან ცვლილება ბენეფიციარს არ მოუთხოვია, ბენეფიციარი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარყოს იგი მანამ, სანამ გარანტისათვის გაგზავნილი შეტყობინებით არ დაეთანხმება ცვლილებას ან მოთხოვნას გადახდაზე არ წარუდგენს გარანტს საბანკო გარანტიაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

5. ცვლილებების ნაწილობრივი მიღება დაუშვებელია და განიხილება როგორც უარი ცვლილებაზე.

6. ცვლილების დოკუმენტში ჩაწერილი პირობა მასზე, რომ ცვლილება ძალაში შედის თუ ბენეფიციარის მიერ არ იქნება უარყოფილი დროის გარკვეულ მონაკვეთში, მხედველობაში არ მიიღება.

3. 885-887-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 885. მოთხოვნის წარდგენა

1. ბენეფიციარის ჯეროვანი მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ საბანკო გარანტიის მიხედვით უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტობრივი გარემოებები, რომლების დადგომაც იწვევს გადახდას საბანკო გარანტიის მიხედვით.

1¹. ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის ფულადი თანხის გადახდის შესახებ წერილობითი მოთხოვნა წარედგინება ელექტრონულად, თუ ბენეფიციარსა და გარანტს შორის არსებობს შეთანხმება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნის მიღების თაობაზე.

2. ბენეფიციარის ჯეროვანი მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის დამთავრებამდე.

მუხლი 886. გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისას

1. ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ პრინციპალს და გადასცეს მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ.

2. გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით უნდა განიხილოს ხუთ საბანკო დღეში. თუ მოთხოვნა ჯეროვანია, განახორციელოს გადახდა. საბანკო

გარანტიით შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მოთხოვნის განხილვის სხვა ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს თხუთმეტ საბანკო დღეს.

მუხლი 887. გარანტის უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე

1. გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება საბანკო გარანტიის პირობებს ან და ისინი წარედგინა გარანტს გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ. გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ ამ კოდექსის 886-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში და მიუთითოს უარის მიზეზი.

2. თუ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისათვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს.

3. გარანტი უფლებამოსილია შეაჩეროს გადახდა შვიდი საბანკო დღით, თუ არსებობს გონივრული საფუძველი ივარაუდოს, რომ:

ა) რომელიმე წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის სარწმუნო;

ბ) გარემოება, რომლის დადგომისას საბანკო გარანტია უზრუნველყოფდა ბენეფიციარის ინტერესს, არ წარმოშობილა;

გ) საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი პრინციპალის ძირითადი ვალდებულება ბათილია;

დ) ბენეფიციარმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მიიღო შესრულება პრინციპალისაგან ძირითადი ვალდებულების მიხედვით.

გადახდის შეჩერების შემთხვევაში გარანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბენეფიციარს და პრინციპალს გადახდის შეჩერების მიზეზების და ვადის შესახებ.

4. გარანტი პასუხს აგებს ბენეფიციარის და პრინციპალის წინაშე გადახდის დაუსაბუთებელი შეჩერებისთვის.

5. ამ მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ არ არსებობს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი რომელიმე საფუძველი ბენეფიციარის მოთხოვნაზე უარის სათქმელად, გარანტი ვალდებულია გადაიხადოს საბანკო გარანტიის მიხედვით ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნისთანავე.

4. 887-ე მუხლის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის 887¹ მუხლი:

მუხლი 887¹. ბენეფიციარის პასუხისმგებლობა

ბენეფიციარი ვალდებულია აუნაზღაუროს გარანტს და პრინციპალს მიყენებული ზარალი, თუ ზარალი გამოწვეულია იმით, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო სარწმუნო ან წარდგენილი მოთხოვნა დაუსაბუთებელი აღმოჩნდა.

5.888-890 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 888. გარანტის ვალდებულების ფარგლები

1. საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება გარანტიის პირობების შესაბამისად იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.

2. თანხა, რომელიც შესაძლებელია გადახდილი იქნეს საბანკო გარანტიის მიხედვით, მცირდება ნებისმიერი იმ თანხით:

ა. რაც გადახდილია საბანკო გარანტიის მიხედვით;

ბ. ბენეფიციარის მიერ ხელმოწერილ წერილობით დოკუმენტში მითითებული თანხის ფარგლებში გარანტის ნაკისრი ვალდებულებისგან ნაწილობრივ განთავისუფლების შესახებ.

მუხლი 889. საბანკო გარანტიის შეწყვეტა

1. საბანკო გარანტიის მიხედვით გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წყდება:

ა) საბანკო გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა;

ბ) ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზეც საბანკო გარანტია გაიცა;

გ) ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით, რაც უნდა წარედგინოს გარანტს.

2. გარანტი, რომლისთვისაც ცნობილი გახდა საბანკო გარანტიის შეწყვეტა ამ მუხლის „ბ“ და „გ“ საფუძვლებით, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პრინციპალს ამის თაობაზე.

მუხლი 890. გარანტისათვის საბანკო გარანტიით გადახდილი თანხის ანაზღაურება

1. პრინციპალი ვალდებულია აუნაზღაუროს გარანტს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გადახდილი ფულადი თანხა, თუ გარანტის გაცემის შესახებ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. გარანტს არა აქვს უფლება მოსთხოვოს პრინციპალს ფულადი თანხის ანაზღაურება, რაც გადახდილი იქნა ბენეფიციარისთვის საბანკო გარანტიის პირობებთან შეუსაბამოდ ან გარანტის ვალდებულების დარღვევის გამო ბენეფიციარის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პრინციპალთან გარანტის შეთანხმებით სხვა რამ იქნა გათვალისწინებული ან პრინციპალმა თანხმობა განაცხადა გადახდაზე.

(ცხრილი N1, გვერდზე 191)

საერთაშორისო და ლოკალური საბანკო გარანტიების კლასიფიკაცია ტიპების მიხედვით	
ჩვეულებრივი გარანტია/სარეზერვო აკრედიტივი	
გამოთხოვადი	ამ ტიპების მიხედვით გამოიყენება საბანკო გარანტიების ყველა სახე (ცხრილი N2) გარდა მითითებული გამონაკლისისა.
გამოუთხოვადი	
პირობითი	
უპირობო	
პირდაპირი	
არაპირდაპირი (კონტრგარანტია)	
დაფარული	
დაუფარავი	
დათმობადი/ტრანსფერაბელური	
დაუთმობადი/არატრანსფერაბელური	
	გამონაკლისი: კონტრგარანტია.

(ცხრილი N 2 , გვერდზე 196)

საბანკო გარანტიების კლასიფიკაცია სახეების მიხედვით		
1	ავანსის გადახდის გარანტია (repayment or advance payment guarantee)	პრინციპალის მიერ ავანსის არამიზნობრივად გამოყენების ან სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისთვის რომლის ფარგლებშიც გადახდილი იქნა საავანსო თანხა. (დანართი N6; გვერდზე 252);
2	სატენდერო გარანტია (tender guarantee):	სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (დანართი N10; გვერდზე 262);
3	გადახდის გარანტია (payment guarantee)	მიწოდებული პროდუქციის/მომსახურების ღირებულების გადახდის უზრუნველსაყოფად. (დანართი N8, გვერდზე 258);
4	ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია (warranty guarantee):	მიწოდებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ან მომსახურების უხარისხობის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად. (დანართი N11, გვერდზე 264);
5	სასესხო/საკრედიტო გარანტია:	გაცემული კრედიტის დაბრუნების უზრუნველსაყოფად.
6	სასამართლო გარანტია (judicial guarantee):	სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების და სასამართლო ბაჟის გადახდის უზრუნველყოფისთვის. (63, მუხ.:57 (2); 58; 199; 356 ¹⁷ ;445 (2გ)).
7	შესრულების გარანტია (performance guarantee):	სახელშეკრულებო ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. (დანართი N12 , გვერდზე 265);

8	<p>საბაჟო გარანტია (customs guarantee):</p>	<ul style="list-style-type: none"> • რეექსპორტისა და ტრანზიტის რეჟიმის დაცვის შესახებ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად დროებითი შემოტანის რეჟიმში საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისას; • იმპორტისა და გადამუშავების საბაჟო რეჟიმის უზრუნველსაყოფად, თუ გადამუშავებული პროდუქცია და წარმოების ძირითადი საშუალებები ექსპორტს ექვემდებარება; • საბაჟო საკონსიგნაციო საწყობის მოსაწყობად, რათა სასაწყობო მეურნეობამ მიიღოს საბაჟო საკონსიგნაციო საწყობის სტატუსი. (დანართი N 5, გვერდზე 250);
9	<p>სააუქციონო/საკონკურსო გარანტია:</p>	<p>საჯარო აუქციონზე ქონების შესაძენად, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საგარანტიო თანხის გადახდის უზრუნველსაყოფად; (დანართი N9 , გვერდზე 260);</p>
10	<p>ფულადი თანხების დაკავების გარანტია</p>	<p>მშენებლობისას, ეტაპობრივი გადახდებზე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დასაკავებელი 5%-იანი ოდენობის თანხების გადახდის უზრუნველსაყოფად.</p>

პირობითი აღნიშვნები, შემოკლებები

ინგლისურენოვანი შემოკლებანი:

ICC	International Chamber of Commerce. The world business organization. საერთაშორისო სავაჭრო პალატა. მსოფლიო ბიზნესის ორგანიზაცია.
UNICTRAL	United Nations Commission on International Trade Law. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია.
URDG N 758	ICC Publication N 758 „ICC Uniform Rules for Demand Guarantees including model forms” 2010 revision. საერთაშორისო სავაჭრო პალატის N 758 პუბლიკაცია „უნიფიცირებული წესები მოთხოვნით გარანტიებისათვის ფორმებითურთ“ 2010 წლის რევიზია.
URDG N 458	ICC Publication No. 458E, ICC Uniform Rules for Demand Guarantees 1992 ed. International Chamber of Commerce. The world business organization. საერთაშორისო სავაჭრო პალატის N 458E პუბლიკაცია „უნიფიცირებული წესები მოთხოვნით გარანტიებისათვის“ 1992 წლის გამოცემა. საერთაშორისო სავაჭრო პალატა. მსოფლიო ბიზნესის ორგანიზაცია.
URCG N 325	ICC Publication N 325E, ICC Uniform Rules for Contract Guarantees 1978 ed. International Chamber of Commerce. The world business organization. საერთაშორისო სავაჭრო პალატის N 325E პუბლიკაცია „უნიფიცირებული წესები სახელშეკრულებო გარანტიებისათვის“ 1978 წლის გამოცემა. საერთაშორისო სავაჭრო პალატა. მსოფლიო ბიზნესის ორგანიზაცია.
ICC N 406	ICC Publication N 406 Model Forms for Issuing Contract Guarantees, 1983 ed. International Chamber of Commerce. The world business organization.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის N 406 პუბლიკაცია, ტიპური ფორმები სახელშეკრულებო გარანტიებისთვის. 1983 წლის გამოცემა. საერთაშორისო სავაჭრო პალატა. მსოფლიო ბიზნესის ორგანიზაცია.

ICC N 503 ICC Publication N 503 model forms for Issuing Payment guarantees 1992, ed. International Chamber of Commerce. The world business organization.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის N 503 პუბლიკაცია, ტიპური ფორმები გადახის გარანტიებისთვის. 1992 წლის გამოცემა. საერთაშორისო სავაჭრო პალატა. მსოფლიო ბიზნესის ორგანიზაცია.

ICC N 510 ICC Publication N 510 Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees. 1991 ed. International Chamber of Commerce. The world business organization.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის N 510 პუბლიკაცია სახელმძღვანელო ერთიანი წესებისათვის მოთხოვნით გარანტიის შესახებ. 1991 წლის გამოცემა. საერთაშორისო სავაჭრო პალატა. მსოფლიო ბიზნესის ორგანიზაცია.

ICC N 547 ICC Publication No 547 NY Bank Guarantees in International Trade 1997, ed. International Chamber of Commerce. The world business organization.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის N 547 პუბლიკაცია საბანკო გარანტია საერთაშორისო ვაჭრობაში. 1997 წლის გამოცემა. საერთაშორისო სავაჭრო პალატა. მსოფლიო ბიზნესის ორგანიზაცია.

ქართულენოვანი შემოკლებანი:

გარანტია	საბანკო გარანტია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით; მოთხოვნით გარანტია URDG 758-ის მიხედვით;
სამოქალაქო კოდექსი	მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
საპროცესო კოდექსი	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
საგადასახადო კოდექსი	საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
სისხლის სამართლის კოდექსი	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

განმარტებანი:

პრინციპალი	იგივე აპლიკანტი URDG N 758 -ის მიხედვით;
ბენეფიციარი	პრინციპალის/აპლიკანტის კრედიტორი URDG N 758-ით;
კონტრგარანტია	საბანკო გარანტიით ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესრულების უზურნველყოფა ასევე საბანკო გარანტიით. გასცემს მეორე გარანტი პირველი ვალდებულების შესრულების საფუძველზე
კონვენცია	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია დამოუკიდებელი გარანტიებისა და აკრედიტივების შესახებ.
ლოკალური გარანტია	საბანკო გარანტია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, რომელიც მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე და ყველა მხარე საქართველოს რეზიდენტია.
საერთაშორისო გარანტია	თუ გარანტიაში მითითებული პირებიდან (გარანტი, ბენეფიციარი, პრინციპალი) ნებისმიერი ორი სხვადასხვა სახელმწიფოშია.

შესავალი

საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკას განვითარების მაღალი ტემპები ახასიათებს, შესაბამისად, საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობის პროცესიც მუდმივ ცვლილებას განიცდის. ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების სრულყოფა, რაშიც საბანკო სფეროს მნიშვნელოვანი როლი აკისრია.

ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების 2014 წლის 27 ივნისის ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ საქართველო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, აქტიურად მონაწილეობს გლობალურ ეკონომიკურ პროცესში და ამას ხელს უწყობს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, რადგან მასზე გადის აზიიდან ევროპისკენ მიმავალი მოკლე გზა.

ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი მიზანია საქართველოს ეკონომიკის ევროპული ინტეგრაცია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნით. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი გზაა ეროვნული საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი ნორმების ჰარმონიზაცია საერთაშორისო ხასიათის მომწესრიგებელ ნორმებთან. ამისათვის აუცილებელია საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმატიული ბაზის შესწავლა და მისი შედარება საქართველოს კანონმდებლობასთან, მით უფრო, როცა ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების XV-A დანართით, საქართველომ იკისრა ვალდებულება ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას.

საქართველოს კანონმდებლობის ნორმების ჰარმონიზაცია საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებთან URDG 758, რომელიც მთლიანად შეიცვალა 2010 წელს, გასაგებს გახდის ეროვნულ კანონმდებლობაში საბანკო გარანტიის მომწესრიგებელ ნორმებს, აამაღლებს ნდობას და მათი გამოყენების ეფექტურობას. დღეისათვის კი საქართველოს ბანკების მიერ ქართველი ბენეფიციარებისთვის გაცემული საბანკო გარანტიები და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები არსებით დახვეწას მოითხოვს

საერთაშორისო ანალოგებთან მიმართებით. ამიტომ საჭიროა არამარტო მოქმედი მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო ნორმებთან, არამედ შესაძლებელია ახალი ნორმები, რაც ამ ინსტიტუტის შემდგომი განვითარებისა და საერთაშორისო კერძო სამართალთან ჰარმონიზაციისათვის აუცილებელ პირობად შეიძლება ჩავთვალოთ.

საბანკო გარანტიის შესახებ, ფუნდამენტური თეორიული ნაშრომი ქართულ სამართალში ჯერჯერობით არ შექმნილა და წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ამისი ერთ-ერთი მოკრძალებული მცდელობაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოქმედი ნორმები, რომლებიც 21-ე თავის მე-5 ქვეთავშია ჩამოყალიბებული, თავის დროზე შემუშავებულ იქნა საერთაშორისო სამართლის იმ ნორმების საფუძველზე, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში მოქმედებდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მთლიანად იმეორებს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის იმავე შინაარსის ნორმებს, რომელიც 1994 წელს იქნა მიღებული. მას შემდეგ ჩვიდმეტი წელი გავიდა. საბანკო გარანტია ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოკვლეული ქართველი მეცნიერების მიერ საერთაშორისო კერძო სამართალთან და უნიფიცირებულ წესებთან მიმართებით. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა 2010 წლის შემდეგ უფრო დაინტერესდა ამ ინსტიტუტით, როგორც ფინანსური ინსტრუმენტით. ამავდროულად, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებამ და აბრეშუმის გზის ამოქმედებამ ახალი ამოცანები დასახა, რამაც არსებითი მნიშვნელობა შესძინა საერთაშორისო ხასიათის სამართლებრივ აქტებს. საბანკო გარანტიის ინსტიტუტის შესაძლებლობებმა მასზე მოთხოვნის ზრდა გამოიწვია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ბაზარზე, თემის აქტუალურობაც სწორედ ამით აიხსნება.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საბანკო გარანტიის არსისა და მნიშვნელობის წარმოჩენა თავისუფალი ბაზრისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საბანკო გარანტიის შესახებ ბუნდოვანი და მოუწესრიგებელი სამართლებრივი ურთიერთობების გამოკვეთა URDG N 758 -ის ნორმებთან მიმართებით.

მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების ჩამოყალიბება ეროვნული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და საერთაშორისო ნორმებთან მისი ჰარმონიზაციისთვის, რაც ხელს შეუწყობს ეფექტურობის და საბანკო/დამოუკიდებელი გარანტიისადმი ნდობის ამაღლებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

საბანკო გარანტიის გამოყენებისას პრაქტიკაში არსებული არასწორი ხედვის და შეფასებების გამოვლენა;

საბანკო გარანტიის გამოყენებისას პრაქტიკაში არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით მეცნიერული დასკვნების ფორმულირება და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება. კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტის შემუშავება, შესაბამის სტრუქტურებში წარდგენა და მხარდაჭერა ცვლილებების განსახორციელებლად.

ქართულ კანონმდებლობაში საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი ნორმების შემდგომი დახვეწისა და განვითარების მიზნით, ქართველი და უცხოელი მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ნაშრომების, სამეცნიერო სტატიებისა და მონოგრაფიების ანალიზის საფუძველზე მეცნიერული დასკვნების ფორმულირება და რეკომენდაციების მომზადება.

კვლევის ამოცანები

- საქართველოს კანონმდებლობის, კანონქვემდებარე აქტების, საბანკო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი;
- საქართველოსა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობის შედარება;
- მოპოვებული რელევანტური მონაცემების შეჯერება და გაანალიზება;
- URDG N 758 -ის ქართულ ენაზე თარგმნა და მისი შედარება სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებთან;
- საბანკო გარანტიების საქართველოში მოქმედი ტიპებისა და სახეების შესწავლა;
- ელექტრონული საბანკო გარანტიების ლეგიტიმაციის აუცილებლობის საკითხის განსაზღვრა.
- საბანკო/მოთხოვნით გარანტიის აუცილებელი ელემენტებისა და პირობების დადგენა, ცნების დაზუსტება, დოკუმენტების შესწავლისა და გადახდის ვადის დაკონკრეტება და მოქმედების შეწყვეტის საფუძველების დაზუსტება.

- საბანკო გარანტიის ვალუტასთან და გადახდის ვალუტასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა.
- ბენეფიციარის მოთხოვნის სათანადოობის პირობების ანალიზი და გარანტის უარის მართლზომიერი საფუძვლის დადგენა ამ მოთხოვნის არასათანადოობის გამო.
- გაცემულ გარანტიაში ცვლილებების შეტანის პრობლემატური საკითხის გამოვლენა და საფუძვლების შესწავლა.
- გაცემული საბანკო გარანტიის ტრანსფერაციის პრაქტიკული შემთხვევების გამოვლენა, გამომწვევი გარემოებების შესწავლა და ტრანსფერის შედეგების კვლევა.
- საბანკო გარანტიის მხარეთა უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენა.

მეცნიერული ჰიპოთეზა

1. საქართველოში გაცემული გარანტიისადმი ნდობის ხარისხი დაბალია, რაც ხელს უშლის ამ ინსტიტუტის ეფექტურად ფუნქციონირებას. ეს ხარვეზი გამოსწორდება, თუ:

ა. ეროვნულ კანონმდებლობაში შევა ისეთი ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს გარიგების არარეზიდენტ კრედიტორთა/ბენეფიციართა უფლება-მოვალეობების ნათლად ჩამოყალიბებას; გარანტის, ბენეფიციარისა და პრინციპალის უფლებამოსილებების და პასუხისმგებლობის ფარგლების დაკონკრეტებას; საბანკო გარანტიის ამჟამად არსებული ცნების დაზუსტებასა და საბანკო გარანტიის აუცილებელი პირობებისა და ელემენტების შემოტანას;

ბ. განხორციელდება ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებთან: კერძოდ, საბანკო გარანტიის აუცილებელი პირობებისა და ელემენტების შემოტანით; გარანტის, პრინციპალის და ბენეფიციარების უფლებების და პასუხისმგებლობების დაზუსტებით ბენეფიციარის მიერ არასათანადოდ შესრულებული ან არაკეთილსინდისიერი მოთხოვნის წარდგენისას; გარანტთან წარდგენილი გადახდის მოთხოვნის და მასზე თანდართული დოკუმენტების შემოწმებისა და გადახდის ვადის დაკონკრეტებით; საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტის გარემოებების დაზუსტებით; საბანკო გარანტიაში ცვლილებების შეტანის წესისა და გარემოებების დადგენით; ელექტრონული საბანკო გარანტის ლეგიტიმაციის საკითხის მოწესრიგებით; საბანკო გარანტიის ტრანსფერაციასთან დაკავშირებული გარემოებების განსაზღვრით.

2. საგარანტიო ბაზარი გაცილებით კონკურენტუნარიანი და ხელმისაწვდომი გახდება, თუ სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სპეციალური სუბიექტების საქმიანობის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში მოხდება საბანკო გარანტიის გაცემის უფლებამოსილების ასახვა და საქმიანობის სახედ დადგენა;

3. საკანონმდებლო დონეზე, პრინციპალის ვალდებულების შემოღება გადახდილი გარანტიის თანხის ანაზღაურებაზე გარანტიის სასარგებლოდ, რეგრესის უფლების რეალიზაციას საიმედოს გახდის და მხარეთა თანასწორობის პრინციპს უზრუნველყოფს;

4. საბანკო გარანტიების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია, ტიპების და სახეების მიხედვით, ხელს შეუწყობს და გააიოლებს მათ სისტემურ მართვას, მხარდაჭერასა და კონტროლს.

მეცნიერული სიახლე

წინამდებარე სადისერტაციო კვლევა ერთ-ერთი პირველი ნაშრომია საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ურთიერთობების კვლევაში საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებთან მიმართებით. განსჯისა და მიგნებების ჩამოყალიბების საფუძველზე ჩვენს მიერ შემოთავაზებულია შემდეგი მეცნიერული სიახლეები:

1) პირველად არის ჩატარებული საერთაშორისო უნიფიცირებული წესების URDG N 758 -ის, სამოქალაქო კოდექსის საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი ნორმების შედარებითი კვლევა, საერთაშორისო ხასიათის ნორმებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის;

2) ქართულ ენაზე სრულფასოვანი თარგმანის სახითაა წარმოდგენილი ICC -ის მიერ შემუშავებული და UNCITRAL მიერ მოწონებული „უნიფიცირებული წესები მოთხოვნით გარანტიების შესახებ,“ სახელწოდებით URDG N 758, იგივე ICC-ის N758-ე პუბლიკაცია;

3) შეთავაზებულია საბანკო გარანტიის ცნების დაზუსტება მისი, როგორც ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალების ბუნებიდან გამომდინარე;

4) შეთავაზებულია სამოქალაქო კოდექსში საბანკო გარანტიის პირობებისა და ელემენტების ასახვა ცვლილებების შესახებ შეთავაზებული კანონპროექტის ტექსტის

შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ფორმატის ერთგვაროვნებას, რაც გაზრდის მის აღქმადობასა და არსის გაგებას;

5) ბენეფიციარის მოთხოვნის სათანადობის მაკვალიფიცირებელი გარემოებები (წერილობითობა, დამასაბუთებელი ინფორმაცია თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველყოფადაც გარანტია გაიცა და პირობა, რომ მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიაში მითითებული დოკუმენტები, თუ ეს დოკუმენტები მითითებულია საბანკო გარანტიაში) შეთავაზებულია მოიხსენიებოდეს როგორც ”ჯეროვანი მოთხოვნა”;

6) გამოვლენილია ელექტრონული სახით გაცემული გარანტიების ლეგიტიმურობის აუცილებლობა;

7) შემუშავებულია და შეთავაზებულია საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი საბანკო გარანტიის სამართლებრივი ინსტიტუტის შემდგომი განვითარებისთვის;

8) გამოვლენილია, რომ საბანკო გარანტიის გაცემაზე უფლებამოსილი სპეციალური სუბიექტების საქმიანობის მომწესრიგებელ კანონებში: „სადაზღვევო საქმიანობის შესახებ“, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ და „საკრედიტო კავშირების შესახებ“ - მათი საქმიანობის სახედ უნდა ჩაემატოს საბანკო გარანტიების გაცემა;

9) ნაჩვენებია გარანტის შესაგებელის უფლების შეზღუდვის აუცილებლობა ბენეფიციარისთვის რამე სახის პრეტენზიის წაყენების ნაწილში, საბანკო გარანტიით მომსახურების შესახებ შეთანხმებიდან და იმ ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე, რომლის უზრუნველსაყოფადაც გარანტია გაიცა;

10) დაზუსტებულია გარანტის უფლებამოსილების ფარგლები ბენეფიციართან მიმართებით შესაგებელის წაყენებისას, რაც მხოლოდ იმ გარემოებებით უნდა შემოისაზღვროს, რომლებიც საბანკო გარანტიის ტექსტშია მითითებული;

11) შეთავაზებულია წინადადება, რომ თუ პრინციპალმა თავისი უფლებები გარანტს დაუთმო, გარანტმა ვერ უნდა გაქვითოს ბენეფიციართან ურთიერთმოთხოვნა თუ ეს საბანკო გარანტიის ტექსტით არ იქნება დათქმული;

12) სისტემატიზებულია და კლასიფიცირებულია საბანკო გარანტიების ტიპები და სახეები საქართველოში არსებული საბანკო პრაქტიკის მიხედვით;

13) შეთავაზებულია, რომ საბანკო გარანტიის გამოთხოვის ან მასში ცვლილების შეტანისას, გამოთხოვა ან/და ცვლილებების შეტანა უნდა მოხდეს იმავე აუცილებელი პირობებისა და ელემენტების გამოყენებით, რაც თავდაპირველ გარანტიაში იყო მითითებული.

14) დასაბუთებულია, რომ თუ საბანკო გარანტიის პირობებით დაშვებულია გარანტის მიერ მისი გამოთხოვა ან მასში ცვლილების შეტანა, გარანტის ვალდებულება შეცვლილად ან შეწყვეტილად ჩაითვლება გარანტის მიერ ბენეფიციარის თანხმობის მიღების მომენტიდან;

15) გამოვლენილია, რომ საბანკო გარანტიის გადაპირება (ტრანსფერაცია) დაშვებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავის მოთხოვნებს ბენეფიციარი დაუთმობს მესამე პირს ან სამართალმემკვიდრეობა დადგება;

16) გამოვლენილია, რომ სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს ეგრეთ წოდებული უპირობო/პირველივე მოთხოვნით გარანტიის ცნებას, რაც უდავოდ დადებითი მოვლენაა. შესაბამისად უპირობო/პირველივე მოთხოვნით საბანკო გარანტიების მოთხოვნა საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, რომლებიც ბენეფიციარები არიან, ასევე მათ მიერ ბრძანებებით დამტკიცებული უპირობო საბანკო გარანტიის ფორმატები არასწორია და უნდა მიესადაგოს სამოქალაქო კოდექსის, როგორც იერარქიულად ზემდგომ კანონის შესაბამის ნორმებს;

17) გამოვლენილია, რომ სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის 1¹ პუნქტი ხარვეზიანია, რადგან ბენეფიციარის მიერ ფულადი თანხის გადახდის შესახებ წერილობითი მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს, ოღონდ ელექტრონული დოკუმენტის სახით, კავშირგაბმულობის შესაბამისი საშუალებებით;

18) დასაბუთებულია, რომ სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლში მითითებული „გონივრული ვადა“ სასურველია შეიცვალოს კონკრეტულ საბანკო დღეთა რაოდენობით,

მაგრამ, ამავდროულად, გარანტს უნდა შეუნარჩუნდეს უფლება, საბანკო გარანტიითვე დაადგინოს ბენეფიციარის მოთხოვნის განხილვისა და გადახდის სხვა ვადა, რომელიც ასევე არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტულ საბანკო დღეთა რაოდენობას;

19) წარმოდგენილია წინადადება იმის შესახებ, რომ თუ მოთხოვნაზე თანდართული დოკუმენტებიდან რომელიმე არ არის სარწმუნო, ძირითადი ვალდებულება ბათილი აღმოჩნდა, გარემოება, რომლის დადგომისას გარანტია უზრუნველყოფს ბენეფიციარის ინტერესს, არ წარმოშობილა ან, ბენეფიციარმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უკვე მიიღო შესრულება პრინციპალისგან ძირითადი ვალდებულების მიხედვით, გარანტის მიერ უნდა შეჩერდეს გადახდა კონკრეტული ვადით და ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პრინციპალსა და ბენეფიციარს;

20) გამოვლენილია ბენეფიციარის პასუხისმგებლობის განსაზღვრის აუცილებლობა გარანტისათვის ან/და პრინციპალისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის, თუ გარანტმა მოთხოვნის ხელმეორედ წარმოდგენისას თანხა გადაიხადა ისეთ ვითარებაში, როცა წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო სარწმუნო, ან წარმოდგენილი მოთხოვნა არ იყო ჯეროვანი/სათანადო.

21) შეთავაზებულია წინადადება, განისაზღვროს გარანტის პასუხისმგებლობა, თუ გარანტი ბენეფიციარის მიმართ უსაფუძვლოდ შეაჩერებს გადახდას საბანკო გარანტიის მიხედვით;

22) დასაბუთებულია, რომ საბანკო გარანტიის უკან დაბრუნება არაა საჭირო, თუ ბენეფიციარი წერილობით გამოხატავს ნებას გარანტის მიმართ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმით;

23) გამოვლენილია, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპის დასაცავად კანონი უნდა ითვალისწინებდეს პრინციპალის ვალდებულებას ბენეფიციარისთვის გარანტიით მართლზომიერად გადახდილი თანხის გარანტისათვის ანაზღაურების ნაწილში;

24) შეთავაზებულია, კანონმდებლობა ასახავდეს იმ გარემოებას, რომ პრინციპალის თანხმობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს გარანტს ის თანხა, რაც საბანკო გარანტიის შეუსაბამოდ იქნა გარანტის მიერ გადახდილი მაშინაც კი, თუ საბანკო

გარანტიით მომსახურების ხელშეკრულებაში ასეთი დათქმა არ ყოფილა;

25) დასაბუთებულია, რომ საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი და აბსტრაქტული ბუნებიდან და ცალმხრივი გარიგების ხასიათიდან გამომდინარე, გარანტი კი არ ანაზღაურებს, როგორც ეს სამოქალაქო კოდექსის 890-ე მუხლის მეორე პუნქტშია მითითებული, არამედ იხდის საბანკო გარანტიის საფუძველზე.

26) დასაბუთებულია და პრაქტიკისთვის შეთავაზებულია, რომ საბანკო გარანტიის მიხედვით გადახდა საქართველოში შესაძლებელია როგორც ეროვნულ ვალუტაში, ასევე გარანტიის ვალუტაში, თუ გარანტიის თანხად მითითებულია უცხოური ვალუტა;

27) პრაქტიკისთვის შეთავაზებულია, საბანკო გარანტიის გაცემა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ ძირითადი ვალდებულების შემცველი ხელშეკრულება არ შეიცავს პრინციპალის ვალდებულებას ბენეფიციარისთვის საბანკო გარანტიის წარდგენის თაობაზე და აღნიშნული ვითარება არ უნდა გახდეს საბანკო გარანტიის გაცემის შემაფერხებელი გარემოება.

თავი I. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის თეორიული კონტექსტი

§1.1. ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კონტექსტი

1997 წლის 2 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს (62). შესაბამისად, ნაშრომის ინფორმაციულ ბაზაა სამოქალაქო სამართალში, საგადასახადო სამართალში, საბანკო სამართალში, საერთაშორისო კერძო სამართალში, საბანკო გარანტიის ინსტიტუტთან დაკავშირებული ქართველი და უცხოელი მკვლევარების სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები და პუბლიკაციები. საკვლევი თემის გარშემო შესწავლილი იქნა ათი წლის განმავლობაში გამოცემული ყველა ქართველი მეცნიერი იურისტის: ლ. ჭანტურიას, რ. შენგელიას და ე. შენგელიას, ზ. გაბისონიას, ზ. ჭეჭელაშვილის და ი. რობაქიძის თეორიულ-გამოყენებითი სახის ნაშრომები; პ. ხოტენაშვილის 2003 წელს გამოცემული ნაშრომი, დ. გაბუნიას და ა. ხატიაშვილის პრაქტიკულ-გამოყენებითი ხასიათის პუბლიკაციები. ასევე შესწავლილი იქნა შემდეგი უცხოელი მეცნიერების Bertrams R. Chuah, J., Stathopoulos M., Rodrigo T., Horn N. Wymersseh E. Kelly-Louw M., Wood P., Zimmermann R., Von Westphalen F.G., Eberhardt M., Baranello j., Avidon M., Illescas-Ortiz R., Ahvenainen L., Kayembe GL., Muravska Iu. Hauptmam A., Röchert N. Sankalp J., Ануфриева Л., Аванесова Г., Байгушева, Ю., Вебер Х. Вершинин С., Дубинична С., Ерпылева Н., Княжеская А. 2004. Михайлов Д., Овсейко С., Олейник О., Отарова К., Kozlovich B. Рубанов. А, Овсейко С.В., ასევე სხვათა კვლევები, მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები, რაც ბიბლიოგრაფიულ ჩამონათვალშია მითითებული.

კვლევის ნორმატიული საფუძველია საერთაშორისო სამართლებრივი წყაროები, საერთაშორისო ნორმატიული აქტები, გაეროს კონვენცია, საერთაშორისო სავაჭრო პალატის პუბლიკაციები, კომენტარები და რეკომენდაციები. საქართველოს კანონები, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების, საჯარო სამართლის იურდიული პირების კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, საერთაშორისო კონვენციები, საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მიერ მიღებული საერთაშორისო

უნიფიცირებული წესები. შესწავლილი იქნა საქართველოში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტი, რაც შემხებლობაშია საკვლევ თემასთან. ასევე სასამართლო პრაქტიკა, მოთხოვნითი გარანტიის შესახებ საერთაშორისო უნიფიცირებული წესები, საქართველოს სასამართლოსა და სხვა ქვეყნების არბიტრაჟების გადაწყვეტილებები, სამეცნიერო და საერთაშორისო პრაქტიკული ფორუმების მასალები, ელექტრონულ ჟურნალებში განხილული საკითხები საკვლევ თემასთან დაკავშირებით, ასევე ინტერნეტის ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული მეცნიერებისა და პრაქტიკოსი იურისტების მოსაზრებები.

შერჩეული იქნა კვლევის ისეთი ოპტიმალური მეთოდები, რომლებიც გამოიყენება როგორც თეორიული, ასევე ემპირიული კვლევისთვის, კერძოდ: შედარების, აბსტრაგირების, ანალიზის, სინთეზის, ანალოგიის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები, რომელთა აღწერა, განმარტება, რელევანტურობის დასაბუთება, სანდოობის ხარისხი აღწერილია ამ სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში.

1.1.1. ქართველი მეცნიერები საბანკო გარანტიის შესახებ

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა აღნიშნავს: "ევროკავშირსა და საქართველოს შორის სწრაფად ვითარდებოდა ვაჭრობა 2004 წლიდან, ევროკავშირი საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი გახდა და მასთან ვაჭრობის წილი საქართველოს წლიური სავაჭრო ბალანსის მესამედს გაუტოლდა" (49). საქართველოში ლოკალური და საერთაშორისო საბანკო გარანტიების გაცემის ზრდაც ამ პერიოდს უკავშირდება.

ქართულენოვანი ელექტრონული ენციკლოპედიის CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით, ქვემოთ ციტირებული კომენტარი ცნობილ ქართველ ადვოკატს დ.გაბუნიას ეკუთვნის, რომელიც აღნიშნავს: "საბანკო გარანტია (რწმუნებულება) ნიშნავს იმას, რომ ბანკი, კლიენტის მიერ სესხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, იღებს ვალდებულებას, თვითონ იკისროს მისი გადახდა, გარანტია წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც ფულადი ფორმითაა გამოხატული. თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული, მოვალე და გარანტი (რწმუნებული) პასუხს აგებენ სოლიდარულად. გარანტია ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს. კლასიკური რომის სამართალი იცნობდა საბანკო გარანტიის უზრუნველყოფას, რომელსაც "receptum argentarii" ერქვა. ეს იყო არაფორმალური შეთანხმება, რომლის მიხედვითაც

ბანკირი იღებდა ვალდებულებას თავისი კლიენტის წინაშე, გადაეხადა მისი ვალი მესამე პირისათვის. ამ შეთანხმების მიხედვით, ბანკირი (argentarii) არ ხდებოდა მესამე პირის მოვალე. მესამე პირი რჩებოდა მხოლოდ ბანკირის კლიენტის კრედიტორად. თუ მოვალეს არ გააჩნდა სახსრები გადახდისათვის, მაშინ იგი სთავაზობდა თავისი ბანკირის მომსახურებას, რომელთანაც მოვალეს შეთანხმება ჰქონდა დადებული. თუ ბანკირი უარს ამბობდა გადახდაზე, კლიენტი ღებულობდა სასარჩელო დაცვას (actio receptia). აქტის ეს ფორმა უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს საბანკო გარანტიის წინამორბედად” (44).

ქართველი მეცნიერები, მ. გარიშვილი და მ. ხოფერია, უფრო დაწვრილებით საუბრობენ ამ ინსტიტუტზე თავის წიგნში „რომის სამართლის საფუძვლები“ და აღნიშნავენ შემდეგს: “Constitutum debiti წარმოადგენდა თავისუფალ ფორმაში მიცემულ დაპირებას, რომ მოვალე, არსებული ვალის გადახდას გარკვეულ ვადაში შეასრულებდა. ვალი ფულადი თანხით ან სასარგებლო ნივთების სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. დაიშვებოდა არა მარტო საკუთარი ვალის (constitutum debiti propri), არამედ მესამე პირის ვალის (constitutum debiti alieni) დადასტურება, რაც ვალდებულების შესრულების გარანტიის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა. Receptum argentarii – constitutum debiti alieni განსაკუთრებული შემთხვევა იყო, როცა ბანკირი (argentarius) თავისუფალ ფორმაში, საკუთარ თავზე იღებდა მისი კლიენტის ვალის გადახდას მესამე პირის მიმართ. ბანკირი ვალდებულების შესრულებისათვის პასუხს აგებდა სპეციალური სარჩელის – actio recepticia საფუძველზე. თანაც constitutum-ისაგან განსხვავებით, ბანკირის პასუხისმგებლობა არ იყო დამოკიდებული კლიენტის მხარეზე, ვალის ჭეშმარიტ არსებობაზე. იუსტინიანეს დროს receptum argentarii მთლიანად constitutum debiti alieni ფიგურას გაუტოლდა” (2, 243).

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულების დადების შემდეგ, ვაჭრობის საკითხმა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა ევროკავშირისა და საქართველოს შორის "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის" (DCFTA) კონტექსტში. იმისათვის, რომ უფრო ნათელი იყოს ქართული იურდიული მეცნიერების განვითარების ეტაპები საბანკო გარანტიის სამართლებრივი საფუძვლების შესწავლაში, მივყვით ქრონოლოგიას იმ დროიდან, როდესაც ეს ცნება პირველად შემოვიდა ეროვნულ კანონმდებლობაში.

საბანკო გარანტია თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში 1997 წლის 26 ივნისიდან დამკვიდრდა. პირველად საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გამოჩნდა და მისი ძირითადი დეფინიციები დღემდე უცვლელად დარჩა. საბანკო გარანტიის სამართლებრივი რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კერძო ნაწილში, სახელშეკრულებო სამართლის 21-ე თავშია მოცემული, სახელად ეწოდება "საბანკო მომსახურება" და მიძღვნილი აქვს თორმეტი მუხლი 879-დან 890-ის ჩათვლით.

იმ დროისთვის, როდესაც კანონმდებელმა ახალი სამოქალაქო კოდექსი მიიღო, საქართველოს დამოუკიდებელი საბანკო სისტემა ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა. რიგი სამართლებრივი ურთიერთობანი, რომელსაც ქვეყანას და ფულად-საკრედიტო სისტემას ახალი სამოქალაქო კოდექსი სთავაზობდა, მოულოდნელი იყო თავისი ნოვაციებით, გარიგებების დადების თავისუფლებას იძლეოდა და ხელშეკრულების მრავალ სახეს შეიცავდა.

საბანკო სექტორს რომ შეუფერხებლად ემუშავა და ნოვაციებს არ შეეფერხებინა, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი დებულებების 1517-ე მუხლით საქართველოს ეროვნულ ბანკს დაევალა, უზრუნველყო ფიზიკური პირებისთვის საბანკო ანგარიშების გახსნასთან დაკავშირებული შეზღუდვების გაუქმება, რათა ყველა ფიზიკურ და იურიდულ პირს შეუფერხებლად შეძლებოდა ბანკებში ანგარიშების გახსნა და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საბანკო მომსახურების ხელშეკრულებების შეუფერხებელი დადება. ცხადია, ეს ეხებოდა საბანკო გარანტიებით მომსახურებასაც. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კოდექსის ამოქმედებამდე ფიზიკურ პირებს მხოლოდ სადეპოზიტო/ანაზრის ხელშეკრულების დადების უფლება ჰქონდათ (61).

თორმეტი მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი რეჟიმი, ცხადია არ იყო საკმარისი იმ დეტალიზაციისთვის, რაც საბანკო სექტორს სჭირდებოდა. ამ დროისთვის ICC URDG No 458 (For demand guarantees) სულ სამი წლის ამოქმედებული იყო. თუმცა ის საერთაშორისო ხასიათის იყო და ქვეყნის შიდა რეგულაციაში პირდაპირი ანალოგიით მისი ნორმების გადმოტანას ბანკები სიფრთხილით ეკიდებოდნენ. დღევანდელი გადასახედიდან ნათელია, რომ ICC publication No 458 (97) ბევრ ბუნდოვან ნორმას შეიცავდა და საბანკო/მოთხოვნით გარანტიის მიმართ ნდობის გაღრმავება ვერ უზრუნველყო, თუმცა მის წინამორბედთან ICC publication No 325-თან (98) შედარებით, უდავოდ იყო მაღალი ხარისხის აქტი.

ბანკებისთვის ნათელი რომ გამხდარიყო საბანკო გარანტიის, როგორც ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სამართლებრივი ბუნება, საჭირო იყო მეცნიერული ახსნა-განმარტება, უცხოური გამოცდილების შესწავლა და სასამართლო პრაქტიკა. იმ დროს, როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამოქმედდა, ქვეყანაში სასამართლო რეფორმა ჯერ კიდევ იწყებოდა და სამართლიანი სასამართლოს შექმნა ედო მიზნად.

ქართველი მეცნიერ-იურისტების დიდმა ჯგუფმა მუშაობა დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარების შესაქმნელად და უდიდესი მოცულობის სამუშაო ჩაატარა. სამოქალაქო კოდექსის კომენტარები ხუთ ტომად გამოიცა და დიდი პოპულარობა მოიპოვა. სარედაქციო კოლეგიამ პროფესორ ლადო ჭანტურიას რედაქტორობით და პროფესორების, ბესარიონ ზოიძის, თედო ნინიძის, რომან შენგელიას და ჯონი ხეცურიანის შემადგენლობით, შექმნა კომენტარები ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილისთვის, მათ შორის საბანკო გარანტიის შესაბამისი მუხლებისთვის. სარედაქციო კოლეგიაში შემავალ პროფესორებთან ერთად, მუშაობდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერ-იურისტები: პროფესორები მ. კახაძე, თ. ჩიტოშვილი, ზ. ძლიერიშვილი, ტ. ზამბახიძე, დ. სუხიტაშვილი და შ. ჩიკვაშვილი. კონკრეტულად საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული თორმეტი მუხლის კომენტარი ეკუთვნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, რომან შენგელიას, გამორჩეულ მეცნიერს საფინანსო სამართალში. ეს კომენტარები იყო პირველი მეცნიერული ახსნა-განმარტება, რომელიც ეძღვნებოდა საბანკო გარანტიას და გამოიცა 2001 წელს (8).

კომენტარებში განმარტებულია საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული მუხლების შინაარსი. მან გასაგები გახადა გარიგების მხარეების უფლება-მოვალეობები და მიუთითა სამართლებრივი სტატუსი, რაც საბანკო გარანტიას ახასიათებს როგორც ცალმხრივ და დამოუკიდებელ გარიგებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არ არის დამოკიდებული არც ძირითად ვალდებულებაზე და არც იმ დაკვეთაზე, რაც პრინციპალმა გარანტს მისცა გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ. საბანკო გარანტიის ძალაში შესვლა, გარანტისათვის გადახდაზე მოთხოვნის წარდგენის ფორმა, გარანტის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები, რაც კომენტარში იქნა განმარტებული, ემსახურებოდა ამ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლებრივი არსის და მიზნის წარმოჩენას. ეს კომენტარები ეხება მხოლოდ ლოკალურ საბანკო გარანტიებს, მათი მეცნიერული ახსნა-განმარტებაა და კანონის სავალდებულო ძალა არ აქვს.

მომდევნო ნაშრომი, რომელიც საბანკო გარანტიას მიემდვინა, უკვე მოიაზრებდა მას როგორც არა მხოლოდ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ, არამედ როგორც საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტს. ის გამოქვეყნდა 2003 წელს სათაურით "საბანკო (დამოუკიდებელი) გარანტიათა ზოგიერთი საკითხი ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით" პერიოდულ გამოცემაში ქართული სამართლის მიმოხილვა (31, 326-348) და ეკუთვნის პაატა ხოტენაშვილს, რომელიც იმ დროს საქართველოს ეროვნული ბანკის იურიდიული სამმართველოს უფროსი იყო და ამჟამად საადვოკატო საქმიანობას ეწევა. ეს იყო პირველი სამეცნიერო სტატია, რომელიც დამოუკიდებელი გარანტიის მნიშვნელოვან იურიდიულ მახასიათებლებს ასახავდა საერთაშორისო სამართლის წყაროებთან მიმართებით. ავტორი კომპეტენტურად მსჯელობს საბანკო/დამოუკიდებელი გარანტიების იურიდიულ ბუნებაზე, იმ ტერმინებსა და მათ მნიშვნელობაზე, რაც ასახულია გაეროს კონვენციაში, საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებში გარანტიების შესახებ, ევროპის ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობებში და საერთაშორისო კერძო სამართალში. ნაშრომში მითითებულია, რომ გარანტიის ცნება ბუნდოვნად და არაერთგვაროვნად იყო გაგებული სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობებში, ქართულ სამართალში კი სწორად განსაზღვრული დეფინიცია აქვს. მასში საუბარია საბანკო (დამოუკიდებელი) გარანტიის მოქმედების ფარგლებზე როგორც ქართული კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო აქტების მიხედვით. ეს იყო პირველი, შედარებითი მეცნიერული კვლევა. ნაშრომი ეყრდნობა ევროპელი მეცნიერების 1996 - 2003 წლამდე პერიოდში გამოცემულ მონოგრაფიებს და წინგადადგმული ნაბიჯი იყო დამოუკიდებელი ქვეყნის, საქართველოს სამართლის წარმოჩენისთვის საერთაშორისო ასპარეზზე. განხილულია ქართული სამართლის მზადყოფნა საერთაშორისო ბაზრისთვის ისეთი ძლიერი და მყარი ფინანსური ინსტრუმენტის არსებობით ეროვნულ კანონმდებლობაში, როგორც საბანკო გარანტია (31,326-348).

მესამე ნაშრომი, რომელიც ქართულ იურისპრუდენციაში საბანკო გარანტიას მიემდვინა, ეკუთვნის სამართლის დოქტორსა და პროფესორს ზურაბ ჭეჭელაშვილს. მან ქართულ ენაზე თარგმნა გერმანიის სამოქალაქო კოდექსი და მისი კომენტარების ნაწილი. მისი ნაშრომი ამ მიმართულებით საინტერესოა იმით, რომ ერთ-ერთ წამყვან ქართულ კომერციულ ბანკში იურისტად მუშაობის ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილება აქვს, რაც დადებითად აისახა მის კვლევაში. მის ნაშრომში დეტალურად გაანალიზდა საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნება და ჩამოაყალიბდა მისი როგორც თეორიული, ასევე

პრაქტიკული ასპექტები და ასახა წიგნში "ქართული ბიზნეს სამართალი", რაც 2011 წელს გამოიცა და სწრაფად გახდა პოპულარული (9). ავტორი ლაკონურად და ზუსტად განმარტავს, რომ: "საბანკო გარანტიის სამართლებრივი ინსტიტუტის განხილვისას უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ორი გარიგება: საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება და თავად საბანკო გარანტია:

ა) ხელშეკრულება საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ყოველთვის საფინანსო ინსტიტუტია ხელშეკრულების მეორე მხარე - პრინციპალი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ვინაიდან ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის გაფორმების მომენტიდან, თავისი სამართლებრივი ბუნებით ეს ხელშეკრულება ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანია.

ბ) ეს ხელშეკრულება საფუძვლად უდევს თვით საბანკო გარანტიას, რომელიც ცალმხრივი გარიგებაა. საბანკო გარანტია გაცემა საფინანსო ინსტიტუტის მიერ და მისი სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული არც ნებისმიერი სხვა პირის თანხმობაზე და არც ძირითად ვალდებულებაზე. ამდენად, სამართლებრივი ბუნებით საბანკო გარანტია არ არის აქცესორული, ანუ დამოკიდებული სხვა ვალდებულებაზე; იგი აბსტრაქტული გარიგებაა და არსებობს სამართლებრივი საფუძვლის _ causa არსებობის მიუხედავად" (9,114).

ამის შემდგომ გამოქვეყნდა სამეცნიერო ნაშრომი "კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი", რომელიც ეკუთვნის ღვაწლმოსილ ქართველ მეცნიერს, ევროპაში ცნობილ ცივილისტს, პროფესორ ლადო ჭანტურას და 2012 წელს გამოიცა (7). ნაშრომში მის მიერ საბანკო გარანტია განხილულია როგორც საკრედიტო ურთიერთობებიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სწრაფი და უტყუარი საშუალება. იგი აღნიშნავს: "გარანტიის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარანტს პრინციპალის ვალდებულების შესრულება კი არ ეკისრება ბენეფიციარის წინაშე, არამედ მხოლოდ გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდა"(7,205). ამით ხაზგასმულია, რომ საბანკო გარანტიის გამცემი, მართალია უზრუნველყოფს პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის დადებულ ძირითად ხელშეკრულებას, მაგრამ მხოლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების გარანტიას იძლევა და რაიმე სხვა ვალდებულების შესრულებას არ უზრუნველყოფს. ავტორი აღნიშნავს, რომ "საბანკო გარანტია უზრუნველყოფს ბენეფიციარის დაკმაყოფილებას მაშინაც კი, როდესაც ძირითადი

ვალდებულება პრინციპალთან დადებული კონტრაქტით არ წარმოშობილა, მთლიანად შესრულდა, შეწყდა ან ბათილია” (7,226). ეს მახასიათებლები ანიჭებს საბანკო გარანტიას სწრაფად აღსრულებადი უზრუნველყოფის ინსტიტუტის თვისებებს და ქართული ბანკების მიერ გაცემულ საბანკო გარანტიებს სანდოს ხდის როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. ავტორი აღნიშნავს, რომ საბანკო გარანტია აბსტრაქტული დაპირებაა და ელოდება ბენეფიციარის მოთხოვნას გადახდაზე. „ბანკისთვის არ აქვს მნიშვნელობა რა საფუძვლით ვერ შეასრულა მოვალემ ვალდებულება და სწორედ ამიტომ ვერ გამოიყენებს გარანტი მოვალის შესაგებლებს ბენეფიციარის მიმართ“ (7,205).

ავტორი ხაზს უსვამს მეტად საინტერესო გარემოებას: „თუკი ძირითადი ვალდებულებიდან წარმოშობილი მოთხოვნები ხანდაზმულია, გარანტს ამ საფუძვლით არ აქვს გადახდაზე უარის თქმის უფლება, თავდებობისას კი პირიქით ხდება“ (7,209). ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის ურთიერთობაზე ავტორი აღნიშნავს, რომ „როგორც წესი, მათ შორის დადებული ხელშეკრულება შეიცავს დებულებას მოვალის მიერ ძირითადი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად კრედიტორისთვის საბანკო გარანტიის შეთავაზების თაობაზე და ეს შეთანხმება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისმა ბათილობამ შეიძლება მთლიანად ძირითადი ვალდებულების ბათილობა გამოიწვიოს, გარდა ამისა, გარანტიის წარდგენის გაჭიანურება კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის უფლებას აძლევს. იგივე შედეგი დგება მაშინაც, თუ მოვალე, შეთანხმებულის ნაცვლად, სხვა ბანკის გარანტიას წარადგენს“ (7,211). ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ „გარანტსა და პრინციპალს შორის ხელშეკრულების ფორმას კოდექსი არ განსაზღვრავს, ამიტომ ეს ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად, კონკლუდენტურად ან დუმილითაც“ (7,213).

იხილავს რა ურთიერთობას ბენეფიციარსა და გარანტს შორის, ავტორი უცხოურ ლიტერატურაში აღიარებული შეხედულებების მიხედვით საბანკო გარანტიას - საბანკო გარანტიის ხელშეკრულებად მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ „ქართულ იურდიულ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმად, საბანკო გარანტია არის არა ხელშეკრულება, არამედ ცალმხრივი გარიგება და უთითებს სამოქალაქო კოდექსი კომენტარებზე. ამავდროულად, აყალიბებს შემდეგ მოსაზრებას: „თუკი საბანკო გარანტიას ცალმხრივ გარიგებად ჩავთვლით, მაშინ საკმარისი იქნება გარანტის მიერ ნების გამოვლენა, ხოლო ბენეფიციარის მიერ მისი აქცეპტი არ იქნება სავალდებულო. სინამდვილეში ეს ასე არ არის და რეალურად გარანტი და ბენეფიციარი

წინასწარ თანხმდებიან ბენეფიციარის მიერ შეთავაზებულ პირობებზე. კრედიტორი იღებს არა ნებისმიერ გარანტიას, არამედ მხოლოდ იმას, რაც შეესაბამება და შეიცავს მის მიერ წინასწარ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, საბანკო გარანტია გარანტისა და ბენეფიციარის მიერ გარანტიის პირობებზე შეთანხმების შედეგად მიიღწევა. მხოლოდ გარანტის მიერ ნების გამოვლენა (საგარანტიო წერილის გაცემა) არ არის საკმარისი დასახული სამართლებრივი შედეგის დასადგომად, თუკი ბენეფიციარმა არ მიიღო იგი. მხოლოდ ბენეფიციარის ინფორმირებულობა, როგორც ეს ცალმხრივი გარიგების დროსაა, საკმარისი არ არის საბანკო გარანტიის ნამდვილობისთვის“ იმის სასარგებლოდ, რომ საბანკო გარანტია წარმოადგენს ხელშეკრულებას გარანტსა და ბენეფიციარს შორის, მეტყველებს ის გარემოებაც, რომ სისტემურად საბანკო გარანტია მოთავსებულია სახელშეკრულებო სამართლის ნაწილში (7,215). საბანკო გარანტიის დოკუმენტთან მიმართებით ლ.ჭანტურია აღნიშნავს, რომ საბანკო გარანტიისთვის სამოქალაქო კოდექსი არ უთითებს მხოლოდ გარანტის ხელმოწერა საკმარისი თუ ბენეფიციარის ხელმოწერაც საჭიროა. უსაფრთხოების მიზნით ჯობს ხელი ორივემ მოაწეროს, თუმცა პრაქტიკაში ბენეფიციარი კონკლუდენტურად იბარებს გარანტიას და იგულისხმება თანხმობა, თუ რაიმე პრეტენზია არ ექნება საბანკო გარანტიის პირობებზე (7,216). ავტორი წერს რომ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენება ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, თავისთავად გულისხმობს საბანკო გარანტიის ელექტრონულად გაცემასაც და ეს პრობლემა არ არის (7, 216-217).

ავტორი აღნიშნავს, რომ გარანტის მიერ საგარანტიო თანხის გადახდა არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურებას. იგი მართებულად უთითებს, რომ თუ დაირღვა ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენის კანონით დადგენილი ფორმა, „ასეთი მოთხოვნა იქნება ბათილი, რაც გარანტს გადახდაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს და, იმავდროულად, უარის თქმის მოვალეობასაც აკისრებს. საბანკო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა საბანკო გარანტია ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის გარდა, არ ითვალისწინებს გარანტისთვის სხვა დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებას, ასეთ შემთხვევებში ბენეფიციარს ეკისრება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის დეტალური აღწერა, ე.ი. საგარანტიო შემთხვევა აღწერილი უნდა იქნეს ზუსტად. დოკუმენტების რეკვიზიტებისა და შემადგენლობების ზუსტად დაცვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, მათი უგულებელყოფა ჩაითვლება მოთხოვნის წარდგენის წესების დარღვევად და გარანტს გადახდაზე უარის უფლებას მისცემს. უფრო მეტიც, თუ დარღვეულია დოკუმენტბრუნვის წესები, გარანტს ეკისრება უარის თქმის მოვალეობა“

(7,222-223). საინტერესოა, რომ ავტორი პრინციპალის მოვალეობად მიიჩნევს გარანტიის მიერ ბენეფიციარისთვის გადახდილი საგარანტიო თანხის ანაზღაურებას გარანტიის სასარგებლოდ, გადახდის განხორციელებით ის ფაქტობრივად, კრედიტს აძლევს პრინციპალს, რომელიც მან აუცილებლად უნდა დააბრუნოს. რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნა არ არის კანონისმიერი უფლება და გარანტს ის წარმოეშობა მხოლოდ ხელშეკრულებაში მისი გათვალისწინებით (7, 227,230). საბანკო გარანტიის სახეებში ავტორს მითითებული აქვს ხუთი სახის საბანკო გარანტია: სატენდერო, თანხის უკან დაბრუნების, შესრულების, გადახდის და საბაჟო გადასახდელების უზრუნველყოფის გარანტია (7,233).

მომდევნო ნაშრომი სახელწოდებით "საბანკო სამართალი", წიგნად გამოიცა 2012 წელს (1). იგი ეკუთვნის ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს, კავკასიის უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, 25 სამეცნიერო შრომის ავტორს, ზვიად გაბისონიას, რომელმაც სამეცნიერო სტაჟირება გაიარა ბონის, ჰამბურგის და მიუნჰენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტებში. მისი ნაშრომი "საბანკო სამართალი" კონკრეტულად საბანკო საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს ეძღვნება და მეტნაკლებად იხილავს ყველა ძირითადი მიმართულების იურიდიულ ასპექტს. მასში შედარებითი-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია საბანკო სამართლის ინსტიტუტები და შედარებულია ქართულ საბანკო კანონმდებლობასთან. ეს ნაშრომი შექმნილია ევროპული უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებისა და სტუდენტებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების შესაბამისად. მონოგრაფია სისტემურია. განმარტებულია საბანკო სამართლის ცნება, არსი და წყაროები. შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ხელშეკრულებების და კონვენციების აუცილებელი ნორმები. განხილულია საბანკო წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა. წიგნის მეხუთე თავი მთლიანად ეძღვნება საბანკო გარანტიას და მაღალი იურიდიული სამეცნიერო ხარისხითაა შესრულებული ისევე, როგორც მთელი მონოგრაფია. მასში მოცემულია საბანკო გარანტიის არააქცესორული ბუნების ახსნა-განმარტება და სამართლებრივი რეჟიმი. ყურადსაღებია ფაქტი, რომ ავტორს საბანკო სექტორში მუშაობის კარგი პრაქტიკული გამოცდილება აქვს. ის წლების მანძილზე იყო საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ბანკის იურისტი, რაც ნაშრომზე დადებითად აისახა.

ზ.გაბისონია აღნიშნავს, რომ „როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკულ დონეზე, გადასაწყვეტი რჩება საბანკო გარანტიის არაერთი პრობლემური საკითხი. პრაქტიკაში „ღია კითხვების არსებობა“ იწვევს კომერციული ბანკების განსაკუთრებულ სიფრთხილეს

საბანკო გარანტიის გაცემისას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის კონსტრუქცია საკმაოდ „ხისტია“ გარანტთან, ძირითადად კომერციულ ბანკებთან მიმართებით“ (1, 229). ავტორი ავითარებს ორ მოსაზრებას. ერთი მხრივ, საბანკო გარანტიას მოიხსენიებს როგორც ცალმხრივ გარიგებას, სადაც გამოხატულია გარანტის ნება და აღნიშნავს, რომ გარანტსა და ბენეფიციარს შორის ხელშეკრულებად მისი მოაზრება, „არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემულ ნორმებს, რომლებიც ხელშეკრულების დადებას არეგულირებს.“ აღნიშნულია, რომ ბენეფიციარი, როგორც აქცეპტანტი, სახეზე არ არის და მიუხედავად მისი არარსებობისა, კანონმდებელი საბანკო გარანტიას მაინც ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად განიხილავს. მისი აზრით, ბენეფიციარის აქცეპტი ხორციელდება გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენის მომენტში. ე.ი. გარანტია აქცეპტის მომენტამდე გამოუხმობადი ოფერტია და ხელშეკრულება გარანტსა და ბენეფიციარს შორის დადებულად უნდა ჩაითვალოს გარანტისათვის ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან. ავტორი წერს: „როგორც იურიდულ ლიტერატურაში აღინიშნება, საბანკო გარანტია არც ერთ სტადიაზე არ წარმოშობს გარანტსა და ბენეფიციარს შორის ხელშეკრულებას, უფრო მეტიც ვალდებულება ყალიბდება საბანკო გარანტიის გაცემისთანავე. ამასთანავე, გერმანულ სამართალში არსებობს შეხედულება, რომ გარანტიები და აკრედიტივები წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას და ისინი იდება ოფერტის გაკეთებით, რომლის აქცეპტი ხორციელდება დუმილით.“ ყურადღებას იპყრობს მისი მოსაზრება ბენეფიციარის „დუმილით აქცეპტის“ შესახებ და წერს, რომ პრაქტიკაში ბენეფიციარები ხშირად იწუნებენ წარდგენილ გარანტიებს და ითხოვენ საბანკო გარანტიას მათთვის მისაღები ფინანსური ინსტიტუტიდან. ეს მაგალითი, ავტორის აზრით, აძლიერებს იმ მოსაზრებას, რომ თუ საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ურთიერთობაა, მაშინ ბენეფიციარის აქცეპტი საჭიროა და ის შეიძლება პრინციპალისაგან გარანტიის მიღებაში გამოიხატოს.

ზ. გაბისონია აღნიშნავს, რომ გერმანულ სამართალში ასევე არსებობს მოსაზრება, რომ საბანკო გარანტია ხელშეკრულებაა გარანტსა და ბენეფიციარს შორის, რომელიც დადებულია პრინციპალის დავალების საფუძველზე და რომელსაც თავის მხრივ, საფუძვლად ძირითადი ვალდებულების წარმოშობი შეთანხმება უდევს პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის. ავტორი ფიქრობს, რომ ეს კონსტრუქცია უკეთესად ასახავს საბანკო გარანტიის მხარეთა (პრინციპალი, გარანტი, ბენეფიციარი) სამართლებრივ ურთიერთობებს (1, 230-231). ამდენად, ავტორი საბანკო გარანტიას მოიაზრებს როგორც ორმხრივ ხელშეკრულებას გარანტსა და ბენეფიციარს შორის. ასევე ყურადღებას

ამახვილებს, რომ ძირითადი ხელშეკრულების ყველა მნიშვნელოვანი დეტალი უნდა იქნეს ასახული საბანკო გარანტიის ტექსტში (ძირითადი ხელშეკრულების ნომერი, თარიღი, მხარეები და ხელშეკრულების სახელწოდება). ავტორი უთითებს, რომ საბანკო გარანტიის წერილი, დამკვიდრებული საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, პრინციპალს გადაეცემა, რომელიც თავის მხრივ, ბენეფიციარს გადასცემს. მოქმედი საერთაშორისო პრაქტიკა სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს საბანკო გარანტიის დედანს და არა ასლს. ძირითადი ვალდებულების ამსახველ ხელშეკრულებაში დეტალურადაა გაწერილი გარანტიის ის პირობები რომლებიც გარანტმა საბანკო გარანტიის ტექსტში უნდა ასახოს, იქვე შეიძლება მითითებული იქნეს, რომელი ფინანსური ინსტიტუტის საბანკო გარანტიაა მისაღები ბენეფიციარისთვის (1,237-238). ავტორს ჩამოთვლილი აქვს საბანკო გარანტიის სახეები (1,242), რაც მითითებულია URDG N 406 -ში, რომელიც გარანტიების ტიპურ ფორმებს ეძღვნება და ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარსადგენი ტექსტის ნიმუშებსაც შეიცავს.

ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში შესულმა ცვლილებებმა ელექტრონული გარანტიების გამოყენება დაადგინა და აღნიშნულის მიზანი საბანკო გარანტიის ელექტრონულ ფორმაზე გადასვლის მცდელობაა. დღეის მდგომარეობით ელექტრონულთან ერთად გამოიყენება წერილობითი გარანტიებიც და ელექტრონულმა გარანტიამ ვერ გამოდევნა წერილობითი ფორმა. ელექტრონულ გარანტიებში მოსაწესრიგებელია ისეთი საკითხის რეგულირება, როგორცაა გარანტის უარი გადახდაზე მისი გამომწვევი გარემოებების მითითებით (1,242-245).

გარანტის სამართლებრივი მდგომარეობის განხილვისას, ავტორი განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი არ განამტკიცებს გარანტის ვალდებულებას, მიუთითოს ბენეფიციარს, თუ რაში გამოიხატა ბენეფიციარის მხრიდან მოთხოვნის ან დოკუმენტების გარანტიის პირობებთან შეუსაბამო წარდგენა. ვალდებულია თუ არა გარანტი, გადაუხადოს ბენეფიციარს, თუ გარანტიის მოქმედების ვადაში ბენეფიციარი გამოასწორებს ხარვეზს და არასწორად შედგენილ მოთხოვნას, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად ხელახლა წარადგენს მას (1,246). ავტორი უთითებს ისეთ განუსაზღვრელ ნორმებზე, როგორებიცაა „გონივრული ვადა“ და „გონივრული მზრუნველობა“ და თვლის, რომ ეს საკითხი სასამართლომ უნდა შეაფასოს ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის (1,249). საინტერესო საკითხად მიიჩნევა საბანკო გარანტიის დედნის უკან დაბურნებას, როცა ამავდროულად, ბენეფიციარი მოთხოვნასაც

წარადგენს გადახდაზე. ასევე აღნიშნავს, რომ გადახდაზე მოთხოვნა მაშინ, როდესაც პრინციპალის მიერ უკვე შესრულებულია ძირითადი ვალდებულება - უნდა განიხილებოდეს, როგორც უფლების ბოროტად გამოყენება. ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიის მიხედვით მოთხოვნის დათმობის საკითხზე, ავტორი აღნიშნავს, რომ რაკი საბანკო გარანტია კონკრეტული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას ემსახურება, მისი თავისუფალი გადაცემა ვერ იქნება მისი მიზნებისა და იურდიული ბუნების შესაბამისი (1,251-255).

მომდევნო ნაშრომი, „საბანკო სამართლის საფუძვლები“, რომელიც წიგნად გამოიცა და სახელმძღვანელოს სტატუსი აქვს მინიჭებული, ეკუთვნით პროფესორებს რომან და ეკატერინე შენგელიებს. ნაშრომში აღნიშნულია საბანკო გარანტიის პოპულარობისა და მოთხოვნადობის საფუძვლები: დაკმაყოფილების დაუყოვნებლივი მიღების შესაძლებლობა, გირავნობა/იპოთეკისგან განსხვავებით - გაფორმების მარტივი პროცედურა და ნაკლები ხარჯი, თავდებობისგან განსხვავებით, არააქცესორულობა და არასუბსიდიურობა, დაპირების აბსტრაქტულობა, რომლის შესრულება არ არის დამოკიდებული ძირითად ვალდებულებაზე და საბანკო გარანტიის გაცემა ფინანსურად ძლიერი ინსტიტუტების მიერ (5,440).

ავტორების აზრით, საბანკო გარანტია ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა (5,441). საბანკო პრაქტიკაში მიღებულია საბანკო გარანტიით მომსახურების ხელშეკრულების დადება გარანტსა და პრინციპალს შორის და მისი უპირველესი ადრესატი პრინციპალია, ასლი კი შეიძლება გარანტისგან ან პრინციპალისაგან გადაეცეს ბენეფიციარს. ავტორები უთითებენ, რომ საგარანტიო ვალდებულება გარანტსა და პრინციპალს შორის წარმოიშობა ცალმხრივი ხელშეკრულების დადების საფუძველზე, რითაც გარანტი კისრულობს ვალდებულებას, აუცილებლობის შემთხვევაში შეასრულოს პრინციპალის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე, ხოლო პრინციპალი კი მოვალეა მას ამისთვის განსაზღვრული საზღაური გადაუხადოს. ბენეფიციარი ამ პროცესში არ მონაწილეობს და ამიტომაცაა, რომ კანონი ამ უკანასკნელის მიერ გარანტიის მიღებას არ მოითხოვს (5, 442). ავტორები აღნიშნავენ, რომ პრაქტიკაში ზოგჯერ ბენეფიციარებს უთანხმებენ თუ ვინ შეიძლება გამოვიდეს გარანტად, თუმცა მისთვის ეს სულერთია, რადგან სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნებისმიერი სპეციალური სუბიექტი მისთვის მისაღები უნდა იყოს. ავტორები საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას რეალურს უწოდებენ, რადგან დადებულად ითვლება გარანტსა და

პრინციპალს შორის ხელშეკრულების დადებისა და საბანკო გარანტიის წერილობითი ფორმით გაცემის მომენტიდან (5,443).

ავტორები ხაზს უსვამენ საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ანაზღაურებით ხასიათს, რასაც უკავშირებენ გარანტიის ვალდებულებას ბენეფიციარს გადაუხადოს გარანტიის თანხა, თუ პრინციპალს დათქმული დროისთვის ფული არ აღმოაჩნდება. ან ნაწილი გადაიხადოს, თუ პრინციპალმა ნაწილობრივ შეასრულა ბენეფიციარის წინაშე ფულადი ვალდებულება. ვინაიდან გარანტი პრინციპალს თავიდან აცილებს პასუხისმგებლობას, ზუსტად ამიტომ აქვს საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას ანაზღაურებითი ხასიათი და პრინციპალმა საზღაური უნდა იხადოს საგარანტიო ურთიერთობისთვის. ავტორები აღნიშნავენ, რომ რაკი საბანკო გარანტიის ხელშეკრულება ანაზღაურებითი ხასიათისაა, გარანტს პრინციპალის მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშობა, იგი კრედიტორის როლში გამოდის პრინციპალისთვის და თავისი მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით გირავნობის და იპოთეკის გაფორმების მოთხოვნის უფლება აქვს (5, 443). იქვე მითითებულია, რომ საბანკო გარანტიაში კონკრეტულად მითითება გარანტის უფლება/მოვალეობები როგორც პრინციპალის, ისე ბენეფიციარის მიმართ (5, 443). მართალია, საბანკო გარანტიაში ძირითადი უფლება/მოვალეობები გარანტს პრინციპალის მიმართ წარმოეშობა, მაგრამ ყურადსაღებია გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობებიც. გარანტს მკვეთრად გამოყოფილი მოვალეობები აქვს ბენეფიციარის წინაშე და გარკვეული ავტონომიურობა ახასიათებს. ავტორები აღნიშნავენ, რომ საგარანტიო ურთიერთობებში მხოლოდ გარანტისა და ბენეფიციარის ურთიერთობებია სპეციფიკური და დამოუკიდებელი ხასიათის, ჩვეულებრივ, არ არსებობს საბანკო გარანტიის გამოთხოვის შესაძლებლობა. ეს შეზღუდვა ამ ინსტიტუტის სიმყარითაა განპირობებული, რათა გარანტმა ბოლომდე ზიდოს ნაკისრი ვალდებულება. თუმცა იქვეა მითითებული, რომ საბანკო გარანტიის უკან გამოთხოვის პირობებზე გარანტი და პრინციპალი წინასწარ უნდა შეთანხმდნენ და მაშინ გამოთხოვა შესაძლებელი ხდება. ავტორები ხაზს უსვამენ საბანკო გარანტიის ტრანსფერაციის საკითხს და აღნიშნავენ, რომ ბენეფიციარი არ არის უფლებამოსილი თავისი მოთხოვნა გარანტიის შესაბამისად სხვა პირს დაუთმოს, რადგან გარანტი ამ პირობაზე შესაძლოა არ დათანხმდეს და უთითებენ ერთადერთ გამონაკლისს საბანკო გარანტიის ტექსტში ტრანსფერაციის მითითებას (5,444-445).

ამის შემდეგ ავტორები გადადიან საბანკო გარანტიის გაცემისა და რეალიზაციის პრაქტიკულ მხარეზე და აღნიშნავენ, რომ საგარანტიო წერილი ჩვეულებრივ პრინციპალს გადაეცემა იმ მიზნით, რომ იგი ბენეფიციარს წარუდგინოს. თუ საგარანტიო წერილში ჩაწერილი პირობები ბენეფიციარისთვის მიუღებელია, იგი კორექტურას ითხოვს პრინციპალის მეშვეობით ან სხვა გარანტის საბანკო გარანტიას. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ საბანკო გარანტიის მოქმედების დაწყებაზე და მისი მოქმედების კონკრეტული ვადის მითითების აუცილებლობაზე. მათი მოსაზრებით, თუ ბენეფიციარმა მოითხოვა გარანტიის თანხის გადახდა, ასეთ გარემოებას საგარანტიო შემთხვევა ეწოდება. ავტორები აღნიშნავენ, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა უდავო დოკუმენტი არ არის. მასში შეიძლება ზოგიერთი მომენტი დასაზუსტებელი იყოს ან სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს. გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს პრინციპალს ბენეფიციარის მოთხოვნა და საბუთები და, ამავდროულად, უნდა გამოიკვლიოს შეესაბამება თუ არა საბანკო გარანტიის პირობებს წარმოდგენილი მოთხოვნა. აქ ავტორები მსჯელობენ გონივრულ ვადებში ბენეფიციარის მოთხოვნის განხილვის თაობაზე და უთითებენ რომ არა გონივრულობის გამოვლენის მცდელობა სასამართლოს განსახილველი საკითხია.

ავტორები უთითებენ იმ გარემოებაზე, როცა წარდგენილი მოთხოვნის განხილვისას აღმოჩნდება, რომ ძირითადი ვალდებულება შესრულებულია, ბათილი აღმოჩნდა ან შეწყდა, გარანტს გადახდაზე უარის თქმის უფლება აქვს მაგრამ მეორე მოთხოვნის წარმოდგენისას იგი უნდა დააკმაყოფილოს გარანტიის თანხის გადახდით. ეს უარი არ იწვევს გარანტის განთავისუფლებას ვალდებულებისგან თუნდაც იმიტომ, რომ ის ელოდება განმეორებით მოთხოვნას გარანტიის თანხის გადახდაზე. ავტორები თვლიან, რომ ასეთ ვითარებაში ძირითადი ვალდებულება შეიძლება ორმაგად შესრულდეს და ასეთ დროს ზედმეტი შესრულება უნდა დაბრუნდეს. თუ გარანტმა განმეორებითი მოთხოვნის შემდეგ ვალდებულება პრინციპალთან ერთად შეასრულა, მაშინ გარანტს შეუძლია ორივე შესრულების უკან დაბრუნება მოითხოვოს. ავტორები უთითებენ, რომ გარანტმა მხოლოდ გარანტიის თანხის ფარგლებში უნდა აგოს პასუხი და სხვა ვალდებულება მას არ აქვს. საბანკო გარანტიის შესრულების ზემოთ მოყვანილი დებულებანი საერთოა ყველა სახის საბანკო გარანტიისთვის. გარანტიის ცალკეულ სახეებს შეიძლება ზოგიერთი სპეციფიური თავისებურება ახასიათებდეს (5, 444-449). ავტორები ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების შემდეგ მსჯელობენ საგარანტიო ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლებზე და გარანტის რეგრესის უფლებაზე პრინციპალის მიმართ. შეწყვეტის საფუძვლად მითითებულია საგარანტიო თანხის გადახდა, გარანტიის ვადის გასვლა და ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე უარის

თქმა გარანტიის სასარგებლოდ. უკანასკნელ შემთხვევაში გარანტს უჩნდება ვალდებულება პრინციპალს დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე და უნდა გადაისინჯოს საბანკო გარანტიის ხელშეკრულება. ავტორებს რეგრესის უფლებაზე მითითებული აქვთ, რომ აღნიშნული წარმოიშობა საბანკო გარანტიით მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე და გარანტს არ უნდა აუნაზღაურდეს თანხა, რაც ბენეფიციარს არამართლზომიერად გადაუხადა, თუ მხარეებს ეს შემთხვევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ ჰქონიათ (5,449-450). საგარანტიო დოკუმენტების შედგენის წესებში ავტორები უთითებენ, რომ საბანკო გარანტიის ტექსტის შედგენა ბანკების პრეროგატივაა. მასში მკვეთრად აისახება ყველა ის თავისებურება, რაც ამგვარი ურთიერთობისთვისაა დამახასიათებელი. ამ ურთიერთობების დეტალური ანალიზი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბანკო გარანტიის სამართლებრივი კვალიფიკაციის სწორად განსაზღვრას, თეორიული საკითხების სიღრმისეულ დამუშავებასა და საკანონმდებლო რეგლამენტაციის სრულყოფას (5,450).

შემდეგი სამეცნიერო ნაშრომი სახელწოდებით "საბანკო გარანტია" ეკუთვნის ბატონ ირაკლი რობაქიძეს, ის განთავსებულია სამართლის სკოლებისათვის განკუთვნილ ქართულ სახელმძღვანელოში "სახელშეკრულებო სამართალი", რომელიც 2014 წელს გამოიცა და ყველაზე ახალია (6,568-589).

ეს ნაშრომი სრულ წარმოდგენას და მეცნიერულ ახსნა-განმარტებას იძლევა ამ ფინანსური ინსტიტუტის ტერმინოლოგიური და თეორიული განმარტებისთვის იმ ნორმების შესახებ, რაც სამოქალაქო კოდექსშია. მასში მეცნიერულადაა კომენტირებული ყველა მუხლი, რაც საბანკო გარანტიას ეძღვნება. ნაშრომი ეფუძნება გერმანელი მეცნიერების გამოკვლევებს, მოყვანილია კაზუსები და განხილულია უახლესი სასამართლო პრაქტიკა. ნაშრომი აღსანიშნავია იმ მხრივაც, რომ ის ერთ-ერთი პირველია, რომელშიც ჩამოყალიბებულია საბანკო გარანტიის ტექსტის ნიმუში, რომელიც შედგენილია URDG 758-ის საფუძველზე.

ავტორი აღნიშნავს, რომ საბანკო გარანტიის პირობები დეტალურად უნდა განისაზღვროს პრინციპალსა და გარანტს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. პრინციპალის განაცხადი, რომლითაც ითხოვს საბანკო გარანტიის გაცემას, ნათელი და ზუსტი უნდა იყოს. გარანტი მკაცრადაა შებოჭილი პრინციპალის მითითებებით და დამოუკიდებლად ვერ განსაზღვრავს გარანტიის პირობებს, თუ პრინციპალმა საამისოდ სათანადო უფლებებით

არ აღჭურვა (6,570). იგი წერს, რომ საბანკო გარანტია ცალმხრივი ხელშეკრულებაა და ცალმხრივ ვალდებულებას წარმოშობს ბენეფიციარის წინაშე. იმისათვის, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვალოს, აუცილებელია ბენეფიციარი დაეთანხმოს გარანტიის პირობებს. ამ თანხმობის გამოხატვა კონკლუდენტურად, საბანკო გარანტიის მიღებით ხორციელდება. ავტორი ყურადღებას ამახვილებს საბანკო გარანტიაში პრინციპალის, ბენეფიციარისა და ძირითადი ვალდებულების იდენტიფიკაციის აუცილებლობაზე. საგარანტიო თანხა არა მარტო ციფრებით უნდა აღნიშნოს, არამედ სიტყვებითაც უნდა იქნეს ჩაწერილი. ავტორი მოიხსენიებს საბანკო გარანტიას პირველივე მოთხოვნით, რომელიც ყველა ზემოხსენებულ ავტორთან უპირობო გარანტიასთან ასოცირდება. ავტორი წერს, რომ URDG N 325-მა და URDG N 458 - მა პრაქტიკაში ფეხი ვერ მოიკიდა და ახალი წესები URDG N 758 (96) იქნა მიღებული. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადასთან დაკავშირებით მოყვანილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება მასზე, რომ მხარეები თავისუფალნი არიან საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის განსაზღვრის წესში, რაც შეიძლება დამოკიდებული იყოს კალენდარულ თარიღზე, რაიმე პირობაზე, რაიმე მოვლენის დადგომაზე, რაიმე მოქმედების შესრულებაზე. ავტორი ყურადღებას ამახვილებს გამოთხოვადი გარანტიის ბუნებაზე და აღნიშნავს, რომ თუ გარანტს არ გამოუყენებია გამოთხოვის უფლება და ბენეფიციარმა მოთხოვნა წარადგინა, გამოთხოვის უფლება უქმდება. თუ ბენეფიციარის მოთხოვნა უფრო ადრე მივა გარანტთან, ვიდრე გარანტის გამოთხოვის განცხადება ბენეფიციართან, გარანტის ვალდებულება არ შეწყდება (6,578). საბანკო გარანტიის მიხედვით მოთხოვნის დათმობის საკითხზე ავტორი აღნიშნავს, რომ ეს გადაცემა აუცილებლად გარანტის თანხმობით უნდა განხორციელდეს, რათა საბოლოო მიმღები არ აღმოჩნდეს გარანტისათვის არასასურველი პირი (6,580).

ამ ნაშრომში პირველადაა აღნიშნული ის გარემოება, როდესაც ბენეფიციარი პირველ უარს იღებს გარანტისგან მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულზე ავტორი წერს, რომ ბენეფიციარი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე ჯეროვანი წესით ხელახლა წარადგინოს მოთხოვნა და მოითხოვოს დაკმაყოფილება. თუ მოთხოვნას აკლდა გარანტიით დადგენილი რაიმე დოკუმენტი, გარანტს აუცილებლად უნდა წარედგინოს გარანტიის მოქმედების ვადაში. მისი დაგვიანებით წარდგენა დაუშვებელია. გარანტი არ არის უფლებამოსილი დააწესოს დამატებითი ვადა, წინააღმდეგ შემთხვევაში მან პრინციპალს უნდა აუნაზღაუროს ამგვარი ქმედებით გამოწვეული ზიანი. საბანკო

გარანტიაში მითითებული დოკუმენტები გარანტს დედნის სახით უნდა წარედგინოს და ასლების წარდგენა საკმარისი არ არის (6,582).

ავტორი ხაზს უსვამს, რომ გადახდის მოთხოვნაზე ხელმოწერა ბენეფიციარის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ უნდა იყოს შესრულებული და აღნიშნული ემსახურება გარანტისათვის რწმენის შექმნას, რომ მოთხოვნა ნამდვილია და მის უკან ნამდვილად საბანკო გარანტიის ბენეფიციარი დგას. განხილულია გარემოება, როდესაც საგარანტიო თანხა გადახდილია საბანკო გარანტიის პირობების შეუსაბამოდ. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა არ წარმოშობილა და ბენეფიციარი ვალდებულია უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად უკან დააბრუნოს ფული (6,585). ავტორს მაგალითის სახით მოყვანილი აქვს შემთხვევა, როდესაც დაუძლეველი ძალის გამო პრინციპალმა ვერ შეასრულა ძირითადი ვალდებულება და ბენეფიციარმა გადახდა მოითხოვა. გარანტმა თანხა გადაიხდა რეგრესის წესით პრინციპალისგან მიიღო კიდევაც ანაზღაურება. დავა პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის უზენაეს სასამართლომდე მივიდა, რომელმაც დაადგინა, რომ დაუძლეველი ძალის არსებობა გამორიცხავს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას და მიიჩნია, რომ მოსარჩელეს შეეძლო მიეღო ბენეფიციარისგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების უკან დაბრუნება (6,588).

ადვოკატი ანზორ ხატიაშვილი საადვოკატო ბიურო „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ვებგვერდზე წერდა, რომ სამოქალაქო კოდექსი მნიშვნელოვან იურდიულ ხარვეზებს შეიცავს უპირობო გარანტიასთან მიმართებით. იგი მიიჩნევს, რომ გარანტიის ამგვარ ტიპს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს, რომ „გადახდა პირველივე მოთხოვნისთანავე“, რომლის მეშვეობითაც, გარანტისათვის გადახდის შესახებ მოთხოვნის წარდგენა ბენეფიციარს შეუძლია ყოველგვარი მტკიცებისა და დადასტურების გარეშე, რომ პრინციპალმა ნამდვილად დაარღვია ძირითადი ხელშეკრულება - უპირობო გარანტიაა და ყველაზე გაბატონებული ფორმა. ერთადერთი, რაც ამ დროს ბენეფიციარს მოეთხოვება, არის გარანტისათვის გადახდის შესახებ წერილობითი მოთხოვნის წარდგენა, ესაა მისი უპირობო ხასიათის მაჩვენებელი. ის აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის 1-ლი ნაწილი აწესრიგებს მოთხოვნის წარდგენის ფორმას საბანკო გარანტიებში და განსაზღვრავს გადახდის შესაძლო მექანიზმსაც (66). ამ მუხლის ანალიზიდან ირკვევა, რომ იგი მართლაც შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზს - მას

იმპერატიული ხასიათი აქვს და გარანტიისათვის გადახდის შესახებ მოთხოვნის წარდგენისას, ავალდებულებს ბენეფიციარს ერთდროულად წარადგინოს: ა) წერილობითი მოთხოვნა, ბ) საბანკო გარანტიით გათვალისწინებული დოკუმენტები და გ) პრინციპალის მიერ ძირითადი ხელშეკრულების დარღვევაზე მითითება. ამ პირობების შესრულება აუცილებელი იქნება ბენეფიციარის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის მოქმედება გავრცელდება მხოლოდ “პირობითი” ხასიათის საბანკო გარანტიებზე, ხოლო კოდექსის მოქმედების ფარგლებში ვერ შევა ე.წ. “პირველი მოთხოვნისთანავე” ანუ “უპირობო” გარანტიები (46).

ავტორი ფიქრობს, რომ „არსებული ხარვეზი განსაკუთრებულად პრობლემური საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში იქნება, სადაც მხარეებმა შეიძლება უარი თქვან ქართული სამართლის, როგორც მათი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლის გამოყენებაზე. კერძოდ, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობა ეს ის შემთხვევაა, სადაც მხარეები სხვადასხვა ქვეყანაში იმყოფებიან. ასეთ ურთიერთობაში საბანკო გარანტიის გაცემა გარანტის მიერ შეიძლება მოხდეს ბენეფიციარის მიმართ პირდაპირ (ე.წ. სამმხრივი, ანუ პირდაპირი გარანტია) ან გარანტის მიერ, ბენეფიციარის ქვეყანაში მყოფი ადგილობრივი გარანტის მეშვეობით (ე.წ. ოთხმხრივი, ანუ არაპირდაპირი გარანტია). საერთაშორისო კერძო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, პირდაპირი გარანტიის შემთხვევაში, ურთიერთობა, როგორც წესი, რეგულირდება პრინციპალის ქვეყნის სამართლით, რამდენადაც, ამ დროს, გარანტიის გაცემა პრინციპალის ქვეყანაში მყოფი გარანტის მიერ ხდება. აქედან გამომდინარე, ისეთ ვითარებაში, სადაც ბენეფიციარი უცხოური მხარე იქნება, ხოლო პრინციპალი - ქართული მხარე, ბენეფიციარმა შეიძლება მოითხოვოს მოცემულ ურთიერთობაზე მისი ქვეყნის სამართლის გამოყენება, ვიდრე დაეყრდნოს პრინციპალის ქვეყნის სამართალს, რომელიც, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვან ხარვეზს შეიცავს. პრაქტიკაში “პირველივე მოთხოვნისთანავე,” ანუ “უპირობო” საბანკო გარანტიები ბენეფიციარათვის განსაკუთრებულად მიმზიდველია, რამდენადაც მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს მათ. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ორიენტირებული იყოს საბანკო გარანტიების გამოყენების თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაზე და თვლის, რომ აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების განხორციელება სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის 1-ლ ნაწილში. კერძოდ, საჭიროა ამ მუხლის იმპერატიულ დანაწესს დისპოზიციური ხასიათი მიენიჭოს და მაგალითად, შემდეგი ფორმულირებით ჩამოყალიბდეს: “საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა

წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, რომელსაც შეიძლება ერთვოდეს სხვა დოკუმენტებიც. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარი შეიძლება მიუთითებდეს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა.” ამრიგად, კოდექსის მოქმედება თავისუფლად გავრცელდება როგორც პირობით, ისე უპირობო, ანუ პირველი მოთხოვნისთანავე გადასახდელ საბანკო გარანტიებზე და მხარეებს თავისუფლად ექნებათ შესაძლებლობა თვითონ შეთანხმდნენ გადახდის ამა თუ იმ კონკრეტულ მექანიზმზე“ (46).

ხსენებული ნაშრომები სამოქალაქო კოდექსის საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი ნორმების მეცნიერულ ახსნა - განმარტებას შეიცავს, მათში არ არის მოცემული იმ უფლება-მოვალეობების განხილვა, რასაც სამოქალაქო კოდექსი არ ასახავს და რაიმე სახის სიახლეები ამ ინსტიტუტის განვითარებისთვის არ არის შემოთავაზებული. როგორც აქ მითითებული ქრონოლოგიიდან ირკვევა, 2003 წლიდან 2011 წლამდე დროის მონაკვეთში, საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით სამეცნიერო ხასიათის ქართული ნაშრომები არ იყო. დღემდე ქართულ ბანკებსა და ბიზნესმენებს გამოცდილება დაუგროვდათ საბანკო გარანტიის გამოყენებაში, მაგრამ სასამართლო პრაქტიკა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია რიგ სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით. 2010 წლიდან ძალაში შევიდა URDG 758, რომელმაც ნათელი მოჰფინა წინა წლებში მოქმედი წესების ბუნდოვან ნორმებს, ბევრად კონკრეტული გახდა და მრავალი ახალი ცნება შემოიღო. ამ სიახლემ გაზარდა საბანკო გარანტიისადმი ნდობა და საშუალება მისცა ბიზნესს საერთაშორისო ვაჭრობაში უშიშრად ჩაბმულიყო, რაკი საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვაში ფულის დაკარგვის რისკი არსებითად იქნა შემცირებული.

ყველა ზემოთ ხსენებული ქართველი მეცნიერის ნაშრომი, რომლებიც თავისთავად ღრმად კომპეტენტურია, არსებითად იხილავს საბანკო გარანტიიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების საფუძვლებს, არსს და სამართლებრივ შედეგებს, მაგრამ ყოველი მათგანი ძირითადად მხოლოდ სასწავლო ან დამხმარე ლიტერატურაა. „სახელშეკრულებო სამართლის“ სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ წიგნში მოყვანილი დებულებები არ არის სამართლებრივი კონსულტაცია და მსჯელობა, მხოლოდ აკადემიური და საინფორმაციო ხასიათისაა, რომ ავტორები და რედაქტორი, პასუხისმგებლობას არ კისრულობენ მკითხველის მიერ ნაშრომის შინაარსის ან მასში მოცემული მოსაზრებების ნებისმიერი სახით გამოყენებაზე (6).

1.1.2. უცხოელი მეცნიერები საბანკო გარანტიის შესახებ

თავის წიგნში „The Law of Obligations. Roman Foundations of the Civilian Tradition“ რ. ზიმერმენი ბანკირის გარანტიაზე შემდეგს უთითებს: “receptum argentarii, იყო არა ფორმალური დაპირება, რომლითაც ბანკირი იძლეოდა გარანტიას თავისი კლიენტების დავალიანების გადახდაზე. ეს ძალიან ჰგავდა მესამე პირის ვალის დადასტურებას (constitutum debiti alieni), გარდა იმისა, რომ ეს receptum (the action recepticia) იყო, ამ შემთხვევაში ბანკირი პასუხისმგებელი იყო შეესრულებინა დაპირებული მოქმედება მაშინაც კი, როცა კლიენტის ვალდებულება ნამდვილი არ იყო. Constitutum-ის მსგავსად receptum argentarii ელინისტური გავლენის შედეგი იყო ბერძნულ და რომაულ საბანკო პრაქტიკაში. იუსტინიანეს პერიოდში ორივე ტრანზაქცია თავიდან აცილებული იქნა სტიპულაციის სახით (stipulatio) და შეერწყა მესამე პირის ვალის დადასტურებას constitutum debiti alieni¹ (17,514).

დოქტორები ჰორნი და ვიომერსი (Horn N. Wymerseeh E.) თავიანთ ნაშრომში საბანკო გარანტია, სარეზერვო აკრედიტივი და performance bond - მიუხედავად იმისა, რომ წიგნად 1989 წელსაა გამოცემული, წერენ, რომ საბანკო/მოთხოვნით გარანტიების არსში გასარკვევად, ნათელი წარმოდგენა უნდა შევიქმნათ იმ ტერმინებსა და მათ მნიშვნელობებზე, რომლებიც გამოიყენება მასთან დაკავშირებით სამართლის წყაროებში – ეროვნულ კანონმდებლობებსა და საერთაშორისო სამართალში. მეცნიერ იურისტთა შორის სრული ერთსულოვნებაა იმის თაობაზე, რომ ტერმინოლოგიურად და კონცეპტუალურადაც, გარანტიების ცნება ბუნდოვანი და გაურკვეველია და ფაქტობრივად არ არსებობს გარანტიათა უნიფიცირებული განსაზღვრება (14, 459-460).

საკვლევი საკითხების გარშემო შესწავლილი იქნა უცხოელი მეცნიერების Bertrams R. Chuah, J., Stathopoulos M., Rodrigo T., Horn N. Wymerseeh E. Kelly-Louw M., Wood P., Zimmermann R., Von Westphalen F.G., Eberhardt M., Baranello j., Avidon M., Illescas-Ortiz R., Ahvenainen L., Kayembe GL., Muravska Iu. Hauptmam A., Röchert N. Sankalp J., Ануфриева Л., Аванесова Г., Байгушева, Ю., Вебер Х. Вершинин С., Дубинична С., Ерпылева Н., . Княжеская

¹ “The **receptum argentarii** was informal promise by means of which a Banker guarantees payment of his client’s debt. It was very similar to the **constitutum debiti alieni**, except that under the action arising from this **receptum (the action recepticia)** the banker was liable even when the client’s obligation was invalid. Like **constitutum**, the **receptum argentarii** originated, under Hellenistic influence, in Greek and Roman banking practice. Both transactions avoided the form of **stipulatio**. By the time of Justinian, the **receptum argentarii** had become obsolete; it was therefore fused with the **constitutum debiti alieni**.”

A. 2004. Михайлов Д., Овсеико С., Олейник О., Отарова К., Kozlovich B. Рубанов. А., Овсеико С.В., სხვათა კვლევები, მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები, რაც ბიბლიოგრაფიულ ჩამონათვალშია დეტალურად მითითებული, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არცერთი მათგანი არ არის 2010 წლის შემდეგ გამოცემული, ანუ მას შემდეგ, რაც URDG 758 იქნა ამოქმედებული.

ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი და უზენაესი სასამართლოს ადვოკატი პროფესორი ფ. რ. ვუდი ჯერ კიდევ 1995 წელს წერდა პირველივე მოთხოვნით საბანკო გარანტიების შესახებ და მის მონოგრაფიაში ამ საკითხს მესამე თავი ეძღვნება (16,339-344). ავტორი წერს, რომ "ეს არის გარანტია, გაცემული ბანკის მიერ, რომელიც შეიცავს მკაფიო პირობას იმის თაობაზე, რომ ბანკი ვალდებულია გადაიხადოს გარანტიის მიხედვით ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა გარანტიით უზრუნველყოფილი მოთხოვნა იურიდიულად სათანადო და შეუსრულებელი" (16,339). ავტორი URDG N 458 –ის საფუძველზე მოთხოვნით გარანტიების სამართლებრივ ბუნებას აღწერს, იხილავს გარანტიის სახეებს და სინდიცირებული გარანტიების საკითხსაც ეხება, რომელსაც რამდენიმე ფინანსური ინსტიტუტი ერთი ბანკის მეშვეობით გასცემს, თავად ფინანსური ინსტიტუტები ასეთ გარიგებაში კონტრგარანტებად გამოდიან ერთი ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად (16,357). საქართველოში ასეთი გარიგებები ჯერჯერობით ფეხმოკიდებული არ არის, მაგრამ რუსეთის ბაზარზე ჩვეულებრივი მოვლენაა.

ლონდონის „სითი უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლის პროფესორი, ჯეისონ ჩუა, თავის მონოგრაფიაში აღნიშნავს: „საერთაშორისო ორგანიზაციებმა გარკვეული ფორმა შექმნეს ერთიანი, შეთანხმებული მიდგომის ჩამოსაყალიბებლად მოთხოვნით გარანტიებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ URDG და ISP98 უკვე ფართოდ გამოიყენება, ეს არ არის კანონი, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა, მაგრამ ბევრმა ქვეყანამ იგრძნო საჭიროება მიეღოთ მავალდებულებელი ხასიათის საერთაშორისო დოკუმენტი მოთხოვნით გარანტიისთვის (11, 523). იგი წერს: „როცა ბენეფიციარი არა კეთილსინდისიერად ითხოვს გადახდას გარანტიის მიხედვით, ძირითად მოვალეს უფლება აქვს შეაჩეროს გადახდა სასამართლო აკრძალვის მეშვეობით, ეს ხორციელდება სარჩელის უზრუნველყოფის წინასწარი ღონისძიების სახით სარჩელის ძირითად განხილვამდე და ცნობილია, როგორც წინასწარი სასამართლო აკრძალვა ანუ დროებითი

აკრძალვა (11, 491). ავტორი წერს, რომ სასამართლოს მიერ გადახდის შეჩერება ბანკს არ ათავისუფლებს გადახდის ვალდებულებისგან და ასეთ ურთიერთობაში კომერციული ინტერესი შენარჩუნებულია (11, 521).

გ.ავანესოვა თავის სამეცნიერო სტატიაში, „საბანკო გარანტია საერთაშორისო ვაჭრობაში“ წერს, რომ საბჭოთა პერიოდში არსებობდა სპეციალური ნორმატიული აქტი, რომელიც მხოლოდ ერთადერთ ბანკს “ვნემტორგბანკს” ანიჭებდა უფლებას გაეცა საერთაშორისო ხასიათის საბანკო გარანტია. 1985 წლის 25 დეკემბრის “სსრკ “ვნემტორგბანკის” N 1 ინსტრუქციაში “საერთაშორისო ანგარიშსწორებისას საბანკო ოპერაციების განხორციელების წესის შესახებ” საბანკო გარანტიაზე შემდეგი ჩანაწერი იყო: “სსრკ ვნემტორგბანკმა შესაძლებელია უზრუნველყოს ფულადი ფორმით ვალდებულების შესრულება საბჭოთა, უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე, გამომდინარე საგარეო ვაჭრობიდან და სხვა გარიგებებიდან, საბანკო გარანტიით (თავდებობით) და უზრუნველყოფის სხვა სახეებით, რაც გამოიყენება საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში” (38, 47-53).

რუსი მეცნიერი ბაიგუშევა ი., თვლის, რომ რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით “საბანკო გარანტია ცალმხრივი გარიგება კი არ არის, არამედ ვალდებულებითი ხელშეკრულებაა, რომლის მიხედვითაც გარანტი ვალდებულია ბენეფიციარს გადაუხადოს ფული, თუ პრინციპალი (გარანტის კლიენტი) არ გადაიხდის. *condicio juris* გარემოების დადგომამდე საბანკო გარანტია დაკიდებულ მდგომარეობაშია. ოღონდ რაკი საბანკო გარანტია გაცემულია, სამართლებრივი რეჟიმი გულისხმობს წინასწარ ვარაუდს, რომ ბენეფიციარი *condicio juris* გაჩენის შემთხვევაში მყარ სამართლებრივ პოზიციას შეიძენს.”(21,15).

ლ. ანუფრიევა აღნიშნავს, რომ URDG N 458-მდე არსებულმა უნიფიცირებულმა წესებმა ვერ მოიკიდეს ფეხი საერთაშორისო ვაჭრობაში და მანამდე არსებული რიგი პრობლემებისა სწორედ URDG N 458-მა ითავა (20,275-278).

ე. პრონჩატოვი და დ. ტრენინა თავიანთ სკანდალურ სტატიაში „Банковская гарантия и смежные институты права в деятельности кредитных и страховых организаций“, რომელიც 2006 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში „Страховое право“, წერდნენ: რუსეთის სამართალწარმოების პრაქტიკით, აღიარებულია გარანტის უფლება, არ შეასრულოს საგარანტიო ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე, თუ აღმოაჩენს, რომ ბენეფიციარი არა

კეთილსინდისიერად ითხოვს გადახდას. მაგალითად, ბენეფიციარის მცდელობა, მიიღოს გადახდა ძირითადი ვალდებულების მიხედვით და ამავედროულად საბანკო გარანტიის მიხედვით, კვალიფიცირებულია როგორც უფლების ბოროტად გამოყენება (40,25-29). ავტორები აღნიშნავენ რომ, სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე (რე სამოქალაქო კოდექსი) საბანკო გარანტია შესაძლებელია გასცეს სადაზღვევო კომპანიამაც. აქედან გამომდინარე, ბანკებს მოუწიათ დაეცვათ თავიანთი უფლებები. უნიფიცირებული წესების მუხლი, რომელიც განსაზღვრავს გარანტიის გამცემ პირთა წრეს: „ბანკი, სადაზღვევო კომპანია, სხვა დაწესებულება ან პირი“ რუსეთის კანონმდებლობაში ტრანსფორმირდა, როგორც „ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია.“ ამას გარდა, აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტი სამოქალაქო კანონმდებლობაში გაჩნდა საბანკო გარანტიის სახელწოდებით, თუმცა პირველწყაროში მითითებული იყო, როგორც „სახელშეკრულებო გარანტია,“ „გარანტია მოთხოვნით.“ სახელწოდება „საბანკო გარანტია“ შერჩეული იქნა პირობითად, რადგან საჭირო იყო მომეზიდილიყო მოკლე მაგრამ ტევადი სახელწოდება, რომელიც ზუსტად ასახავდა მის არსს. მაგრამ, ჩვენი აზრით ის იმიტომ შეირჩა, რომ ხაზგასმული ყოფილიყო საკრედიტო დაწესებულებების უნიკალურობა ამგვარ ურთიერთობებში და შექმნილიყო წინაპირობა ბაზრის საკრედიტო დაწესებულებების მიერ მონოპოლიცაზიისთვის” (40,25-29). ავტორები აღნიშნავენ, რომ სადაზღვევო კომპანიებს ლიცენზიაში არ უწერიათ საბანკო გარანტიების გაცემის უფლებამოსილება და საბანკო გარანტიის გაცემა სადაზღვევო კომპანიის მიერ და მათი საბანკო გარანტია შესაძლებელია ბათილად გამოცხადდეს და სადაზღვევო კომპანიების იმ თანამშრომლების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც გამოიწვიოს, რომლებიც საბანკო გარანტიას გასცემენ. ამ ვითარებიდან გამოსავლად, ავტორები თვლიან სადაზღვევო კომპანიების მიერ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანას, რათა პირდაპირ დაუმაგრდეთ საბანკო გარანტიის გაცემის უფლებამოსილება. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ არასწორად ჟღერს ტერმინი ”საბანკო გარანტია,” როცა მას სადაზღვევო კომპანია გასცემს, რადგან აშკარად იგრძნობა რომ ეს მხოლოდ საკრედიტო დაწესებულების პრივილეგიაა და საჭიროდ მიიჩნევენ მის შეცვლას ტერმინით „გარანტია მოთხოვნით.“ შესაბამისად, საბანკო გარანტია აღარ იქნება მხოლოდ „საბანკო“ და აღარ დაექვემდებარება ლიცენზირებას (40, 25-29).

დოქტორი ილესიას ორტისი აღნიშნავს, რომ პირველი და მნიშვნელოვანი წვლილი მოთხოვნამდე გარანტიებთან დაკავშირებით UNICTRAL კონვენციას მიუძღვის. ის

პირველი დოკუმენტია, რომელიც შეიცავს ისეთი გარემოებების კონკრეტულ კოდიფიკაციას, რითაც შესაძლებელია თაღლითობის თავიდან აცილება. აღნიშნული კონვენციის მე-19 მუხლი განსაზღვრავს ისეთ გარემოებებს, როდესაც შესაძლებელია გარანტიის მიხედვით გადახდის შეჩერება. ავტორი თვლის, რომ კონვენცია ნდობის მაღალ სტანდარტს აწესებს, რათა გამოირიცხოს თაღლითობის მომენტები, თუმცა პირდაპირ არ იყენებს ტერმინს „თაღლითობა“ და „უფლების ბოროტად გამოყენებას“ ახსენებს (35,168). ამასთან ერთად, ავტორი მიიჩნევს რომ კონვენციის 19-ე მუხლის მე-2 პუნქტის (a) ქვეპუნქტი, სადაც აღნიშულია, რომ „გარემოება ან რისკი, რომლის შემთხვევაშიც ვალდებულებას უნდა უზრუნველყო ბენეფიციარი, უდავოა რომ არ წარმოშობილა“ - არ იძლევა ახსნას, თუ რა სტანდარტია განსაზღვრული ამგვარი რისკებისთვის ან გარემოებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით დოქტორი ჯეისონ ჩუა თავის მხრივ აღნიშნავს, რომ სიტყვა „უდავოა“ ბუნდოვანია, თუმცა ობიექტური კრიტერიუმია და გამოყენებული უნდა იქნეს, მაგრამ სხვადასხვა ბანკი მტკიცების სხვადასხვა სტანდარტს შეიმუშავებს, რადგან სხვადასხვა იურისდიქციაში სხვადასხვა სტანდარტი მოქმედებს (11, 525).

ი.კროპპოლერი კომენტარებში აღნიშნავს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს სამ ჯგუფად ჰყოფს:

„ა) დაუყოვნებელი (იმავედროული) დაბრუნების ვალდებულება (*dolo agit, qui petit, quod statim redditurus est* (ლათინურიდან – „მზაკვრულად მოქმედებს ის, ვინც იმას ითხოვს, რაც, იმავედროულად, უკანვე უნდა დააბრუნოს.“). უფლების ბოროტად გამოყენება არის კრედიტორის მიერ ისეთი საგნების მოთხოვნა, რომელიც მან მოვალეს სხვა სამართლებრივ საფუძველზე (მაგ. ზიანის ანაზღაურება ან უსაფუძვლო გამდიდრება) უკან უნდა დაუბრუნოს. (მაგ. მესამე პირის სარჩელი, როდესაც მოსარჩელეს თვითონაც ეკისრება პასუხისმგებლობა (შდრ. აგრეთვე: §§ 273, 387);

ბ) უფლებამოსილი პირის კანონისმიერი ინტერესის არარსებობა. მაგ., სარჩელი ინფორმაციის მოპოვების თაობაზე იმ მიზნით, რომ ინფორმაცია გამოყენებულ იქნეს კონკურენციის მიზნებისთვის;

გ) არა თანაზომიერება. უმნიშვნელო ვალდებულების დარღვევა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მასშტაბური სამართლებრივი შედეგების მისაღებად. მაგ., ხელშეკრულებაზე უარის თქმა უმნიშვნელო ვადის გადაცილების გამო.“(4,116).

ი.კროპპოლერის მიერ შედგენილ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში მითითებულია, რომ გარანტიით გადახდის ვალუტის საკითხს სამოქალაქო კოდექსის §244 აწესრიგებს, რომელიც ადგენს: თუ ევროსაგან განსხვავებული ვალუტით გამოხატული ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს ქვეყნის შიგნით, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს ევროთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა ვალუტით გადახდა სპეციალურად არის შეთანხმებული. გადაცვლა ხორციელდება იმ კურსით, რომელიც გადახდის მომენტისათვის დადგენილია გადახდის ადგილზე (4, 116).

ამერიკის დოიჩე ბანკის მენეჯმენტის წევრი და დირექტორი, სავაჭრო პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ხელმძღვანელი ბატონი ჯონ ბარანელო გამოეხმაურა ICC N758-ე პუბლიკაციას წერილით „Understanding the URDG 758“ ანუ „URDG 758-ის გაგება.“ თავის წერილში მან ხაზი გაუსვა ისეთ მომენტებს, რომლებიც არაერთგვაროვანს ხდის ზოგიერთი მუხლის აღქმას მისი გამოყენების თვალსაზრისით. ის აღნიშნავს: „ეს წესები დამუშავდა მოთხოვნით გარანტიების არსებული პრაქტიკის გაერთიანების მიზნით და შეცვალა საერთაშორისო სავაჭრო პალატის 1992 წლის N 458 პუბლიკაცია, რომელიც აშშ-ში ფართოდ არ გამოიყენებოდა. URDG N 758 გამოიცა მას შემდეგ, რაც დოკუმენტური აკრედიტივების უნიფიცირებული წესების UCP N 600 გამოცემამ ფართო წარმატება მოიპოვა. ისევე, როგორც UCP N 600 და ISP98 (International Standby Practices 98) N 758 არ არის „კანონი“, ის მხოლოდ ადგენს ყველა მხარის ვალდებულებებს და როლს მოთხოვნით გარანტიის შემთხვევაში და გარანტიების ბიზნესის „საუკეთესო პრაქტიკას“ ასახავს. ეს ახალი პუბლიკაცია კომპლექსური, ინოვაციური და ლაკონიურია და მის მომზადებას სამი წელი დასჭირდა. თუ აშშ ბანკები აირჩევენ იხელმძღვანელონ ამ წესებით, მისი სახით აქვთ სხვა შეთავაზება თავისი კლიენტებისთვის, საზღვარგარეთ მათი ბიზნესის კარგი მხარდაჭერისთვის“ (33).

მაქს ებერჰარტი თავის ნაშრომში დიდ ყურადღებას უთმობს საბანკო გარანტიის სახეებს და აღწერს სატენდერო, საავანსო, საკონკურსო/სააუქციონო, ხელშეკრულების შესრულების, მიწოდების გარანტიას, ხარისხის უზრუნველყოფის, გადახდის, საკონოსამენტო (bill of lading guarantee), გარანტიას, საკრედიტო გარანტიებს და კონტრგარანტიას (19,3-24). ნაშრომში „Erscheinungsformen der Bankgarantie“ პირველივე მოთხოვნით გარანტიის შესახებ ებერჰარტი აღნიშნავს, რომ ეს არის ბანკის აბსტრაქტული ვალდებულება, რომელიც გარანტიაში დათქმული პირობებით მოქმედებს

და ძალიან ძლიერ სამართლებრივ პოზიციაში აყენებს ბენეფიციარს, რადგან მას აქვს უპირატესობა ბანკის საშუალებით მიიღოს ფული და თავიდან აიცილოს დავა.

ებერჰარტი აღნიშნავს, რომ მოთხოვნით გარანტია არის ვალდებულება ბენეფიციარისთვის გადახდაზე და შეიცავს სიტყვებს: „ყოველგვარი პრეტენზიისა და გასაჩივრების გარეშე გადაგხდით“. ეს ტექსტი წმინდა დეკლარაციული ხასიათისაა და გარანტიის ვალდებულების აბსტრაქტულობას ჩვეულებრივზე მეტად არ ზრდის. იმისთვის, რომ ბენეფიციარმა შეცდომა არ დაუშვას გარანტიით სარგებლობისას, ასეთი დეკლარაციული სახის ჩანაწერებს ყურადღება არ უნდა მიაქციოს, რადგან მისი მხრიდან შეიძლება არასწორად იქნეს გაგებული ამგვარი ტექსტი და შესაძლებელია უბიძგოს უფლების ბოროტად გამოყენებისკენ. გარანტიაში არ ჩანს ბანკის ნამდვილი უფლებები. იქ მხოლოდ გადახდის ვალდებულება ჩანს, - გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ამიტომ ბენეფიციარმა თავის მოთხოვნაში ნათლად უნდა მიუთითოს, თუ რატომ ითხოვს გადახდას. ეს ახსნა მნიშვნელოვანია, რათა ბანკს ჰქონდეს ოფიციალური ახსნა-განმარტება და ადვილად შეძლოს საჭირო მტკიცებულებების მოპოვება რეგრესის უფლების განსახორციელებლად, თუმცა გადახდაზე მოთხოვნის მიღებისას, არსებითი ექსპერტიზის ჩატარებას ის არ განახორციელებს (19,23).

ჯონ ბარანელოს აზრით, ახალ უნიფიცირებულ წესებში არის რამდენიმე მუხლი, რომლის გამოყენებისთვისაც ბანკებმა შეიძლება მოითხოვონ პროფესიული გადამზადება მათთვის, ვინც დოკუმენტურ ოპერაციებზე მუშაობს, რათა თავიდან აიცილონ შესაძლო შეცდომები განსხვავებული „გაგების“ გამო. მაგალითად, მისი აზრით, ეს ეხება URDG 758 -ის მეშვიდე მუხლს, რომელიც გარანტიის არადოკუმენტურ პირობებს აწესრიგებს და ადგენს, რომ გარანტიაში რაიმე ვადის დადგომა ან ვადის გასვლა უნდა დგინდებოდეს რაიმე დოკუმენტით და განსხვავებულ პირობას გარანტია არ უნდა შეიცავდეს. თუ გარანტიაში არ არის მითითებული ასეთი დოკუმენტის წარდგენის აუცილებლობა და მსგავსი არც გარანტიის ჩანაწერებში ფიქსირდება, იგულისხმება, რომ ასეთი პირობა დათქმული არ ყოფილა. ავტორის აზრით, ეს რთული მომენტი და ბანკები იძულებული გახდებიან თავი დაიზღვიონ. მისი მოსაზრებით, URDG 758 -ის მე-14 მუხლის (b) პუნქტი ითვალისწინებს დოკუმენტების ნაწილ-ნაწილ წარმოდგენას - გადახდაზე მოთხოვნასთან დაკავშირებით, ოღონდ, წარდგენა სრულად უნდა დასრულდეს გარანტიის ვადის გასვლამდე. ეს იწვევს დოკუმენტების მუდმივი მეთვალყურეობის, მათი შენახვის და კონტროლის ტვირთის წარმატებულ გადაბარებას ბანკებზე მანამ, სანამ დოკუმენტების

წარმოდგენა არ დასრულდება, მაშინ, როცა UCP N 600 -ით, ISP98 -ით და NYUCC (New York Uniform Commercial Code (business regulation)) - ბანკს უფლება აქვს უკან დაუბრუნოს არა სრული დოკუმენტაცია მის წარმომდგენს (33).

ავტორი ასევე ფრთხილად ეკიდება URDG 758 -ის 15-ე მუხლის შინაარსს და წერს, რომ ის პოტენციური ხაფანგია როგორც ბენეფიციარისთვის, ასევე გარანტისათვის. ბენეფიციარს შეიძლება წარმოეშვას აზრი, რომ მას შეუძლია კორექტირება შეიტანოს გადახდაზე მოთხოვნის ტექსტში მოგვიანებით შესრულებული დამასაბუთებელი ჩანაწერით, ან დოკუმენტები წარმოადგინოს მოგვიანებით და ამასობაში კი გავიდეს გარანტიის მოქმედების ვადა. ამ დროს კი გარანტს არ შეუძლია დოკუმენტების გამოთხოვა ბენეფიციარისგან და შესაბამისად გადახდასაც ვერ შეძლებს. მართალია 15-ე მუხლის (c) პუნქტით შეიძლება თავი დაიცვან გარანტებმა და პირდაპირ ჩაწერონ გარანტიაში რომ „დამასაბუთებელი განაცხადება, მითითებული URDG 758 -ის 15-ე მუხლის (a) (b) პუნქტებში გამორიცხულია“ და პირდაპირ ჩაწერონ სხვა, უფრო დამცავი მექანიზმი ამგვარისგან თავის ასარიდებლად (32) (33).

ავტორი აღნიშნავს, რომ URDG 758 -ის 24-ე მუხლის (e) ქვეპუნქტში მითითებული სიტყვა „დაუყოვნებლივ“, მაგრამ არაუგვიანეს მე-5 სამუშაო დღისა, ნიშნავს დღეთა ნებისმიერ რაოდენობას, მაგალითად ორს ან სამს და არა დაუყოვნებლივ მოქმედებას. შესაბამისად ბანკებს მოუწევთ გარანტიის მომსახურების ხელშეკრულებაში ჩაწერონ კონკრეტული ვადა. ავტორი ასევე კრიტიკულად უყურებს 35-ე მუხლის გამოყენებისას შესაძლო რისკებს. URDG 758 -ის აღნიშნული მუხლი, გარანტიასთან დაკავშირებული დავის განმხილველ სასამართლოდ ასახელებს იმ ქვეყნის სასამართლოს, სადაც გარანტია გაიცა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შერჩევის ალტერნატივას ეს მუხლი შეიცავს შესაბამისი ჩანაწერით „თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული,“ - ავტორი მაინც თვლის, რომ პირდაპირი გარანტიის შემთხვევაში შესაძლოა მისაღებიც იყოს ამგვარი ჩანაწერი, მაგრამ არაპირდაპირი - ანუ კონტრგარანტიის შემთხვევაში, სადაც გარანტი და კონტრგარანტი სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტი ბანკები არიან, შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს, რადგან სხვადასხვა ქვეყნის სასამართლომ შესაძლოა ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილებები მიიღოს. ამიტომ კონტრგარანტიის შემთხვევაში უმჯობესი იქნება ერთი ქვეყნის სასამართლო დაითქვას სადავო საკითხების

განსახილველად. ის თვლის, რომ NYUCC § 5-116(e)² პუნქტი უფრო მეტ თავისუფლებას აძლევს მხარეებს ამ ნაწილში (33)(32).

თუ ჩვენი კანონმდებლობის გათვალისწინებით შევხედავთ ცნობილი ბანკირის პოზიციას, უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო კოდექსი ყველა შემთხვევაში ითხოვს დამასაბუთებელ განცხადებას, რასაც პრაქტიკაში უარყოფითად ეკიდებიან ბენეფიციარები, იმიტომ, რომ ის დამატებით ძალისხმევას მოითხოვს ფაქტებზე, კონკრეტულ დოკუმენტებსა და ვალდებულების დარღვევის თარიღებზე დაყრდნობით დაასაბუთოს, თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა. ეს შემდგომი რეგრესის სამართლებრივი საფუძველია და ამიტომ სამოქალაქო კოდექსში ასეთი დამასაბუთებელი ჩანაწერის არსებობა გამართლებულია. რაც შეეხება „დაუყოვნებლივ“ შეტყობინებებს, ის, როგორც კვლევებით დავადგინეთ, პრაქტიკაში მართლაც დაუყოვნებლივია, ხოლო გადახდას გარანტიის მიხედვით, ქართული ბანკები მასზე მოთხოვნის მიღებიდან ხუთ საბანკო დღეში ახორციელებენ.

უპირობო გარანტიები, რომლებიც ცნობილია როგორც საბანკო გარანტიები პირველივე მოთხოვნისთანავე, ერთგვარ პრობლემატურ სამართლებრივ ურთიერთობად ჩამოყალიბდა. უპირობო გარანტიების საკითხი გამოიკვლია ავსტრალიელმა მეცნიერმა ტანუჯა ქრისანტი როდრიგომ, რომელმაც სპეციალური კვლევა ჩაატარა შრი-ლანკაში, როგორც ერთ-ერთ უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში და დაადგინა, რომ მხოლოდ ერთი ემიტენტის მიერ გაცემული მოთხოვნით გარანტიების 100% -დან, ბენეფიციარების 60%-ზე მეტმა წარადგინა მოთხოვნა გადახდაზე და ბანკი დარწმუნებული იყო, რომ ყველა მოთხოვნა იყო არა კეთილსინდისიერი. მეორე ემიტენტის ინფორმაციით, ბოლო სამი წლის მანძილზე გაცემული 13 500 გარანტიიდან 90% გაიცა პირველივე მოთხოვნით გარანტიის სახით. ამ 90%-დან 30%-ზე იქნა წარმოდგენილი ბენეფიციარების მოთხოვნა გადახდაზე და ემიტენტი დარწმუნებული იყო, რომ ყველა მოთხოვნა უსამართლო იყო. მესამე ემიტენტმა განაცხადა, რომ პირობითი გარანტიების მიღებაზე ბენეფიციარები უარს აცხადებენ. ბოლო სამი წლის მანძილზე მან გასცა 18 105 გარანტია, მათ შორის, პირველივე მოთხოვნით გარანტიის ოდენობა 75% -ს შეადგენდა. მათგან 40%-ზე იქნა წარდგენილი ბენეფიციარის მოთხოვნა, რაც დაკმაყოფილდა, მაგრამ ემიტენტმა განაცხადა, რომ ყველა ეს მოთხოვნა გადახდაზე უსამართლოდ იქნა წარდგენილი გარანტისათვის (13, 142-143).

² NYUCC stands for New York Uniform Commercial Code (business regulation).

დ. მიხაილოვი ჯერ კიდევ 1998 წელს დაინტერესდა საბანკო გარანტიის ტიპებით და სახეებით, რომლებიც ეყრდნობოდა საერთაშორისო უნიფიცირებული წესებს. თავის მონოგრაფიაში მან ყურადღება გაამახვილა საბანკო გარანტიის შემდეგ ტიპებზე: გამოთხოვადი და გამოუთხოვადი, პირობითი და უპირობო, პირდაპირი და არაპირდაპირი (კონტრგარანტიები). ჩამოთვლილი აქვს სახეები: ნაღდი ფულის გადახდის უზრუნველყოფის, საკონკურსო/სატენდერო, საავანსო, ხელშეკრულების შესრულების, გადახდის, კრედიტის უზრუნველყოფის, ფულადი სახსრების დაკავების და საკონოსამენტო გარანტიები (26, 210-234). მიხაილოვი თავის მონოგრაფიაში წერს, რომ “საერთაშორისო ვაჭრობაში, იზრდება რა ოპერაციების მოცულობა და ოდენობა, ასევე ინვესტიციების სიდიდე, რისკის ფაქტორი უფრო და უფრო დიდი ყურადღებისა და მნიშვნელობის საგანი ხდება. რისკის შესამცირებლად გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა აკრედიტივები და ბანკების მიერ გადასაპირებელი თამასუქების ავალირება. ეს საშუალებანი დიდი ხანია ცნობილია პრაქტიკაში, მაგრამ მათი გამოყენება რთულდება, თუ საქმე ეხება არა ფულადი ხასიათის, არამედ სხვა სახის ვალდებულებების შესრულებას. რისკის შემცირების ისეთი ტრადიციული ფორმები, როგორებიცაა აქცესორული გარანტია ან თავდებობა, არახელსაყრელია კრედიტორისათვის, რადგან ის საშუალებას აძლევს აქცესორულ გარანტს, კრედიტორის წინააღმდეგ გამოიყენოს ყველა ის არგუმენტი და შესაგებელი, რაც აქვს ძირითად მოვალეს. ეს კი კრედიტორისათვის ნიშნავს ისეთ სასამართლო პროცესში ჩაბმას, რომელსაც მისთვის რისკი და უხერხულობა ახლავს. თვითონ ბანკებიც თავს არიდებენ აქცესორულ გარანტად გამოსვლას, რადგან თავადაც შეიძლება ჩათრეული აღმოჩნდნენ მხარეებს შორის წამოჭრილ დავებში. ამასთან, ამგვარ გარანტიებში საკმარისად მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, თუ რა შემთხვევაში დგება ბანკის მიერ თანხის ანაზღაურების ვალდებულება.” (26,208).

წინა აბზაცში მითითებული ჩამონათვალი საბანკო გარანტიის მეტნაკლებად მოთხოვნადი სახეებია. იგივე ჩამონათვალია მითითებული სამხრეთ აფრიკის კეიპ ტაუნის უნივერსიტეტის მაგისტრანტების, კაიემბეს და როჩერტის სამაგისტრო სადიპლომო ნაშრომებში (52, 24-27) (54, 11-13), ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორანტის, მურავსკას ნაშრომში (53,7-8) და ინდოეთის დელის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის, სანკალპის სამეცნიერო სტატიაში, რაც ინდოეთის კანონმდებლობის მიმოხილვას ეყრდნობა (55,2). სარეზერვო აკრედიტივების სახეები რაც კეიპ ტაუნის უნივერსიტეტის პროფესორის მიშელ კელლი-ლოუს ნაშრომშია ჩამოთვლილი, საქართველოში მოთხოვნადი გარანტიების სახეებს ზუსტად ემთხვევა (15, 76-82).

კნიაჟესკაია თავის სადისერტაციო ნაშრომში აღნიშნავს, რომ საბანკო გარანტიების ტიპები და სახეები განსხვავდება ერთმანეთისგან სამეწარმეო საქმიანობის კონკრეტული ეკონომიკური ამოცანებიდან გამომდინარე და სახეების მიხედვით კლასიფიკაცია შესაძლებელია ძირითადი ვალდებულების შინაარსის საფუძვლის შესაბამისად (25,15). ს. ვერშინინს შემოთავაზებული აქვს კლასიფიკაცია თავის სადისერტაციო ნაშრომში, მხოლოდ პირობითი და უპირობო საბანკო გარანტიების ტიპების დაყოფით და დანარჩენ სახეებს მხოლოდ ამ ტიპების ქვეშ ანაწილებს. (23, 20-25).

გერმანელ მეცნიერს მ. ებერჰარდს შემოთავაზებული აქვს გარანტიის სახეები, რომლებიც ზემოთ მითითებული ჩამონათვალისგან განსხვავდება მხოლოდ ორი სახით: საზღვაო გადაზიდვების უზრუნველყოფის და კონოსამენტის გარანტიით (19, 3-18).

კნიაჟესკაია თავის სადისერტაციო ნაშრომში ასევე აღნიშნავს: “იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნით გარანტია, უფლებას ართმევს გარანტს შეისწავლოს ბენეფიციარის წარმოდგენილი მოთხოვნის სამართლიანობა და დართულ დოკუმენტებთან ერთად უნდა განიხილოს მხოლოდ გარანტიის პირობებთან შესაბამისობაში, ეს იწვევს უფლების შესაძლო ბოროტად გამოყენებას ბენეფიციარის მიერ. ასევე პირიქით, კანონში, განხილვის კონკრეტული ვადის არარსებობა პრინციპალის შეტყობინების, დოკუმენტების შემოწმებისა და გადახდის ნაწილში საშუალებას აძლევს არაკეთილსინდისიერ გარანტს გააჭიანუროს ბენეფიციარის მოთხოვნის და დოკუმენტების შემოწმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი” (25,15).

ფინელი მეცნიერი ავენაინენ ლორა (Ahvenainen Laura) თავის სადისერტაციო ნაშრომში აღნიშნავს საბანკო გარანტიის იმ სახეებს რომლებიც ირანში მოქმედებს: საკონკურსო, საავანსო, სახელშეკრულებო და ხარისხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. ის ასევე კონკრეტულად საუბრობს დამოუკიდებელ გარანტიაზე პირველივე მოთხოვნით (47,16-21), რომელიც ირანში გამოიყენება.

კ. ოტაროვას თავის სადისერტაციო ნაშრომში დამუშავებული აქვს საბანკო გარანტიების ტიპოლოგია სისტემატიზაციის მიზნით, რომელსაც საფუძვლად ძირითადი ვალდებულების სახეები დაუდო. მან მატერიალური შინაარსის მიხედვით გარანტია დაყო ორ ტიპად: გადახდის გარანტიებად და სახელშეკრულებო გარანტიებად (საავანსო, ხელშეკრულების შესრულების, სატენდერო და ა.შ.). ხოლო მოთხოვნის დაკმაყოფილების

პირობის მიხედვით ასევე ორ ტიპად გაანაწილა: მოთხოვნით გარანტიებად და პირობით გარანტიებად. ძირითადი ვალდებულების მიხედვით ასევე ორი ქვეტიპი გამოყო: რომელიც არ შეიცავს მითითებას ძირითად ვალდებულებაზე და რომელიც შეიცავს მითითებას ძირითადი ვალდებულებაზე (მათ შორის ძირითად ვალდებულებაში შეტანილი ცვლილებებისგან და დამატებებისგან დამოუკიდებელია) (30,44).

თავის ვრცელ სტატიაში „საბანკო გარანტიის ფარგლები“ რ. ტამაევი დეტალურად იხილავს მონაწილე მხარეების უფლებებს და გარანტიის პასუხისმგებლობის ზღვრებს საერთაშორისო და რუსეთის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს მაგალითზე კონკრეტული დავების გადაწყვეტილებების საფუძველზე და საბოლოოდ მიდის დასკვნამდე: პირველი - ძირითადი ვალდებულების ნამდვილობაზე არ არის დამოკიდებული ცალმხრივი გარიგება რასაც ახორციელებს გარანტი, კისრულობს რა საკუთარ თავზე პრინციპალის ვალდებულებას, გადაუხადოს ბენეფიციარს მისი მითითებით; მეორე - თუ არ არსებობს გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება (ხელშეკრულება არ დადებულია), ბენეფიციარის სათანადოდ შედგენილი მოთხოვნა დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება. მესამე, - ბენეფიციარის მოთხოვნა გადახდაზე პრინციპალის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო უკან დაუბრუნოს მიღებული ბათილი ან გაუფორმებელი (დაუდებელი) ხელშეკრულებით, დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება თუ საბანკო გარანტიით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული (43,193-203).

ტრავკინი წიგნში „საბანკო სამართალი,“ წერს, რომ საბანკო გარანტიას აქცესორული ხასიათი უნდა ჰქონდეს და დამოკიდებული უნდა იყოს ძირითად ვალდებულებაზე. ის თვლის რომ პრინციპალის ინტერესები ამგვარად უფრო დაცულია. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპი, თავად საბანკო გარანტიის არსს ეწინააღმდეგება, რადგან ის უზრუნველყოფს ძირითად ვალდებულებას და არ პასუხობს ისეთ არსებით ნიშანს, როგორც აქცესორულობაა. ის მოწყვეტილია იმ ძირითად ვალდებულებას, რის საფუძველზეცაა გაცემული, რაც იძლევა ეჭვის საფუძველს, რომ მისი ადგილი სამოქალაქო კოდექსის ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებების განმსაზღვრელ თავში არ არის, დიდი რისკის მქონეა გარანტიისათვის და აცხადებს, რომ ასეთი სამართლებრივი ინსტიტუტი შესაძლებელია არ იყოს სიცოცხლისუნარიანი (29, 309-325).

პიტერ ს. ო'დრისკოლი (Peter S. O'Driscoll) თავის სტატიაში „Performance Bonds, Bankers' Guarantees, and the Mareva Injunction“ რაც 1985 წელს გამოაქვეყნა ჟურნალში „Northwestern Journal of International Law & Business“ აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება საბანკო გარანტიიდან გამომდინარე გადახდის შეჩერების თაობაზე, პირველად ინგლისის სამართალში გაჩნდა ბენეფიციარის თაღლითური მოთხოვნის გამო გადახდაზე და მას შემდეგ ასეთი სასამართლო აკრძალვა მოიხსენიება როგორც „Mareva Injunction.“ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებამ ეს სახელწოდება მიიღო პირველი მოსარჩელის Mareva Compania Naviera S.A. სარჩელის გამო, რაც ლორდთა პალატამ განიხილა 1975 წელს, ხოლო 1981 წელს უმაღლესი სასამართლოს აქტების კრებულში აისახა. ავტორს მოჰყავს ლორდთა პალატის მიერ განხილული კონკრეტული საქმეებიდან გამომდინარე პრაქტიკა, სადაც იკვეთება მყარი პოზიცია, რომ ბანკმა უნდა გადაიხადოს გარანტიის მიხედვით და მისი პირობების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოთხოვნა აშკარად თაღლითურია და ბანკმა ეს შენიშნა (36, 380-412).

მეთოდურ ჟურნალში „Международные банковские операции“ ნ.რანნიხ (Н.Ранних) თავის სტატიაში «Новая редакция Унифицированных правил для гарантий по требованию» აღნიშნავს: „როგორც ირკვევა, გარანტიის ტექსტში იმის ჩაწერა, რომ გარანტიის გაცემა ან მასში ცვლილებების შეტანა პირობითია (ანუ დამოკიდებულია ნ.ჰ) გარანტიის მიერ კუთვნილი საზღაურის მიღებამდე, გარანტიის ჩარჩოებში არ ჯდება და არ არის რეკომენდებული პრაქტიკით“(41).

ე. ანიკინა და ვ.შუბენინი სტატიაში „Покрытие по банковской гарантии и риски его использования“ აცხადებენ, რომ საბანკო გარანტია თუ უზრუნველყოფილია იპოთეკით/გირავნობით ან თავდებობით, ამგვარი გარიგების ბათილად ცნობა, არ უნდა ართმევდეს გარანტს უფლებას წაუყენოს პრინციპალს რეგრესული ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა (39).

1.1.3. საბანკო გარანტია განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობებში

ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ). „აშშ კანონით ზოგადი ტერმინი “suretyship” (თავდებობა), ერთ-ერთ სახედ გარანტიას (“guarantee“) მოიცავს. გარანტია აშშ -ში არის ე.წ. „მეორადი ვალდებულება“, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ ძირითად ვალდებულებას და დამოკიდებულია გარანტიით უზრუნველყოფილ ძირითად ხელშეკრულებაში მითითებულ დაცვის საშუალებებსა და პირობებზე. (Border National Bank v. American National Bank, 1922). ამასთან, ბევრ შტატში არსებობს წესი, რომ თუ თავად ვალდებულებაში სხვა რამ ნათლად არ არის მითითებული, მაშინ ეს თავდებობაა (“suretyship”). თავდების “surety“ პასუხისმგებლობა აშშ სამართალში ავტომატური ხასიათისაა. გარანტის პასუხისმგებლობა კი პირობითი: იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი არ გადაუხდის ბენეფიციარს საკონტრაქტო თანხას, ბენეფიციარმა ამის შესახებ გარანტს უნდა აცნობოს. გარანტის პასუხისმგებლობა გადახდაზე მხოლოდ მაშინ დგება, თუ ბენეფიციარმა ყველა კანონიერი საშუალება ამოიწურა პრინციპალისაგან ფულის მისაღებად. გადახდის შემთხვევაში გარანტიც და თავდებაც ავტომატურად ხდებიან პრინციპალის კრედიტორები. თუ სახეზე რამდენიმე თავდები ან გარანტია, მაშინ ბენეფიციარს უფლება აქვს ნებისმიერს მოსთხოვოს გადახდა, ასეთ დროს თავდებებს და გარანტებს შორის ვალდებულება პროპორციულად ნაწილდება.

საბანკო გარანტიის გაცემის აკრძალვის საპირისპიროდ, აშშ ფინანსურმა ინდუსტრიამ საბანკო გარანტიის სპეციფიკური სახე შექმნა სარეზერვო აკრედიტივის სახით, რომელიც თავისი იურიდიული ბუნებით გარანტიის ანალოგია და შეესატყვისება დღეს მოქმედ საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებს. (Intaword v. Girard Trust Bank, 1975). სხვაობა სარეზერვო აკრედიტივსა და პირველი მოთხოვნით გარანტიას შორის მცირეა და მხოლოდ ფორმალურობამდე დაყვანილი. განმასხვავებელი მომენტებია გადახდის მომენტი და დოკუმენტების წარდგენა გადასახდელად, რაც აშშ-ში საბანკო გარანტიის შემთხვევაში არ გამოიყენება, მაგრამ სამაგიეროდ აკრედიტივს ახასიათებს (27,85).

კანადა. აშშ პრაქტიკა გავრცელებულია კანადაშიც. არსებობს კონკრეტული სახის გარანტია - Performance bond (bid bond, repayment bond). ეს ტერმინი ქართულად ჟღერს, როგორც „ვალდებულების შესრულების გარანტია“ და მის ქვეშ აშშ-შიც და კანადაშიც მოიაზრება მეორადი ვალდებულება და რომანიულ-გერმანულ თავდებობას ჰგავს. მისი მიხედვით, მესამე მხარე დგება ვალდებულ პირად კრედიტორის/ბენეფიციარის წინაშე იმ

ნებისმიერი ზიანის ანაზღაურებისთვის, რასაც ხელშეკრულების დარღვევით მიაყენებს პრინციპალი ბენეფიციარს. მაგრამ ეს დაპირება ფულის გადახდას კი არ ნიშნავს, არამედ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, ანუ ადასრულებს პრინციპალის/ძირითადი მოვალის მიერ ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებას. Performance bond –ში მითითებული თანხა მხოლოდ პასუხისმგებლობის ლიმიტია (მაგ. ააშენოს შენობა მითითებული თანხის ღირებულებაში). ამიტომ გარანტიის როლში ხშირად სადაზღვევო კომპანია გამოდის. აშშ პრაქტიკაში Performance bond და იმ საბანკო გარანტიას შორის, რაც საერთაშორისო ვაჭრობაში გამოიყენება, ორი პრინციპული სხვაობაა:

- ა) ისინი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას წარმოადგენენ და არა მითითებული თანხის გადახდის გარანტიას;
- ბ) ისინი, როგორც წესი, პირობითი გარანტიებია და მოითხოვენ დოკუმენტურ მტკიცებულებას შეუსრულებელ ვალდებულებასთან ან ძირითადი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

ამერიკული მოდელის „Performance bond“ გავრცელდა საერთაშორისო ვაჭრობაში, განსაკუთრებით კი ნარდობის ხელშეკრულებებში კაპიტალურ მშენებლობებზე. მაგრამ უფრო ხშირად ეს ტერმინი გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში, როგორც საბანკო გარანტიის სინონიმი ან „idemnity“ ინგლისური ტერმინოლოგიით (27,83). სარეზერვო აკრედიტივის შემოღება გამოიწვია აშშ-ში საბანკო გარანტიის, როგორც ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის აკრძალვამ რამდენიმე შტატში. მეტიც, აშშ-ს, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და შვეიცარიის ბანკებს ეკრძალებათ EC (ევროზონა) და შვეიცარიის ბენეფიციარების გარდა სხვისთვის საბანკო გარანტიის გაცემა. ამიტომ თუ ვინმეს სთავაზობენ კრედიტს, ან საბანკო გარანტიას მაგალითად კვიპროსის ოფშორულ კომპანიას Euroclear, Sweap, Cusip, FED Screen -ის მეშვეობით, SWIFT 760 უნიფიცირებული წესების დაცვით - ეს თაღლითობად მიიჩნევა (59).

დიდი ბრიტანეთი. ინგლისური Common Law-ში ტერმინი “contract of guarantee” ნიშნავს მეორად, ე.ი. აქცესორულ ვალდებულებას, დამოკიდებულია ძირითად ხელშეკრულებაზე, მის პირობებზე და დაცვის საშუალებებზე. ინგლისურ სამართალში არ წარმოადგენს აუცილებლობას ჯერ ძირითადი მოვალის მიმართ განხორციელდეს სარჩელი და შემდეგ მიმართონ გარანტს, ანუ სოლიდარულ გარანტიასთან (თავდებობასთან) ასოცირდება. ინგლისური კანონი „თაღლითობის შესახებ“ (Statute of

Frauds, 1677, S. 4) გარანტიას განსაზღვრავს, როგორც დაპირებას პასუხისმგებლობის შესახებ, სხვა პირის ვალეზზე და სამართალდარღვევაზე,“ თუ ის თავის ვალდებულებებს არ ასრულებს. გარანტია ანაზღაურებადია. წერილობითი ფორმა აუცილებელია, თუ პრინციპალის მიერ გარანტის წინაშე თავისი ვალდებულებები აქტივების გირაოთი არ არის უზრუნველყოფილი. შესაბამისად, ინგლისური ტერმინი «guarantee» განსხვავდება როგორც საერთაშორისო ვაჭრობაში მიღებული ტერმინისაგან, ასევე მისი ამერიკული „სეზნიისგან.“ ტერმინი "contract of idemnity» ინგლისურ სამართალში პირადი უზრუნველყოფაა, რაც არააქცესორულია, ანუ დამოუკიდებელია ძირითადი ხელშეკრულებისგან. ამასთან ერთად, არსებობს „idemnity“-თან მიახლოებული, სპეციფიკური დამოუკიდებელი პირველადი ვალდებულება ფულის გადახდის შესახებ სახელად „bond“, რომელსაც ასევე ცოტა აქვს საერთო აშშ-ს ტერმინთან. „Bond“ -ს აქვს სამი ფორმა: მარტივი (single), პირობითი (conditional ან double) და ნებაყოფლობითი (voluntary). ბოლო ფორმა არ ითვალისწინებს პრინციპალის მიერ გარანტის დაკმაყოფილებას. ცნებები «idemnity» და «bond» ინგლისურ სამართალში ერთმანეთთან ახლოს მდგომი ცნებებია და შეესაბამება საერთაშორისო ვაჭრობაში მიღებულ საბანკო გარანტიის კონცეფციას. (27,87).

გერმანია. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (§§ 765-777) შეიცავს დებულებებს თავდებობის (Buergschaft) შესახებ, რაც გულისხმობს დამხმარე მეორად, აქცესორულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც თავდები კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს ვალი კონკრეტული ხელშეკრულების შესაბამისად, თუ ძირითადი მოვალე არ გადაიხდის. იურიდულმა პრაქტიკამ გამოიმუშავა საგარანტიო ვალდებულების მეორე ტიპი, Garantie, რომელიც არაა აქცესორული. გერმანიაში ასევე არსებობს მესამე სპეციფიური სახე Schuldmituebernahme, სადაც მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ თავდები იკისრებს ვალდებულებას იმავე ხარისხით, როგორც ძირითადი მოვალე. ამ შემთხვევაში ძირითადი მოვალის და თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები ერთმანეთს ემთხვევა ხელშეკრულების დადების მომენტში, მაგრამ შემდეგ დამატებითი ვალდებულება (თავდების) აღარ არის დამოკიდებული ძირითადი ხელშეკრულების ბედზე. გერმანიის საბანკო პრაქტიკაში ერთნაირად ფართოდ გამოიყენება „Buergschaft“ და „Garantie.“ გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლო თვლის, რომ თავდებობა (Buergschaft), მართალია დამხმარე მეორადი ვალდებულებაა, მაგრამ შეიძლება მის საფუძველზე ვალის გადახდა მოხდეს ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე. ოღონდ თავდები უფლებამოსილია უკან გამოითხოვოს ბენეფიციარისთვის გადახდილი ფული, თუ

დაამტკიცებს, რომ ძირითადი ვალდებულება არ არსებობდა ან მისი ვადა გავიდა. მეორეს მხრივ, დამოუკიდებელი გარანტია (Garantie) შეიძლება დამოკიდებული იყოს რამდენიმე პირობაზე, მაგალითად, ბენეფიციარის მიერ იმ ფაქტის დამტკიცებაზე, რომ უზრუნველყოფილი რისკი დამდგარია. ასეთ შემთხვევაში Garantie-ს იურდიული ეფექტი უახლოვდება მეორად დამხმარე ვალდებულების უზრუნველყოფას Buergschaft-ს. თუ გარანტია გაცემულია რამდენიმე პირის მიერ, ერთობლივად ან ცალკე-ცალკე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, გერმანული სამართლის მიხედვით ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 769) (27,140).

ეს საკითხი განხილულია ჰანსიორგ ვებერის წიგნში „ვალდებულებათა უზრუნველყოფა“, რომელიც 2006 წელს მერვედ გამოიცა და 2009 წელს ითარგმნა რუსულ ენაზე. მასში შესწავლილია ვალდებულების უზრუნველყოფის ყველა სახე, რასაც გერმანული სამართალი იცნობს. თავად ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ რაკი გაკოტრების რაოდენობა ადრინდელივით მაღალია, ეს თავისთავად განაპირობებს უზრუნველყოფილი გარიგებების მაღალ აქტუალობას. გერმანიაში 2002 წლის 1 იანვარს ძალაში შესული კანონით ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციის შესახებ, უზრუნველყოფის სახეები უფრო ერთგვაროვანი გახდა და ერთად მოუყარა თავი ცალკეულ კანონებში გაფანტულ რეგულაციებს, რაც საკრედიტო გარიგებებს და მათ უზრუნველყოფას ეხებოდა (22, 163-171). ამ ნაშრომის მიხედვით, გერმანული კანონმდებლობა გარანტიის ხელშეკრულების (Garantievertrag) მიხედვით, რაც არ ითხოვს გარკვეულ ფორმას, გარანტი კისრულობს შეასრულოს ვალდებულება გარანტიის მიმღების წინაშე, მომავალში რაიმე გარკვეული შედეგის დადგომისას. გარანტირებული შედეგი შეიძლება ასევე შეიცავდეს იმას, რომ კრედიტორი ფულის მოთხოვნის შემთხვევაში მოვალისგან მიიღებს ვალის თანხას. ვებერი აღნიშნავს, რომ კომერციულ სამართალში გარანტიის ცნება უკვე დიდი ხანია განსაკუთრებულ, მაგრამ ბუნდოვან როლს თამაშობს. პრაქტიკაში ხშირად ძნელია დაადგინო, რა იყო მხარეთა ნება და რისი გარანტირება სურდათ, გარკვეული მახასიათებლების (თვისებების) ან ხარისხის უზრუნველყოფის თუ ნამდვილად გარანტიის ხელშეკრულებაა დადებული. ამიტომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ახსნა-განმარტებით უნდა დადგინდეს მხარეთა ნება და მიზანი. ის, რომ განმცხადებელს აქვს საკუთარი ინტერესი შეასრულოს გარანტირებული გარიგება, ვებერი თვლის, რომ ეს მხოლოდ ირიბ ნიშნად უნდა ჩაითვალოს გარანტიის გაცემისას. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სიტყვა „გარანტია“ (Garantie)

არ იძლევა ცალსახა, იმპერატიულ საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ის ნამდვილად გარანტიის ხელშეკრულებას ნიშნავს (Garantievertrag), რადგან ეს ტერმინი გამოიყენება არა მხოლოდ გარანტიის ხელშეკრულებებში, არამედ გაცილებით უფრო ფართოდ, მარტივი გარანტიის ხელშეკრულებისთვისაც (Zusicherung) გარკვეული ხარისხის შემცველობით. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში (კერძოდ ყიდვა-გაყიდვის და ნარდობის ხელშეკრულებებში, რაც ითვალისწინებს გამყიდველის ან მენარდის მიერ საკუთარი მასალით რაიმეს დამზადებას) აუცილებლად იწერება პირობა ხარისხის გარანტიის შესახებ, რაც კანონითაა გათვალისწინებული, ვებერი ასეთ გარანტიას დამოკიდებულს უწოდებს. თუმცა, უთითებს, რომ ბოლო წლებში დამოკიდებული გარანტია გამოიყენება, მაგალითად, კანონით გათვალისწინებული საგარანტიო ვადის გაგრძელებისას, რაც გულისხმობს, რომ შეძენილ ნივთს არ აღმოაჩნდება დეფექტები გარანტიის მოქმედების ვადის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი დეფექტების გამოვლენა რეკლამაციის უფლებას იწვევს. მაგრამ ეს „გარანტია“ მხოლოდ დამატებით უფლებებს ანიჭებს მყიდველს. (22, 163-171).

ვებერი აღნიშნავს, რომ ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციისას კანონმდებელმა შემოიტანა სპეციალური, არადამოუკიდებელი გარანტიის შესახებ ნორმა, რაც ხარისხის უზრუნველყოფის და ხარისხის შენარჩუნების გარანტიის რეგულირებას შეიცავს. ნარდობის და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, ასევე დამოუკიდებელი (selbststaendige) გარანტიაც შეიძლება იყოს გათვალისწინებული, ოღონდ მათი შეთავაზება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პასუხისმგებლობა იმ შედეგზე, რაც ხელშეკრულების ტიპურ შინაარსს სცდება. ამიტომ გარანტი დამატებითი ხელშეკრულებით კისრულობს ვალდებულებას განსაკუთრებული შედეგის დამოუკიდებლად მისაღწევად მაშინ, როცა ეს შედეგი (რეზულტატი) სცდება ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულების ჩვეულებრივი შესრულების ფარგლებს. ის აღნიშნავს, რომ გარანტია დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა, რომელშიც გარანტის საკუთარი ვალდებულებაა დადგენილი ძირითადი ხელშეკრულების არსებობის მიუხედავად. რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, გარანტიით უზრუნველყოფილი შედეგი უნდა იყოს განსხვავებული და მოცულობითი, ვიდრე ვალდებულების ჩვეულებრივი შესრულება. რამდენადაც, გარანტია იმიტომ არ არის სოლიდარული და აქცესორული, რომ გარანტს არ შეუძლია მაგალითად განაცხადოს პროტესტი კრედიტორის სარჩელის წინააღმდეგ. ის პასუხისმგებელია მის მიერ გარანტირებულ შედეგზე მაშინაც კი, როცა ძირითადი ვალდებულება ბათილად არის ცნობილი. ამგვარი პასუხისმგებლობის

საფუძველი მხოლოდ გარანტიის ხელშეკრულებაა და ბრალის არსებობა არ მოითხოვება. ვებერი უთითებს, რომ გარანტიის დამოუკიდებელი ხელშეკრულება ატიპურია და არ არის გათვალისწინებული კანონით, მაგრამ დაშვებულია პრაქტიკაში მოქმედი ხელშეკრულებებით. ეს არის ცალმხრივი (მხოლოდ გარანტის) მავალდებულებელი ხელშეკრულება, რაც არსებითად განსხვავდება თავდებობისგან. გარანტი პასუხს აგებს სხვისი ბრალის გამო, ანაზღაურებს ზიანს, რაც კრედიტორს და მის საწარმოს მიადგა, ან უზრუნველყოფს გარკვეული შემოსავლების მიღებას ან სხვა რაიმე შედეგის დადგომას. მიუხედავად ამისა, მოთხოვნა რაც გარანტიით მიენიჭა მესამე პირს, არ უნდა განვიხილოთ როგორც ანაზღაურების მოთხოვნა (ტექნიკური თვალსაზრისით); იურდიული თვალსაზრისით, ეს უფრო უნდა განვიხილოთ, როგორც უფლების მინიჭება ზიანის დაპირებული ანაზღაურებისთვის მოსათხოვად (22, 163-171). ავტორი მსჯელობს გარანტიის სახეებზეც გერმანიის სამართლის ფარგლებში და აღნიშნავს, რომ „ჩვეულებრივ, გარანტიის ხელშეკრულებაში, გათვალისწინებულია ე.წ. შესრულების გარანტია. გარანტიის მიმღები (კრედიტორი) ელოდება მესამე პირისგან (მოვალისგან) გარკვეულ შესრულებას (მაგალითად ფულის გადახდას), ხოლო გარანტი კისრულობს გარანტიას იმაზე, რომ კრედიტორი მიიღებს ამ შესრულებას. რადგან გარანტიის მფლობელის ინტერესი შესრულების მიღებაა. გარანტიის ამ ფორმას შესრულების გარანტიად მოიხსენიებენ (Leistungsgarantie). თუ გარანტიის შინაარსი ისაა, რომ კრედიტორის მოთხოვნა თავად მოვალემ უნდა დაფაროს, მაშინ ასეთ გარანტია მოხსენიებულია როგორც „გარანტია მოთხოვნით“ („Forderungsgarantie“). საკრედიტო დაწესებულების დაპირება რომ გადაიხდის „პირველი მოთხოვნისთანავე“ (auf „erstes Anfordern“), გაბატონებული აზრის მიხედვით, არის აბსტრაქტული სავალო ვალდებულება.“

ჰანსიორგ ვებერის წიგნი „ვალდებულებათა უზრუნველყოფა“ პოპულარობის გამო რუსულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა 2009 წელს. ავტორი აღნიშნავს, რომ თანამედროვე სწავლება გარანტიის ხელშეკრულების შესახებ, ეფუძნება შტამლერის (Stammler) კვლევებს, რომელიც გარანტიის თანამედროვე ხელშეკრულების საწყისებს ხედავს რომაულ *promissio indemnitas* -ში, სადაც დაპირების გამცემ მხარეს (Promittent) იმისთვის, რომ მიეღო რისკი, შეემლო საკუთარი დამოუკიდებელი ვალდებულება დაეწესებინა. ეს *promissio indemnitas* არსებითად განსხვავდება ინტერცესისგან, რომლის დროსაც, ინტერცედენტი თავის თავზე იღებს სხვის ვალდებულებას (ვალს) (22, 163-171).

გერმანიაში გარანტიის განსაკუთრებულ სახედ მიჩნეულია - ზიანის ანაზღაურების გარანტია (Ausfallgarantie) ვაჭრობისას გადახდის გარანტიის ფორმით (Ausbietungsgarantie). ამ შემთხვევაში, გარანტი ვალდებულია იმ კრედიტორის წინაშე, რომლის მოთხოვნაც იპოთეკით ან მიწის ვალითაა უზრუნველყოფილი (Grundschuld), გადაუხადოს დანაკლისი მიწის ნაკვეთის იძულებით გაყიდვის შემთხვევაში, რაც შეიძლება წარმოიქმნას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, როცა მიწის გასაყიდი ფასი ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ამ მიწის საგირავნო ღირებულება იყო. ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) ამგვარი გარანტიის წარდგენა დაკავშირებულია გარანტის ვალდებულებასთან გამოსყიდოს იპოთეკა ან მიწის ვალი. თუ გარანტი კისრულობს ვალდებულებას გამოსყიდოს მიწის ნაკვეთი აუქციონის მსვლელობისას ან განაცხადოს ფასის წინადადება (Gebot), ასეთი გარანტია მოიხსენიება, როგორც ფასის შეთავაზების წინადადების გარანტია (Gebotsgarantie) და ის უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. (22, 163-171).

პირველივე მოთხოვნით გარანტიის შესახებ ვებერი წერს, რომ ამ შემთხვევაში (Garantie auf erstes Anfordern) გარანტი (ბანკი) ბენეფიციარის მოთხოვნით ვალდებულია გადაიხადოს გარანტიის თანხა და არ შეუძლია მიუთითოს იმაზე, რომ ძირითადი ვალდებულება არ წარმოშობილა (უფულობის გამო) ან უკვე დაკმაყოფილებულია. ამგვარი გარანტიის შემთხვევაში, წინააღმდეგობა იმ ფაქტზე მითითებით, რომ ვალდებულება არ წარმოშობილა, არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული და არ უნდა შემოწმდეს, რადგან გარანტია პირველივე მოთხოვნით იმას ემსახურება, რომ კრედიტორმა რაც შეიძლება სწრაფად დაიკმაყოფილოს თავისი (მართლზომიერი) მოთხოვნა. ასეთი პრეტენზია შეიძლება წაყენებული იქნეს რეგრესული მოთხოვნის წაყენებისას. გარანტი თავისუფალია გადახდის ვალდებულებისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნათელია და ადვილად დასამტკიცებელია უფლების ბოროტად გამოყენება (22, 163-171). გადახდაზე მოთხოვნა, პირდაპირი გარანტიის შემთხვევაში, პირველივე მოთხოვნის მიხედვით ფორმალიზებულია. სათანადო გადახდის განხორციელების ვალდებულება (გარანტიის პრინციპებიდან გამომდინარე) მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, თუ ეს მოთხოვნა ისეა ფორმულირებული, როგორც ეს დადგენილია საგარანტიო ვალდებულებით. თუ მასში დოკუმენტების წარმოდგენაა გათვალისწინებული, მაშინ ისინი წარდგენილი უნდა იქნეს გადახდაზე მოთხოვნასთან ერთად. თუ ეს (დროულად) არ მოხდება, მაშინ მოთხოვნა წარდგენილად არ ჩაითვლება და გარანტი არ არის ვალდებული გადახდა განხორციელოს. რაც შეეხება რეგრესს გადახდილი საგარანტიო თანხის ნაწილში და აღნიშნულია, რომ „იმ შემთხვევაში, როცა

გარანტი კრედიტორს აკმაყოფილებს, ჩვეულებრივ მას რეგრესის უფლება წარმოეშობა ძირითადი მოვალის მიმართ მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე. თუ ასეთი რამ არ არსებობს, მაშინ გარანტმა კრედიტორს უნდა წარუდგინოს გარანტია მხოლოდ იმ პირობით, რომ გარანტიის შესრულების შემთხვევაში კრედიტორი დაუთმობს თავის მოთხოვნას ძირითადი მოვალის მიმართ. თუ არც ეს პირობა იქნება გათვალისწინებული და მხარეთა ნების გამოვლენა აღნიშნულის თაობაზე არ დგინდება ხელშეკრულებიდან გამომდინარე (დამატებითი) ახსნა-განმარტებით, მაშინ რეგრესზე მოთხოვნის წაყენების საშუალებად რჩება ძირითად მოვალესა და გარანტს შორის ურთიერთობის ხასიათი. ძირითადი მოთხოვნის გარანტზე გადასვლა კანონისმიერი გზით, ისე, როგორც ეს თავდებობაშია - არ ხდება (22, 163-171).

საფრანგეთი. მოთხოვნით საბანკო გარანტიას საერთაშორისო ვაჭრობაში ამ ქვეყანაში წინააღმდეგობა შეხვდა როგორც სასამართლოების მხრიდან, ასევე მეცნიერი იურისტებისგან ორი მიზეზის გამო: პირველი - საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან გადახრა არ იქნა დაშვებული (საფრანგეთის სკ-ის 2021 და 2012 მუხლები) გარანტიის აქცესორულობის ნაწილში ძირითად ხელშეკრულებასთან მიმართებაში და მეორე - გარანტიის საფუძველად დადებული გარიგების სავალდებულო ნამდვილობა, რაც საბანკო გარანტიის შემთხვევაში არ გვაქვს. მაგრამ საბოლოოდ საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ მაინც ცნო პირველივე მოთხოვნის საბანკო გარანტია, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტი (27,89).

ბელგია. დამოუკიდებელი ან როგორც ბელგიაში უწოდებენ ავტონომიური («autonomous») გარანტიები უფრო 2000 წლიდან გავრცელდა და შემდეგი შტრიხებით ხასიათდება: ცალმხრივი გარიგებაა (გარანტიის წერილი), აბსტრაქტულია და მოქმედების სფერო განსაზღვრულია გარანტიის წერილში. საფრანგეთისგან განსხვავებით, ბელგიაში დამოუკიდებელი გარანტიის საკითხი არასოდეს დასმულა, -თუმცა 70-იან წლებში ტერმინებმა «first demand», «solidary clause», «independently», «irrevocably», «unconditionally» აქაც გაუგებრობა გამოიწვია, განსაკუთრებით თარგმანისას. მეორე პრობლემად იქცა რეგრესის უფლება, რადგან ბელგიის სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს გარანტის კანონისმიერი რეგრესის უფლებას პრინციპალის მიმართ, ოღონდ აძლევს უფლებას გარანტიის მომსახურების ხელშეკრულებაში დათქვას პირობა რეგრესის შესახებ (27,90).

იტალია. ისევე, როგორც საფრანგეთში, იტალიაშიც გარანტიის აბსტრაქტულობის კანონიერების საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია, რაც საბოლოოდ საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის და აბსტრაქტულობის სასარგებლოდ გადაწყდა. თუმცა მაინც ითვლება, რომ საბანკო გარანტია უფრო მოდიფიცირებული თავდებობაა, ვიდრე დამოუკიდებელი ხელშეკრულება (27,92).

ნიდერლანდები. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსში დამოუკიდებელი ვალდებულებისთვის - გადახდილი იქნეს ვისიმე სასარგებლოდ (porte-fort) გამოიყენება თავდებობის მომწესრიგებელი ნორმები. ამსტერდამის სასამართლომ (Trib. Arr. Amsterdam, 05.04.1984წ.) თავისი გადაწყვეტილებით გარანტიის აქცესორული ბუნება დააკანონა. ის ფაქტი, რომ გარანტიაში მითითებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე, კვალიფიცირებული იქნა როგორც თავდებობა. „პირველივე მოთხოვნისთანავე“ განიმარტა როგორც დაუყოვნებლივი გადახდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარანტიაში მითითებული ვალი არ გამომდინარეობს გარანტიაში მითითებული ხელშეკრულებიდან ან ასეთი ვალი ჯერ არ მითითებულა ან უკვე გადახდილია“ (27,92).

შვეიცარია. აქ გერმანული მიდგომა დომინირებს. დოქტრინის მიხედვით, ვალდებულება განიმარტება როგორც გარანტია, თუ ბენეფიციარი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, ხოლო თავდებობად განიხილება მაშინ, თუ თავდები ძირითადი მოვალის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. გარანტიაში ეს პრინციპი მოდიფიცირდება გარანტის უარით დაცვის იმ უფლებებზე, რაც შეიძლება ძირითადმა მოვალემ გამოიყენოს. მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულებას, სადაც უნდა განისაზღვროს, მომსახურების სახე გარანტიაა თუ თავდებობა. თუ თავდებობა წერია, მაშინ ძირითადი მოვალის და თავდების უფლებათა დამცავი მექანიზმები აუცილებლად უნდა იყოს მინიშნებული. შვეიცარიულ სამართალში გარანტია განიხილება როგორც «porte-fort» („დაპირება ასევე სხვის მიმართ“), სახელშეკრულებო ხასიათისაა და მითითებულია შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლში. Porte-fort ეს დამატებითი კი არა, არამედ დამოუკიდებელი ძირითადი ვალდებულებაა. შვეიცარიის ფედერალური ტრიბუნალი (09.07.1985 r.) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „საკონტრაქტო გადახდის უზრუნველყოფის გარანტია“ განიხილება როგორც ნამდვილი ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი თავდებობა აღმოჩნდება ბათილი წერილობითი ფორმის დაუცველობის გამო (27,93).

ისრაელი. ისრაელში გარანტია რეგულირდება სპეციალური კანონით გარანტიების შესახებ (1967წ.) და წარმოადგენს აქცესორულ ვალდებულებას, ძირითადი მოვალის არსებული ან სამომავლო, ფულადი და არაფულადი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ გარანტის და ძირითადი მოვალის პასუხისმგებლობა კრედიტორთან მიმართებაში სოლიდარულია, კრედიტორმა ჯერ მაინც ძირითად მოვალეს უნდა მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება. ამისთვის მხოლოდ კრედიტორის მოთხოვნის გადაცემაა საკმარისი. გარანტს, გადახდის შემთხვევაში, ეკუთვნის რეგრესი ძირითადი მოვალის მხრიდან კრედიტორის უზრუნველყოფის გარანტის სასარგებლოდ გადმოცემის ჩათვლით (სუბროგაცია). მაგრამ გარანტმა შეიძლება ეს უფლება დაკარგოს, თუ არ აცნობებს ძირითად მოვალეს ფაქტს, რომ კრედიტორმა გადახდა მოითხოვა და ისე გადაიხდის, რასაც ძირითადი მოვალე არ დაეთანხმება. თუ გარანტი გაგზავნის შეტყობინებას ძირითად მოვალესთან, ხოლო ეს უკანასკნელი არ ეთანხმება გადახდას, იგი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვს გარანტის მიერ გადახდის აკრძალვა. თუ გარანტიას რამდენიმე პირი გასცემს, ისინი სოლიდარულად და წილობრივად აგებენ პასუხს. საბანკო გარანტიები ან როგორც კანონით იწოდება „რამბურსული ვალდებულებანი“ («obligation to reimburse»), წარმოადგენს დამოუკიდებელ (ავტონომიურ) ვალდებულებას, რომელსაც ბანკები გასცემენ და თავისი საიმედოობით ფულად დეპოზიტს უთანაბრდება. სასამართლოებში არაერთხელ მდგარა პრობლემა როგორი განმარტება მიეცათ ვალდებულებისთვის, რომელსაც ბანკი გასცემდა, ჩვეულებრივი თუ ავტონომიური გარანტიის. ჩაითვალა, რომ მოთხოვნით გარანტიის განსაკუთრებულებად განისაზღვრა ის გარემოება, რომ ასეთ დროს გარანტი არ არის ვალდებული არკვიოს კრედიტორის მიერ ფულის გადახდის მოთხოვნის საფუძვლიანობა. პრაქტიკამ კი შემდეგი ახსნა-განმარტება გამოიმუშავა: გარანტიის ტექსტში ჩართული ფრაზები: „მოთხოვნისთანავე (upon demand)“ და „კრედიტორის ვალდებულების გარეშე დაამტკიცოს საკუთარი მოთხოვნის საფუძვლიანობა“, საკმარისად უთითებს გარანტიის ავტონომიურობაზე (27,96).

საბერძნეთი. საგარანტიო წერილის გაცემა საბერძნეთში ბანკების შესახებ აქტით მხოლოდ ბანკებს აკისრიათ. მას გასცემენ ბანკები საკუთარი კლიენტების კრედიტორებისთვის (კლიენტის კონტრაქტი კრედიტორთან „გარანტირებულია“). გარანტია გადახდას ექვემდებარება კრედიტორის მარტივი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოთხოვნა არ შეესაბამება გარანტიის პირობებს. ეს არის ვალდებულების დამოუკიდებელი სახე (არაა დამოკიდებული ძირითადი

მოვალის და კრედიტორის ურთიერთობებზე), რომელიც არ ერევა კლიენტსა და მის კრედიტორს შორის ურთიერთობაში და სამართლებრივი ბუნებით დამოუკიდებელია და იურიდიული ახსნა-განმარტება მიზანშეწონილია ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, რასაც “აბსტრაქტული დაპირება“ ჰქვია. (27,97)(12,371-372).

ბერტრამსი თავის მონოგრაფიაში „საბანკო გარანტია საერთაშორისო ვაჭრობაში“ საბანკო გარანტიას მოიხსენიებს როგორც „თვითმკვლელ უზრუნველყოფას“ suicide security" (10,42) ზიმერმანიც იმავე მოსაზრების მქონეა (17,464) ჰორნი და ვაიმერსი ასევე მოიხსენიებენ როგორც „ნამდვილ აზარტულ თამაშს, - "real gamble" (14,477). მიუხედავად ასეთი ეპითეტებისა, პირველივე მოთხოვნისთანავე დასაკმაყოფილებელმა საბანკო გარანტიებმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა და მოიცვა საერთაშორისო ბაზარი, გრაფი ფონ ვესტფალენი ამის თაობაზე წერდა: „დროა შემოვკრათ ზარებს“ - "Alarm Leine zu ziehen" (18,175) მაგრამ იქვე აღნიშნავდა, რომ საერთაშორისო ბაზრის მზარდი პარტიკულარიზაცია, ნაციონალიზაცია და იდეოლოგიზაცია საერთაშორისო ვაჭრობაში საბანკო გარანტიას შეუცვლელს ხდის, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას - საერთაშორისო ვაჭრობაში და სამეურნეო საქმიანობაში (18,175.)

დსთ ქვეყნები. ყოფილი სსრკ ქვეყნებიდან პირველმა, საბანკო გარანტიის რეგულაცია მოახდინა რუსეთის სამოქალაქო კოდექსმა 1994 წელს (368-379 მუხლები რფ.სამოქალაქო კოდექსი). ერპილიოვა თვლის, რომ ეს მუხლები ზედმეტად დისპოზიციურია, სადაც ზუსტად მხოლოდ რამდენიმე მომენტია გაწერილი და საერთოდ არ შეიცავს ამკრძალავ ნორმებს, რომ ასეთი სტრუქტურა ხელს არ უწყობს ამ ნორმების გამოყენების ეფექტურობას და მათ დეკლარაციულ ხასიათს ანიჭებს (24,88). იგივე მოსაზრება აქვს ო.ოლეინიკს, რომელიც აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციის ახალმა სამოქალაქო კოდექსმა სათანადო საფუძვლების გარეშე გააფართოვა სამართლებრივი რეგულაციების დისპოზიციურობა და იშვიათია ამკრძალავი ნორმები, ანუ კანონს არ დაუდგენია ამა თუ იმ უფლების რეალიზაციის ზღვრები (28,360).

დსთ-ს სხვა ქვეყნებმა სხვადასხვა გზა აირჩიეს.

უზბეკეთის სამოქალაქო კოდექსში რუსეთის მოდელია გამოყენებული. ყირგიზეთის სამოქალაქო კოდექსში „გარანტია“ გამოიყენება, როგორც თავდებობის სინონიმი, მაგრამ

საბანკო გარანტიის მუხლები ცალკეა ფორმირებული და ისიც რუსეთის მოდელს იზიარებს. ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს საბანკო გარანტიის რაიმე სპეციალურ, ცალკე ფორმულირებულ ნორმებს. სიტყვა „გარანტია“ და მისი იურიდიული ბუნება გადმოცემულია თავდებობის ნორმებთან ერთად. მაგალითად, ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 329-336 მუხლები ერთდროულად მოიხსენიებენ გარანტიას და თავდებობას. ნამდვილობისთვის მოთხოვნილია წერილობითი ფორმა, ამასთან, წერილობითი ფორმა დაცულად ითვლება, თუ გარანტია/თავდებობა წერილობით გადაეცემა კრედიტორს და ის გონივრულ ვადაში უარს არ იტყვის უზრუნველყოფაზე. გარანტიაც და თავდებობაც შეიძლება გაიცეს როგორც მოქმედი, ასევე სამომავლო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. გარანტია პასუხს აგებს იმავე მოცულობით, როგორც თავდები. ამას ემატება პირგასამტეხლო, პროცენტი, სასამართლო ხარჯები და ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ გარანტმა საგარანტიო ვალდებულება შეასრულა, მაშინ მასზე გადადის ყველა უზრუნველყოფა, რაც კრედიტორს გააჩნდა სრული რეგრესის უფლებასთან ერთად ძირითადი მოვალის მიმართ (91). ყაზახეთის კანონმდებლობაში საბანკო გარანტიის საკითხი ცალკეა მოწესრიგებული საბანკო კანონმდებლობაში და სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ამ ცნებებით შემოიფარგლება.

ბელარუსის რესპუბლიკაში, საბანკო გარანტია, როგორც ტერმინოლოგიური ცნება - არ არსებობს. მათი სამოქალაქო კოდექსი იცნობს ტერმინს „გარანტია“ და თავდებობის მაგვარია. გარანტიის მომწესრიგებელი მუხლი რაოდენობით სულ ორია. მათი სამოქალაქო კოდექსის 348-ე მუხლი ბლანკეტური ნორმაა და უთითებს თავდებობის მომწესრიგებელ მუხლებზე, რაც გამოყენებული უნდა იქნეს გარანტიის როგორც ურთიერთობის გაგებისთვის. რაიმე განსახვავებულის დადგენის უფლება ან კანონს აქვს ან ქვეყნის პრეზიდენტს. აქ საბანკო გარანტია ორი არსებითი ნიშნით გამოირჩევა:

ა) გარანტის პასუხისმგებლობის დამატებითი (სუბსიდიარული) ბუნება, რაც ნიშნავს, რომ ის პასუხს გარანტიის ფარგლებში აგებს როგორც დამატებითი, ანუ სუბსიდიარული მოვალე.

ბ) გარანტის რეგრესის უფლების არარსებობა ძირითადი მოვალის მიმართ.

სამაგიეროდ საბანკო გარანტია, როგორც ფინანსური ინსტიტუტი, დეტალიზებულია საბანკო კოდექსში. ამ ნორმების შეცვლა ვერც ახალი საერთაშორისო უნიფიცირებული წესების ამოქმედებამ გამოიწვია (28,140).

§1.2 საერთაშორისო სავაჭრო პალატა - ICC მოთხოვნით გარანტიების შესახებ

მეხუთე წელია რაც ICC ახალი უნიფიცირებული წესები URDG N 758 ძალაში შევიდა და ქართულად არ თარგმნილა. მისი სრული ქართულენოვანი ტექსტი პირველად წინამდებარე ნაშრომშია წარმოდგენილი.

ოცდათხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სავაჭრო პალატამ მსოფლიო ბიზნესის ორგანიზაციამ 1978 წელს პირველად გამოსცა უნიფიცირებული დოკუმენტი სახელშეკრულებო გარანტიების შესახებ ICC N 325. მისი ამოცანა იყო გარიგების მხარეები, არაკეთილსინდისიერი მოთხოვნებისგან დაცვა მათ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენით (98). 1992 წელს გამოვიდა ICC-ის N 458 -ე გამოცემა, რომელმაც უნიფიცირება მოახდინა მოთხოვნით გარანტიის (Demand gurantee) ნაწილში და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ICC-ის გამოცემა N 325-თან ერთად მოქმედებდა (97). პირველი, - გარანტიებით სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას ემსახურებოდა, ხოლო მეორე - მოთხოვნით გარანტიის (Demand guarantee) ნაწილს არეგულირებდა. ICC N 406-ე გამოცემამ საერთაშორისო ვაჭრობის კონტრაგენტებს შესთავაზა საგარანტიო წერილების ტექსტების ტიპური ნიმუშები ICC N 325-ის შესაბამისად (100). ამით გაადვილდა საერთაშორისო გარანტიის გაცემის პროცედურები. ასევე გასაგები გახდა მხარეებისათვის გარანტიის მთავარი არსი - სამართლიანობის ბალანსის დაცვა კონტრაგენტებს შორის. დაფიქსირდა გარანტიის ორი სახე: ავანსის გარანტია და სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების გარანტია, რაც აისახა საბანკო გარანტიის ტიპურ ნიმუშებში და ასევე იმ წერილობითი განაცხადების ნიმუშებში, რომლითაც ბენეფიციარებს უნდა მიემართათ გარანტისათვის ფულის გადახდის მოთხოვნით (100).

გამოცემა N 458 -ისთვის იგივე ფუნქცია იკისრა N 503-ე და N 510-გამოცემებმა, რომელიც ასევე შეიცავდა საბანკო გარანტიის წერილობით ნიმუშებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კონტრგარანტიის წერილობითი ნიმუშებიც დაემატა (98), (99). ICC N 325 პუბლიკაციამ (98), ვერ მოიპოვა სათანადო მხარდაჭრა საერთაშორისო ვაჭრობაში, მასთან შედარებით წარმატება ხვდა N 458-ე გამოცემას (97), რომელმაც 1992 - 2009 წლებში უკეთ გაართვა თავი მის წინაშე დასმულ ამოცანას. იგი სულ 28 მუხლს შეიცავდა და ბევრად ნოვატორული იყო. საერთაშორისო სავაჭრო პალატის N 547 პუბლიკაციამ (101) ცალკე

მოაწესრიგა საერთაშორისო ვაჭრობაში გარანტიის, როგორც გადახდის უზრუნველყოფის საკითხი და მას N 458-ე გამოცემის დამხმარე ანუ შემავსებელი სტატუსი მიენიჭა.

ამ წესების დანიშნულება იყო მათი გამოყენება საგარანტიო, ობლიგაციების და სხვა საგადახდო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. მათი მიხედვით გარანტს, ანუ ემიტენტს გადახდის ვალდებულება უნდა დაკისრებოდა ბენეფიციარის წინაშე, თუ ეს უკანასკნელი წარმოუდგენდა მოთხოვნას გადახდის შესახებ და გარანტიაში ან ობლიგაციებში მითითებულ დოკუმენტებს წარადგენდა. ამავდროულად ეს გადახდა არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული იმ ფაქტზე გადაიხდა თუ არა მეორე მონაწილემ. ICC N 547 (საბანკო გარანტიები საერთაშორისო ვაჭრობაში) არ აკონკრეტებდა გარანტიების იურდიულ ბუნებას, შესაბამისად მის ქვეშ სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობა მოიაზრებოდა (101). ეს წესები ვერ გახდა მითითებული ურთიერთობების რეგულირების წყარო და გარანტიები მაინც შეზღუდულად გამოიყენებოდა.

ვინაიდან ამ მიმართულებით ვერ დალაგდა სამართლებრივი რეჟიმი და ბევრი სხვადასხვა დოკუმენტი ერთად მოქმედებდა, საქმეში ჩაერთო UNCITRAL, რომელმაც შეიმუშავა კონვენციის პროექტი დამოუკიდებელი გარანტიებისა და სარეზერვო აკრედიტივებისთვის, საბოლოო ტექსტი მიღებული იქნა 1995 წლის 24-26 მაისს, 1995 წელს და წარედგინა გაეროს გენერალურ ასამბლეას კონვენციის მისაღებად. კონვენცია მიღებული იქნა 1995 წლის ბოლოს. მას მოიხსენიებენ, როგორც ნიუ-იორკის 1995 წლის კონვენციას (94).

საერთაშორისო ღონისძიებებით მოხერხდა მოთხოვნით გარანტიების საკითხის გადაწყვეტა. თუმცა ISP98 ადრეც და ახლაც ფართოდ გამოიყენება და მრავალ კონტრაქტშია (შეთანხმებებშია) ინტეგრირებული, ეს წესები მეტნაკლებად არასავალდებულოა და არ წარმოადგენს საკანონმდებლო ნორმებს, მაგრამ ბევრმა ქვეყანამ აუცილებლად ჩათვალა მიეღოთ საერთაშორისო, იურდიულად სავალდებულო ინსტრუმენტი მოთხოვნით გარანტიებისთვის (11, 523).

რ.ილესიას-ორტიზი, 1998 წელს აღნიშნულის თაობაზე წერდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული კონვენცია ცდილობს გადაწყვიტოს პრობლემა უნიფიცირებული წესების ერთგვაროვნების ნაწილში, ტერმინების, რეჟიმების და გარანტიებისა და სარეზერვო აკრედიტივებზე მოთხოვნის ხასიათთან დაკავშირებით სავალდებულო ნორმების პაკეტის შექმნით. ეროვნულ კანონმდებლობებში საბანკო

გარანტიასთან დაკავშირებული საბაზო საკითხებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომების გამო, გარანტიების ნაცვლად, მოთხოვნა სარეზერვო აკრედიტივებზე გაიზარდა (35,161).

ICC-მ ფინანსური კრიზისის შემდეგ, შეისწავლა საერთაშორისო ბაზრის მდგომარეობა და 2010 წლის მდგომარეობით ანგარიში წარმოადგინა, რაშიც მიუთითა შემდეგი: „მოთხოვნა საბანკო ინსტრუმენტებზე ვალდებულებების სახით, სწრაფად იზრდება. გამოკითხულთა 50% მიუთითებს, რომ მოთხოვნა იზრდება ტრადიციულ სავაჭრო ფინანსურ ინსტრუმენტებზე. რადგან მნიშვნელოვნად ამცირებს რისკებს იმპორტ-ექსპორტის დროს. მაგრამ ვაჭრობის დაფინანსების ღირებულება მაღალია, ვიდრე კრიზისამდე იყო ექსპორტიორების ხელმიუწვდომლობის პრობლემების გამო. გამოკითხულთა დაახლოებით 30% მიიჩნევს, რომ 2009 წელს იყო გარანტიების, აკრედიტივებისა და კომერციული აკრედიტივების ღირებულების ზრდა. ითვლება, რომ მომსახურების ფასების ასეთი ზრდა მოქმედებს ხარჯებზე, ზღუდავს კაპიტალს და შესაბამისად კონტრაგენტების რისკი მატულობს. თუმცა, საბანკო სექტორი, როგორც ჩანს, თვლის, რომ სხვა მაღალ საფასურებთან შედარებით მათი ინსტრუმენტები იაფია. იმის გათვალისწინებით, რომ სარეზერვო აკრედიტივები და გარანტიები უსაფრთხოების კარგი დაცვაა, რასაც დაინტერესებული მხარეები იყენებენ, მაგრამ ცხადია, მცირე და საშუალო ბიზნესს და განვითარებადი ქვეყნების ექსპორტიორებს დიდი სირთულეები აქვთ კრედიტის ხელმისაწვდომობაში (34,2).

ICC პუბლიკაციამ N 758 გადაწყვიტა N 458-ის ყველა დაუზუსტებელი საკითხი, მაგ. საკამათო ჩანაწერები „გონივრული ვადა“, „გონივრული მზრუნველობა“ და ა.შ. მან გააერთიანა გარანტიის ყველა სახე და ერთად უწოდა „მოთხოვნით გარანტია“ (Demand Guarantees), რადგან ყველა სახის გარანტიას ერთი სამართლებრივი შედეგი ჰქონდა: გარანტს უნდა გადაეხადა გარანტიაში მითითებული თანხა ბენეფიციარის მოთხოვნის შესაბამისად. URDG 758-ე პუბლიკაციამ ასევე შემოიტანა უკვე მოქმედ გარანტიაში ცვლილებების შეტანისა და მათ შორის ვალუტის შეცვლის საკითხი, შემოიღო გარანტიის შეწყვეტის მექანიზმი, თუ გარანტიაში არ იქნებოდა მითითებული მისი მოქმედების დასრულების თარიღი და არც მოვლენა, რომლითაც გარანტიის ვადის ამოწურვა დადგინდებოდა (96). ICC კომისიის მოსაზრებით მას უნდა გადაეწყვიტა ე.წ. უვადო გარანტიების საკითხი რომელიც აქამდე გაურკვეველ მდგომარეობაში აყენებდა აპლიკანტებს, ხოლო ბანკებს, - კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნების მიხედვით პრობლემას უქმნიდა.

ახალი უნიფიცირებული წესები URDG 758 შეიცავს 35 მუხლს, სარეკომენდაციო ნიმუშების სახით, დართული აქვს გარანტიის და კონტრგარანტიის ტიპური ნიმუშები ფაკულტატიური დანართით და პაკეტური ხასიათისაა. ეს წესები გაცილებით ნათელი და ზუსტია, ვიდრე წინამორბედი URDG N 458 (96).

§1.3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია დამოუკიდებელი გარანტიებისა და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ

საქართველო გაეროს კონვენციაზე მიერთებული არ არის. ამიტომ მისი მარეგულრებელი ნორმები, ქართული იურიდიული მეცნიერებისა და სასამართლო სამართალწარმოების ყურადღების მიღმა დარჩა. კონვენცია განმარტავს დამოუკიდებელი ვალდებულების ცნებას (მუხ.3-31) და იმასაც კი აღნიშნავს, რომ ბენეფიციარი შესაძლოა იყოს თავად გარანტი, როცა ის მოქმედებს სხვა პირის ინტერესებში (მუხ.2. 34.), განმარტავს, როდის ჩაითვლება გარანტია საერთაშორისოდ (მუხ.4. 3.1.) და ადგენს, რომ თუ გარანტიის მხარეებიდან რომელიმე ორი სხვადასხვა ქვეყანაში არიან, მაშინ ვალდებულება საერთაშორისოა. კონვენცია უთითებს, რომ მისი განმარტების დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი საერთაშორისო ხასიათი, ერთგვაროვნების აუცილებლობა მისი გამოყენებისას და კეთილსინდისიერების დაცვა დამოუკიდებელი გარანტიების გამოყენებისას საერთაშორისო პრაქტიკაში (მუხ.5) (94).

კონვენციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე თავი. მასში მოცემულია ისეთი არსებითი დეტალები, როგორებიცაა დამოუკიდებელი გარანტიის გაცემა, გარანტიის ფორმა, გამოუთხოვადობა, გარანტიიდან წარმოშობილი მოთხოვნის დათმობა, გადახდაზე მოთხოვნის უფლების შეწყვეტა და გარანტიის ვადის ამოწურვა. კონვენცია „გაცემასთან“ დაკავშირებით ცალსახად ამბობს, რომ ვალდებულება გაიცემა იმ ადგილას და იმ მომენტში, სადაც და როცა ვალდებულება ტოვებს შესაბამისი გარანტის კონტროლის ფარგლებს (94 თავი III).

ამ თავის მე-7 მუხლი მნიშვნელოვანია. იგი ადგენს დამოუკიდებელი გარანტიის ფორმას და შემდგომ კონვენციის ტექსტში სადაც კი ფორმასთანაა შემხებლობა ბევრჯერ უთითებს ამ პუნქტზე. ეს პუნქტი შემდეგი შინაარსისაა: ვალდებულება შესაძლოა გაიცეს ნებისმიერი ფორმით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოფილ იქნეს ვალდებულების ტექსტის სრული რეგისტრაცია და იძლევა მისი წყაროს ნამდვილობის

დადასტურების შესაძლებლობას საზოგადოდ ცნობილი საშუალებებით და პროცედურებით, რაც შეთანხმებულია გარანტსა და ბენეფიციარს შორის. მე-7 მუხლი უთითებს, რომ ვალდებულება გამოუთხოვადია მისი გაცემის მომენტიდან, თუ მასში არ არის მითითებული, რომ ის გამოთხოვადია; გადახდაზე მოთხოვნა შესაძლებელია წაყენებული იქნეს ვალდებულების პირობების შესაბამისად მისი გაცემის მომენტიდან, თუ მასში სხვა ვადა არ არის მითითებული.

გარანტიაში ცვლილებების შესახებ კონვენცია იმპერატიულია და მოითხოვს, რომ ცვლილება მხოლოდ იმ ფორმით უნდა შევიდეს, როგორც თავად ვალდებულებაშია მითითებული, ხოლო თუ არ მითითებულა, მაშინ იმ ფორმით, როგორც ეს მე-7 მუხლის მე-2 პუნქტითაა მოწესრიგებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმავე ფორმით, როგორც გარანტია გაიცა. რაც შეეხება შეცვლილ საგარანტიო ვალდებულებას, იგი ძალაშია მხოლოდ მაშინ, როცა ბენეფიციარის თანხმობა გარანტს მიუვა და შესრულებული იქნება იმ ფორმით, როგორც კონვენციის მე-7 მუხლის მეორე პუნქტშია მითითებული. პრინციპალის უფლება-მოვალეობებს აღნიშნული ცვლილებები არ შეეხება თუ არ დაეთანხმება ამ ცვლილებას. ბენეფიციარის უფლების გადაცემასთან დაკავშირებით, რაც გადახდაზე მოთხოვნას ეხება, კონვენციაში მითითებულია, რომ ასეთი გადაცემა მხოლოდ გარანტის პირდაპირი თანხმობით დაიშვება, თუ ვალდებულებაში წინასწარ არ იყო შეთანხმებული რა ფარგლებში და რა შემთხვევაში დაიშვებოდა ამგვარი გადაცემა. კონვენციის მიხედვით, გადახდაზე მოთხოვნის უფლება ბენეფიციარს უწყდება, თუ:

- ა) გარანტმა მიიღო ბენეფიციარისგან შეტყობინება მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ფორმით, რომ გარანტი განთავისუფლებულია თავისი ვალდებულებისგან;
- ბ) ბენეფიციარმა და გარანტმა გამოხატეს თანხმობა გარანტის შეწყვეტაზე კონვენციით დადგენილი ფორმით (მუხ.7 პ.2);
- გ) ვალდებულებით გათვალისწინებული თანხა გადახდილი იქნა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ვალდებულება ითვალისწინებს თანხის ავტომატურ განახლებას ან სხვა სახით ითვალისწინებს ვალდებულების გაგრძელებას;
- დ) დათქმული ვადის გასვლას;
- ე) გარკვეული მოვლენის დადგომას, რაც დამოკიდებული არ არის გარანტზე;
- ვ) თუ თარიღი ან მოვლენა მითითებული არ არის, მაშინ ვალდებულების გაცემიდან ექვსი წლის გასვლის შემდეგ (94).

კონვენცია ადგენს გარანტიის მოქმედების და პასუხისმგებლობის სტანდარტს: კეთილსინდისიერება, გონივრული წინდახედულება, საერთაშორისო პრაქტიკისა და საზოგადოდ ცნობილი სტანდარტების გათვალისწინება და იქვე უთითებს, რომ გარანტი ვერ გათავისუფლდება ვალდებულებისგან არაკეთილსინდისიერი ქმედების ან უხეში დაუდევრობის გამო.

კონვენციის მე-19 მუხლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ის ადგენს გამონაკლისებს, რის საფუძველზეც გარანტიის თანხის გადახდის შეჩერება ან გადახდაზე უარის უფლება იწყებს მოქმედებას. ასეთი გარემოებები შემდეგია:

ა) რომელიმე დოკუმენტი არ არის დედანი ან ყალბია;

ბ) ბენეფიციარს არ ერგება გარანტიის თანხა წარდგენილი მოთხოვნის და დამატებითი დოკუმენტების შესაბამისად, ან

გ) გარანტს, მოქმედებს რა კეთილსინდისიერად, უფლება აქვს შეაჩეროს გადახდა ბენეფიციარის სასარგებლოდ, ვალდებულების სახის და მიზნიდან გამომდინარე მოთხოვნას გადახდაზე თუ არ აქვს საკმარისი საფუძველი.

გადახდაზე მოთხოვნისთვის არასაკმარისი საფუძველია, თუ:

ა) გარემოება ან რისკი, რომლის შემთხვევაშიც ვალდებულებას უნდა უზრუნველყო ბენეფიციარი, უდავოა, რომ არ წარმოშობილა;

ბ) პრინციპალის ძირითადი ვალდებულება სასამართლოს/არბიტრაჟის მიერ ცნობილი იქნა ბათილად გარდა იმ შემთხვევისა, თუ ვალდებულებაში არ არის მითითებული, რომ ეს გარემოებაც უზრუნველყოფილი რისკია;

გ) თუ ძირითადი ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე უდავოდ დამაკმაყოფილებლადაა შესრულებული;

დ) თუ ვალდებულების შესრულებას ხელს უშლიდა ბენეფიციარის არამართლზომიერი წინასწარ განზრახული ქმედება;

ე) კონტრგარანტიის ბენეფიციარი მოქმედებს რა გარანტის სტატუსით, არაკეთილსინდისიერად იხდის თავის სასარგებლოდ.

„ა“ და „ბ“ პუნქტში მითითებულ შემთხვევაში კონვენციით დადგენილია რომ პრინციპალს უფლება აქვს გამოიყენოს დროებითი სასამართლო ღონისძიებები, კერძოდ: შეაჩეროს

გადახდა გარანტიის მიხედვით და აუკრძალოს ბენეფიციარს თანხის მიღება ან მოითხოვოს პრინციპალის მიერ მიღებული თანხის ბლოკირება იმ მოტივით, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიუღებლობა მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს პრინციპალს. ამავდროულად, სასამართლოს უფლება აქვს მოსთხოვოს პრინციპალს ისეთი უზრუნველყოფის წარდგენა, როგორსაც სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, თუ სასამართლოს მიერ მიღებული დროებითი ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგება. კონვენცია ადგენს, რომ სასამართლო არ გამოიტანს დროებით ბრძანებას თუ არ არსებობს „ა“ და „ბ“ პუნქტებში მითითებული საფუძველი, ან თუ გადახდის ვალდებულება გამოყენებულია დანაშაულებრივი მიზნით (94).

კონვენცია ბენეფიციარის მოთხოვნასთან დაკავშირებით ადგენს, რომ ნებისმიერი მოთხოვნა გადახდაზე უნდა შესრულდეს დადგენილი ფორმით (მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი), თუ ვალდებულებაში სხვა რამ არ არის მითითებული, მოთხოვნა ან ნებისმიერი დოკუმენტი გარანტს წარედგინება ვალდებულების მოქმედების ვადაში გარანტიის გაცემის ადგილსამყოფელის მიხედვით. მოთხოვნის წარდგენისას ივარაუდება, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა არაკეთილსინდისიერი არ არის და არ შეიცავს ზემოთ მითითებული პუნქტების არც ერთ ელემენტს.

მიღებული მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების განხილვისთვის, კონვენციით დადგენილია, რომ გარანტმა უნდა იხელმძღვანელოს კონვენციის სტანდარტით, განსაზღვროს, რომ მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარეგნული ნიშნებით შეესაბამება გარანტის ვალდებულებას და ერთმანეთთანაც შესაბამისობაშია. დოკუმენტების შესამოწმებლად, სხვა ინფორმაციის მოსაძიებლად და გადახდაზე გადაწყვეტილების მისაღებად, გარანტს ეძლევა გონივრული ვადა, რომელიც არ აღემატება შვიდ სამუშაო დღეს, რომელიც აითვლება გარანტის მიერ დოკუმენტების მიღების მეორე დღიდან. თუ არ არსებობს გადახდაზე უარის ან მისი შეჩერების საფუძველი, გარანტი დაუყოვნებლივ იხდის. დაიშვება ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლა გარანტსა და ბენეფიციარს შორის. თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის მითითებული, გამოსაყენებელ სამართლად კონვენცია მიიჩნევს გარანტის ადგილსამყოფელზე მოქმედ სამართალს. კონვენციის მიხედვით, მისი წევრების მიერ რაიმე დათქმის გაკეთება არ არის დაშვებული (94).

UNICTRAL განმარტებით ბარათში კონვენციის თაობაზე მითითებულია, რომ ის მიღებულია დამოუკიდებელი გარანტიების/სარეზერვო აკრედიტივების საერთო პრინციპებისა და ნიშნების დადგენის მიზნით, ერთიანი კომპლექსური წესების

ხაზგასასმელად. ასევე იმისთვის, რომ გამოირიცხოს სხვაობა იმ ტერმინების გაგებაში, რაც გამოიყენება ამ სამართლებრივ ინსტიტუტში, იწვევს აზრთა სხვადასხვაობას პრაქტიკაში, ხოლო მხარეები ვერ ახერხებენ გადაწყვიტონ ეს საკითხები სახელშეკრულებო მოლაპარაკებით და იძულებულნი არიან მიმართონ სასამართლოს. კონვენციის მიზანია სამართლებრივი განსაზღვრულობის გამყარება და ამავდროულად ავტონომიურობა შეუნარჩუნოს მხარეებს. UNICTRAL განმარტავს, რომ დამოუკიდებელი გარანტიების ქვეშ იგულისხმება „გარანტია მოთხოვნით,“ „გარანტია პირველივე მოთხოვნით,“ „გარანტია მარტივი მოთხოვნით,“ „საბანკო გარანტია“ ან „სარეზერვო აკრედიტივი.“

გარანტი არ არის ვალდებული შეისწავლოს ძირითადი გარიგება. მან მხოლოდ უნდა დაადგინოს, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა გაცემულ გარანტიას გარეგნული ნიშნებით. კონვენცია ვრცელდება კონტრგარანტიებზეც. თუ მხარეები ისურვებენ, მათ შეუძლიათ გამორიცხონ კონვენციის გამოყენება სხვა სამართლის გამოყენების მიზნით, ხოლო თუ გამოიყენებენ, მას მხოლოდ სუბსიდიარული ხასიათი აქვს. UNICTRAL-ი აღნიშნავს რომ, რაკი „დამოუკიდებელი გარანტია“ სხვადასხვაგვარად განიმარტებოდა, კონვენციის მიზანი ერთგვაროვან გაგებას უზრუნველყოფს, რაც ნიშნავს იმას, რომ ის დამოუკიდებელია იმ ძირითადი ვალდებულებისგან, ან ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რის უზრუნველსაყოფადაც არის გაცემული. UNICTRAL განმარტავს, თუ რატომ უწოდებს დამოუკიდებელ გარანტიას/სარეზერვო აკრედიტივს ე.წ. დოკუმენტური ხასიათის მქონეს. ის აღნიშნავს, რომ რაკი გარანტი შემოიფარგლება გადახდაზე წამოყენებული მოთხოვნისა და მასზე დართული დოკუმენტების შესწავლით - გარანტიასთან მისი შესაბამისობის მიზნით და გარეგნული ნიშნებით, ნებისმიერი სხვა არადოკუმენტური გარემოება გარანტს არ ეხება. UNICTRAL 1995 წლიდან აღიარებს ელექტრონული ფორმატით გაცემულ დამოუკიდებელ გარანტიას. ასევე ყურადღებას უთმობს თაღლითობის და უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციულობას დამოუკიდებელი გარანტიების მიხედვით, რისთვისაც კონვენციით შემოღებულია გარანტიის მიხედვით გადახდის შეჩერება კონკრეტული საფუძვლებით, გადახდაზე უარის თქმა და სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი დროებითი ღონისძიებები (95).

§1.4. სასამართლო პრაქტიკა

1.4.1. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა

სასამართლო პრაქტიკა საბანკო გარანტიასთან დაკავშირებულ დავებზე მწირია. ჩვენ ამოვარჩიეთ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც უკავშირდება ჩვენს კვლევას და მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკისთვის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ განხილული იქნა საბანკო გარანტიით დადგენილი საგარანტიო თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრების შესახებ დავა, საკასაციო საჩივრის ფარგლებში N ას-562-871-09 (20.10.2009). დავის საგანი იყო გადახდის მოთხოვნა მოქმედების ვადა ამოწურული საბანკო გარანტიის მიხედვით. ამ გადაწყვეტილებაში რამდენიმე საინტერესო პრაქტიკული საკითხია დადგენილი (86).

პირველი: საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით ორი დოკუმენტი იქმნება. ერთი ხელშეკრულება პრინციპალსა და გარანტს შორის, ხოლო მეორე საბანკო გარანტიის სახით ბენეფიციარისთვის. პირველი ორმხრივი სასყიდლიანი ხელშეკრულებაა რომლის საფუძველზეც გარანტი გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ კისრულობს გასცეს საბანკო გარანტია ბენეფიციარისთვის და მეორე თავად საბანკო გარანტია, თუ გარანტი დააკმაყოფილებს პრინციპალის თხოვნას, მაშინ იგი გასცემს საბანკო გარანტიას, რომელიც ცალმხრივი ხელშეკრულებაა და რომელიც ვალდებულებას წარმოშობს ბენეფიციარის წინაშე.

მეორე: საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით. ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი.

მესამე: მხარეები თავისუფალნი არიან საბანკო გარანტიის მოქმედების განსაზღვრის წესში, რაც შეიძლება დამოკიდებული იყოს როგორც კალენდარულ თარიღზე, რაიმე პირობაზე, რაიმე მოვლენის დადგომაზე, ასევე რაიმე მოქმედების შესრულებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება ჩვენთვის საინტერესო იყო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასების ნაწილში. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა: “სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ასევე საბანკო გარანტიის ამონაწერის გასაცემ ტექსტზე და განსაზღვრეს მისი სამართლებრივი ბუნება. კერძოდ, საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე ბენეფიციარისთვის წარსადგენად გაიცა საბანკო გარანტიის ამონაწერი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და მას დამოუკიდებელი იურდიული ძალა არ გააჩნია, სააპელაციო პალატა იზიარებს საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ საბანკო ამონაწერი დამოუკიდებელ დოკუმენტად რაიმე ვალდებულების წარმოშობის ან დადგენის სამართლებრივ საფუძველად ვერ იქნება მიჩნეული, რადგან ის, ფაქტობრივად, შეიცავს მოკლე აღწერას ძირითადი ხელშეკრულების არსებით პირობებზე და თავად ხელშეკრულებითვეა განსაზღვრული, რომ ამონაწერი ხელშეკრულების არსებითი შემადგენელი ნაწილია და დამოუკიდებელი ძალა არ გააჩნია. ამდენად, მათი შინაარსის განმარტება უნდა მოხდეს საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში. სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის ეს დანაწესი უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის საიმედოობას და იმავდროულად, კრედიტორის მოლოდინს ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით, მაგრამ მხოლოდ საბანკო გარანტიით გარანტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში. ამასთან, კრედიტორის (ბენეფიციარის) მიერ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად წარდგენილი პირობებით საბანკო გარანტიის არჩევა, ნიშნავს მის თანხმობას ამ პირობებზე, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა“ (86).

პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა დაუკარგეს დამოუკიდებელი გარიგების სტატუსი საბანკო გარანტიას, უწოდეს რა “საბანკო გარანტიის ამონაწერი”, ეს დამოუკიდებელი გარიგება განიხილეს როგორც საბანკო გარანტიით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი და არ მიიჩნიეს ვალდებულების წარმოშობის ან ამგვარი ვალდებულების დადგენის სამართლებრივ საფუძველად. საკასაციო ინსტანციამ უარყო მათი პოზიცია და სწორად მიუთითა აღნიშნულის არამართებულობის შესახებ. აღუდგინა საბანკო გარანტიას დამოუკიდებელი გარიგების სტატუსი, რითაც გასწორდა

პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოების არასწორი შეფასება საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის ნაწილში (86).

მაგრამ აქ დადგა საკითხი, როდის შედის ძალაში გარანტია? სამოქალაქო კოდექსი და URDG N 758 უთითებს, რომ ის ძალაშია მისი გაცემის/გაგზავნის თარიღიდან და არ უნდა ელოდოს ბენეფიციარის მიერ მის მიღებას ძალაში შესასვლელად, ამდენად უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისი ნაწილი მართლზომიერი იქნებოდა მაშინ, თუ საბანკო გარანტიის ტექსტში ეწერებოდა, რომ საბანკო გარანტია ძალაში შედიოდა ბენეფიციარის მიერ მისი მიღების წერილობით დადასტურებისთანავე. სხვაგვარად, გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან, როგორც ამას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 884-ე მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ განხილული იქნა №ას-1303-1229-2012 საქმე (15/10/2012). დავის საგანი იყო ბენეფიციარის კრედიტორთა სიაში აღრიცხვა და თანხის დაკისრება. საკითხი, რომელიც ჩვენთვის საინტერესოა, ეხებოდა საბანკო გარანტიის გაცემის შემდეგ გარანტისათვის საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევის გამო საგარანტიო ვალდებულების ვადამდე შეწყვეტის საკითხს. გარანტს ორი საბანკო გარანტიის გაცემის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლიცენზია ჩამოართვა. დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველმა, ბენეფიციარი/მოსარჩელე კრედიტორთა სიაში სწორედ იმ მოტივით არ შეიყვანა, რომ ლიცენზიის გაუქმებამ ავტომატურად შეწყვიტა საბანკო გარანტიის მოქმედება ვადამდე. გაკოტრების მმართველი ასაბუთებდა, რომ „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის» მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მზღვეველის გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებისას სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედება წყდება გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების თაობაზე ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან, შესაბამისად, ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ავტომატურად შეწყდა საბანკო გარანტიის მოქმედება. ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა გარანტის მიმართ წარდგენილია ეროვნული ბანკის ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ, როცა საბანკო გარანტიის მოქმედება შეწყვეტილი იყო. ბენეფიციარს მოთხოვნა გარანტს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში უნდა წარედგინა, რაც არ მომხდარა და ამ ვალდებულების დარღვევამ მოსარჩელის კრედიტორად აღურიცხაობა გამოიწვია. პირველი ინსტანციის სასამართლომ ბენეფიციარის სარჩელი არ დააკმაყოფილა

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და საქმე უზენაესმა სასამართლომ განიხილა. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მზღვეველს ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაშიც უნარჩუნდება ვალდებულება ადრე დადებული ხელშეკრულებები შეასრულოს ამ ხელშეკრულებების ვადის გასვლამდე, როგორც ამას ადგენს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 271-ე მუხლის მე-3 პუნქტი. შესაბამისად გაკოტრების საქმისწარმოების გახსნა ვერ შეწყვეტს საბანკო გარანტიის მოქმედებას, რადგან სამოქალაქო კოდექსით დადგენილი გარანტიის შეწყვეტის საფუძვლები სახეზე არ არის. მან აღნიშნა, რომ დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის 271-ე მუხლის მე-3 ნაწილი და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება და „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის» მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი სისტემურად უნდა განიმარტოს და არა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. თანაც ბენეფიციარმა, გარანტიის მოქმედების ვადაში წარადგინა მოთხოვნა და შესაბამისად ის უნდა აღრიცხულიყო როგორც კრედიტორი. ეს გადაწყვეტილება, უდავოდ, არსებითია და მნიშვნელოვანი პრაქტიკა დაამკვიდრა (88).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ განიხილა საქმე N ას-781-996-08 (17/03/2009) (89). დავის საგანი იყო საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდევინება. სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება დაიდო, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია სადაზღვევო კომპანიამ გასცა. გარკვეული დროის შემდეგ ძირითადი ხელშეკრულება შეწყდა მხარეთა შეთანხმებით, რადგან მასალებისა და საწვავის გაძვირების გამო პრინციპალი ძირითად ვალდებულებას ვეღარ ასრულებდა. ბენეფიციარმა გარანტს მოსთხოვა გარანტიის თანხის გადახდა, რაზეც უარი მიიღო და სასამართლოში სარჩელი წარადგინა. გარანტი თავის მოსაზრებას ასაბუთებდა იმით, რომ ძირითადი ვალდებულება შეწყდა და გარანტიის თანხის გადახდა ბენეფიციარისთვის მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრება იქნებოდა გარანტის ხარჯზე.

უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საბანკო გარანტიის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რაც მას გამოარჩევს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან, არის საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისგან. საბანკო გარანტია ეფუძნება არა მხარეთა შეთანხმებას (ხელშეკრულებას), არამედ მისი გამცემი პირის (გარანტის) ცალმხრივ და უპირობო

ვალდებულებას. საბანკო გარანტიის ზემოაღნიშნული თავისებურება ასახულია სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლში, რომლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. ბენეფიციარის წინაშე გარანტიის ვალდებულების ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებლობის პრინციპის გამოხატულება იმაში მდგომარეობს, რომ ბენეფიციარისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად კანონმდებელი ორ ძირითად შემთხვევას განიხილავს, კერძოდ: თუ ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლი). დასახელებულ პირობათაგან არც ერთს არა აქვს კავშირი ძირითად ვალდებულებასთან.

რაც შეეხება ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, როგორებიცაა: საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულება, მისი სხვა საფუძვლებით შეწყვეტა ან ბათილად აღიარება, კანონი მათ გარანტიის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლად არ განიხილავს. ასეთ შემთხვევებში გარანტი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს, თუმცა მიუხედავად ამ შეტყობინებისა, ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა დაკმაყოფილებას ექვემდებარება. სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი ნაწილით უთითებს ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენის ფორმაზე, კერძოდ, რომ საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. აღნიშნული ნორმა ავსებს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესს მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების გარანტიის პირობებისადმი შესაბამისობის შესახებ. ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა არ იწვევს გარანტიის პასუხისმგებლობის შეწყვეტას ბენეფიციარის მიმართ. ძირითადი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევა საბანკო გარანტიის ძალადაკარგულად ცნობას არ ითვალისწინებს.

უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა ინიცირებული იყო პრინციპალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე უარით, რამაც საგარანტიო შემთხვევა გამოიწვია და გარანტს გადახდის ვალდებულება დაუდგა. უზენაესმა სასამართლომ მცდარად ჩათვალა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბენეფიციარის მიერ წარდგენილ წერილზე (მოთხოვნაზე) სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დოკუმენტაციის დაურთველობა განაპირობებდა საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდევინების უსაფუძვლობას. მაგრამ საბანკო გარანტია უპირობო იყო და შესაბამისად, უნდა ანაზღაურებულიყო საგარანტიო თანხა ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე (89).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, საქმეთა პალატამ განიხილა საქმე N 1სს-786-1073-09 (27/09/2010) (87). ამ გადაწყვეტილებით დადგენილია პრაქტიკა შემდეგზე: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის თანახმად, გარანტს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უარი განაცხადოს თანხის ანაზღაურებაზე, თუ ბენეფიციარის მოთხოვნა არ შეესაბამება გარანტიის პირობებს და წარდგენილია საგარანტიო ვადის დამთავრების შემდეგ.

ამ საქმის განხილვისას საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა მტკიცებულებები შეაფასეს ცალმხრივად და არასრულყოფილად. სააპელაციო პალატა ყურადღებას არ ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ ერთი და იმავე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, ერთი და იმავე დღეს, ერთი და იმავე გარანტის მიერ ორი საბანკო გარანტია იყო გაცემული. ერთი საავანსო გარანტია, მეორე კი, როგორც ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა. სააპელაციო სასამართლომ მექანიკურად შეკრიბა საგარანტიო უზრუნველყოფით გათვალისწინებული თანხები და დააკისრა მოპასუხეს ისე, რომ არ გაურკვევია, თუ კონკრეტულად რომელი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფადაა გაცემული მითითებული გარანტიები, ან რატომ გაიცა ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. არ იყო გარკვეული, თუ რამ განაპირობა ერთი ხელშეკრულების შესასრულებლად ორი საბანკო გარანტიის გაცემა და რატომ არ გაიცა მთლიან თანხაზე ერთი საბანკო გარანტია. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში მითითებული გარიგებები სასამართლომ მტკიცებულებად გამოიყენა

ყოველგვარი განსჯის გარეშე, რამაც გადაწყვეტილების დასაბუთებას არასრული ხასიათი მისცა. ასევე აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გაირკვევა, თუ რა ვალდებულება იკისრა გარანტმა ბენეფიციარის წინაშე და რა იგულისხმებოდა საავანსო, აგრეთვე, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიაში და რომელი ვალდებულების დარღვევა წარმოადგენდა გარანტის ვალდებულების წარმოშობის საფუძველს. აქვე საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბენეფიციარის მიერ წარდგენილ წერილზე (მოთხოვნაზე) სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დოკუმენტაციის დაურთველობა განაპირობებდა საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდევინების უსაფუძვლობას, განმარტა, რომ წარდგენილი გარანტია უპირობო იყო და შესაბამისად, უნდა ანაზღაურებულიყო პრინციპალის მიერ ძირითადი ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე. შესაბამისად, საკასაციო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილვისთვის დაუბრუნა სააპელაციო ინსტანციას (87).

1.5.2. უცხოური სასამართლო პრაქტიკა

საერთაშორისო საბანკო სამართლის და პრაქტიკის ინსტიტუტის დირექტორმა (IIBPL) აშშ-ში, დოქტორმა ჯეიმს ბიორნმა (James Byrne), სემინარზე მოიყვანა მაგალითი, რაც ეხებოდა ძირითადი ვალდებულების საფუძველად დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავას. საქმე ეხებოდა იახტის მშენებლობასთან დაკავშირებულ საავანსო გადახდის უზრუნველსაყოფად გაცემულ სარეზერვო აკრედიტივს/დამოუკიდებელ გარანტიას. დავას იხილავდა საარბიტრაჟო სასამართლო, რადგან ხელშეკრულებაში ასე იყო დათქმული. პრინციპალმა ბანკისთვის წარდგენილ განაცხადში გარანტიის მისაღებად, - მიუთითა იახტის კორპუსის ნომერი, რომელიც 12 ციფრის კომბინაცია იყო და ერთი ციფრი იყო არასწორი. ბენეფიციარმა წარადგინა მოთხოვნა გადახდაზე, სადაც თორმეტივე ციფრი სწორად იყო მითითებული. პარალელურად პრინციპალმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გადახდის აკრძალვა ამ განსხვავების საფუძველით, მაგრამ სასამართლომ უარყო მისი სარჩელი და აღნიშნა, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა სწორედ პრინციპალს ეხებოდა როგორც გემთმშენებელს და სწორედ იმ ძირითად

ხელშეკრულებას, რომელიც მასა და ბენეფიციარის შორის იყო დადებული და გარანტიით უზრუნველყოფილი, ხოლო აპლიკაციაში იყო შეცდომა, რომელიც მხოლოდ შესწორების უფლებას იძლეოდა და არა შეცვლების უფლებას (57).

ჯ.ბიორნი აღნიშნავს, რომ თუ მაგალითად საბანკო გარანტიაში მითითებულია, რომ გამოიყენება რუსეთის ფედერაციის სამართალი, მაგრამ არ არის მითითებული სასამართლო ქვემდებარეობა და, ასეთ ვითარებაში თუ რუსული მხარე წარადგენს სარჩელს ინდოეთის სასამართლოში, გამორიცხული არ არის, რომ ინდოეთის სასამართლომ, თავისი ტრადიციებიდან გამომდინარე, ჩათვალოს, რომ ინდოეთის და რუსეთის ფედერაციის კანონის ნორმები ანალოგიურია. ამიტომ ბიორნი თვლის, რომ საბანკო გარანტიის ფაკულტატიურ პირობებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და პირდაპირ უნდა მიეთითოს იმ ქვეყნის სასამართლო/არბიტრაჟი, რომელმაც დავა უნდა განიხილოს (57).

ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე საბანკო გარანტიის გარანტისათვის დაბრუნებასთან დაკავშირებული სასამართლო დავის გამო. საბანკო გარანტია წარდგენილი იქნა უძრავი ქონების შესყიდვის უზრუნველყოფისთვის. ბენეფიციარს წარმოადგენდა მინდობილი მმართველი, რომელმაც საბანკო გარანტია დაუბრუნა ემიტენტს იმ მოტივით, რომ უძრავი ქონების შესყიდვა შეუძლებელი იყო გარიგებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. შემდგომში მინდობილი მმართველი შეიცვალა, რომელმაც ემიტენტს მოსთხოვა იგივე გარანტია გაეფხავნა მისთვის. ბანკს არ უცნობებია პრინციპალისთვის წინა მმართველის მიერ საბანკო გარანტიის დაბრუნების თაობაზე და არც მეორე მმართველის მიერ იმავე გარანტიის გამოყენების მოთხოვნის შესახებ. ბანკმა გადაიხადა გარანტიის თანხა და რეგრესი მოითხოვა. პრინციპალმა სასამართლოს მიმართა. მან თავის სარჩელში მიუთითა, რომ არ იცოდა საბანკო გარანტიის ბანკში დაბრუნების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გარანტიას უკან გაითხოვდა. მომხსენებელმა მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა ორ საკითხზე: პირველი, რას ნიშნავს საბანკო გარანტიის დაბრუნება ემიტენტისთვის და მეორე, იძლევა თუ არა საერთაშორისო წესები ბენეფიციარის თანხმობის გარეშე გარანტიის მოქმედების შეწყვეტას. ამდენად, სასამართლოს წინაშე დადგა ამოცანა, არსებობდა თუ არა ბენეფიციარის თანხმობა ამგვარ შეწყვეტაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებაში მიეთითა, რომ საბანკო გარანტიის დაბრუნებისას პირველი მინდობილი მმართველის მიერ მითითებული იყო მხოლოდ იმაზე, რომ ძირითადი გარიგება ჩაიშალა, მაგრამ არ

უთხოვია ბანკისთვის გარანტიის გაუქმება. ამ საკითხის განხილვისას, ბიორნმა აღნიშნა, რომ ავსტრიის სასამართლოს გადაწყვეტილებით, საბანკო გარანტიის უკან დაბრუნება არ ნიშნავს საგარანტიო ვალდებულების შეწყვეტას და ბენეფიციარის ნების წერილობით გამოხატვა აუცილებელი (57).

ბიორნმა აღნიშნა ცნობილი ფაქტი ლონდონის სადაზღვევო კომპანიების სინდიკატის „ლოიდი“-ის საქმიდან. სინდიკატმა 40 წლიანი ვადის მქონე სარეზერვო აკრედიტივები მიიღო ერთ-ერთი თანადამფუძნებელი ბანკიდან, რომლებიც დაამოწმა (ავიზირება მოახდინა) ლონდონის უდიდესმა ბანკმა. დამმოწმებელი, საკუთარ ვალდებულებებს აღიარებდა სარეზერვო აკრედიტივებით გადახდაზე, ემიტენტისგან შესაბამისი უფლების მიღების შემთხვევაში. სინდიკატის საქმიანობა მსოფლიოში იყო გაშლილი და დაზღვეული ჰქონდა ადამიანების ჯანმრთელობა აზბესტიზმთან დაკავშირებით. სადაზღვევო კომპანიამ უამრავი სარჩელი მიიღო და საქმეში ბევრი ქვეყნის ხელისუფლება ჩაერია. სადაზღვევო თანხების გადახდა წლობით გაგრძელდა. 1980 წელს, სინდიკატის ტექნიკურმა პერსონალმა აღმოაჩინა ძველი დოკუმენტები და შეცდომით მიიჩნია რა არასაჭიროდ, გაუგზავნა მის გამცემ ბანკებს წერილობით შეტყობინებასთან ერთად, რომ ძველ და არასაჭირო დოკუმენტაციას უკან უბრუნდებდნენ. ეს დოკუმენტები, გრძელვადიანი სარეზერვო აკრედიტივები (საბანკო გარანტიები) აღმოჩნდა. „ლოიდი“-მა მაშინვე ვერ აღმოაჩინა ეს გარემოება და როგორც ბენეფიციარმა აკრედიტივების გამცემ ბანკებს წაუყენა მოთხოვნა გადახდაზე, მათ უპასუხეს, რომ სარეზერვო აკრედიტივების მოქმედება შეწყვეტილი იყო მათი დაბრუნების გამო. სინდიკატმა განაცხადა, რომ შეცდომით იქნა დაბრუნებული და გადახდა ისე მოითხოვა. საკითხი გადაწყდა ISP98 ის მე-7 მუხლის შესაბამისად, გარანტიის სასარგებლოდ.

პროფესორ ჯეიმს ბიორნის გამოსვლაში საუბრია ფაქტზე, როდესაც სასამართლომ შეაჩერა JP Morgan Chase Bank N.A. ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიით გადახდა პრინციპალის Archer Daniels Midland Co -ს მოთხოვნით, რადგან პრინციპალი ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულებით დათქმული ხარისხის საკვები პროდუქტი გადაუგზავნა ერაყის მთავრობას და მათი წამოყენებული მოთხოვნა გადახდაზე თაღლითური იყო. პრინციპალმა წარმოადგინა შესაბამისი ლაბორატორიული შემოწმების დოკუმენტი და თავად ექსპერტმაც ფიცის ქვეშ მისცა ჩვენება სასამართლოს პროდუქციის ხარისხზე, რომელიც მოპასუხის მიერ გაქარწყლებული ვერ იქნა. მოსამართლემ გამოიტანა დასკვნა, რომ ბენეფიციარი გარეული იყო თაღლითობაში და გარანტიის მიხედვით გადახდა შეაჩერა. პროფესორ ბიორნის აზრით, საბანკო გარანტიის მიხედვით

გადახდის დროებითი შეჩერება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, როდესაც სახეზე აშკარა თაღლითობაა, - მიზანშეწონილია, მაგრამ სხვა შემთხვევაში ის ვნებს საბანკო გარანტიის დამოუკიდებელ ბუნებას იმით, რომ მას ძირითად ხელშეკრულებასთან აკავშირებს. ხსენებულიდან გამომდინარე პროფესორი ბიორნი შინაარსს უცვლის გამეფებულ ტენდენციას: „ჯერ გადაიხადე და მერე იდავე,“ ის აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე დამკვიდრდა პრაქტიკა სარეზერვო აკრედიტივებთან/ დამოუკიდებელ გარანტიებთან დაკავშირებულ სასამართლო ახსნა-განმარტებებიდან გამომდინარე და ამჟამად აქტუალური და მოქმედი ტენდენცია შემდეგია: „ჯერ გადაიხადე, ოღონდ გარდა აშკარა თაღლითობის შემთხვევებისა და მერე იდავე“ (57).

ბორის კოზლოვიჩი, თავის სტატიაში „Bank Guarantees and Letters of Credit: Time for a Return to the Fold“ წერს, რომ ავსტრიის, ბელგიის, საფრანგეთის, გერმანიისა და ჰოლანდიის სასამართლოები, ეყრდნობიან რა „უფლების ბოროტად გამოყენების“ დოქტრინას, თაღლითობად აფასებენ ბენეფიციარების რიგ მოქმედებებს და ზღუდავენ მათ მიერ გარანტიის მიხედვით ფულის მიღებას, ან უკეთეს შემთხვევაში მისაღებ თანხას ამცირებენ. ავტორი აღნიშნავს, რომ უფლების ბოროტად გამოყენება და თაღლითობა არ არიან ეკვივალენტური ცნებები და მათ შორის დიდი სხვაობაა. მას ციტირებული აქვს პროფესორ ფონ მარშალის მოსაზრება გერმანიის სამართალთან მიმართებით, რომელიც თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ ბანკი, უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა შეიტყობს, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა გადახდაზე თაღლითურია, უარი განაცხადოს გადახდაზე. საიდან შეიტყობს ამას ბანკი, სხვა წყაროდან თუ პრინციპალისგან, მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა ბანკმა განსჯის შედეგად, მაინც შეიძლება გადაიხადოს გარანტიის თანხა, თაღლითური მოთხოვნის საკმარისი მტკიცებულებების შემთხვევაშიც კი (37,1-80).

რუსეთის ბაზარი საბანკო გარანტიების ბიზნესის სფეროში ერთ-ერთი უდიდესი ბაზარია და სასამართლო პრაქტიკა საკვლევ თემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია. ამიტომ მიზანშეწონილია სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი მაგალითის მოყვანა.

სტატიაში „საერთაშორისო უნიფიკაცია საბანკო გარანტიის წესების შესახებ და რუსეთის სამოქალაქო კოდექსი,“ ა. რუბანოვი აღნიშნავს: „გარანტს მინიჭებული აქვს პირველი უარის უფლება. ეს უარი გამოიყენება მაშინ, თუ ძირითადი ვალდებულება უკვე შესრულებულია, ბათილია ან შეწყდა სხვა გარემოებების გამო. თუ ბენეფიციარი წამოაყენებს მოთხოვნას, გარანტიის თანხა გადახდილი უნდა იქნეს. ე.ი. კოდექსი უშვებს

გადახდას მეორე მოთხოვნაზე და არა პირველივე მოთხოვნაზე. კონვენცია და კოდექსის მუხლები ერთმანეთისგან განსხვავდება, სამაგიეროდ 1991 წლის უნიფიცირებული წესები კოდექსის მუხლებს ემთხვევა. მაგრამ არც კოდექსი და არც უნიფიცირებული წესები არ აწესრიგებს იმ გარემოებას, რაც პრინციპალს უფლებას მისცემდა სასამართლოს მეშვეობით შეეჩერებინა გარანტიის მიხედვით გადახდა, სამაგიეროდ ეს კონვენციითაა მოწესრიგებული.“(42, 51-56).

ა. რუბანოვი წერს, რომ „სხვა ქვეყნებში იმ შემთხვევების რიცხვი, როცა ბენეფიციარი უფლებას ბოროტად იყენებს, საკმაოდ მნიშვნელოვანია და საქმე დანაშაულამდე მიდის. ასეთი საკითხების განხილვისას რუსეთის სასამართლომ დასავლეთის და კონტინენტური ევროპის ქვეყნების პრაქტიკა აირჩია. მაგ. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე, ბენეფიციარისთვის საბანკო გარანტია გაიცა. პრინციპალმა ფული გადაიხადა და გარანტს აცნობა ამის შესახებ. ბენეფიციარმა მაინც მოითხოვა გადახდა გარანტიის მიხედვით. ბანკმა გამოიყენა პირველი უარის უფლება, ბენეფიციარმა მეორე მოთხოვნა წარადგინა და ისევ უარი მიიღო. ამის შემდეგ მან სასამართლოს მიმართა. სასამართლომ დაადგინა, რომ ბენეფიციარმა ფული ნამდვილად მიიღო და მეორე მოთხოვნა შეაფასა როგორც უფლების ბოროტად გამოყენება. მეორე შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება რუსეთის რეზიდენტებსა და მათ უცხოელ პარტნიორებს შორის იყო დადებული. საბანკო გარანტია გაიცა რუსეთის ბანკის მიერ. მაგრამ პრინციპალმა ბანკი არ ჩააყენა საქმის კურსში იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილი იყო ასევე ორი გემის გირავნობით, რაც პრინციპალს ეკუთვნოდა. უცხოელმა ბენეფიციარმა რუსეთის სასამართლოს მიმართა. სასამართლომ დაადგინა, რომ ბენეფიციარი უკვე დაკმაყოფილებული იყო გირავნობის ნივთების რეალიზაციით და ამის საფუძველზე ბენეფიციარის ქმედება შეაფასა როგორც უფლების ბოროტად გამოყენება და სარჩელი არ დაუკმაყოფილა.“ (42, 51-56).

რუსეთში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებამ საქმეზე N 5562/07 თარიღით 23/05/2007 რომელმაც მართლზომიერად აღიარა შპს გაზპრომ ექსპორტის სარჩელზე უარი შპს კომერციული ბანკის „ინდუსტრიალის“ მიმართ საბანკო გარანტიის მიხედვით თანხების ამოღების და სხვისი ფულით სარგებლობისთვის პროცენტის დაკისრების შესახებ“ იმ მოტივით, რომ SWIFT ფორმატით ელექტრონულად გაგზავნილი გარანტია მიიჩნია

ფორმა დარღვეულად, რადგან წერილობით (ქაღალდზე) არ იყო შესრულებული და არ შეიცავდა გრაფიკულ ხელმოწერას. ამის გამო გარანტია ცნობილი იქნა ბათილად (58).

ი. სვიტ-მა გამოაქვეყნა წერილი, სადაც განაცხადა, რომ ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს გარანტიის აუცილებელ პირობებს და ელემენტებს, რამაც პრაქტიკაში სერიოზული სირთულეები წარმოშვა. ამის გამო მან საჭიროდ მიიჩნია, რომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსს დამატებოდა მუხლი, რომელსაც გარანტიის აუცილებელ პირობები და ელემენტები უნდა განესაზღვრა და ასევე აღნიშნა, რომ SWIFT –ის ელექტრონული ფორმატის მქონე გარანტია წერილობითი დოკუმენტია, ამიტომ ის ლეგიტიმურია და არ არის აუცილებელი ქაღალდის მატარებელზე იყოს შესრულებული გრაფიკული ხელმოწერის დართვით მისი მართლზომიერებისა და ნამდვილობისთვის (58).

საერთაშორისო კონფერენციაზე, რაც 2013 წელს რუსეთში ჩატარდა, IIBPL -ის წარმომადგენელმა ჯ. ბიორნმა აღნიშნა, რომ „ბოლო წლების მსოფლიო სასამართლო პრაქტიკა იმ ტენდენციაზე მიუთითებს, რომ სასამართლოები მკაცრ შესაბამისობას ითხოვენ ბენეფიციარების წარმოდგენილ დოკუმენტებში, იმ ტექსტების ზუსტ ფორმულირება იყოს მითითებულია, რასაც სარეზერვო აკრედიტივი/დამოუკიდებელი გარანტია მოითხოვს მაშინ, როცა UCP 600 და ISP98 ამ კონცეფციას არ ეყრდნობა და სწორედ იმას აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები შინაარსობრივ შესაბამისობაში უნდა იყოს გარანტიასთან. IIBLP შეეცადა იგივე მიდგომა მიეწოდებინა ICC -ის საბანკო კომისიისთვის და სასამართლოებისთვის, რადგან მათი მკაცრი პოზიცია ტვირთად აწვებოდა დამოუკიდებელ გარანტიებს და სარეზერვო აკრედიტივებს. გამოითქვა ვარაუდი, რომ ყოველგვარ წვრილმანზე მიდავება გამოიწვევდა ბენეფიციარების მხრიდან უარს ამ ინსტრუმენტის გამოყენებაზე. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ამ ინსტრუმენტების გამოყენების სტატისტიკაში ვარდნა შეიმჩნეოდა და რომ ISP98 -ში თავიდანვე ჩაიდო მხოლოდ შინაარსობრივი შესაბამისობის საკითხი, რაც გარანტიებზეც უნდა გავრცელებულიყო. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ეს მოსაზრება საბოლოოდ გაიზიარა ICC -ის საბანკო კომისიამ“ (57).

რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საარბიტრაჟო სასამართლომ 1998 წელს გამოაქვეყნა სასამართლო პრაქტიკა საბანკო გარანტიიდან გამომდინარე რიგ სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით, რაც საინტერესოა მეცნიერული შესწავლის

თვალსაზრისით და მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისი აქ მოყვანა. გამოქვეყნებული პრაქტიკა შემდეგია:

- საგარანტიო ვალდებულების წარმოშობისათვის საჭიროებას არ წარმოადგენს გარანტისათვის შეტყობინების წარდგენა ბენეფიციარის მიერ გარანტიის მიღების შესახებ, თუ აღნიშნული პირდაპირ არ არის მითითებული საგარანტიო ვალდებულების ტექსტში (93).

საქმის გარემოებები:

მომწოდებლის მიერ მიწოდების ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ბანკმა მყიდველისთვის საბანკო გარანტია გასცა, რომლითაც იკისრა ვალდებულება გადაეხადა გარკვეული თანხა გამყიდველისთვის/ბენეფიციარისთვის, გადახდის წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, თუ მომწოდებელი ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში არ შეასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას. ბენეფიციარმა წარუდგინა გარანტს წერილობითი მოთხოვნა გარანტიის თანხის გადახდაზე, რომელსაც დაურთო საბანკო გარანტიაში დათქმული დოკუმენტები. გარანტმა უარი განაცხადა გადახდაზე და მიუთითა, რომ გარანტის ვალდებულება არ წარმოშობილა რადგან დაცული არ ყოფილა მარტივი წერილობითი ფორმა იმ ნაწილში, რომ ბენეფიციარმა გარანტს არ წარუდგინა საბანკო გარანტიის მიღებაზე წერილობითი დასტური. ძირითად ხელშეკრულებაში ასევე არ იყო მითითებული გარანტის გაცემაზე და ამ საფუძვლებით გარანტი ვარაუდობდა, გარანტის ბათილად ცნობას.

საარბიტრაჟო სასამართლომ არ გაიზიარა გარანტის მოსაზრება და მიუთითა, რომ გარანტის მიერ საგარანტიო ვალდებულებისთვის წერილობითი ფორმა სავალდებულოა, მაგრამ გარანტსა და ბენეფიციარს შორის ხელშეკრულების წერილობით დადება სავალდებულო არ არის. ასევე მიუთითა, რომ საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან, თუ მასში არ არის გათვალისწინებული ძალაში შესვლის სხვა ვადა. გარანტიაში, რომლის ადრესატიც ბენეფიციარი იყო, არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ გარანტია ძალაში შედიოდა მხოლოდ ბენეფიციარის მიერ მისი მიღების ფაქტის წერილობითი დასტურის შემდეგ. ამიტომ გარანტის ვალდებულება წარმოიშვა საბანკო გარანტიის გაცემის მომენტიდან. ამასთან, არბიტრაჟმა დაადგინა, რომ ბენეფიციარმა გადახდა მოთხოვნაზე წარადგინა დათქმულ ვადაში საბანკო გარანტიაში მითითებული ყველა დოკუმენტის დართვით, ამიტომ ბენეფიციარის სარჩელი სრულად

დაკმაყოფილდა და გარანტს დაეკისრა საგარანტიო თანხის სრულად გადახდა ბენეფიციარის სასარგებლოდ.

- საგარანტიო ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ გარანტიის ტექსტში ან დოკუმენტებში, რომლებიც შეიცავს საგარანტიო ვალდებულებას, არ არის მითითებული რა ვადითაა იგი გაცემული (93).

საქმის გარემოებები:

ბენეფიციარმა სარჩელი წარადგინა საარბიტრაჟო სასამართლოში გარანტის წინააღმდეგ საგარანტიო თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით. სარჩელში მიუთითა, რომ წარადგინა მტკიცებულებანი, რაც ადასტურებდა პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას არსებული მიწოდების ხელშეკრულების მიხედვით.

არბიტრაჟმა გამოიკვლია კრედიტორის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, შეისწავლა საბანკო გარანტიის ტექსტი, მხარეთა მიმოწერა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საგარანტიო ვალდებულება არ წარმოიშობილა და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა. არბიტრაჟი დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ არც გარანტიის ტექსტში და არც სხვა დოკუმენტებში, რაც გარანტიის გაცემას უძღოდა წინ, არ იყო მითითებული პირობა, თუ რა ვადაში უნდა წარედგინა მოთხოვნა ბენეფიციარს. სასამართლომ მიუთითა, რომ საბანკო გარანტიაში არსებული პირობა, რომ გარანტი გადაიხდიდა გარანტის თანხას საქონლის მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ, არ შეიძლებოდა შეფასებულიყო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადად. სასამართლომ აღნიშნა, რომ გარანტიის მოქმედების ვადა საგარანტიო ვალდებულების არსებითი პირობაა და თუ იგი საბანკო გარანტიაში დათქმული არ არის, საგარანტიო ვალდებულება წარმოიშობილად არ ჩაითვლება.

- პრინციპალსა და გარანტს შორის გარანტიით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების არარსებობა არ იწვევს ბენეფიციარის წინაშე საგარანტიო ვალდებულების ბათილობას (93).

საქმის გარემოებები:

გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე, ბენეფიციარმა მოითხოვა გარანტიის თანხის გადახდა, რაზეც გარანტმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ გარანტსა და პრინციპალს

შორის ხელშეკრულება საბანკო გარანტიით მომსახურებაზე არ დადებულია და ამიტომ საგარანტიო ვალდებულებას წარმოშობილად არ თვლიდა რაკი გაცემულ გარანტიას საფუძველი არ გააჩნდა. საარბიტრაჟო სასამართლომ ბენეფიციარის სარჩელი დააკმაყოფილა და გარანტს თანხის გადახდა დააკისრა. ამასთან, მიუთითა, რომ საგარანტიო ვალდებულება გარანტს წარმოეშობა ცალმხრივი წერილობითი ვალდებულების საფუძველზე და მისი ნამდვილობა არ არის დამოკიდებული გარანტსა და პრინციპალს შორის წერილობითი ხელშეკრულების არსებობა-არარსებობაზე. რადგან საგარანტიო წერილი ფორმითა და შინაარსით პასუხობდა მოქმედ კანონმდებლობას და ამავდროულად ბენეფიციარის მოთხოვნა წარდგენილი იყო გარანტიის მოქმედების ვადაში, მასში დათქმული პირობების შესაბამისად. არბიტრაჟმა დაადგინა, რომ ნაკისრი ვალდებულებისგან გარანტის განთავისუფლების საფუძველი არ არსებობდა.

- პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, რის შესახებაც ბენეფიციარისთვის ცნობილი იყო გარანტიის მიხედვით გადახდაზე მოთხოვნის წარდგენამდე, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების საფუძველით (93).

საქმის გარემოებები:

ბენეფიციარის სარჩელში გარანტის მიმართ, მითითებული იყო, რომ გარანტიის თანხა გადახდილი უნდა ყოფილიყო მაშინ, თუ ბენეფიციარი თავის მოთხოვნას გადახდაზე, დაურთავდა წერილობით დოკუმენტს, რაც დაადასტურებდა ფაქტს, რომ პრინციპალს საბანკო ანგარიშზე ფულადი თანხა არ ჰქონდა ძირითადი ვალდებულების შესასრულებლად. ბენეფიციარმა აღნიშნული დოკუმენტი წარუდგინა გარანტს, რომელიც ადასტურებდა, რომ პრინციპალს, ძირითადი ხელშეკრულებით დათქმული გადახდის ვადის დადგომისას, საბანკო ანგარიშებზე თანხები არ ერიცხებოდა. გარანტმა უარი თქვა გადახდაზე და მიუთითა, რომ მის ხელთ არსებული მტკიცებულებებით, ბენეფიციარს მოთხოვნილი თანხა უკვე მიღებული ჰქონდა მესამე პირისგან, რომელსაც პრინციპალმა სთხოვა გადახდა მის სანაცვლოდ და შესაბამისად ძირითადი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება უკვე შესრულებული იყო. ბენეფიციარმა ხელმეორედ წარადგინა მოთხოვნა გადახდაზე და ისევ უარი მიიღო. მან სარჩელი წარადგინა საარბიტრაჟო სასამართლოში და თავის მოთხოვნას ასაბუთებდა იმით, რომ თუ გარანტისთვის ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე ცნობილი გახდებოდა, რომ

ძირითადი ვალდებულება უკვე შესრულებული იყო, მას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა აღნიშნულის თაობაზე პრინციპალისთვის და ბენეფიციარისთვის. ხოლო ასეთი შეტყობინების შემდეგ ხელმეორედ მიღებული მოთხოვნა გარანტს უნდა დაეკმაყოფილებინა. დავის განხილვისას სასამართლომ, გარანტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დაადგინა, რომ ბენეფიციარს მართლაც ჰქონდა მიღებული შესრულება მესამე პირისგან პრინციპალისთვის მიწოდებული საქონლის სრული ღირებულების ოდენობით. ღირებულების გადახდის ფაქტს პრინციპალიც ადასტურებდა და წყაროდ უთითებდა მესამე პირის წინაშე ნაღიარებ კრედიტს იმ თანხაზე რაც ბენეფიციარს მის ნაცვლად გადაურიცხა მესამე პირმა. ამ პირობების გათვალისწინებით, სასამართლომ ბენეფიციარის ქმედება ჩათვალა უფლების ბოროტად გამოყენებად და უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

- თუ გარანტიიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე არ არის დამოკიდებული ძირითად ვალდებულებაზე და შესრულებას ექვემდებარება ბენეფიციარის მიერ გადახდაზე მოთხოვნის წარდგენისას, პრინციპალისგან ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე გადახდაზე წინასწარი მოთხოვნის წარდგენის გარეშე (93).

საქმის გარემოებები:

ბენეფიციარმა სარჩელი წარადგინა გარანტის მიმართ გარანტიის თანხის გადახდევინების მოთხოვნით. გარანტმა უარი უთხრა ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ პრინციპალის მიერ საკრედიტო ვალდებულების შეუსრულებლობა არ იყო საფუძველი ბენეფიციარისთვის, მოთხოვნა წარედგინა გადახდაზე, რადგან პრინციპალი, რომელიც საკრედიტო ხელშეკრულებაში მსესხებლად გამოდიოდა, არ უარყოფდა კრედიტის დაბრუნების ვალდებულებას და აცხადებდა, რომ შეასრულებდა ძირითადი ვალდებულებას გარკვეული დროის შემდეგ. საარბიტრაჟო სასამართლომ ბენეფიციარის სარჩელი დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ საბანკო გარანტია დამოუკიდებელი გარიგებაა და არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის უზრუნველყოფასაც გარანტია წარმოადგენს. ბენეფიციარს გარანტისათვის წარდგენილი ჰქონდა მოთხოვნა გარანტიის მოქმედების ვადაში და აკმაყოფილებდა გარანტის პირობებს. სასამართლომ მიუთითა, რომ საგარანტიო ვალდებულებაში არ იყო მითითებული იმ დოკუმენტების წარდგენის ვალდებულება,

რითაც უნდა დადასტურებულიყო, რომ პრინციპალს არ ჰქონდა ფულადი თანხა ან ბენეფიციარს ჯერ პრინციპალის მიმართ უნდა განეხორციელებინა მოთხოვნის წარდგენა.

- გარანტიის პასუხისმგებლობა ბენეფიციარის წინაშე არ არის შეზღუდული გარანტიის თანხით თუ საბანკო გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (93).

საქმის გარემოებები:

კომერციულმა ბანკმა გასცა საბანკო გარანტია, რომლითაც იკისრა ბენეფიციარისთვის საკრედიტო დავალიანების თანხის გადახდა პრინციპალის მიერ კრედიტის და დარიცხული პროცენტის გადაუხდელობის შემთხვევაში. ბენეფიციარმა გარანტს გადახდაზე მოთხოვნა წარუდგინა. გარანტმა უარი განაცხადა გადახდაზე და ბენეფიციარმა საარბიტრაჟო სასამართლოს სარჩელით მიმართა და რაკი გარანტმა გადახდა ოთხი თვით დააგვიანა, განაცდური საპროცენტო სარგებელიც მოითხოვა. საარბიტრაჟო სასამართლომ დააკმაყოფილა ბენეფიციარის სარჩელი იმ მოტივით, რომ გარანტი ბენეფიციარის მოვალეა დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებით, რაც საგარანტიო თანხადაა მითითებული და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლის საფუძველზე საგარანტიო ვალდებულება არ შემოიფარგლება გარანტიის თანხით, თუ საბანკო გარანტიაში სხვა რამ არ არის მითითებული. გამომდინარე იქედან, რომ გარანტმა არ შეასრულა ვალდებულება დათქმულ დროში, მან პასუხი უნდა აგოს ბენეფიციარის წინაშე წერილობითი მოთხოვნის წარდგენის თარიღიდან.

- ბენეფიციარის სარჩელი გარანტის მიმართ, გადახდაზე უარის შემთხვევაში თუ ბენეფიციარის მოთხოვნა დროულად იყო წარდგენილი, შესაძლებელია წარდგენილი იქნეს საერთო ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში (93).

საქმის გარემოებები:

ბენეფიციარმა სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო სასამართლოს გარანტის წინააღმდეგ და მოითხოვა გარანტიის თანხის გადახდა და პროცენტიც სხვისი სახსრებით სარგებლობისთვის. საარბიტრაჟო სასამართლომ უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ სარჩელი წარდგენილი იქნა გარანტიის მოქმედების ვადის შეწყვეტის შემდეგ. გადაწყვეტილება გადასინჯული იქნა ზედამხედველობის წესით, გაუქმდა და მიღებული იქნება ახალი გადაწყვეტილება შემდეგი საფუძველით: საბანკო გარანტია გაცემული იქნა კომერციული ბანკის მიერ, სადაც მითითებითა იყო საგარანტიო თანხის

გადახდის წესი და გარანტიის მოქმედების ვადა. რაკი პრინციპალმა არ შეასრულა ვალდებულება მიწოდებული საქონლის ღირებულების გადახდის ნაწილში, ბენეფიციარმა წარადგინა წერილობითი მოთხოვნა გადახდის შესახებ, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში და დაურთო ყველა მასში მითითებული დოკუმენტი. პრეტენზია წარდგენილ მოთხოვნასთან ან დართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით გარანტს არ ჰქონია, შესაბამისად, არც საფუძველი ჰქონდა გადახდაზე უარის სათქმელად. რაკი გარანტმა არ დააკმაყოფილა გონივრულ ვადაში ბენეფიციარის მოთხოვნა, ბენეფიციარი უფლებამოსილი იყო მიემართა სასამართლოსთვის საგარანტიო თანხის გადახდის იძულებით დაკისრებაზე და მოეთხოვა პროცენტულ სხვისი კუთვნილი თანხით სარგებლობისთვის.

- საბანკო გარანტიაში იმ ბენეფიციარის მიუთითებლობა, ვისთვისაც ის გაიცა, არ არის საბანკო გარანტიის ბათილობის საფუძველი (93).

საქმის გარემოებები:

ბანკმა პრინციპალზე გასცა საბანკო გარანტია, იმ ბენეფიციარის მიუთითებლად, რომლის წინაშეც, ბანკმა საგარანტიო თანხის გადახდა იკისრა. პრინციპალმა საგარანტიო წერილი გადასცა თავის კრედიტორს/ბენეფიციარს. ბენეფიციარმა გარანტს გადახდაზე მოთხოვნა წარუდგინა. ბანკმა უარი განაცხადა გადახდაზე იმ მოტივით, რომ მისი ვალდებულება წარმოშობილი არ იყო გარანტიაში ბენეფიციარის მიუთითებლობის გამო. საარბიტრაჟო სასამართლომ გარანტს გადახდა შემდეგი საფუძველით დააკისრა: კოდექსის შესაბამისი მუხლიდან გამომდინარე არ დგინდება, რომ საბანკო გარანტიაში ბენეფიციარის კონკრეტული დასახელება უნდა იყოს მითითებული. რაკი საბანკო გარანტიაში არ იყო იდენტიფიცირებული ბენეფიციარი, გარანტის ვალდებულება უნდა შესრულდეს იმ პირის მიმართ, რომელიც ბანკს წარუდგენს საბანკო გარანტიის დედანს (93).

თავი II. მეთოდოლოგია, კვლევის აღწერა და კვლევის შედეგები

§2.1. მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ზოგადსამეცნიერო და სპეციალური მეთოდები. ძირითადად არჩეული იქნა ისეთი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება როგორც თეორიული, ასევე ემპირიული კვლევისთვის, კერძოდ: შედარების, აბსტრაგირების, ანალიზის, სინთეზის, ანალოგიის, ინდუქციის და დედუქციის მეთოდები.

შედარების/შეპირისპირების მეთოდი არის მსგავსებისა და სხვაობის გამოვლენის საშუალება საგნებსა და რეალურ მოვლენებს შორის, ორი ძირითადი პირობის დაცვით: უნდა შედარდეს მხოლოდ ის საგნები და მოვლენები, რომლებს შორისაც შესაძლებელია არსებობდეს გარკვეული ობიექტური ერთიანობა და შედარება უნდა განხორცილდეს უფრო მნიშვნელოვანი არსებითი ნიშნების მიხედვით. შესაბამისად, დისერტაციაზე მუშაობის პროცესში გამოყენებულ იქნა იურისპრუდენციაში ფართოდ გავრცელებული კვლევის სპეციალური შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, რომელიც ძირითადად გამოიყენება სამამულო და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობების ანალოგიური ნორმების შედარებისას.

ეს მეთოდი ეფექტური იყო ამ სადისერტაციო ნაშრომისთვის სანდოობის, ადეკვატურობის თვალსაზრისით, რადგან მისი მეშვეობით იქნა გამოვლენილი სხვაობა და მსგავსება "მოთხოვნით გარანტიის შესახებ საერთაშორისო უნიფიცირებული წესების URDG N 758" -ის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სახელშეკრულებო სამართლის მომწესრიგებელ ნორმებს შორის, რომლებიც მოიცავენ ჩვენი კოდექსის როგორც ზოგად, ასევე კერძო ნაწილებს, ასევე ეროვნული საბანკო კანონმდებლობის, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ნორმებს შორის. თითოეული სამართლებრივი ურთიერთობა და რეჟიმი შედარებული იქნა როგორც ერთმანეთთან ეროვნული ნორმატიული აქტების ნაწილში, ასევე ყველა მათგანი შედარებული იქნა URDG 758-ის თითოეულ ნორმასთან და სამართლებრივ რეჟიმთან. შედარების მეთოდი სრულად პასუხობს ამ სადისერტაციო ნაშრომში დასმულ მიზნებს და მეცნიერულ ჰიპოთეზას.

ანალოგიის მეთოდი ამ ნაშრომისთვის იმ თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი, რომ ის გვათავაზობს რამდენიმე საგნის მსგავსების დადგენის საშუალებას რიგი არსებითი ნიშნების არსებობისას რომელიმე ერთ საგანზე, რომელსაც კონკრეტული ნიშანი აქვს. URDG 758 და სამოქალაქო კოდექსის საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი ნორმები ერთი და იგივე სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს და მსგავსია საერთო პრინციპის მიხედვით. შესაბამისად, ამ მეთოდმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომელი კონკრეტული ნორმების გამოყენების მიზნით ენიჭებოდა უპირატესობა URDG N 758-ზე საბანკო გარანტიის დაქვემდებარებას ლოკალური გარანტიების გამოყენებისას, რასაც ინტენსიურად ირჩევს საქართველოს შემოსავლების სამსახური და სხვა საჯარო სამართლის იურდიული პირები, როგორც ბენეფიციარები და კონკრეტულად რომელი სამართლებრივი ურთიერთობებია მოუწესრიგებელი ეროვნული კანონმდებლობით.

ანალიზის მეთოდი - ცალკეული არსებითი ნაწილების შესწავლას გულისხმობს, შესასწავლი საგნის, როგორც მთლიანის მახასიათებელი ნიშნების გამოყოფას მათი ცალკე-ცალკე შესწავლის მიზნით. ანალიზი გამოვიყენეთ სამართლებრივი სინამდვილის შესწავლა - აღწერისთვის. ეს მეთოდი რელევანტური და საიმედო იყო კვლევის პროგნოზირებისთვის, დაგეგმვისთვის, ცალკეული სამართლებრივი სუბიექტების სამართლებრივი რეჟიმებისა და მათგან გამომდინარე ურთიერთობების სამართავად. ამ მეთოდმა ხელი შეგვიწყო ინფორმაციის შეგროვება-გადამუშავებაში, რათა მიგვეღო ცნობები კონკრეტული საკითხების გარშემო, შეგვესწავლა ისინი იმ პრობლემების დასაფიქსირებლად, რაც ხელს უშლის საბანკო გარანტიის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის განვითარებას.

ანალიზის მეთოდი გამოყენებულ იქნა „URDG 758“-ის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და საქართველოს სხვა კანონების და კანონქვემდებარე აქტების კვლევისთვის. ანალიზის შედეგად დავადგინეთ, რომ საბანკო გარანტიით მომსახურება იყოფა შვიდ სამართლებრივ-პროცედურულ ნაწილად: პრინციპალის განაცხადი გარანტიით მომსახურების მისაღებად, საბანკო გარანტიით მომსახურების ხელშეკრულების დადება პრინციპალსა და გარანტს შორის, გარანტიის გაცემა, ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენა გადახდაზე, დოკუმენტების შემოწმება და გადახდა/უარი და რეგრესის უფლება პრინციპალის მიმართ. ამ პროცედურის საფეხურები სწორედ ანალიზის მეთოდის გამოყენებას ითხოვდა, ყოველი ცალკეული პროცედურის ანალიზმა უზრუნველყო საკვლევი თემის დეტალების შესწავლა.

სინთეზის მეთოდი, რაც მდგომარეობს კვლევის ობიექტთან მიმართებით ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებაში მისი ნაწილების ურთიერთკავშირის შემეცნებისთვის, გამოვიყენეთ იმისთვის, რომ ანალიზის შედეგად მიღებული ცოდნა ერთ კონტექსტში მოგვეყვანა და საერთო სურათი მიგველო კვლევის საგანთან დაკავშირებით. ამ მეთოდის რელევანტურობა გამოიხატა მეცნიერული სიახლეების გამოკვეთაში და კვლევის შედეგების ჩამოყალიბებაში.

ჩვენ ასევე მივმართეთ აბსტრაგირების მეთოდს. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა კვლევის პროცესში გამოირიცხოს კვლევის ობიექტის არაარსებითი მახასიათებლები და ყურადღება გამახვილდეს ობიექტის უფრო მნიშვნელოვან მახასიათებლებზე; აბსტრაგირების მეთოდი შერჩეული იქნა იმ მიზნით, რომ ღრმად გამოგვეკვლია მეცნიერული ჰიპოთეზის ყველა ის ნაწილი, რომლის კვლევის შედეგიც მიზანშეწონილია აისახოს კანონმდებლობაში, ცნებების და რიგი სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად და დასაზუსტებლად. ამ მეთოდმა საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა ის მეცნიერული დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს სამართლებრივი რეჟიმის სიმყარეს, ნორმის აღქმადობის სისრულეს, ამ ინსტიტუტისადმი ნდობის გამყარებას და მისი გამოყენების ზრდას.

ინდუქციის მეთოდი გამოსაყენებლად სწორედ იმიტომ შევარჩიეთ, რომ ანალიზის, აბსტრაგირების, შედარების მეთოდით მიღებული შედეგები ლოგიკურად გაგვეერთიანებინა და საერთო პროცესი გამოგვეკვეთა. დაგვედგინა მიზეზობრივი კავშირები საერთაშორისო უნიფიცირებული წესებით მოწესრიგებულ სამართლებრივ ურთიერთობებსა და სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს შორის. ეს მეთოდი გამოვიყენეთ ასევე მოქმედი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის, ქართული ცივილისტური აზროვნებისა და თეორიული ნაშრომების, დაგროვილი სამამულო და უცხოური თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შესასწავლად, რამაც მეცნიერული დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბების საშუალება მოგვცა.

დედუქციის მეთოდი გულისხმობს საერთო ნიშან-თვისებიდან კერძო ნიშნების გამოყოფას. ამ სადისერტაციო კვლევისთვის ეს მეთოდი იმ მიზნით შევარჩიეთ, რათა დავრწმუნებულიყავით, გამომდინარეობდა თუ არა ყოველი კომპონენტი მთავარი აზრიდან, ანუ მეცნიერული ჰიპოთეზიდან. ამ მეთოდმა საშუალება მოგვცა გამოგვეტანა

სწორი დასკვნები, გამოგვეყო საერთო პრინციპები, რაც აგვარიდებდა შეცდომებს კვლევაში და დაგვეხმარებოდა ფაქტობრივი სინამდვილის დადგენაში. მეთოდმა საშუალება მოგვცა ჰიპოთეტიკური ხასიათიდან კვლევის სარწმუნო შედეგებამდე მივსულიყავით.

კვლევის შერჩეულმა მეთოდოლოგიამ საშუალება მოგვცა ისეთი ურთიერთდაკავშირებული და რთული სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებსაც შეიცავს URDG 758, ეროვნული სამართლის ჭრილში ახლებური ხედვით აგვესახა რეკომენდაციების ჩამოყალიბებისთვის საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი ნორმების შემდგომი განვითარებისთვის. ზემოაღნიშნული კვლევის მეთოდებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ხასიათის მომწესრიგებელი ნორმების ზოგადი დებულებებიდან, შესწავლილი პრაქტიკიდან და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან, კვლევისთვის საჭირო ნორმების განსჯით, საშუალება მოგვცა კერძო ხასიათის მნიშვნელოვანი დასკვნები გამოგვეტანა. კვლევის შერჩეული მეთოდები დაგვეხმარა საბანკო გარანტიების კლასიფიკაციაში ტიპების და სახეების მიხედვით და ქართული ბაზრისთვის საბანკო გარანტიის სანიმუშო ტექსტის შემუშავებაში.

ეს მეთოდები დაგვეხმარა იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენაში, რაც იწვევს სასამართლოს მიერ არასწორი გადაწყვეტილებების მიღებას და საგარანტიო ურთიერთობის არასწორ გაგებას კონკრეტული ურთიერთობებიდან გამომდინარე.

შესწავლილი იქნა დოკუმენტური ოპერაციების პროცედურული მოწესრიგების მიზნით ბანკების მიერ შექმნილი შიდა რეგლამენტები საბანკო გარანტიით მომსახურების ნაწილში. შევისწავლეთ დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება კერძოდ: რეზიდენტი და არარეზიდენტი ბენეფიციარების წინადადებები და მოთხოვნები საბანკო გარანტიის ტექსტის ფორმულირებასთან დაკავშირებით, ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნები საბანკო გარანტიის მიხედვით თანხის გადახდაზე, გარანტიის თანხის გადახდისას "გონივრული ვადის" დადგენილი პერიოდები გარანტი ბანკების მიერ; რეგრესის უფლების რეალიზაციის პროცედურები პრინციპალის მიმართ. შესწავლილი იქნა საქართველოს ხუთი მსხვილი ბანკის დოკუმენტური ოპერაციების სამსახურების გამოცდილება. ჩვენი პირადი გამოცდილებაც კონკრეტულად საბანკო გარანტიებით მომსახურების ნაწილში, ათწლიან პერიოდს მოიცავს, დღემდე გრძელდება და მუდმივად განიცდის ოპტიმიზაციას საერთაშორისო წესებთან მიმართებით.

§2.2. კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად გამოვლენილია იმ ზოგადი და სპეციალური ფაქტორების ერთიანობა, რომლებიც გავლენას ახდენს საბანკო გარანტიის ინსტიტუტის არაეფექტურად ფუნქციონირებაზე;

გამოიკვეთა საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები, მომზადდა კონკრეტული წინადადებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის მიზნით, რაც კვლევის სიახლეა და პრაქტიკულადაც მნიშვნელოვანია;

საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების შესწავლის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია საბანკო გარანტიის ინსტიტუტის შემდგომი დახვეწის, განვითარების და საერთაშორისო უნიფიცრებულ წესებთან URDG N 758 ჰარმონიზაციის მიზნით.

კვლევის შედეგად დადგენილია შემდეგი გარემოებები:

- სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლში მოცემული საბანკო გარანტიის მოქმედი ცნება, თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით დასახვეწია;
- ბენეფიციარის მოთხოვნის სათანადოობა საბანკო გარანტიის არსის მთავარი მახასიათებელია და დადგენილია სამოქალაქო კოდექსის 879-ე, 885-ე და 887-ე მუხლებით. კანონის მიხედვით, მოთხოვნა წერილობითი უნდა იყოს, თან უნდა ერთოდეს გარანტიაში მითითებული დოკუმენტები; ამასთან, მოთხოვნაში აწერილი უნდა იქნეს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტი; მოთხოვნა ან მასზე თანდართული დოკუმენტები საბანკო გარანტიის პირობებს უნდა შეესაბამებოდეს. მითითებული გარემოებები ერთობლივად განსაზღვრავენ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის სათანადოობას ჯეროვანი სახით, რაც საბანკო გარანტიით გადახდის სამართლებრივი საფუძველია. რომელიმე ერთ-ერთის დაუცველობა გადახდაზე უარის თქმას იწვევს;
- საბანკო გარანტია ცალმხრივი წერილობითი არააქცესორული, აბსტრაქტული ვალდებულებაა და ფორმის თვალსაზრისით სრულდება წერილობით, (ქაღალდის მატარებელზე) ან ელექტრონულად. ასევე ბენეფიციარის მოთხოვნა წერილობითი დოკუმენტია, რომელიც სრულდება წერილობით (ქაღალდის მატარებელზე) ან

ელექტრონულად. ელექტრონული დოკუმენტის სახით გაცემული საბანკო გარანტიის ლეგიტიმურობა საქართველოს კანონმდებლობით დაუდგენელია;

- საბანკო გარანტიის გაცემისთვის უფლებამოსილ პირთა წრიდან ანუ სპეციალური სუბიექტების საქმიანობის მომწესრიგებელი კანონებიდან მხოლოდ ბანკებს აქვთ მინიჭებული პირდაპირი უფლებამოსილება გასცენ საბანკო გარანტია, სხვა სუბიექტების საქმიანობის მომწესრიგებელ კანონებში, საქმიანობის სახედ საბანკო გარანტიის გაცემის უფლებამოსილება მითითებული არ არის;
- სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს საბანკო გარანტიის აუცილებელ პირობებს და ელემენტებს, რაზეც დამოკიდებულია საბანკო გარანტიის როგორც ვალდებულების ჩამოყალიბებული ტექსტობრივი გამართულობა და ერთგვაროვნება. რაიმე სახის სანიმუშო ფორმატი პირობითი საბანკო გარანტიებისთვის თუნდაც რეკომენდაციის დონეზე საქართველოს კანონმდებლობაში არ არის;
- საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობიდან და აბსტრაქტულობიდან გამომდინარე, გარანტს არა აქვს უფლება წაუყენოს ბენეფიციარს შესაგებელი ან რამე სახის პრეტენზია მოთხოვნაზე, რაც გამომდინარეობს იმ ძირითადი ვალდებულებიდან, რის უზრუნველსაყოფადაც გარანტია გაიცა, ასევე რომელიმე სხვა ვალდებულებიდან, მათ შორის, საბანკო გარანტიის გაცემაზე შეთანხმებიდან.
- თავის შესაგებელში ბენეფიციარის წინააღმდეგ გარანტი არ არის უფლებამოსილი მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც არ არის მითითებული გარანტიაში. თუ პრინციპალმა თავისი უფლებები გარანტს დაუთმო, არც მაშინ აქვს გარანტს უფლება, ბენეფიციართან ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა მოახდინოს, თუ საბანკო გარანტიის ტექსტით არ არის გათვალისწინებული;
- საბანკო გარანტია უკვე არსებულ, მოქმედ ვალდებულებებს უზრუნველყოფს და არა სამომავლოს;
- პრაქტიკაში საბანკო გარანტიის გაცემის შემაფერხებელ გარემოებად ითვლება ძირითად ვალდებულებაში პრინციპალის მიერ ბენეფიციარისთვის საბანკო გარანტის წარდგენის ვალდებულების არარსებობა;
- არ მომხდარა საბანკო გარანტიების კლასიფიკაცია მისი სისტემატიზაციის მიზნით ტიპების და სახეების მიხედვით;
- სამოქალაქო კოდექსის 879-890 მუხლებით პირდაპირ არ არის დადგენილი საბანკო გარანტიაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა. საბანკო გარანტიის გამოთხოვა ან მასში ცვლილების შეტანა ბენეფიციარის თანხმობის გარეშე არ იწვევს სამართლებრივ შედეგს;

- პრაქტიკის მიხედვით გაცემულ საბანკო გარანტიაში ცვლილებები შედის ცალკე დოკუმენტით და ზუსტად იმეორებს საბანკო გარანტიის ტექსტობრივ ფორმატს, ამასთან საბანკო გარანტიის ვადამდე გამოთხოვის ფაქტი დღეის მდგომარეობით საქართველოში არ გვაქვს;
- ბენეფიციარის მიერ, გარანტიიდან გამომდინარე, მისი კუთვნილი მოთხოვნის მესამე პირისთვის გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დაიშვება, თუ საბანკო გარანტიითაა დათქმული, მაგრამ კანონი არ ადგენს გარემოებას, რაც უნდა დაედოს სამართლებრივ საფუძვლად ტრანსფერაციას, რათა საბანკო გარანტია არ დაემსგავსოს ფასიან ქაღალდს;
- სამოქალაქო კოდექსი იცნობს მხოლოდ პირობითი ტიპის საბანკო გარანტიას ამდენად, კანონქვემდებარე აქტებით უპირობო საბანკო გარანტიის მოთხოვნა არამართლზომიერია;
- სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის 1¹ პუნქტი ხარვეზიანია, გამოსაყენებელია ტერმინი „გარანტი“ ნაცვლად „გარანტორისა.“ რაც შეეხება მოთხოვნის წარდგენას, ელექტრონულად და ამავედროულად წერილობითი ფორმით ხორციელდება და არა ისე, როგორც მითითებულია;
- „გონივრული ვადა“ და „გონივრული მზრუნველობა“ დღეისთვის მოქმედი უნიფიცირებული წესებით ბუნდოვან ტერმინებად იქნა შეფასებული და ამის გამო შეცვლილია კონკრეტული ვადით;
- სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს გარანტის უფლებამოსილებას კონკრეტული ვადით დროებით შეაჩეროს გადახდა საბანკო გარანტიის მიხედვით, უდავო საფუძვლის არსებობისას;
- საბანკო გარანტიის მოქმედების ვადამდე შესაწყვეტად ბენეფიციარმა წერილობითი უარი უნდა წარუდგინოს გარანტს საკუთარი უფლებების გამოყენებაზე და მას უნდა დაურთოს საბანკო გარანტიის დედანი;
- სამოქალაქო კოდექსით არ არის დადგენილი პრინციპალის ვალდებულება რეგრესის წესით აუნაზღაუროს გარანტს ბენეფიციარისთვის გადახდილი თანხა.
- გარანტს არ აქვს უფლება პრინციპალისგან აინაზღაუროს თანხა, რაც გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ (შეუსაბამოდ) გადაუხადა გარანტს მაშინაც კი, თუ პრინციპალი აღნიშნულს დაეთანხმა ცალკე აქცეპტით და მისი თანხმობა გარანტიით მომსახურების ხელშეკრულებაში თავდაპირველად დათქმული არ ყოფილა;

- საბანკო გარანტია დამოუკიდებელი გარიგებაა, რომლითაც გარანტი საკუთარ ვალდებულებას ასრულებს ბენეფიციარის წინაშე, შესაბამისად მისი მეშვეობით ხდება თანხის გადახდა და არა „ანაზღაურება“ ბენეფიციარის სასარგებლოდ;
- საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია, ლოკალურ საბანკო გარანტიაში, გარანტიის თანხის უცხოური კოტირებადი ვალუტით დათქმა და გადახდა საქართველოს ტერიტორიაზე, თუ საბანკო გარანტიის თანხად უცხოური ვალუტაა მითითებული.

თავი III. განსჯა და მეცნიერული მიგნებები

§ 3.1. საბანკო გარანტია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი

დამოუკიდებელი საბანკო გარანტიის, ანუ სარეზერვო აკრედიტივის, ინსტიტუტი (stand-by letter of credit – როგორც მას იცნობს ამერიკის შეერთებული შტატების და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სამართალი და საბანკო პრაქტიკა) მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა. ის პირველად აშშ-ს შიდა ბაზარზე გამოჩნდა, მაგრამ, ბანკირთა მონაცემებით, შესამჩნევი ადგილი საერთაშორისო საბანკო ოპერაციებში 70-იანი წლების დასაწყისში დაიკავა. ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების მიერ საგრძნობი სახსრების დაგროვებამ ამ ქვეყნებს საშუალება მისცა, დიდი რაოდენობით ხელშეკრულებები დაედოთ დასავლურ ქვეყნებთან ინფრასტრუქტურის – სამრეწველო, აგრარული და სოციალური – სფეროების, ასევე ეროვნული თავდაცვის განვითარების მიზნით. სწორედ ამ მოვლენას უკავშირდება დამოუკიდებელი საბანკო გარანტიების (განსაკუთრებით კი მოთხოვნამდე გარანტიების) წარმოშობა და განვითარება ადრეულ საფეხურზე (31, 326-348). სარეზერვო აკრედიტივი საბანკო გარანტიის ნაირსახეობად შეიძლება შეფასდეს, რომელსაც დოკუმენტური ხასიათი აქვს, ე.ი. დაშვებულია შესაძლებლობა, წარმოდგენილი იქნეს სხვა დოკუმენტები გადახდაზე მოთხოვნის გარდა. ეს ინსტიტუტი რეგულირდება ISP98 დებულებებით და პირველად აშშ-ში იქნა გამოყენებული, რადგან კანონმდებლობა საბანკო გარანტიის გამოყენებას ზღუდავდა. 1995 წლიდან აშშ-ს კანონმდებლობის ლიბერალიზაციის მიუხედავად, ეს ინსტიტუტი დარჩა და ამჟამად გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში (57).

1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 205-ე მუხლის მიხედვით, გარანტია - თავდებობის სახესხვაობას წარმოადგენდა (197-ე მუხლი), ერთმანეთისგან მხოლოდ იმითი განსხვავდებოდნენ, რომ გარანტად, ქონებრივ ურთიერთობებში შეიძლება გამოსულიყო მხოლოდ დაინტერესებული ორგანიზაციის (პრინციპალის) ზემდგომი ორგანო, ხოლო თავდებად გამოსვლის უფლება ნებისმიერ პირს ჰქონდა (60).

საბჭოთა კავშირში, საბანკო გარანტია მხოლოდ საგარეო ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური კავშირებისას გამოიყენებოდა და პოსტსაბჭოთა სივრცისთვის საბანკო გარანტიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა ახალია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 1994 წელს, ახალი სამოქალაქო კოდექსის შემოღებამდე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 1994 წლის 25 მაისი დათარიღებული №12 განკარგულება სახელწოდებით ”დროებითი დებულება საბანკო დაწესებულებების მიერ სესხებთან დაკავშირებული გარანტიების გაცემისა და რეგისტრაციის შესახებ” მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავდა და ზუსტი ციტირებით მოგვყავს:

„საქართველოს ეროვნული ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენების მიზნით, საერთაშორისო საბანკო გარანტია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1. გარანტი უნდა იყოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი და/ან „ეგტო“ (OECD) ქვეყნების რეზიდენტი საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც ექვემდებარება შესაბამისი საფინანსო სექტორის ზედამხედველობის რეჟიმს;
2. გარანტის ყველაზე დაბალი გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი გაცემული სამი მსხვილი სარეიტინგო სააგენტოდან (S&P, Moody's Fitch) სულ მცირე ერთის მიერ, უნდა იყოს არანაკლებ „ A“;
3. გარანტია უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
 - 3.1. გარანტის სრული დასახელება;
 - 3.2. გარანტის საზედამხედველო ორგანოს სრული დასახელება;
 - 3.3. გარანტის სახელმწიფო რეგისტრაციის/ლიცენზიის ნომერი და თარიღი;
 - 3.4. გარანტიის კრედიტორის სრულ დასახელებას;
 - 3.5. გარანტის პირდაპირი და უპირობო ვალდებულება ეროვნული ბანკის მოთხოვნისთანავე გარანტიის თანხის ანაზღაურების შესახებ;
 - 3.6. გარანტიის თანხას და ვალუტას;
 - 3.7. გარანტიის მოქმედების ვადას;
 - 3.8. გარანტიაზე მოთხოვნის წარდგენის საშუალებას, ფორმას და ადგილს.
4. გარანტია უნდა ექვემდებარებოდეს საერთაშორისო სავაჭრო პალატის (International Chamber of Commerce) მოთხოვნადი გარანტიების უნიფიცირებულ წესებს (Uniform Rules for Demand Guarantees.)
5. გარანტია წარდგენილ უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკში SWIFT-ის მეშვეობით, შესაბამისი სტანდარტული შეტყობინების ფორმატით.“

აღნიშნული აქტი, რომელიც უკვე ძალადაკარგულია, გამოკვლევის საგანი ორი მიზეზის გამო გახდა:

პირველი - არის ერთადერთი, რომელიც ქართულ კანონმდებლობაში საერთაშორისო საბანკო გარანტიაზე და მის ფორმატზე უთითებს;

მეორე, - ჩანს მცდელობა დაამკვიდროს საერთაშორისო დონეზე მიღებული ტერმინის „Demand Guarantee“ შესაბამისი ქართული შესატყვისი „მოთხოვნადი გარანტია“.

ტერმინი „მოთხოვნადი გარანტია“, დღეს, შინაარსობრივად აღარ ასახავს საერთაშორისო უნიფიცირებული წესებით გათვალისწინებულ შინაარსს. ქართულ შესატყვისში - „მოთხოვნით გარანტია“ უფრო მისაღებია. ხსენებული ნორმატიული აქტი შეიქმნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, კომერციული ბანკებისთვის მიცემული სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად. თუ ეროვნულ ბანკს, როგორც კრედიტორს, შეეთავაზებოდა საბანკო გარანტია კომერციული ბანკის მიერ, უნდა ყოფილიყო საერთაშორისო, დაქვემდებარებოდა საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებს, უნდა ყოფილიყო მაღალი რეიტინგული და ეგთოს ქვეყნების რეზიდენტი ბანკის გაცემული, არ შეიძლებოდა ყოფილიყო არაპირდაპირი (კონტრგარანტია) და უნდა ყოფილიყო უპირობო. როგორც გამოკვლევით დასტურდება, საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი ნორმები საქართველოში მთლიანად კერძო სამართალს აქვს მინდობილი. ხსენებული აქტის სუბიექტი მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკია და სხვა პირებს არ ეხება (81). ეს ნორმატიული აქტი, ვერც ერთი მეცნიერის ყურადღების ობიექტი ვერ გახდა ალბათ იმის გამო, რომ წინ უსწრებდა სამოქალაქო კოდექსს, მაგრამ თავისი შინაარსით მნიშვნელოვანია, რადგან გარანტიის პირობებსა და ელემენტებს აზუსტებდა.

ამჯერად წამყვანი როლი, საერთაშორისო დონეზე საბანკო გარანტიისადმი მიდგომების და რეგულირების საკითხში აკისრია საერთაშორისო სავაჭრო პალატას (ICC), რომელმაც დაადგინა მსოფლიოსთვის ერთიანი უნიფიცირებული წესები დამოუკიდებელი გარანტიებისათვის URDG N 758, რაც ამოქმედებულია 2010 წლის 1 ივლისიდან. ასეთი წესები დადგენილია სხვა საბანკო ინსტრუმენტებისთვისაც და ყოველ ათ წელიწადში ერთხელ გადაიხედება ხოლმე. (96). ამავდროულად, მოქმედებს ასევე 1995 წლის 11 დეკემბრის გაეროს კონვენცია დამოუკიდებელი გარანტიებისა და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ, რომელზეც დღეის მდგომარეობით მიერთებულია ბელორუსი, გაბონი, ქუვეითი, ლიბერია, პანამა, სალვადორი, ტუნისი და ეკვადორი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კონვენციას ხელი მოაწერა, მაგრამ რატიფიკაცია არ მოუხდენია.

რუსეთი არ არის კონვენციის მონაწილე ქვეყანა. მას არც საქართველო მიერთებია. აღნიშნულ კონვენციას ნიუ-იორკის კონვენციად მოიხსენიებენ. (94), (95).

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 26.06.2007წ. N 166 ბრძანება საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ, რაც დღეის მდგომარეობით ძალადაკარგულია, უთითებდა, რომ მხარეებმა უნდა იხელმძღვანელონ საერთაშორისო უნიფიცირებული წესებით და “ამ წესების გამოყენება დაიშვება მაშინ, თუ დოკუმენტალური აკრედიტივის და დოკუმენტალური ინკასოს ტექსტში მითითებულია, რომ ექვემდებარება დოკუმენტალური ოპერაციის წარმოების უნიფიცირებულ წესებს” (82). აღნიშნული ბრძანება არ ახსენებდა საბანკო გარანტიას და მას მთლიანად კერძო სამართალს ანდობდა. ახლა ეს ბრძანება აღარ მოქმედებს. ის შეიცვალა 2015 წლის N 8/04 ბრძანებით „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“ და მასში დოკუმენტურ ოპერაციებთან დაკავშირებით არაფერია მითითებული გარდა იმისა, რომ უცხოური ვალუტით განხორციელებასთან დაკავშირებული შეზღუდვები არ ვრცელდება უცხოური ვალუტით დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების (მათ შორის, სესხის ან დეპოზიტის) ძირითადი თანხის, საპროცენტო სარგებლის, ასევე პროცენტული გამოხატულების მქონე პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმის გადახდის ოპერაციებზე (78).

საქართველოში საბანკო გარანტია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, დამოუკიდებელი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსმა ახალი სამართლებრივი ურთიერთობის სახით შემოიტანა. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო გარანტიის მარეგულირებელი ნორმები კოდექსის მიღების დღიდანვე არსებობდა, მაგრამ ბოლო ათი წელია, რაც საბანკო პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება. საბანკო გარანტიის შესახებ საკანონმდებლო რეგულირების ფორმები მწირია და კანონებს შორის ძირითადი და ერთადერთი მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსია. ამ უკანასკნელის ნორმები ბუნდოვანია, თვით ცნება, მხართა უფლებამოსილების და პასუხისმგებლობის ფარგლები დასაზუსტებელია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური კავშირების სრულყოფა საბანკო სფეროს გავლით და საბანკო ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით მიმდინარეობს (10). საბანკო გარანტიას საფუძვლად უდევს ვალდებულება გადახდის განხორციელების შესახებ. ეს ვალდებულება არააქცესორულია (დამოუკიდებელია ურთიერთობისაგან ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის, ვალდებულების შესრულება გარანტირებულია ბანკის მიერ ბენეფიციარის წინაშე და აბსტრაქტულია). ე.ი. გარანტი ვალდებული რჩება მაშინაც, როცა

ძირითადი ვალდებულება ბათილია ან გარანტიით უზრუნველყოფილი, ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში უკვე მთლიანად უკვე შესრულებულია ან შეწყდა სხვა საფუძვლებით. სამოქალაქო კოდექსი არსად უთითებს, რომ გარანტი ვალდებულია გარანტიის თანხა გადაიხადოს ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე, მაგრამ ეს თავისთავად იგულისხმება. გარანტიის ფორმულა იმდენად მკაცრია, რომ ის განისაზღვრება პრინციპით, „ჯერ გადაიხადე, შემდეგ იდავე.“ ე.ი. საბანკო გარანტიის მთავარი არსი მის დამოუკიდებლობაში და აბსტრაქტულ ბუნებაშია.

ქართველი მეცნიერების მიერ საბანკო გარანტია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვს როგორც წმინდა თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით საერთაშორისო კერძო სამართალთან მიმართებით.

URDG #758 -ის მე-5 მუხლში (96) მითითებულია მისი დამოუკიდებლობის შესახებ შემდეგნაირად: “საბანკო გარანტია თავისი ბუნებით არ არის დამოკიდებული ძირითად გარიგებაზე, ხოლო გარანტი არანაირ შემთხვევაში არ არის შეზღუდული ძირითადი გარიგებით ან დამოკიდებული ამგვარ გარიგებაზე. გარანტიის გადახდის ვალდებულება არ არის დამოკიდებული მოთხოვნაზე ან პრეტენზიაზე, რაც გამომდინარეობს ნებისმიერი ურთიერთობიდან, გარდა გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობისა.”

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით “საბანკო გარანტია ცალმხრივი გარიგება კი არ არის, არამედ ვალდებულებითი ხელშეკრულებაა, რომლის მიხედვითაც გარანტი ვალდებულია ბენეფიციარს გადაუხადოს ფული, თუ პრინციპალი (გარანტის კლიენტი) არ გადაიხდის. *condicio juris* გარემოების დადგომამდე საბანკო გარანტია დაკიდებულ მდგომარეობაშია. ოღონდ რაკი საბანკო გარანტია გაცემულია, სამართლებრივი რეჟიმი გულისხმობს წინასწარ ვარაუდს, რომ ბენეფიციარი *condicio juris* გაჩენის შემთხვევაში მყარ სამართლებრივ პოზიციას შეიძენს.”(21,15).

აღნიშნულია, რომ URDG N 458-მდე არსებულმა უნიფიცირებულმა წესებმა ვერ მოიკიდეს ფეხი საერთაშორისო ვაჭრობაში და მანამდე არსებული რიგი პრობლემებისა სწორედ URDG N 458-მა ითავა. (20,275-278).

ჩვენი კანონმდებლობით კი დუმილი მხოლოდ მაშინ ითვლება აქცეპტად, თუ წინადადების მიმღებს უკვე აქვს საქმიანი კავშირი ოფერტანტთან (მუხ.335). მეტიც, საბანკო გარანტია, როგორც წესი, გამოუთხოვადი ვალდებულებაა (მუხ. 882); რუსეთის

ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლი (92); (URDG) -ის მე-5 მუხლი; გაეროს კონვენციის მე-7 მუხლი) (96) (95). ბენეფიციარის ნებას გარანტის ვალდებულების წარმოშობისათვის მნიშვნელობა არ აქვს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ გაეროს კონვენციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საგარანტიო ვალდებულება ითვლება გამოუთხოვადად, იგი სავალდებულოა შესასრულებლად მისი გაცემის მომენტიდან და არ მოითხოვს ბენეფიციარის აქცეპტს, უფრო მეტიც, იგი შეიძლება არც კი ჰქონდეს მიღებული ბენეფიციარს. როგორც კი გარანტია გაიცემა, იგი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს გასანაღდეზად, მასში ჩადებული პირობების შესაბამისად და არ ექვემდებარება გამოთხოვას. გამომდინარე აქედან, გარანტია უნდა განვიხილოთ როგორც გარანტის ცალმხრივი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა მის მიერ საბანკო გარანტიის გაცემით.

საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი სამართლებრივი ბუნებას ასახავს კოდექსის 881-ე მუხლი, სადაც წერია, რომ ის ვალდებულება, რაც საბანკო გარანტიით გარანტმა იკისრა ბენეფიციარის წინაშე, არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც გაიცა, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გარანტიამ უზრუნველყო იმ ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულების გადახდა, რაც დაიდო გარანტის კლიენტსა და მის კონტრაგენტს შორის, ხოლო შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს გარიგება ბათილია, ამით გარანტის ვალდებულება არ წყდება და არ უქმდება. გარანტი მაინც რჩება ვალდებული გადაიხადოს გარანტიის თანხა ბენეფიციარის მოთხოვნისას. როგორც წესი, საბანკო გარანტია ტექსტობრივად შეიცავს მითითებას იმ ხელშეკრულებაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც იგი გაიცა, მაგრამ ამ მითითებას მხოლოდ იდენტიფიკაციის ფუნქცია აქვს და სხვა სამართლებრივ ტვირთს არ ატარებს. ცხადია, კანონში იგულისხმება ვალდებულების არსებობა-არარსებობის შემთხვევა, მაგრამ ეს არ ეხება გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობას. კანონში არაა მითითებული იმ ხელშეკრულების შესახებ, რაც გარანტსა და პრინციპალს შორის დაიდო იმ მიზნით, რომ დაზუსტებულიყო გარანტიის გაცემის მოტივი, მომსახურების ღირებულება და ის შედეგები, რაც მოჰყვებოდა ბენეფიციარისთვის გარანტიის მიხედვით გადახდას. ეს საკითხი წმინდა იურიდიული თეორიული მსჯელობის საგანია, რომელიც ლოგიკურად შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ვინაიდან საკითხი ეხება მხოლოდ გარანტის ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, ანუ მათ შორის საბანკო გარანტიის საფუძველზე

წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას, სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობა-არარსებობა პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის - არ მოქმედებს.

იგივე ბედი აქვს იმ ხელშეკრულებასაც, რომელიც დაიდო პრინციპალსა და გარანტს შორის, გარანტიით მომსახურების პირობების განსაზღვრისთვის. ამით კიდევ ერთხელ დგინდება, რომ გარანტია დამოუკიდებელი, აბსტრაქტული გარიგებაა, რომელიც მოქმედებს საკუთარი დათქმების შესაბამისად და მის ფარგლებში. ამ საკითხზე არსებობს საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩაიწერა, რომ საბანკო გარანტია არ იყო დამოუკიდებელი გარიგება, ის განიმარტა, როგორც საბანკო გარანტიით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ამონაწერი, მისი განუყოფელი ნაწილი და მიჩნეული იქნა დამოუკიდებელი იურდიული ძალის არმქონედ. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა ამ ნაწილში და მიუთითა, რომ საბანკო ამონაწერი დამოუკიდებელ დოკუმენტად რაიმე ვალდებულების წარმოშობის ან დადგენის სამართლებრივ საფუძვლად მიჩნეული ვერ იქნებოდა (86).

ბანკების საქმიანობა საერთაშორისო ანგარიშსწორებაში, ერთი მხრივ მოწესრიგებულია საერთაშორისო ნორმატიული აქტებით (გაეროს კონვენცია და URDG 758 და სხვ.) და საერთაშორისო პრაქტიკით, მეორე მხრივ, ეროვნული კანონმდებლობით და პრაქტიკით. ყველაზე უფრო გავრცელებული და რთული, რაც ბანკის მუშაკთა მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს, არის საერთაშორისო ანგარიშსწორებები საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლის დიდი ნაწილი საბანკო გარანტიებითაა უზრუნველყოფილი და დოკუმენტური ოპერაციების კატეგორიაშია მოქცეული. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები განსაზღვრავს ფულის მიღების სისწრაფეს. ამიტომ მხარეებს ხელშეკრულებაში ზუსტად შეაქვთ გადახდის პირობები ხარჯების გათვალისწინებით. თანამედროვე პრაქტიკაში გამოყენებულია ანგარიშსწორების ისეთი ფორმები, როგორებიცაა დოკუმენტური აკრედიტივი, ინკასო, გადარიცხვა, ავანსი, ასევე ჩეკის და თამასუქის ავალის ოპერაციები და საბანკო გარანტიები, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ გარიგების კონტრაგენტების ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის შესაბამისად, გარანტად შეიძლება გამოვიდნენ მხოლოდ ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია. ამდენად, სხვა პირებს საბანკო გარანტიებთან დაკავშირებულ

ურთიერთობებში გარანტად გამოსვლის უფლება არა აქვთ. ამავე პოზიციას იზიარებდა, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც გაეროს კონვენცია და არც URDG N 758 არ განიხილავენ საბანკო გარანტიების გაცემას - როგორც სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირთა (ბანკები, საკრედიტო დაწესებულებები და სადაზღვევო ორგანიზაციები) პრეროგატივას (URDG N 758, მე-2 მუხლი). თითქმის ანალოგიური ფორმულირებაა ჩადებული გაეროს კონვენციის მე-2 მუხლში, რომლის შესაბამისად გარანტად შეიძლება გამოვიდეს „ბანკი, სხვა დაწესებულება ან პირი“. კონვენცია არ ზღუდავს იმ პირთა წრეს, ვინც გარანტად შეიძლება გამოვიდეს. ეს საკითხი ეროვნული კანონმდებლობების გადასაწყვეტად არის მიჩნეული (95)(31, 326-348).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლში, საბანკო გარანტიის ცნება, შემდეგი რედაქციითაა მოცემული: “საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.” ამ მუხლის რედაქციიდან ირკვევა, რომ:

- საბანკო გარანტია წერილობითი დოკუმენტია;
- გაიცემა გარანტისათვის პრინციპალის თხოვნით, (იგულისხმება, რომ პრინციპალი გარანტის კლიენტია);
- გაიცემა პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი, ე.ი. უკვე არსებული ვალდებულების საფუძველზე (იგულისხმება რეალური ხელშეკრულება);
- საბანკო გარანტია ვალდებულების შემცველია;
- ემსახურება მხოლოდ ფულადი ვალდებულების შესრულებას;
- ითვალისწინებს პრინციპალის ფულადი დავალიანების გადახდას მხოლოდ ბენეფიციარისათვის (პრინციპალის კრედიტორისთვის);
- აბსტრაქტულია (გარანტისათვის არ არის მნიშვნელოვანი რა საფუძველით ვერ შეასრულა პრინციპალმა ვალდებულება, ამიტომ მას, ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე, შესაგებლის უფლება ბენეფიციარის მიმართ არ აქვს) (7,205).
- საბანკო გარანტია არ არის ფასიანი ქაღალდი (70).

ბენეფიციარმა (პრინციპალის კრედიტორმა) ფულის გადახდისთვის საჭიროა წერილობით მოსთხოვოს გარანტს გადახდა გაცემული გარანტიის მიხედვით. სამოქალაქო კოდექსის განხილული მუხლის მიხედვით უპირატესობა მთლიანად ბენეფიციარის მხარეზეა. მას შესაძლებლობა აქვს მოვალის (პრინციპალის) მიერ ფულის გადაუხდელობის შემთხვევაში, რაც დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ერგება, მიმართოს გარანტს წერილით, მოითხოვოს გადახდა და მიიღოს მოთხოვნილი თანხა. მას ამისათვის არ სჭირდება წინასწარ მიმართვა რომელიმე იურისდიქციის ორგანოსთვის, თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ასეთი მიდგომა ბენეფიციარის უფლების დასაცავად, გამოწვეულია საქონლის/მომსახურების სწრაფად მზარდი ბრუნვით როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე, როცა ყველა მხარე დაინტერესებულია ხელშეკრულებების სწრაფად შესრულებაში და მისი შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების გარემოება დადგება. “პირველივე მოთხოვნის” საბანკო გარანტიის ზოგადი მოდელი მთლიანად აკმაყოფილებს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზრის ამ პირობას. რაკი საბანკო გარანტიის ამოქმედება არ საჭიროებს სასამართლოს და აღსრულების იურდიულ პროცედურებს და ემსახურება რა ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულების სწრაფად შესრულებას, - საბანკო გარანტია უნდა განიხილებოდეს როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ყველაზე სწრაფი იურიდიული მექანიზმი. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ჩვენთვის ცნობილია უზრუნველყოფის სხვა საშუალებები, რაც გამოიყენება მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას: იპოთეკა, გირავნობა, ბე, პირგასამტეხლო, მოვალის გარანტია და თავდებობა, მაგრამ საბანკო გარანტია მათთან შედარებით ძალზე ეფექტური და სწრაფია. თუ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფად საბანკო გარანტიაა გამოყენებული, საკმარისია კრედიტორის მიერ ერთი წერილის წარდგენა გარანტისათვის ფულის მოთხოვნის შესახებ და გარანტიის გამცემს, საგარანტიო თანხის ფარგლებში უჩნდება გადახდის ვალდებულება. გარანტი იხდის იმ ვადაში, რომელიც საბანკო გარანტიაშია მითითებული. ეს დიდი სხვაობა და მოქნილობა კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის სხვა საშუალებებთან მიმართებაში განაპირობებს საბანკო გარანტიის დიდ უპირატესობას და პოპულარობას როგორც ლოკალურ ანუ ქვეყნის შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

საბანკო გარანტია საერთაშორისო საბანკო პრაქტიკით შემდეგი თვისებებით ხასიათდება:

- გაიცემა როგორც ეროვნულ ვალუტაში, ასევე ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში;

- საგარანტიო თანხის ოდენობა არ იწვევს სამოქალაქო ბრუნვისას პრინციპალის საკუთარი ფულადი სახსრების შემცირებას წინასწარი გადახდის გზით, - მის მიერ დადებული გარიგების შესრულების მიმდინარეობისას;
- გამოიყენება ანგარიშსწორების უზრუნველსაყოფად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის უკვე დადებული ხელშეკრულებების მიხედვით;
- გარანტიის გაცემისას აუცილებელი პირობაა პრინციპალსა და გარანტს შორის ხელშეკრულებით წარმოშობილი პრინციპალის ფულადი ვალდებულების არსებობა, რაც პრინციპალის წარმოდგენილ განაცხადში ან და თანდართულ ხელშეკრულებაშია მითითებული.

§ 3.2. საბანკო გარანტიის განმარტების საკითხი

დამოუკიდებელი გარანტიების შესახებ შედარებით მოცულობითია უცხოური და რუსული სამეცნიერო ლიტერატურა, ოღონდ 2005 წლამდე პერიოდისთვის. თავის დროზე, 1992 წელს გამოცემულმა URDG N 458 სამეცნიერო კვლევებს გარკვეული ბიძგი მისცა და მსჯელობაც გაიშალა გარანტიის იურდიული ბუნების საკვლევად, მაგრამ 2006-2010 წლებში არსებითად მნიშვნელოვანი საერთაშორისო უნიფიცირებული წესების გარშემო არაფერი გამოცემულა. ხოლო თავად საბანკო გარანტიის გარშემო საქართველოში 2003 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში საერთოდ არაფერი გამოცემულა. აღნიშნულს ისიც ემატება, რომ სპეციალური ლიტერატურის თარგმანები ქართულ ენაზე საერთოდ არ არსებობს. ეს ხელს უშლის ქართული ბიზნესის ხელმისაწვდომობას საერთაშორისო ვაჭრობისას ისეთ სამართლებრივ ინსტიტუტზე, როგორც საბანკო გარანტიაა.

რა ხდის საბანკო გარანტიას მიმზიდველს? - სისწრაფე, მოქნილობა, ეფექტურობა, ნაკლები ხარჯები, გასაჩივრების ნაკლები საფუძველი, სანდოობა და ავტორიტეტი, რასაც მძლავრი ფინანსური ინსტიტუტის, ბანკის ჩართულობა უზრუნველყოფს. რეალობაა ის ფაქტი, რომ არც ერთი ბიზნესმენი ან ინვესტორი არ დაიწყებს ცნობილი ქართველი მეცნიერების ნაშრომების და მონოგრაფიების კითხვას იმისთვის, როგორ უნდა გაიგოს სწორად საბანკო გარანტიის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის ნორმები. ის მხოლოდ კანონს ჩახედავს და აღმოაჩენს, რომ რიგი სამართლებრივი ურთიერთობებისა არ არის მოწესრიგებული, შესაბამისად თავს ვერ იგრძნობს დაცულად ვერც როგორც პრინციპალი, ან როგორც ბენეფიციარი. ამ გარემოებას შემაყოვნებელი ეფექტი აქვს და

ნამდვილად არ წადგება ამ ინსტიტუტისადმი ნდობას. შესაბამისად, ჩატარებული კვლევა აუცილებელი და საჭირო იყო იმ ხარვეზების გამოსაკვლევად, რაც ხელს უშლის არჩევანის შეჩერებას და მისი შემდგომი განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას.

დამოუკიდებელი გარანტია (ინგლისურად - indemnity/guarantee, (კომპენსაცია / გარანტია), ფრანგულად - Porte-fort / garantie, იტალიურად - Garanzia (bancaria)), ჩვეულებრივ ცნობილია, როგორც დამოუკიდებელი გარიგება ეს ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს ხელშეკრულების მეორე მხარეს, დარწმუნებული იყოს თავისი კუთვნილი თანხის მიღებაში გარანტისგან, თუ ხელშეკრულების მხარე არ ან ვერ იხდის და მაშინაც კი, თუ მათ შორის დადებული ხელშეკრულება ბათილია ან შეწყდა რაიმე სხვა მიზეზების გამო.

საბანკო/დამოუკიდებელი გარანტიების არსში გასარკვევად, ნათელი წარმოდგენა უნდა შევიქმნათ იმ ტერმინებსა და მათ მნიშვნელობებზე, რომლებიც გამოიყენება სამართლის წყაროებში - ეროვნულ კანონმდებლობებსა და საერთაშორისო სამართალში. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ტერმინოლოგიურად და კონცეპტუალურადაც, გარანტიების ცნება ბუნდოვანი და გაურკვეველია. დღემდე არ არსებობს გარანტიათა უნიფიცირებული განსაზღვრება (31,326-348). აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო სამართალი დამყარებულია სხვადასხვა კონცეფციაზე და გარანტიის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება (gurantee, standby letter of credit, performace bond). ამასთან, ზოგიერთი ქვეყნის იურიდიული პრაქტიკა ასხვავებს “გარანტიისა” და “საგარანტიო წერილის” ცნებებს და “გარანტიას” (gurantee) მიიჩნევს ძირითადი კონტრაქტის უზრუნველსაყოფად გაცემულ პირველად ვალდებულებად თანხის გადახდაზე, ხოლო საგარანტიო წერილს (letter of gurantee) - მეორად ვალდებულებად. ვითარება უფრო ბუნდოვანი გახადა კონტინენტური სამართლისა და საბანკო პრაქტიკის მიერ ანგლო-ამერიკული ტერმინოლოგიის გადმოღებამ. დღესდღეობით ტერმინი “გარანტია” (gurantee) შეიძლება აღნიშნავდეს როგორც უზრუნველყოფის აქცესორულ, ისე დამოუკიდებელ საშუალებას. საბანკო გარანტიაც (უზრუნველყოფის დამოუკიდებელი საშუალება) და თავდებობაც, აქცესორული საშუალება - პრაქტიკამ შექმნა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობაშიც და საერთაშორისო საბანკო ურთიერთობებშიც კვლავ იმ

მიზნით გამოიყენება ტერმინი “გარანტია”, რომ უზრუნველყოფის აქცესორული საშუალება იგულისხმოს.

ყურადღებაა გამახვილებული პრობლემებზე, რომლებიც საბანკო გარანტიებთან დაკავშირებული არასწორი ტერმინოლოგიის გამოყენებით წარმოიშობა, რაც გაუგებრობას იწვევს მხარეებს შორის და საბოლოოდ ართულებს გადახდას (57).

ანალოგიური პრაქტიკა დამკვიდრებული იყო პოსტსაბჭოურ საქართველოშიც, როდესაც საბანკო ურთიერთობებში ხშირად ხდებოდა ე.წ. “გარანტიის” გაცემა, რომელსაც თავისი იურიდიული ბუნებით უზრუნველყოფის აქცესორული საშუალების სახე ჰქონდა და ძალიან ახლოს იდგა თავდებობასთან (60).

აშშ სამართალი და პრაქტიკა შედარებით ზუსტია ტერმინის თვალსაზრისით. კერძოდ, ტერმინი „გარანტია“ გამოხატავს ვალდებულებას, რომელსაც აქვს თანაზომიერი (coextensive) და აქცესორული (დამხმარე, დამატებითი) ხასიათი ძირითადი მოვალის ვალდებულების მიმართ. ამის გამო აშშ პრაქტიკაში შემოღებულია ახალი ტერმინი – “სარეზერვო აკრედიტივი” (stand-by letter of credit), რომელიც გამოიყენება მაშინ, როცა უზრუნველყოფის დამოუკიდებელი საშუალება ცალსახად იგულისხმება. ინგლისური პრაქტიკა და სამართალი პრინციპულად არ ასხვავებს ამ ორ ტერმინს. მისთვის “გარანტია” (guarantee) ტრადიციულად გულისხმობს უზრუნველყოფის აქცესორულ ხასიათს და როგორც წესი, მოიაზრება, როგორც ძირითადი ვალდებულების ოდენობასთან გათანაბრებული და მასზე დამოკიდებული.

პ. ხოტენაშვილი აღნიშნავს, რომ ტერმინი „თავდებობა“ (suretyship), რომელიც ცხადად და არაორაზროვნად გამოხატავდა უზრუნველყოფის აქცესორულ საშუალებას, მოძველებულ ტერმინად იქცა და თითქმის აღარ გამოიყენება. ამჟამად, როგორც ჩანს, ბრიტანულ სინამდვილეში ტერმინ „გარანტიას“ (guarantee) ნეიტრალური დატვირთვა აქვს და მისი, როგორც უზრუნველყოფის საშუალების სპეციფიკური ბუნება, სხვადასხვა კონკრეტულ გარემოებაში სხვადასხვანაირად ვლინდება, თვით ამ მოდელის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე.

დამოუკიდებელი გარანტიის აღსანიშნავად ზოგჯერ ბრიტანეთში ასევე იხმარება ტერმინი “letter of credit”. მრავალ ქვეყანასა და რეგიონში კვლავ გაურკვევლობა და ბუნდოვანებაა ამ საკითხთან მიმართებით როგორც ტერმინოლოგიური, ისე

კონცეპტუალური თვალსაზრისით. ამ ბუნდოვანების გამო, დამოუკიდებელი ხასიათის მქონე ვალდებულების გამოსახატავად ხმარებაში შემოვიდა სხვადასხვა ტერმინი. „ინგლისურ და ამერიკულ იურიდიულ ენაში დამოუკიდებელი გარანტიის ვალდებულება ხშირად აღინიშნება როგორც „პირველადი“, ხოლო თავდების ვალდებულება, როგორც „მეორადი“. ასევე იხმარება ტერმინები: „ავტონომიური“, „გამოუთხოვადი“, „აბსტრაქტული“, „უპირობო“, „ნებაყოფლობითი“, „დამოუკიდებელი“, ან თვით ინსტრუმენტის პირობებში აღნიშნულია, რომ „გარანტი ვალს იხდის როგორც თავის საკუთარს“, მაგრამ ეს ტერმინებიც დამაბნეველია“ (31,326-348).

§ 3.3. საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული პრობლემები

ხსენებული ქართველი მეცნიერების ნაშრომები, რომლებიც არსებითად იხილავენ საბანკო გარანტიიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების საფუძვლებს, არსს და სამართლებრივ შედეგებს, ძირითადად სასწავლო ან დამხმარე ლიტერატურაა. „სახელშეკრულებო სამართლის“ სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ „წინამდებარე ნაშრომში მოცემული მოსაზრებები და მსჯელობა აკადემიურ და საინფორმაციო ხასიათს ატარებს და არ წარმოადგენს სამართლებრივ ან სხვაგვარ კონსულტაციას. ავტორები და რედაქტორი პასუხისმგებლობას არ იღებენ მკითხველის მიერ ნაშრომის შინაარსის ან მასში მოცემული მოსაზრებების ნებისმიერი სახით გამოყენებაზე“ (6). საბანკო საქმის ცნობილი სპეციალისტი ლ. ქოქიაშვილი საბანკო გარანტიაზე ყურადღებას არ ამახვილებს, ხოლო ვ. მოსიაშვილი, ფ. ლომიძე, ფ. ქოქოსაძე ზოგადად ეხებიან სარეზერვო აკრედიტივის, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენების სფეროებს.

იმ საკითხებს, რომლებზედაც ამ სადისერტაციო ნაშრომშია მსჯელობა, ზემოთ ხსენებულ ლიტერატურაში განხილული არ არის. ავტორებს არ განუხილავთ საბანკო გარანტიაში ცვლილების შეტანის საკითხი; ვადის გაგრძელების/შემცირების, საგარანტიო თანხის შემცირების, გარანტიის თანხის უცხოურ ვალუტაში გადახდის საკითხი. არ უმსჯელიათ გარანტიის უფლებამოსილებაზე, დროებით შეაჩეროს გადახდა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას; პრინციპალის უფლებამოსილებაზე, სასამართლო წესით შეაჩეროს საბანკო გარანტიის მოქმედება/გადახდა, ბენეფიციარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისას სასამართლო დავის დასრულებამდე; არ დასმულა პრინციპალის ვალდებულების საკითხი რეგრესის შემთხვევაში, არ არის განხილული გარემოება, გარანტიის

საწინააღმდეგოდ გადახდის შემთხვევაში მართლზომიერია თუ არა რეგრესული ანაზღაურება პრინციპალის თანხმობისას; არ განხილულა გარანტიის ვალდებულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი საბანკო გარანტიის დედნის დაბრუნების გარეშე; არ არის ნამსჯელი სახელმწიფო შესყიდვებისას არსებული მცდარი პრაქტიკის თაობაზე, უპირობო გარანტიის მოთხოვნის შესახებ მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსი ასეთს არ იცნობს. მხოლოდ ზ. გაბისონიას მონოგრაფიაშია ნამსჯელი სამოქალაქო კოდექსის ამ ნორმების ზოგიერთ რედაქციულ ხარვეზზე, რომლებიც უპასუხო კითხვებს ბადებს. არ არის ნამსჯელი გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის უფლების მესამე პირზე დათმობას (გარანტიის ტრანსფერაცია) რა სამართლებრივი ურთიერთობა უნდა დაედოს საფუძვლად, საბანკო გარანტია ფასიან ქალაქს რომ არ დაემსგავსოს; რა შედეგი მოჰყვება ისეთ გარემოებას, თუ პრინციპალმა ან ბენეფიციარმა უფლება/მოთხოვნა გარანტს დაუთმობს, ან ბენეფიციარი პრინციპალს დაუთმობს მოთხოვნას. მართლზომიერია თუ არა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა ასეთი გარემოებებისას. არ დასმულა საკითხი საბანკო გარანტიის აუცილებელი პირობებისა და ელემენტების შემოღებაზე, ელექტრონული გარანტიების ლეგიტიმაციის თაობაზე, საბანკო გარანტიის ცნების დაზუსტებაზე და ყველა იმ საკითხზე, რაც ჩვენი კვლევის ინტერესის საგანი გახდა.

ქართველი ავტორების მიზანი მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის არსებული ნორმების ირგვლივ მსჯელობაა. ამ მსჯელობას შემეცნებითი და მიმოხილვითი ხასიათი აქვს. ნაშრომების შინაარსობრივი მხარე ცხადყოფს, რომ ავტორები მხოლოდ კანონში მითითებული ნორმების შინაარსობრივი შემოფარგლნენ და ჩვენი საკვლევი საკითხების სიღრმეში არ შესულან. თუმცა, ზოგიერთი მოსაზრება ართულებს საბანკო გარანტიის არსის გაგებას, მის გაცემასა და შემდგომ მხარდაჭერას. მაგ. მითითებულია, რომ საბანკო გარანტია ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა (5, 441), რაც ასე არ არის, საბანკო გარანტია მხოლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა. გარანტიის ემიტენტები, ვერ დაასრულებენ დაუმთავრებელ მშენებლობებს, ვერ უზრუნველყოფენ საქონლის მიწოდებას პრინციპალის ნაცვლად და ა.შ., საამისოდ ისინი სპეციალური კანონებით არიან შეზღუდულები და მათი უფლება მხოლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა საბანკო გარანტიის მეშვეობით.

მეორე მოსაზრება, რომელიც საკამათოა, შემდეგია: რაკი ბენეფიციარი საბანკო გარანტიის გაცემის წინარე პროცესში არ მონაწილეობს, ამიტომაცაა, რომ კანონი ამ უკანასკნელის

მიერ გარანტიის მიღებას არ მოითხოვს (5,442). ავტორებს ალბათ ბენეფიციარის აქცეპტი აქვთ მხედველობაში ანუ ბენეფიციარის დასტური, რომ ჩაიბარა გარანტია. მიუხედავად იმისა, რომ ის გარანტიის გაცემის წინარე პროცედურაში არ მონაწილეობს, თუ გარანტია ვერ მიიღო, სხვაგვარად ვერ განახორციელებს გარანტიიდან წარმოშობილ თავის უფლებას. ასევე, თუ ბენეფიციარი უკან არ დააბრუნებს საბანკო გარანტიას და მხოლოდ წერილობით უარს იტყვის გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე ეს (889; I “გ“) ეს, შესაბამისობაში არ იქნება კანონთან და სადავო გახდება, რადგან მხოლოდ გარანტიის დედნის დაბრუნება არ ნიშნავს საბანკო გარანტიის მოქმედება შეწყდა. უფრო ძლიერი საფუძველია ბენეფიციარის წერილობითი უარი გარანტიის გამოყენებაზე, ვიდრე საბანკო გარანტიის დაბრუნება, რადგან ნება წერილობითაა გამოხატული და შეწყვეტას მყარი საფუძველი აქვს. ასევე გადასახედია მოსაზრება, რომ საბანკო გარანტიაში კონკრეტულად მიეთითება გარანტის უფლება/მოვალეობები როგორც პრინციპალის, ისე ბენეფიციარის მიმართ (5,443), გარანტიაში მხოლოდ ბენეფიციარის მიმართ მიეთითება გარანტის მოვალეობები. პრინციპალთან მიმართებით მხოლოდ დავალება და ძირითადი ხელშეკრულების მახასიათებლები აღიწერება, ისიც იდენტიფიკაციის მიზნით და ვალდებულებითი დატვირთვა პრინციპალის მიმართ არ აქვს. მოსაზრება იმის შესახებ, რომ „თუ გარანტმა განმეორებითი მოთხოვნის შემდეგ ვალდებულება პრინციპალთან ერთად შეასრულა, მაშინ გარანტს შეუძლია ორივე შესრულების უკან დაბრუნება მოითხოვოს“ (5,444-449), საბანკო გარანტიას უკარგავს არსს. ასეთ ვითარებაში, გარანტის მიერ გადახდილი თანხა ექვემდებარება დაბრუნებას. ამასთან, ბენეფიციარმა წერილობითი უარით უნდა მიმართოს გარანტს იმ უფლებების გამოყენებაზე, რაც საბანკო გარანტიის ძალით შეიძინა, ხოლო პრინციპალის გადახდა ხელუხლებლად უნდა დარჩეს. გარანტიის შეწყვეტასთან დაკავშირებით ავტორებს არსად აქვთ მითითებული, - რა უნდა დაუბრუნოს გარანტს ბენეფიციარმა, უფლება - რაც საბანკო გარანტიის ძალით მიიღო, საბანკო გარანტიის დედანი თუ ორივე ერთად. ანუ კანონის ხარვეზზე ყურადღება არ გამახვილებულა. ავტორები ასევე უთითებენ, რომ „საბანკო გარანტიის თეორიული საკითხები ქართულ იურიდულ ლიტერატურაში საკმაოდაა დამუშავებული,“ (5, 440). რომ გარანტიის უკან გამოთხოვის პირობებზე გარანტი და პრინციპალი წინასწარ უნდა შეთანხმდნენ და მაშინ გამოთხოვა შესაძლებელი ხდება. ჩვენი აზრით კი, გამოთხოვის პირობები აუცილებლად უნდა მიეთითოს საბანკო გარანტიის ტექსტში და ბენეფიციარმა უნდა იცოდეს აღნიშნულის თაობაზე, მხოლოდ პრინციპალის და გარანტის შეთანხმება არასაკმარისია.

ასევე საკამათოა მოსაზრება, რომ: „საგარანტიო წერილის გაცემა არ არის საკმარისი დასახული სამართლებრივი შედეგის დასადგომად, თუკი ბენეფიციარმა არ მიიღო იგი.“ (7,215). ვფიქრობთ, რომ სამართლებრივი შედეგის დასადგომად საბანკო გარანტიის გაცემა სრულიად საკმარისია გარანტის ვალდებულების წარმოშობის ნაწილში, მაგრამ რეალიზაციის შედეგი შეიძლება არ დადგეს, თუ ბენეფიციარის ხელში არ მოხვდება, ანუ მიზანი არ შესრულდეს, პრინციპალმა ზედმეტი ხარჯი გასწიოს, რაც უკან არ დაუბრუნდება, რადგან გარანტს შესრულებული ექნება თავისი ვალდებულება საბანკო გარანტიის გაცემით. ამ ურთიერთობაში სწორედ პრინციპალია ყველაზე მეტად დაინტერესებული პირი, რათა საბანკო გარანტია მოხვდეს ბენეფიციართან დროულად. სწორედ ამის გამოა, რომ რიგ შემთხვევებში გარანტიას პრინციპალი წარადგენს ბენეფიციართან. საერთაშორისო უნიფიცირებული წესებით, კონვენციით და სამოქალაქო კოდექსით ცხადია, რომ გარანტი, გარანტიის გაცემის მომენტიდან უკვე შებოჭილია საგარანტიო ვალდებულებით მანამ, სანამ ბენეფიციარის უარი ან გადახდაზე მოთხოვნა არ მიუვა, ან ლოკალურ გარანტიას არ გაუვა ვადა. ანუ საბანკო გარანტიის გაცემა უკვე ის სამართლებრივი შედეგია გარანტისათვის, რომელიც ვალდებულებას წარმოშობს. თუ ავტორს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ ბენეფიციარამდე ვერ მიაღწია საბანკო გარანტიამ, ეს ფაქტი მაინც არ ათავისუფლებს გარანტს ვალდებულებისგან. ხოლო თუ ტექსტი არ იქნა მოწონებული, რის გამოც გარანტია დაბრუნდა (რასაც ბენეფიციარის წერილი უნდა ახლდეს) და ბენეფიციარის სასურველი ტექსტით ხელახლა გაცა საგარანტიო წერილი, - ეს უკვე ახალი გარანტიაა და ბენეფიციარის ნებაც სახეზეა.

ბენეფიციარის ინფორმირებულობა სათანადოდ შესრულებული საგარანტიო წერილით ხდება და ეს საკმარისია იმისთვის, რომ საბანკო გარანტიამ თავისი ფუნქცია შეასრულოს. გარანტიის ნამდვილობისთვის სათანადოდ შესრულებული და ფორმის დაცვით მისი გაცემა სრულიად საკმარისია. ის გარემოება, რომ საბანკო გარანტია სისტემურად სამოქალაქო კოდექსის სახელშეკრულებო სამართლის ნაწილშია მოთავსებული, ორმხრივ ხელშეკრულებად საბანკო გარანტიას ვერ გადააქცევს. ავტორი მართალია იმაშიც, რომ „სამოქალაქო კოდექსი არ უთითებს მხოლოდ გარანტის ხელმოწერა საკმარისი თუ ბენეფიციარის ხელმოწერაც საჭიროა საბანკო გარანტიაზე.“ მეტიც, აღნიშნულზე არც საერთაშორისო უნიფიცირებული წესები და კონვენცია უთითებს, მაგრამ ეს ნორმატიული აქტები არც იმას უთითებენ, რომ საბანკო გარანტია ორმხრივი გარიგებაა. საერთაშორისო პრაქტიკით და საქართველოში დამკვიდრებული საბანკო/სასამართლო პრაქტიკით, საბანკო გარანტია ცალმხრივი გარიგებაა, რომელიც არ ითხოვს ბენეფიციარის

დადასტურებულ, ხელმოწერილ აქცეპტს. ასე რომ არ იყოს, მაშინ ყველა გარანტი ჩაწერდა საბანკო გარანტიაში რომ ძალაში შედის მაშინ, როცა ბენეფიციარი მასზე თანხმობას ან მის მიღებას (ხელმოწერით) დაადასტურებს. საბანკო გარანტიის მთავარი ღირებულება მისი გაცემისა და მოქმედების სისწრაფეა. ორმხრივობის შემთხვევაში მიმზიდველობას კარგავს და ჩვეულებრივ ხელშეკრულებას ემსგავსება.

დღესდღეობით, ყველა იმ ძირითად ვალდებულებაში, სადაც ბენეფიციარი საბანკო გარანტიის გამოყენებას აპირებს, პირდაპირ წერია, რომ საბანკო გარანტიის წარდგინება უნდა მოხდეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად და მხოლოდ საბანკო გარანტიის მიღების შემდეგ იწყებს ბენეფიციარი პრინციპალის წინაშე თავისი ვალდებულებების შესრულებას. ასეთი პრაქტიკა უჩვენებს, რომ გაცემული საბანკო გარანტიები თითქმის ყველა შემთხვევაში აღწევს ბენეფიციარამდე და რაიმე სხვა სახის დასტური საჭიროებას არ წარმოადგენს. ასევე, ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის ელექტრონულად წარდგენის დაშვება, თავისთავად არ გულისხმობს საბანკო გარანტიის ელექტრონულად გაცემის მართლობიერებას, რადგან კანონი აღნიშნულს არ ითვალისწინებს.

“საჯარო რეესტრის შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის “გ” ქვეპუნქტით, არასავალდებულო რეჟიმში, საბანკო გარანტია საჯარო რეესტრში რეგისტრაციას დაექვემდებარა (75). ეს ნიშნავს, რომ დაინტერესებული მხარის სურვილზეა დამოკიდებული, გაატარებს თუ არა რეგისტრაციაში საბანკო გარანტიას. ამის შემდეგ მომსახურების საზღაურის საკითხი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 დეკემბრის N 509 დადგენილებით დარეგულირდა და მომსახურების საფასურის განმსაზღვრელი მუხლები “საჯარო რეესტრის შესახებ” საქართველოს კანონიდან ამოღებული იქნა. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 დეკემბრის N 509 დადგენილებით (79), “საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” – (მუხ.2, ქვპ.“ი”, მუხ.6, ქვპ. “გ”), მითითებულია იგივე, რაც ადრე ხსენებულ კანონში იყო. ანუ გამეორებულია ტერმინები: “საბანკო გარანტიის წარმოშობისა და მასში ცვლილების რეგისტრაცია”; ხოლო მე-6 მუხლის “ო” ქვეპუნქტში მითითებულია - ”გარანტიის შეწყვეტა დაუყოვნებლივ”. აღნიშნულს წინ უძღოდა ცვლილებები საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის 885-წ მუხლში, რომელსაც „11“ ქვეპუნქტი დაემატა. აღნიშნული უნდა შეხებოდა ბენეფიციარის ელექტრონული ფორმატით (და არა ქაღალდის მატარებელზე შედგენილ) ბანკისათვის წარდგენილ მოთხოვნას, გარანტიის მიხედვით გადახდის შესახებ და არა ეგრეთ წოდებულ "ელექტრონულ გარანტიას." კანონმდებელი გულისხმობდა, რომ ელექტრონულად წარდგენილი ბენეფიციარის მოთხოვნის ნამდვილობისათვის საჭირო იყო საბანკო გარანტიის გაცემის ფაქტი როგორმე აღრიცხულიყო საჯარო რეესტრში, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ელექტრონული მოთხოვნების სისტემური აღრიცხვა და კონტროლი. საკითხი ეხებოდა კონკრეტულად სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ტენდერებისთვის განკუთვნილ საბანკო გარანტიებს. აღნიშნულს მოწმობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ”, (მუხ. 16) რომელიც ახსენებს ელექტრონულ საბანკო გარანტიას, მაგრამ სამოქალაქო კოდექსში ეს მხოლოდ გარანტისათვის ელექტრონულად წარმოდგენილ გადახდის მოთხოვნის ფორმატზე აისახა (84).

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.01.2011 წლის N 21 ბრძანების მე-7 მუხლში შეტანილი ცვლილებით (83), პირდაპირ დაიშვა ელექტრონული სახის საბანკო გარანტიის არსებობის შესაძლებლობა სააუქციონო გარანტიებისთვის, რაც ნიშნავს, რომ საბანკო გარანტია შეიძლება აღარ იქნეს გაცემული ქაღალდის მატარებელზე ბენეფიციარისთვის წარსადგენად და შეიძლება ელექტრონულადაც გაიცეს. აღნიშნულის შესახებ პირდაპირი ჩანაწერი სამოქალაქო კოდექსში არ არის, მაგრამ რაკი არც ამკრძალავი ნორმა არსებობს. ფაქტია, რომ სს ლიბერთი ბანკი ელექტრონულ გარანტიებს გაცემს. ჩვენი აზრით, ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ელექტრონული გარანტიის ლეგალიზაცია კანონის დონეზე უნდა მოხდეს.

საბანკო სექტორი ფრთხილად მოეკიდა ამ საკანონმდებლო ცვლილებებს, რადგან სამოქალაქო კოდექსს საბანკო გარანტიის ელექტრონული ფორმით არსებობა და მისი იურდიული ძალა არ დაუდგენია. მან დაადგინა მხოლოდ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა გარანტთან, ისიც იმ შემთხვევაში, თუ გარანტი წინასწარ წერილობით შეუთანხმდება ბენეფიციარს მოთხოვნის ელექტრონული ფორმით წარდგენაზე. ასეთი მიდგომა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საჯარო რეესტრის ელექტრონული საბანკო გარანტიის კომპიუტერულ პროგრამაში

შეიტანება მწირი ინფორმაცია, კერძოდ, საგარანტიო თანხის მოცულობა, პრინციპალი და ბენეფიციარი, ხოლო გარანტია, თავის მხრივ, შესაძლოა სხვა პირობებსაც შეიცავდეს.

სამოქალაქო კანონის ეს ცვლილება რეალურად მხოლოდ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საკითხს ეხებოდა და კანონში ასეც უნდა ჩაწერილიყო. ქართველი ავტორები უპირობო გარანტიის საჭიროებაზეც უთითებენ (46) საბაჟო გარანტიის (85) და სატენდერო გარანტიის გამოყენებისას, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით საბანკო გარანტია არის მკაცრად პირობითი დოკუმენტი. ე.წ. „უპირობო“ ნიშნავს, რომ საბანკო გარანტიით არ არის მოთხოვნილი პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის მამტკიცებელი დოკუმენტების წარმოდგენა, მაგრამ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა დამასაბუთებელი განაცხადით სავალდებულო დოკუმენტია. დღეს ყველა საჯარო სტრუქტურა უპირობო გარანტიად მიიჩნევს ისეთ ვალდებულებას, სადაც არც პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი უნდა იყოს მითითებული ბენეფიციარის მოთხოვნაში და არც დოკუმენტი უნდა ჰქონდეთ წარმოსადგენი. ანუ მოთხოვნაში წერია მხოლოდ: „საბანკო გარანტიის მიხედვით გადაგვიხადეთ ფულადი თანხა, რაც არ აღემატება გარანტიის თანხას (... „თანხის მოცულობა და ვალუტა“...) ოდენობით,“ რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს მთავრობის №11 დადგენილება „ქ. თბილისის თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მეოთხე მუხლში პირდაპირ უთითებს საბანკო გარანტიის პირობებს და ელემენტებს (80), რადგან აღნიშნული ვერ მოიძია სამოქალაქო კოდექსში. ამ მუხლის შინაარსით დგინდება, რომ საბანკო გარანტია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: გარანტის სრული დასახელება და იურიდიული მისამართი; პრინციპალის სრული დასახელება და იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი; ბენეფიციარი; გარანტიის ობიექტი და გარანტის ვალდებულება; გარანტიის მოქმედების ტერიტორია; გარანტიის თანხა და გარანტიის მოქმედების პერიოდი; დადასტურებას, რომ გარანტი იღებს გამოუწვევად ვალდებულებას, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე გადაუხადოს ბენეფიციარს ნებისმიერი თანხა ან თანხები, მაგრამ არა უმეტეს გარანტიით გათვალისწინებული თანხისა, მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

რაც შეეხება საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებს, ბანკები დიდი ხანია სარგებლობენ საბანკო გარანტიის ელექტრონული ფორმატით, რასაც „SWIFT“ სისტემის მეშვეობით აგზავნიან. ამ შემთხვევაში გარანტია შეიცავს სრულ ტექსტს და დამოწმებულია უფლებამოსილი პირის ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერით, ხოლო შესაბამისი ციფრული კოდის მეშვეობით ხდება ემიტენტის ან/და გარანტი ბანკის სრული იდენტიფიკაცია.

რუსი მეცნიერები თეორიულ-პრაქტიკულ ჭრილში განიხილავენ საბანკო გარანტიების საკითხს. რუსეთის ბაზარი სიდიდით მსოფლიოში მეორეა, ამიტომ საბანკო გარანტიებს და კონტრგარანტიებს უფრო ხშირად იყენებენ როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო ვაჭრობაში. ქვეყნის ტერიტორია დიდია და კონტრგარანტიები შიდა ვაჭრობაშიც ფართოდ გამოიყენება. ამიტომ მეცნიერულ განხილვებში პრაქტიკიდან გამომდინარე თეორიული მსჯელობაა უფრო მეტადაა წარმოდგენილი. რუსეთში მნიშვნელობას ანიჭებენ კლასიფიკაციას მხოლოდ სახეების მიხედვით და არა ტიპების მიხედვით. ტიპების და სახეების მიხედვით კლასიფიკაციას კი სისტემატიზაციას უზრუნველყოფს ერთდროულად მოქმედი მრავალი საბანკო გარანტიის ადმინისტრირებისთვის და ეს მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება დასავლეთ ევროპელ, აშშ, აფრიკისა და ავსტრალიელ მეცნიერებს, მათი კვლევები კრეატიულია და საგარანტიო შემთხვევების სამართლებრივ შედეგებს და პრაქტიკას უკავშირდება. მათ ძირითადად ყურადღება აქვთ გამახვილებული ბენეფიციარების მიერ უფლების ბოროტად გამოყენებაზე, მათ მიერ არასარწმუნო დოკუმენტების წარდგენაზე, პრინციპალის მიერ ვალდებულების შესრულებისას - ბენეფიციარების მიერ გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენის ფაქტებზე. ცხადია, რომ მათი გამოცდილება ამ ინსტიტუტის გამოყენებაში ძალიან დიდია და საერთაშორისო პრაქტიკისას კონვენციას და უნიფიცირებულ წესებს ეყრდნობიან.

განხილულმა თეორიულმა და პრაქტიკულმა გარემოებებმა, საქართველოს და უცხოური სასამართლოების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ დღემდე ყველა ქვეყანაში საბანკო გარანტიასთან მიმართებით მიდგომა საკმაოდ განსხვავებული და არაერთგვაროვანია. საბანკო გარანტიის გაცემა როგორც საერთაშორისოს/ლოკალურის და შემდგომში მათი მომსახურება დიდ ყურადღებას, სპეციალურ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას მოითხოვს.

ქართველი მეცნიერები, ისევე, როგორც უცხოელი მეცნიერები, მხოლოდ საბანკო გარანტიების რამდენიმე სახის ჩამონათვალთ იფარგლებიან და მათ კლასიფიკაციას ტიპების მიხედვით არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებენ. მაგრამ ჩვენი აზრით, საბანკო გარანტიების მომსახურების და შემდგომი მხარდაჭერისას კლასიფიკაცია სწორედ ტიპების და სახეების მიხედვით უნდა მოხდეს, რაც სისტემატიზაციას განაპირობებს, დროის ოპტიმიზაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და პროგნოზირების საშუალებას იძლევა. ისინი დეტალურად აღირიცხება ბანკების საბანკო პროგრამებში „45“ კლასის გარესაბალანსო ანგარიშებზე, ბუღალტრული აღრიცხვის და საკრედიტო ადმინისტრირების დეპარტამენტებში და მათი საერთო რაოდენობა საქართველოს მასშტაბით ძალიან შთამბეჭდავია.

§3.4. მეცნიერული მიგნებები

წინა თავებში მოყვანილი მსჯელობის შედეგად, მეცნიერული მიგნებები შემდეგნაირად ჩამოვყალიბეთ:

1) თუ ბენეფიციარის მოთხოვნა წერილობითია, წარმოდგენილია გარანტიის მოქმედების ვადაში, შეიცავს დამასაბუთებელ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველყოფაც გარანტიაა და თან წერილობით მოთხოვნას თან ერთვის ის დოკუმენტები რომლებიც საბანკო გარანტიაშია მითითებული, მაშინ ასეთი მოთხოვნა ჯეროვანია, სათანადოდაა შესრულებული და გარანტიის მიხედვით გადახდის საფუძველია. ყველა სხვა გამონაკლისი არაჯეროვნების, არასათანადობის მაჩვენებელია.

2) საერთაშორისო საბანკო გარანტიები ელექტრონული დოკუმენტების ფორმატით, SWIFT ფორმატით გაიცემა. ქართულ პრაქტიკაში არსებობს ელექტრონული საბანკო გარანტიები. ყველაზე აქტიურად გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისა და ელექტრონულ აუქციონში www.eauction.ge მონაწილეობისთვის გამოსაყენებელი საბანკო გარანტიები. სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს, რომ წერილების გაცვლასთან, სატელეგრაფო შეტყობინებასთან, ტელეასლთან ან სხვა დოკუმენტებთან ერთად, ელექტრონული დოკუმენტების გაცვლითაც შესაძლებელია

ხელშეკრულების დადება, თუ ის საშუალებას იძლევა უტყუარად დადგინდეს როგორც მისი გაგზავნის ფაქტი, ასევე მისი ტექსტი და მხარეები.

საქართველოში მოქმედებს კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემისა და მასში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს. ამ კანონით განმარტებულია ელექტრონული დოკუმენტის და მატერიალური დოკუმენტების ცნებები შემდეგნაირად: ელექტრონული დოკუმენტი – ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაციაა, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს; ხოლო მატერიალური დოკუმენტი არის ქაღალდზე ან სხვა მატერიალურ მატარებელზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც ასევე ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს (69). ვფიქრობთ, საბანკო გარანტიის მომწესრიგებელ ნორმებში დროულია მიეთითოს ელექტრონული დოკუმენტების ფორმატის ლეგიტიმურობის შესახებ, რომლის გაცემა (გაგზავნა, გადაცემა) კავშირგაბულობის არხებით ხდება.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიების ფორმის ნაწილში ყოვლისმომცველ დეფინიციას არ შეიცავს, ხოლო 238-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული ჩამონათვალი, სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან თვრამეტი წლის შემდეგ, დღევანდელი გადასახედიდან აღარ არის საკმარისი გარანტიების ბიზნესის მიზნებისთვის და ელექტრონული ფორმატის ლეგიტიმაცია უკვე საჭიროა.

3) საბანკო გარანტიის გაცემისთვის სპეციალურ სუბიექტებთან დაკავშირებით საქართველოს კანონებში სადაზღვევო კომპანიის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობის სახეების ჩამონათვალში საქმიანობის სახედ საბანკო გარანტიის გაცემის უფლების დადგენას საჭიროებს. კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის ”ბ” პუნქტი ცალსახად უთითებს, რომ გარანტიის გაცემა საბანკო საქმიანობის სახეა (71). საქართველოში ასევე მოქმედებს კანონი ”დაზღვევის შესახებ” (74), სადაც არ არის მინიშნებული საბანკო გარანტიის გაცემა. სადაზღვევო კომპანიები გასცემენ ”სადაზღვევო გარანტიას”, რაც სადაზღვევო შემთხვევას უზრუნველყოფს. მათი საქმიანობის არსია გადაიხადოს ზარალის თანხა დაზღვევის პოლისის მიხედვით. რაც შეეხება საბანკო

გარანტიებს, მათ სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლით მინიჭებული უფლების საფუძველზე გასცემენ სადაზღვევო კომპანიები. აქვე, თუ ყურადღებას მივაქცევთ საგადასახადო კოდექსის მე-15 მუხლს და მე-8 მუხლის მე-19 პუნქტს (67) და საბანკო საქმიანობის ჭრილში განვიხილავთ ამ საკითხს, ასევე გავითვალისწინებთ სამოქალაქო კოდექსის 890-ე მუხლით დადგენილ რეგრესის წესს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ საგარანტიო თანხა, ბენეფიციარისთვის მისი გადახდიდან, პრინციპალისათვის გაცემულ კრედიტად ჩაითვლება და საპროცენტო სარგებელი ერიცხება. კრედიტების გაცემა კი სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის ძირითად სახედ არ მოიაზრება, სავარაუდოა, რომ ასეთი რეგრესი ერთჯერადი გადახდით ხორციელდება მხარეთა შორის დათქმულ ვადაში.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას აწესრიგებს საქართველოს კანონი "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" (72) და რომლის მე-4 მუხლში საქმიანობის სახეები, რაც პირდაპირ არ ითვალისწინებს საბანკო გარანტიის გაცემას. სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლში მითითებულ „სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში“ მოიაზრებიან აგრეთვე საკრედიტო კავშირები, რომელთა საქმიანობაც მოწესრიგებულია საქართველოს კანონით "საკრედიტო კავშირების შესახებ" (73), რომლის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში ზუსტად არის განსაზღვრული, რა სახის საქმიანობის უფლება აქვს ამგვარ საკრედიტო დაწესებულებას. კერძოდ, "საკრედიტო კავშირი უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი საბანკო საქმიანობა: ა) მიიღოს ანაბრები მხოლოდ თავისი წევრებისაგან; ბ) გასცეს სესხები მხოლოდ თავის წევრებზე; გ) განახორციელოს ინვესტიციები; დ) გასწიოს ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება, სასესხო ვალდებულებების აღების ჩათვლით." ნათლად ჩანს, რომ გარდა ბანკებისა, ხსენებული კანონების მიხედვით საბანკო გარანტიის გაცემის უფლება პირდაპირ არც ერთს არ აქვს მინიჭებული. თუმცა „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 54-ე პუნქტით განსაზღვრულია ფინანსური ინსტიტუტების ცნება. ამ კანონის მიხედვით, ფინანსური ინსტიტუტები არიან: იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობაა ფინანსური მომსახურების განხორციელება და რომლებიც მოქმედებენ კომერციული ბანკის, სადაზღვევო ორგანიზაციის, გადამზღვეველი კომპანიის, საინვესტიციო ბანკის, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, საბროკერო კომპანიის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო კავშირის, საინვესტიციო ფონდის ან/და ფინანსური მომსახურების განმახორციელებელი სხვა ორგანიზაციის

სახით. საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია გააფართოოს და განმარტოს ფინანსური ინსტიტუტების ჩამონათვალი (70).

4) საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ნაწილის აუცილებელი დეტალების ასახვა სამოქალაქო კოდექსში არსებითია. ჩვენი მოსაზრება ამ ნაწილს მთლიანად ვასაბუთებთ URDG N 758 -ის მე-8 მუხლს და ვითვალისწინებთ ბოლო ათი წლის მანძილზე დაგროვილ პრაქტიკას. შესაბამისად, საბანკო გარანტიაში რეკომენდებულია მიეთითოს საბანკო გარანტიის მისი მთავარი პირობები და ელემენტები, არსებული პრაქტიკისა და URDG 758 -ის გათვალისწინებით, რაც ჩამოყალიბებული გვაქვს §4.8 ში და ცალკე სპეციალურად გავიტანეთ მეტი თვალსაჩინოებისთვის.

საბანკო გარანტიის აუცილებელი დეტალებისა და პირობების შესახებ URDG N 758 -ის მე-8 მუხლში მითითებულია, რომ ყველა გარანტიაში რეკომენდებულია მითითებული იქნეს ისინი. კვლევის შედეგებით დადგენილია, რომ რაიმე სახის სანიმუშო ფორმატი რეკომენდაციის დონეზე საქართველოს კანონმდებლობაში არ მოიპოვება. ყველა ბანკს სხვადასხვანაირი ტექსტი აქვს. შესაბამისად, სასურველია სამოქალაქო კოდექსში მიეთითოს აღნიშნულის შესახებ იმ სახით, როგორც აქაა მოცემული. კითხვაზე, რაშია ამისი საჭიროება, პასუხადაც კარგი არგუმენტი გვაქვს. საქართველოში შემოედინება უცხოური ინვესტიციები კომპანიებში წილების შეძენით, შვილობილი კომპანიების დაფუძნების გზით. ყველა ინვესტორი დაინტერესებულია, სამართლებრივად იქნეს დაცული იქნეს მისი ქონებრივი ინტერესი. როცა ქვეყნის ერთერთი მთავარი კანონი, სამოქალაქო კოდექსი, ისეთ არსებით პირობებს და ელემენტებს შეიცავს, რაც ახლოა მისთვის ცნობილ და აპრობირებულ საერთაშორისო მომწესრიგებელ ნორმებთან, ეს უცხოელი ინვესტორებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და კანონისადმი ნდობას უზრუნველყოფს. ქართველი ინვესტორებისთვის და ქვეყნის ფარგლებს გარეთ ბიზნესის საწარმოებლად მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან საერთაშორისო გარემოში მისთვის უკვე კარგად ცნობილი და აპრობირებული ნორმატიული ბაზით მოქმედებს. ამგვარი რეკომენდებული ტექსტი მხოლოდ დღეს მხოლოდ "სახელშეკრულებო სამართლის" სახელმძღვანელოშია მითითებული და ნორმატიულ დონეზე კი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ, ბრძანებებით დამტკიცებული ინსტრუქციებში გვევლინება. კანონის რანგში ან, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტის სახით არ მოგვეძვეება.

5) გარანტის უფლებამოსილების ფარგლები შესაზღვრია ბენეფიციარის მიმართ შესაგებლების წარდგენის ნაწილში. საბანკო გარანტიის არააქცესორულობიდან და აბსტრაქტულობიდან გამომდინარე, გარანტს არა აქვს უფლება წაუყენოს ბენეფიციარს შესაგებელი ან რამე სახის პრეტენზია მოთხოვნაზე, იმ ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე, რომლის უზრუნველსაყოფადაც გარანტია გაიცა, ასევე, რომელიმე სხვა ვალდებულებიდან, მათ შორის, საბანკო გარანტიის გაცემაზე შეთანხმებიდან, გარდა იმ შესაგებლებისა, რაც საბანკო გარანტიიდან გამომდინარეობს. აღნიშნული ამყარებს მის დამოუკიდებელ ბუნებას.

6) პრინციპალის მიერ თავისი უფლებების გარანტისათვის დათმობის შემთხვევაში გარანტს არ აქვს უფლება, ბენეფიციართან ურთიერთმოთხოვნა გაქვითოს, თუ ასეთი რამ საბანკო გარანტიის ტექსტით არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობს საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობიდან და აბსტრაქტულობიდან გამომდინარე. გარანტს არა აქვს უფლება წაუყენოს ბენეფიციარს შესაგებელი, იმ გარემოებებზე, რაც არ არის მითითებული გარანტიაში.

წინა ორი პუნქტის მიხედვით, სამართლებრივად, გარანტი ბენეფიციარს შეიძლება მიედავოს მხოლოდ იმაზე, რაც საბანკო გარანტიის ტექსტში წერია. ასევე, ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრინციპალის უფლებები რაც გარანტმა გარანტიის გაცემის შემდეგ შეიძინა, დამოუკიდებლობას ინარჩუნებს გარანტიისგან და ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლა გარანტსა და ბენეფიციარს შორის ვერ მოხდება, თუ ასეთი რამ გარანტიით არ დათქმულა. ეს გარემოებები საბანკო გარანტიის ძირითადი ვალდებულებისგან დამოუკიდებელი ბუნების თანმდევი სამართლებრივი შედეგებია და გარანტი როგორც უფლებამოსილია, ასევე შეზღუდულია გაცემული საბანკო გარანტიის ფარგლებით.

7) შემდეგი საკითხი, რომელიც განსჯას დაექვემდებარა, საბანკო გარანტიაში ცვლილებების შეტანას ეხება. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საბანკო გარანტიაში ცვლილებების შეტანას და საბანკო გარანტიის გამოთხოვის ფორმატს. გარანტიის გამოთხოვა და მასში ცვლილებების შეტანა უნდა მოხდეს იმავე რედაქციული ფორმატით, როგორითაც გარანტია გაიცა. ხოლო თუ საბანკო გარანტიის პირობებით დაშვებულია გარანტის მიერ მისი გამოთხოვა ან მასში ცვლილების შეტანა, გარანტის ვალდებულება შეცვლილად ან შეწყვეტილად ჩაითვლება გარანტის მიერ ბენეფიციარის თანხმობის მიღების მომენტიდან.

სამოქალაქო კოდექსის 882-ე მუხლით საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტის მიერ, თუ გარანტიით არ დათქმულა. მიუხედავად იმისა, რომ URDG N 758 მხოლოდ გამოუთხოვად გარანტიას ცნობს, ვფიქრობთ, რომ სამოქალაქო კოდექსის ამ მუხლის არსებული რედაქციით არსებობა, გაცილებით უმჯობესია, რადგან მეტ თავისუფლებას და არჩევანის საშუალებას იძლევა.

შედეგი, როცა ბენეფიციარი წერილობით უარს აცხადებს გარანტიით მინიჭებულ უფლებებზე ან უკან აბრუნებს საბანკო გარანტიას და შედეგი, როცა გარანტი უკან გამოითხოვს გარანტიას, - ერთი და იგივეა, ამ დროს წყდება გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე.

საბანკო გარანტიის გამოთხოვა არ უნდა განხორცილდეს ბენეფიციარის წერილობითი თანხმობის გარეშე, თუნდაც ასეთი რამ გარანტიაში დათქმული იყოს. რადგან წინასწარ განსაზღვრა, თუ რა გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს მისი გამოთხოვა, მრავალგვარი შეიძლება აღმოჩნდეს.

იგივე ეხება ცვლილებას. საბანკო გარანტია შეცვლილად ვერ ჩაითვლება ბენეფიციარის თანხმობის გარეშე, რადგან პირდაპირ ეხება მის უფლებებს. ცვლილების შეტანისას საბანკო გარანტიაში სამნაირი გარემოება არსებობს:

პირველი: როცა ბენეფიციარი ეთანხმება გარანტიაში შეტანილ ცვლილებებს;

მეორე: როცა ბენეფიციარი თავად ითხოვს გარანტიაში ცვლილების შეტანას;

მესამე: როცა შეტანილი ცვლილებების შესახებ ბენეფიციარის თანხმობა არ არსებობს, მაგრამ გადახდაზე წარმოდგენილი წერილობითი მოთხოვნაში გათვალისწინებულია გარანტიაში შეტანილი ცვლილებები და შესაბამისადაა წარმოდგენილი.

სხვა შემთხვევაში საბანკო გარანტიაში შეტანილ ცვლილებებს ბენეფიციარისთვის არანაირი ძალა არ აქვს. ეს ნიშნავს, რომ გარანტია გამოუთხოვადად შეზღუდულია მასში ცვლილების გაცემის მომენტიდან მანამ, სანამ ბენეფიციარი არ უარყოფს აღნიშნულ ცვლილებებს. ლოგიკურია ისიც, რომ ცვლილებების ნაწილობრივი მიღება დაუშვებელია და უნდა განიხილებოდეს, როგორც უარი ცვლილებაზე. აქვე გაზიარებული უნდა იქნეს URDG N 758 -ის ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული საბანკო გარანტიაში დროის მონაკვეთის დათქმა, რომელშიც ბენეფიციარს ცვლილებების უარყოფა დაეკისრება და ამ დროის გაშვების შემთხვევაში ცვლილებები ძალაში შევა.

აღნიშნულთან დაკავშირებულია შესატანი ცვლილების ან გამოთხოვის ფორმატის საკითხი, რაც იგივე არ არის, რასაც ჩვეულებრივ, წერილობით ფორმაში ვგულისხმობთ. პრაქტიკის შესწავლით დავადგინეთ, რომ გაცემულ საბანკო გარანტიაში ცვლილებები შედის ცალკე დოკუმენტით და ზუსტად იმეორებს საბანკო გარანტიის ტექსტობრივ ფორმატს, ასევე დავადგინეთ, რომ გაცემული საბანკო გარანტიის ვადამდე გამოთხოვის ფაქტი დღეის მდგომარეობით საქართველოში არ მომხდარა.

ამ საკითხზე მოკლე დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი აზრით, გარანტიის გამოთხოვა და მასში ცვლილებების შეტანა უნდა მოხდეს იმავე რედაქციული ტექსტობრივი ფორმატით, როგორც საბანკო გარანტია გაიცა. ხოლო თუ საბანკო გარანტიის პირობებით დაშვებულია გარანტის მიერ საბანკო გარანტიის შეცვლა ან გამოთხოვა, მაშინ გარანტის ვალდებულება ჩაითვლება შეცვლილად ან შეწყვეტილად ბენეფიციარის წერილობითი თანხმობის მიღების მომენტიდან.

8) ბენეფიციარის მოთხოვნის დათმობისას (გარანტიის ტრანსფერაცია) ჩვენი მოსაზრება შემდეგია: საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა სხვა პირისთვის უნდა დაიშვებოდეს მხოლოდ იმავე პირზე ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე ბენეფიციარის უფლებების იმავდროული დათმობის ან სამართალმემკვიდრეობის პირობით.

თუ საბანკო გარანტიით დაშვებულია ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის მოთხოვნის გადაცემა, ასეთი გადაცემა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ გარანტის თანხმობით, თუნდაც გარანტიაში თანხმობა წინასწარ იყოს მითითებული.

ბენეფიციარის მიერ, გარანტიიდან გამომდინარე, მისი კუთვნილი მოთხოვნის მესამე პირისთვის გადაცემას (მუხ. 883-ე) დასაშვებად მიიჩნევს, თუ საბანკო გარანტიის ტექსტშია მითითებული. URDG N 758 -ის (მუხ.33-ე) უშვებს ასეთ ტრანსფერაციას, მაგრამ იმ პირობით, თუ ამავდროულად იმავე პირზე მოხდება ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე ბენეფიციარის უფლებების დათმობა. პრაქტიკაში გამოვიკვლიეთ რამდენიმე ასეთი შემთხვევა, ყველა მათგანი ბენეფიციარის წერილობითი შეტყობინების შესაბამისად განხორციელდა, შედეგად საბანკო გარანტიაში ბენეფიციარი შეიცვალა. აქვე მივუთითებთ ისეთ გარემოებებზე, როცა ბენეფიციარი თვით გარანტზე ახდენს მოთხოვნის გადაცემას, ამგვარ გადაცემას გარანტის თანხმობა ესაჭიროება. ამ საკითხზე

მსჯელობას მივყავართ მოსაზრებამდე, რომ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა სხვა პირისთვის დაიშვება მხოლოდ იმავე პირზე ძირითადი ვალდებულებიდან წარმოშობილი ბენეფიციარის უფლებების იმავდროული დათმობის ან სამართალმემკვიდრეობის პირობით. თუ საბანკო გარანტიით დაშვებულია ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის მოთხოვნის გადაცემა, ასეთი გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ გარანტის თანხმობით.

9) სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მხოლოდ პირობითი საბანკო გარანტიის მართლზომიერებას და არ იცნობს ისეთ გარემოებას, როცა ბენეფიციარის დასაბუთებული განაცხადი, არ უნდა შეიცავდეს პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტზე მითითებას, რაც გარანტის რეგრესის უფლებას ედება საფუძველად. გარანტიის ემიტენტები სისტემატურად უთითებენ გარანტიის ტექსტში ბენეფიციარის ვალდებულებაზე, წარდგენილ მოთხოვნაში მიეთითოს პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი. შესაბამისად, კანონის ჩანაწერი „მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია“ - მათ მიერ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ ბენეფიციარის მოთხოვნაში უნდა აღიწეროს ვალდებულების დარღვევის ფაქტი და გარემოება. აღნიშნულს აუცილებლად უნდა შეიცავდეს ნებისმიერი ტიპის საბანკო გარანტია. ამჟამად სახელმწიფო სტრუქტურებში გაბატონებული მოსაზრებით, ეს მამტკიცებელი ჩანაწერია და ე.წ. უპირობო გარანტიაში საერთოდ არ უნდა ჩაიწეროს. ანუ საჯარო სტრუქტურებიდან, არის მცდელობა, შექმნან თავისთვის მისაღები ტექსტის ფორმატი და თავი დაიცვან სამოქალაქო კოდექსის იმპერატიული ნორმებისგან. ჩვენი მოსაზრებით, ამგვარი პრაქტიკა სასურველია აღარ გაგრძელდეს. ფულის გადახდას და, მით უმეტეს პრინციპალისგან ამ თანხის რეგრესის წესით ამოღებას, გამართული სამართლებრივი საფუძველი სჭირდება შესაბამისი მტკიცებულებების დართვით, რაც მყარ და მართლზომიერ სამართლებრივ საფუძველს უქმნის გარანტის რეგრესის უფლებას პრინციპალის მიმართ.

10) მნიშვნელოვანია საბანკო გარანტიების კლასიფიკაცია მათი სისტემატიზაციის მიზნით ტიპების და სახეების მიხედვით, საქართველოში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, რაც მოცემულია სპეციალურ ქვეთავში განთავსებულ ცხრილებში. ამგვარი კლასიფიკაცია მოვახდინეთ URDG N 758-ის, სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს საბანკო სისტემაში დაგროვილი პრაქტიკული მაგალითების შედეგად.

11) დოკუმენტების შემოწმების ვადის შესახებ ასევე ბუნდოვანი ვითარებაა. სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლით ასეთ ვადად მიჩნეულია „გონივრული ვადა.“ ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ დოიჩე ბანკის დირექტორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ URDG N 758 -ით დადგენილ კონკრეტულ ხუთ სამუშაო დღიან ვადაზეც უარყოფითი მოსაზრება აქვს და მეტ სიზუსტეს უჭერს მხარს. მსოფლიო ბაზარზე ბრუნვა ძალიან დაჩქარებულია და უამრავი გარიგება ელექტრონულად იდება. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მოქმედების სისწრაფემაც უნდა უპასუხოს ბაზარს. ვთვლით რომ დროულია ეს ვადა კონკრეტულ დღეთა რაოდენობით განისაზღვროს, ვთქვათ, ხუთი საბანკო დღით, მაგრამ, ამავდროულად, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გარანტს დარჩეს უფლება, საბანკო გარანტიით დაადგინოს მოთხოვნის განხილვის და გადახდის სხვა ვადაც, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტულ დღეთა რაოდენობას. ეს ეფექტურობას და სანდოობას გაზრდის და გამორიცხავს გარანტის მიერ დროის უსაფუძვლო გაჭიანურებას.

როდესაც UNCITRAL -ის მიერ URDG N 758 -ის წარდგენა მოხდა, აღინიშნა, რომ ერთ ერთი ღირსება ამ ახალი უნიფიცირებული წესებისა იყო ისეთ ტერმინზე უარის თქმა, როგორცაა „გონივრული ვადა“ და მისი შეცვლა კონკრეტული ვადით. რეალურად საბანკო გარანტიის მიხედვით, ბანკები ბენეფიციარის მოთხოვნას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნიან პრინციპალს და პასუხს ელიან. თუ გარანტი დარწმუნდება, რომ მოთხოვნა სათანადო და ჯეროვანია, ბენეფიციარს გარანტიის თანხას უხდიან და რეგრესის უფლებას იყენებენ პრინციპალის მიმართ. დრო, რომელიც მოთხოვნის მიღებიდან გადახდამდე პერიოდს მოიცავს, როგორც კვლევის შედეგად დადგინდა, არ აღემატება ხუთ საბანკო დღეს. მეტიც, ბანკები პირდაპირ საბანკო გარანტიის ტექსტში უთითებენ მოთხოვნის წარმოდგენიდან რამდენ დღეში გადაუხდიან ბენეფიციარს გარანტიის თანხას. URDG N 758 -ის მიხედვით, შემოწმების და გადახდის ვადად დადგენილია ხუთი სამუშაო დღე და ამ ვადის ათვლა იწყება ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენის მეორე დღიდან.

12) გარანტიის მიხედვით გადახდის დროებითი შეჩერების საკითხი ძალიან არსებითია. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების შესწავლისას და მოქმედი პრაქტიკის გათვალისწინებით გამოვლინდა რიგი შემთხვევებისა, როცა:

ა) მოთხოვნაზე თანდართული დოკუმენტებიდან რომელიმე არ არის სარწმუნო;

ბ) გარანტიით უზრუნველყოფილი პრინციპალის ვალდებულება ბათილი აღმოჩნდა;

გ) გარემოება, რომლის დადგომის შემთხვევაშიც გარანტია უზრუნველყოფს ბენეფიციარის ინტერესს, არ წარმოშობილა;

დ) ბენეფიციარმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უკვე მიიღო შესრულება პრინციპალისაგან ძირითადი ვალდებულების მიხედვით.

ვფიქრობთ, გადახდა გარანტიის მიხედვით უნდა შეჩერდეს კონკრეტული დღეთა რაოდენობით, რადგან ამ დროში შესაძლებელია მოხდეს რამდენიმე მოვლენა:

პირველი - პრინციპალმა შეიძლება აცნობოს გარანტს, რომ არ ეთანხმება გადახდას ზემოთ მითითებული რომელიმე საფუძველით. ასეთ ვითარებაში მან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით უნდა შეაჩეროს გადახდა გარანტიის მიხედვით. ეს გარემოება გადატვირთავს სასამართლოს და მოუხერხებელია. თუ გარანტს პირდაპირ კანონით ექნება მინიჭებული გადახდის შეჩერების უფლებამოსილება, პრინციპალის უფლება უკეთესად იქნება დაცული;

მეორე: გარანტმა შენიშნა, რომ მოთხოვნაზე თანდართული დოკუმენტებიდან რომელიმე არ არის სარწმუნო ან ყალბია;

მესამე: ბენეფიციარმა წარმოადგინა განმეორებითი სათანადო მოთხოვნა გადახდაზე, მაშინ, როცა გარანტმა უკვე გამოიყენა პირველი უარის უფლება.

ბენეფიციარის პასუხისმგებლობის საკითხი გარანტისა და პრინციპალისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის კანონით არ არის მოწესრიგებული, თუ მაგალითად, მეორე მოთხოვნის წარმოდგენისას გარანტმა თანხა გადაიხდა ისეთ ვითარებაში, როცა წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო სარწმუნო, ან წარმოდგენილი მოთხოვნა არ იყო სათანადო.

ასევე გარანტიც უნდა იყოს პასუხისმგებელი, თუ გადახდა უსაფუძველოდ შეაჩერა. ამ საკითხის მოგვარება ბენეფიციარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების აღკვეთის შესაძლებლობას აწესრიგებს, რაც ასევე შეამცირებს სასამართლო დავებს;

სამოქალაქო კოდექსი უთითებს, რომ გადახდა, ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში მაინც უნდა მოხდეს, თუ ძირითადი ვალდებულება არ წარმოშობილა, შეწყდა რაიმე მიზეზით ან ბათილია. ეს არააქცესორულობის საფუძველია,

მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების დადგომისას, გაცილებით მიზანშეწონილია არსებობდეს გარანტიის უფლება, - კონკრეტულად განსაზღვრული ვადით შეაჩეროს გადახდა ასეთი გარემოებების გამოკვლევამდე, ოღონდ იმ პირობით, რომ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს და პრინციპალს, შეჩერების მიზეზი და ვადა.

იურდიული თვალსაზრისით სასამართლო დავა შეიძლება წარმოიშვას გარანტის მეორე უარით გადახდაზე, როცა ბენეფიციარი ხელმეორედ წარმოადგენს მოთხოვნას. ამ ვითარებაში, შესაძლებელია დადგეს საფრთხე, რომ გარანტი უსაფუძვლოდ შეაჩერებს გადახდას, ამიტომ გარანტს გადახდის დაუსაბუთებელი ან უსაფუძვლო შეჩერების გამო შესაბამისი პასუხისმგებლობაც უნდა დაეკისროს. „შეჩერება“ თავიდან აგვარიდებს ბენეფიციარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების გამო სასარჩელო წარმოებებს და უფრო სამართლიან გარემოს შექმნის გარანტისა და პრინციპალისათვის. ცხადია, თუ არ არსებობს შეჩერების საფუძველი, მაშინ გარანტმა უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება და გადაიხადოს გარანტიის თანხა. განსჯის შედეგად წარმოიშვა აზრი, რომ იმ შემთხვევაში, თუ გარანტმა მოთხოვნის ხელმეორედ წარმოდგენისას თანხა ისეთ ვითარებაში გადაიხადა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო სარწმუნო ან წარმოდგენილი მოთხოვნა არ იყო დასაბუთებული, უნდა დადგეს ბენეფიციარის პასუხისმგებლობის საკითხიც, რაც უნდა გამოიხატოს გარანტისა და პრინციპალისათვის მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში საერთო წესით.

13) საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტის საფუძვლებთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რომ გარანტისათვის საბანკო გარანტიის დედნის უკან დაბრუნების საჭიროება არ არის, თუ ბენეფიციარი წერილობით გამოხატავს ნებას და უარს იტყვის, გარანტიიდან გამომდინარე, თავის უფლებებზე. სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლის პირველ ნაწილში გამოხატული სხვა საფუძვლებით საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას კი არ ესაჭიროება გარანტის უკან დაბრუნება, რაც ელექტრონული დოკუმენტით გარანტიის შემთხვევაში ისედაც გამორიცხულია.

საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტა ვადამდე, ანუ მანამ, სანამ გარანტიის მოქმედების ვადა არ დასრულებულა, სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ორი ერთდროული მოქმედებით ხდება. ბენეფიციარმა, გარანტიიდან გამომდინარე უფლებებზე უნდა თქვას უარი და საბანკო გარანტიის დედანი უკან უნდა დააბრუნოს. თუმცა ეს ქვეპუნქტი ხარვეზიანია.

„ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმისა და მათი გარანტისათვის დაბრუნებისას“ ბუნდოვანია რა იგულისხმება. რა უნდა დააბრუნოს ბენეფიციარმა საბანკო გარანტია თუ უფლება? წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, ბენეფიციარმა წერილობით უნდა თქვას უარი თავის უფლებებზე და მას საბანკო გარანტიის დედანი უნდა დაურთოს. ამ პუნქტის ხარვეზი იმაშია, რომ არ უთითებს უარის თქმის „წერილობით“ ფორმატს და ნაცვლად სიტყვის „მათი“, უნდა ეწეროს „საბანკო გარანტიის.“ ეს კი ნიშნავს, რომ უფლება კი არ უნდა დაბრუნდეს, არამედ საბანკო გარანტიის დედანი, როგორც ეს კონვენციის ნორმებითა და URDG 758-ით ირკვევა. საბანკო გარანტიის დედნის დაბრუნება მხოლოდ ერთ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ის პრინციპალს ხელზე გადაეცა, მაგრამ ბენეფიციართან არ წარუდგენია და მისი უკან დაბრუნება სურს. იმ შემთხვევაში, როცა ბენეფიციარი გადახდას ითხოვს და მოთხოვნას საბანკო გარანტიის დედანს ურთავს, ეს საბანკო გარანტიის უკან დაბრუნებად ცალსახად არ ჩაითვლება.

14) რაც შეეხება რეგრესული ანაზღაურების უფლებას, სამოქალაქო კოდექსის 890-ე მუხლის პირველი ნაწილი, ჩვენი მოსაზრებით გარანტს კი არ უნდა ანიჭებდეს უფლებას პრინციპალისაგან რეგრესის წესით მოითხოვოს გადახდა, არამედ პრინციპალი უნდა იყოს ვალდებული აუნაზღაუროს გარანტს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გადახდილი ფული. ანუ გარანტის უფლება მოითხოვოს რეგრესული ანაზღაურება პრინციპალისაგან, სასურველია, თუ შეიცვლება ან შეიცვლება პრინციპალის ვალდებულებით გარანტის მიმართ. ასეთი ვალდებულება გაცილებით მიზანშეწონილია, რადგან შეამცირებს გარანტის სავარაუდო ზიანს და აცილებული იქნება ხანგრძლივი სასამართლო პროცესი.

15) სამოქალაქო კოდექსის 890-ე მუხლის მეორე ნაწილით, გარანტი შეზღუდულია იმით, რომ წართმეული აქვს უფლება პრინციპალისაგან ანაზღაურება მოითხოვოს იმ თანხის ნაწილში, რაც ბენეფიციარს გარანტიის პირობების შეუსაბამოდ გადაუხადა ან ზედმეტი ხარჯი გასწია გარანტიით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო. თუ პრინციპალმა გარანტს თანხმობა განუცხადა, რომ აუნაზღაურებდა ასეთ ვითარებაში გადახდილ თანხას, („გარანტიის საწინააღმდეგოდ“) მოგვიანებითი აქცეპტით და არა, გარანტთან თავიდანვე დადებული „საბანკო გარანტიით მომსახურების ხელშეკრულებით,“ ვფიქრობთ, ასეთი აქცეპტის შედეგად, გარანტს უნდა აუნაზღაურდეს თანხა. ეს საკითხი მნიშვნელოვანია საგადასახადო სამართლიდან გამომდინარე იმ კუთხით, რომ

გადახდილი ფული მართლზომიერად ჩაეთვალოს ხარჯად პრინციპალს და შემოსავლების სამსახური არ მიედავოს იმ მოტივით, რომ კანონი მოგვიანებით აქცეპტს არ ითვალისწინებს.

ამ ნაწილში შეიძლება ასე ჩამოვყალიბდეთ: გარანტს არ აქვს უფლება მოსთხოვოს პრინციპალს ფულადი თანხის ანაზღაურება, რაც გადახდილი იქნა ბენეფიციარისთვის საბანკო გარანტიის პირობებთან შეუსაბამოდ ან გარანტიის ვალდებულების დარღვევის გამო ბენეფიციარის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პრინციპალთან გარანტიის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ან თუ პრინციპალმა თანხმობა განაცხადა ამგვარ გადახდაზე.

16) საბანკო გარანტიის ცნება (მუხ. 879) არასრულყოფილია. პირველ რიგში, ვფიქრობთ, რომ ტექსტი: "საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას" უნდა აისახოს საბანკო გარანტიის ცნებაში და სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლიდან 879-ე მუხლში უნდა გადავიდეს.

17) სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის 1¹ პუნქტი ერთდროულად ორ ხარვეზს შეიცავს. პირველია ტერმინი „გარანტორი“, რომელიც აქ არის მოხსენიებული, უნდა გასწორდეს ტერმინით „გარანტი“, რასაც მართებულად აღნიშნავს ზვიად გაბისონია თავის მონოგრაფიაში და უდავოდ გასაზიარებელია (1,232). მეორე, ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენა, რა თქმა უნდა, წერილობით ხდება, მაგრამ ელექტრონულად. ცვლილებისას, კანონმდებელს ალბათ მხედველობაში ჰქონდა, რომ მატერიალური დოკუმენტის წარდგენა არ ყოფილიყო სავალდებულო, მაგრამ შინაარსობრივად ეს არ იკვეთება. პრაქტიკაში ბანკები ელექტრონულად იღებენ წერილობით მოთხოვნას და კიდევაც აკმაყოფილებენ. ამ ხარვეზების გასწორება სასურველია.

18) ვინაიდან საბანკო გარანტია დამოუკიდებელი და აბსტრაქტული ბუნების ცალმხრივი გარიგებაა, რომლის ძალითაც გარანტი საკუთარ ვალდებულებას ასრულებს ბენეფიციარის წინაშე, გარანტი ბენეფიციარისთვის თანხის „ანაზღაურებას“ კი არ ახორციელებს, არამედ იხდის. აქვე უნდა ითქვას, რომ 890-ე მუხლის მეორე პუნქტში მითითებული ტექსტი „რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ“ სასურველია შეიცვალოს შემდეგნაირად: რომელიც გადახდილი იქნა ბენეფიციარისთვის გარანტიის პირობების შეუსაბამოდ.“

19) საფინანსო ინსტიტუტები პრაქტიკაში არ ითვალისწინებენ გარანტიის ბუნებას უზრუნველყოს შესასრულებელი ფულადი ვალდებულება. გარანტიის გაცემისას, მათ მიერ ყურადღება არ უნდა მიექცეს, არის თუ არა ჩაწერილი ძირითად ვალდებულებაში პრინციპალის მიერ ბენეფიციარისთვის საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში გარანტიის გაცემისგან თავის შეკავება არასწორია. გარანტიის გასაცემად საკმარისია პრინციპალის ფულადი ვალდებულება არსებობდეს ბენეფიციარის მიმართ. თუ ძირითად ვალდებულებაში არ წერია პრინციპალის ვალდებულება წარუდგინოს ბენეფიციარს საბანკო გარანტია, არ უნდა იყოს საბანკო გარანტიის გაცემის შემაფერხებელი გარემოება.

20) გარანტიის გადახდის ვალუტის საკითხზე, როგორც ემპირიულმა კვლევამ აჩვენა, - საქართველოში მოქმედ ბანკებში ერთგვაროვანი მიდგომა არ არის. ამიტომ სპეციალურად ვიმსჯელებთ აღნიშნულზე და დავასაბუთებთ სამართლებრივ საფუძვლებით, რომ გარანტიის თანხის უცხოურ ვალუტაში მითითება და გადახდა საქართველოს ტერიტორიაზე მართლზომიერია.

კვლევის შედეგების ძლიერი მხარეა მეცნიერული მიგნებები და სიახლეები, რადგან ამ საკითხებზე ჩატარებული კვლევები ერთ-ერთი პირველთაგანია. კარგად შემუშავებული პროექტი საკანონმდებლო ცვლილებებისთვის. მხარეთა თანასწორობის პრინციპის დამკვიდრება, ბენეფიციარის და გარანტის უფლებებისა და პასუხისმგებლობის დადგენილი ფარგლები, გარანტიის აუცილებელი პირობები და ელემენტების შერჩევა, საბანკო გარანტიაში ცვლილებების საკითხის მოწესრიგება, ელექტრონული გარანტიის ლეგიტიმაციის გადაწყვეტა, გარანტიის შეწყვეტის საფუძვლების დაზუსტება ცნების დაზუსტება და გარანტიების სისტემატიზაცია. სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ რიგი ურთიერთობებისა, ვერ იქნა შესწავლილი მასზე საბანკო/სასამართლო პრაქტიკის არარსებობის გამო და მხოლოდ თეორიულად ავსახეთ. მაგალითად, საკითხი, როცა საბანკო გარანტიის ვადა არ გასულა, ბენეფიციარმა გარანტია უფლებებზე უარის განუცხადებლად დააბრუნა, შემდეგ კი გადახდაზე მოთხოვნა წარმოადგინა, არის თუ არა გარანტი ვალდებული გადაიხადოს. ასევე, შესაძლებელია თუ არა გარანტიამ უზრუნველყოს სამომავლო ფულადი ვალდებულება, რადგან პირდაპირ არსადაა მითითებული. როგორ უნდა იმოქმედონ გარანტიის მხარეებმა დაუძლეველი ძალის გარემოებებში, თუ ფორსმაჟორი ხელს უშლის მოთხოვნის წარდგენას, ან დოკუმენტების შემოწმებას, ან გადახდას და რა გავლენა ექნება ვადებზე. რამდენად მართებული

მხარდაჭერა ექნება ე.წ. უპირობო გარანტიების საკითხის გადაწყვეტას, რადგან დღეს მოქმედი პრაქტიკა არც საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებს შეესაბამება და არც ჩვენს კანონმდებლობას. გადაიხედება თუ არა არსებული ტერმინები, საჭიროებს თუ არა გარანტიის წმინდა დოკუმენტური ბუნების დადგენა საკანონმდებლო დონეზე. ეს საკითხები დამატებით კვლევას საჭიროებს, როგორც კი საამისო პრაქტიკა შესაბამის თეორიული კვლევის საფუძველს გააჩენს. ამ საკითხებზე ნამსჯელი გვაქვს, რაც კარგი თეორიული საფუძველია სამომავლო კვლევებისათვის.

§ 3.5. საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით

3.5.1. URDG N 758 -ის წესების გამოყენება

საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებში URDG N 758 პირველ მუხლში წერია, რომ ეს წესები გამოიყენება ნებისმიერი სახის გარანტიისთვის ან კონტრგარანტიისთვის, თუ მასში მითითებულია დაქვემდებარება URDG 758 -ზე. ასევე მითითებულია, რომ თუ ინსტრუქციის გამცემი მხარე (პრინციპალი) გარანტისადმი მიცემულ ინსტრუქციაში გარანტიის გაცემის შესახებ გამოხატავს ნებას, რომ გარანტია ექვემდებარებოდეს URDG-ს, მაგრამ არ მითითებია პუბლიკაციის ნომერი, იგულისხმება, რომ მან მიიღო უფლებები და მოვალეობები URDG N 758 -ის შესაბამისად. იქვე ნათქვამია, რომ 2010 წლის 1-ელ ივლისს ან ამ თარიღის შემდეგ გაცემულ გარანტიებზე, ასევე გავრცელდება URDG N 758, თუ ტექსტში მითითებულია, რომ ექვემდებარება URDG -ს და მაგრამ არ მითითებულა, რომელ პუბლიკაციას ექვემდებარება, 1992 წლისას თუ 2010 წლისას, ან მასში არ არის მითითებული პუბლიკაციის ნომერი. ახალი უნიფიცირებული წესების პირველმა მუხლმა, ასეთი ჩანაწერით მოაწესრიგა იმ გარანტიების სამართლებრივი რეჟიმიც რომელიც ამ წესების ამოქმედებამდე გაიცა ან/და მოქმედებდა ამ წესების ძალაში შესვლის მომენტისთვის. როგორც კვლევამ აჩვენა, საქართველოში მოქმედი პრაქტიკის მიხედვით, URDG N 758 გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე იმ შემთხვევებში, თუ გარანტიის მიხედვით ბენეფიციარია სახელმწიფო სტრუქტურა - შემოსავლების სამსახური ან შესყიდვების სააგენტო. ეს დაწესებულებები და სხვა საჯარო სამართლის იურდიული პირები პირდაპირ ითხოვენ, რომ გაცემული გარანტიები დაექვემდებაროს URDG N 758 -ს. კვლევის შედეგებით დადგენილი იქნა, რომ საერთაშორისო გარანტიებში ეს დათქმა თითქმის ყოველთვის გამოიყენება. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საქართველოში,

ქვეყნის შიგნით კონტრგარანტია არ გამოიყენება, რადგან პრაქტიკაში ბენეფიციარები ითხოვენ იმ ბანკების გარანტიებს რომლებსაც მინიჭებული აქვთ Fitch – ის რეიტინგი და ცნობადი ბანკები არიან, ან იმ ბანკების გარანტიებს, რომლების კლიენტებიც თავად არიან. საქართველოს ტერიტორია მცირეა და აქ მოქმედი ბანკები ცნობადია რეზიდენტი მეწარმეებისთვის და ფიზიკური პირებისთვის. ამდენად ქვეყნის შიგნით კონტრგარანტიის გამოყენების საჭიროება არ არსებობს, მაგრამ საქართველოს ბანკების მიერ გაცემული საერთაშორისო გარანტიები, ანუ რომლის ბენეფიციარებიც არარეზიდენტები არიან, იზიარებენ URDG 758-ს პრინციპებს და გამოყენების წესებს.

3.5.2. ტერმინები URDG 758-ში

ავიზირების მხარე (URDG 758) - მხარე, რომელიც ავიზირებას უკეთებს გარანტიას გარანტის თხოვნით.

საქართველოს კანონმდებლობა ამ ცნებას არ განმარტავს, ის საერთაშორისო პრაქტიკით და ჩვეულებებით ან საერთაშორისო უნიფიცირებული წესების შესაბამისად გამოიყენება. ავიზო³ გამოიყენება საერთაშორისო გარანტიებში, როდესაც გარანტია იგზავნება სვიფტის ან სხვა ელექტრონული ფორმატით. ჩვეულებრივ ავიზოს გამცემი არის გარანტიის გამცემი ბანკი.

აპლიკანტი (URDG 758) - გარანტიაში მითითებული მხარე, რომლის ძირითად ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება უზრუნველყოფილია გარანტიით, ანუ ინსტრუქციის გამცემი მხარე.

საქართველოს კანონმდებლობით, აპლიკანტი - სამოქალაქო კოდექსის 879 -ე მუხლში მითითებულია, როგორც „სხვა პირი (პრინციპალი)“, რომლის თხოვნითაც გარანტი კისრულობს წერილობით ვალდებულებას გადაუხადოს პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულადი თანხა ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. პრინციპალი კონკრეტული ბანკის კლიენტია, რომელიც წერილობით განაცხადს აკეთებს ბანკის მიმართ და ითხოვს დაუდგეს გარანტად ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ფულადი

³ ავიზო (იტალ. avviso) — საქმიან წრეებში და განსაკუთრებით საბანკო პრაქტიკაში ნიშნავს ოფიციალურ შეტყობინებას ანგარიშსწორების ან სასაქონლო ოპერაციის შესრულების შესახებ. ავიზო ეგზავნება ერთი კონტრაგენტის მიერ მეორეს.

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ 1992 წლის უნიფიცირებული წესები N 458 იყენებდა ტერმინს „პრინციპალი“, მაგრამ ახალ წესებში ტერმინი შეიცვალა.

ავტენტიფიცირებული (URDG 758) - ეს ტერმინი გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტებისთვის და ნიშნავს, რომ მხარეს, რომელსაც წარედგინა დოკუმენტი, შეუძლია ცალსახად განსაზღვროს გამგზავნი და დარწმუნდეს, რომ მიღებული მონაცემები სრული და შეუცვლელია;

ელექტრონული გარანტიის ცნებას სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს, მაგრამ საქართველოში მოქმედებს კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის და მასში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს (69). ამ კანონით განმარტებულია ელექტრონული დოკუმენტისა და მატერიალური დოკუმენტების ცნებები შემდეგნაირად: ელექტრონული დოკუმენტი – ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაციაა, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს. ხოლო ამავე კანონის მიხედვით, მატერიალური დოკუმენტი არის ქაღალდზე ან სხვა მატერიალურ მატარებელზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც ასევე ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს (69). საერთაშორისო გარანტიებში სვიფტის და სხვა ელექტრონულ ფორმატებში ავტენტურობის მოთხოვნა მთლიანად დაცულია (56).

ბენეფიციარი (URDG 758) - მხარე, რომლის სასარგებლოდაც გაცემა გარანტია; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (879-ე მუხლი) ბენეფიციარს განმარტავს, როგორც პრინციპალის კრედიტორს, რომელსაც გარანტმა უნდა გადაუხადოს ფულადი თანხა სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით გაცემული საბანკო გარანტიის ძალით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად.

სამუშაო დღე (URDG 758) - დღე, როდესაც საქმიანობის ადგილი ღიაა ასეთი ოპერაციის ჩასატარებლად.

საქართველოს კანონმდებლობით, სამოქალაქო კოდექსის 127-ე მუხლი განსაზღვრავს მოქმედების შესრულების ვალდებულებას გამოსასვლელი ან სადღესასწაულო დღის მომდევნო პირველ სამუშაო დღეს, - იმ შემთხვევაში, თუ მოქმედების შესრულების დღეს დაემთხვევა გამოსასვლელი დღე. კომერციული ბანკების შესახებ საქართველოს კანონი ადგენს ცნებას „საბანკო დღე“, რომელიც საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, მოიცავს დადგენილ სამუშაო დღეებს და ასევე იმ დღეებს, რომელსაც ეროვნული ბანკი სამუშაო დღედ გამოაცხადებს კომერციული ბანკებისათვის. (61) (71).

მოთხოვნის სათანადო წარდგენა გარანტიის მიხედვით (URDG 758) - ნიშნავს გარანტიის ტექსტში მითითებული პირობების შესაბამის წარდგენას, ასევე URDG 758-ის წესების დაცვას, რამდენადაც ის ეთანხმება ამ წესებს და თუ ამ წესებზე არ არის დაქვემდებარებული, საერთაშორისო საბანკო პრაქტიკას მოთხოვნით გარანტიების მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლში „მოთხოვნის წარდგენის ფორმა“ - მითითებულია, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. სამოქალაქო კოდექსის ეს ნორმა თითქოს ამომწურავია, მაგრამ მხოლოდ წარდგენის ფორმა არ არის საკმარისი, აუცილებელია მისი სათანადობის დაცვა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გარანტიით გადახდის მისაღებად.

მოთხოვნა (URDG 758) - ბენეფიციარის ხელმოწერილი დოკუმენტი, რაც შეიცავს გადახდის მოთხოვნას გარანტიის მიხედვით.

აღნიშნული განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით. ცხადია, იგულისხმება, რომ მოთხოვნა წერილობითი უნდა იყოს და ხელმოწერილი უნდა იყოს ბენეფიციარის მიერ. თუმცა სასურველია აღნიშნულიც იყოს მითითებული.

გარანტია მოთხოვნით ან გარანტია (URDG 758) - ნიშნავს ნებისმიერ ხელმოწერილ ვალდებულებას, მისი სახელწოდებისა და აღწერის მიუხედავად, რაც ითვალისწინებს გადახდას სათანადო მოთხოვნის წარმოდგენისას.

სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება განსაზღვრავს გარანტიის ცნებას, მაგრამ როგორც 5.1. ქვეთავშია მითითებული, შესავსებია კონკრეტული მაკვალიფიცირებელი ნიშნებით მისი შემდგომი სრულყოფისთვის.

გარანტი (URDG 758) - ნიშნავს მხარეს, რომელმაც გასცა გარანტია და ნიშნავს მხარეს, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახსრებით(ხარჯით).

გარანტის საკუთარი ჩანაწერები (URDG 758) - ნიშნავს გარანტის ჩანაწერებს, თანხების ჩარიცხვისა და ჩამოწერის შესახებ ანგარიშებზე, რომლებიც იწარმოება გარანტთან იმ პირობით, რომ ასეთი ჩარიცხვები ან ჩამოწერები იძლევა საშუალებას გარანტმა შეძლოს იმ გარანტიის იდენტიფიცირება, რომელსაც ისინი ეხება.

ინსტრუქციის გამცემი მხარე (URDG 758) ნიშნავს მხარეს (კონტრგარანტისგან განსხვავებულს), რომელიც გასცემს ინსტრუქციას გარანტის ან კონტრგარანტის გაცემაზე და პასუხისმგებელია გარანტის ან კონტრგარანტის სასარგებლოდ. ინსტრუქციის გამცემი მხარე შესაძლოა იყოს ან არ იყოს აპლიკანტი.

ვადის ამოწურვა (URDG 758) - ნიშნავს ვადის გასვლის თარიღს, ან მოვლენას, რომელიც უთითებს ვადის გასვლაზე, ხოლო თუ ორივეა მითითებული, - რომელიც უფრო ადრე დგება.

სამოქალაქო კოდექსის 123-ე მუხლში მითითებულია დროის პერიოდის დათვლის წესი, რომლის მიხედვითაც დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. ხოლო ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით, წლით, ნახევარი წლით, კვარტლით, მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს. თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო გარანტიის მომწესრიგებელ ნორმებში აღნიშნული პირდაპირ არ არის მითითებული, ვთვლით რომ სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად შეიცავს ვადის დათვლის წესს. არსებული პრაქტიკის კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ყველა საბანკო გარანტიაში კონკრეტულადაა მითითებულია გარანტიის მოქმედების დასრულების თარიღი.

ვადის ამოწურვის თარიღი (URDG 758) - გარანტიაში მითითებული თარიღი, არაუგვიანეს რომლისაც უნდა მოხდეს წარდგენა.

საქართველოს კანონმდებლობით, აღნიშნული გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის მუხლის 889-ე მუხლის მე-2 პუნქტით. ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა. ასევე 885-ე პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში კი აღნიშნავს, რომ გარანტის ვალდებულება წყდება იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა. ვთვლით რომ ეს საკითხი დამაჯერებლად და ამომწურავად არის მოწესრიგებული.

ხარჯები (URDG 758) - ნებისმიერი საკომისიო, საპროცენტო სარგებელი, გაწეული ხარჯი ან დაკავებული ფული, რაც გაიღო გარანტიის ფარგლებში ნებისმიერმა მხარემ და ექვემდებარება ამ წესებს.

სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლის პირველი ნაწილში მითითებულია, რომ: საბანკო გარანტიის მიცემისათვის პრინციპალი უხდის გარანტს შეთანხმებულ საზღაურს. საქართველოში არსებობს რამდენიმე სახის საკომისიო, პირველი არის გარანტიის გაცემის საზღაური, 30 ლარის ოდენობით, მეორე არის გარანტიაში ცვლილების შეტანის საზღაური, რომელიც შეადგენს 50 ლარს, სხვა საზღაური დამოკიდებულია გარანტიის ტიპზე, დაფარულია თუ დაუფარავი. თუ გარანტია დაუფარავია მაშინ გარანტიის თანხას ერიცხება წლიური ექვსი პროცენტი, რაც ყოველთვიური გადასახდელია პრინციპალის მიერ. თუ გარანტია დაფარულია - ე.ი. უზრუნველყოფილია საბანკო ანგარიშზე გაჩერებული ფულით, მაშინ ტარიფი მცირეა, თვეში 30 ლარამდე. გარანტიით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით, ყველა სხვა ხარჯი, რაც შეიძლება წარმოიშვას გარანტიით მომსახურების პერიოდში, პრინციპალს ეკისრება.

დოკუმენტი (URDG 758) - ხელმოწერილი ან ხელმოუწერელი ინფორმაციული ჩანაწერი, შესაბამისად, ქალაქის მატარებელზე ან ელექტრონული ფორმით, რომელიც შეიძლება იყოს სათანადოდ აღქმული იმ პირის მიერ, ვისაც წარედგინა. ამ წესების მიხედვით, დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მოთხოვნას ან დასაბუთებულ განაცხადს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში მოქმედებს კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ, მაგრამ სასურველია აღნიშნულის

თაობაზე მიეთითოს საბანკო გარანტიის მომწესრიგებელ ნორმებში (69). მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი 2008 წლიდანაა ამოქმედებული (69), სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლს მაინც დაემატა 1¹ პუნქტი, მოთხოვნის ელექტრონულად წარდგენის შესახებ. როგორც ჩანს, კანონმდებელმა არ მიიჩნია საკმარისად მოქმედი კანონი და სამოქალაქო კოდექსში დამატება შეიტანა. ეს თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ამ მიმართულებით არსებული მუხლების შევსება სასურველია.

წარდგენა (URDG 758) - ნიშნავს გარანტისათვის დოკუმენტის ჩაბარებას და პირადად გადაცემას. მათ შორის განსხვავებულს მოთხოვნისგან თავისი მიზნით, მაგალითად, ვადის ასათვლელად, გარანტიის თანხის შესაცვლელად.

სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ტერმინს „წარდგენა“, რაც მხოლოდ გადახდის შესახებ მოთხოვნის წარდგენას ეხება. საერთაშორისო წესებში წარდგენას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს.

ძირითადი გარიგება (URDG 758) - ხელშეკრულება, ტენდერის/კონკურსის პირობები ან სხვა ურთიერობა აპლიკანტსა და ბენეფიციარს შორის, რაზეც დაფუძნებულია გარანტია.

სამოქალაქო კოდექსის 881-ე და 887-ე მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებულია, როგორც ძირითადი ვალდებულება.

წარმდგენი (URDG 758) - პირი, რომელიც ახორციელებს წარდგენას ბენეფიციარის სახით ან მისი სახელით ან, აპლიკანტის სახით ან მისი სახელით, გარემოებიდან გამომდინარე;

ხელმოწერილი (URDG 758) - დოკუმენტთან, ასევე გარანტიასთან ან კონტრგარანტიასთან მიმართებით, ნიშნავს, რომ დედანი ხელმოწერილია მისი გამცემის ან წარმომადგენლის მიერ, როგორც ელექტრონულად, რომლის ავთენტურობის დადგენა შესაძლებელია მეორე მხარის მიერ, რომელსაც ეს გარანტია ან კონტრგარანტია წარედგინა, ასევე საკუთარი ხელით შესრულებული ხელმოწერა, ფაქსიმილე, პერფორმირებული ხელმოწერა, შტამპის, სიმბოლოს ან სხვა მექანიკური საშუალების გამოყენებით.

დამასაბუთებელი განცხადება (URDG 758) ნიშნავს განცხადებას, რაც მითითებულია 15(a) ან 15 (b) ქვეპუნქტებში.

ძირითადი გარიგება (URDG 758) ნიშნავს ხელშეკრულებას, ტენდერის პირობას ან სხვა ურთიერთობას ბენეფიციარსა და აპლიკანტს შორის, რაზეც დაფუძნებულია გარანტია.

3.5.3. URDG N 758 -ის ახსნა-განმარტებანი

(a) გარანტის ფილიალები/განყოფილებები სხვადასხვა ქვეყანაში განიხილება როგორც გარანტის დამოუკიდებელი ორგანიზაციები.

საქართველოს კანონმდებლობა რაიმე დეფინიციას არ შეიცავს, რადგან გარანტიას გასცემენ მხოლოდ იურიდიული პირები, ხოლო ფილიალები და განყოფილებები არ არიან იურიდიული პირები და არ განიხილებიან, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციები. საქართველოს რეზიდენტი ბანკებიდან ფილიალი ან განყოფილება სხვა ქვეყანაში არავის აქვს გახსნილი. არსებობს მხოლოდ ორი წარმომადგენლობა სს თიბისი ბანკის - აზერბაიჯანში და სს საქართველოს ბანკის - ისრაელში, რომლებიც დამოუკიდებელ ორგანიზაციებად არ მოიაზრებიან.

(b) ნებისმიერი მოთხოვნა ერთი, ან რამდენიმე დოკუმენტის წარდგენაზე, შესრულებულად ითვლება დედნის, ან ელექტრონული დოკუმენტის ასლის სახით ერთი ელექტრონული დოკუმენტის წარდგენით.

საქართველოს კანონმდებლობა საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი ნორმებში აღნიშნულზე არაფერს ამბობს, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლი მსგავსი ნორმაა, რომელსაც აკლია ელექტრონული დოკუმენტის მითითება ჩამონათვალში. აღნიშნულ საკითხზე ჩვენი მოსაზრება და რეკომენდაცია მითითებულია ამ ნაშრომის ბოლოს.

(d) თარიღების გამოყენებისას „-დან,“-მდე,“ დროის პერიოდთან მიმართებაში ნიშნავს - მითითებული თარიღის „ჩათვლით“; ხოლო “-მდე”, [ადრე] „შემდეგ“ - გამორიცხავს მითითებულ თარიღს.

(e) ტერმინი „მიმდინარეობისას“ გამოიყენება პერიოდთან მიმართებით კონკრეტული თარიღის ან მოვლენის დადგომის შემდეგ, ასეთი თარიღი ან მოვლენის დადგომის თარიღი დროის პერიოდში არ შედის, ამასთან, მასში შედის პერიოდის ბოლო დღე.

ცხადია, ასეთი ჩანაწერი, რაც (d) და (e) საერთაშორისო წესებში უნდა ყოფილიყო, რადგან ის მთელ მსოფლიოში გამოიყენება და ყველასთვის ერთნაირი აღქმის საშუალებას უნდა იძლეოდეს. საქართველოს კანონმდებლობა ასეთ დეტალიზაციას არ მოიცავს, რადგან არაა საგნობრივი. არც პრაქტიკაში წარმოშობილია ამგვარის განმარტების საჭიროება.

(f) დოკუმენტის გამომწერი პირის დასახასიათებლად ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორებიცაა „პირველი კლასის, საყოველთაოდ ცნობილი, კვალიფიცირებული, დამოუკიდებელი, ოფიციალური, კომპეტენტური ან ადგილობრივი,” ნიშნავს, რომ დოკუმენტის გამომწერა შეემლო ნებისმიერ პირს, გარდა აპლიკანტისა და ბენეფიციარისა.

საქართველოში, საბანკო პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ბანკების მახასიათებლებად ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „პირველი კლასის ბანკი“, „კვალიფიციური ფინანსური ინსტიტუტი“, „დამოუკიდებელი იურიდიული პირი“, „ადგილობრივი ბანკი“. მაგრამ ეს მხოლოდ ტექნიკური მხარეა, გარდა ტერმინისა „კვალიფიციური ფინანსური ინსტიტუტი“ - რაც განმარტებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

3.5.4. გარანტიის გაცემა და ძალაში შესვლა

აღნიშნული URDG 758-ის მე-4 მუხლშია ჩამოყალიბებული შემდეგი რედაქციით:

(a) გარანტია გაცემულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა ის გადის გარანტის კონტროლიდან.

(b) გარანტია გამოუთხოვადია გაცემის მომენტიდან, მაშინაც კი, როცა მასში აღნიშნული არ არის ამის თაობაზე.

(c) ბენეფიციარი უფლებამოსილია მოთხოვნა წააყენოს გარანტიის გაცემის მომენტიდან ან უფრო გვიან პერიოდში კონკრეტულ თარიღამდე, ან იმ მოვლენის დადგომამდე, რაც გარანტიაშია დათქმული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 882-ე მუხლით, საბანკო გარანტია შეიძლება იყოს გამოთხოვადი ან გამოუთხოვადი, თუმცა აღნიშნულს საერთაშორისო წესები არ უშვებს და მხოლოდ გამოუთხოვადი გარანტიის ტიპია დადგენილი იმპერატიულად. ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო ტიპის გარანტია ვერ იქნება გამოთხოვადი და მხოლოდ გამოუთხოვადი შეიძლება იყოს. ირკვევა, რომ გარანტიის გამოთხოვა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის პრიორიტეტად რჩება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში, ვერც საქართველოში მოიპოვა მხარდაჭერა გარანტიის „გამოთხოვადმა“ საბანკო გარანტიამ და ბენეფიციარები მხოლოდ გამოუთხოვად გარანტიას ითხოვენ.

სამოქალაქო კოდექსის 884-ე მუხლის მოქმედი რედაქციით, საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კანონის ასეთი მოთხოვნა სავსებით შეესაბამება გარანტიის ბუნებასა და მიზანს, ვინაიდან ძალაში მყოფი გარანტიის წარდგენა ხშირად ძირითადი ხელშეკრულების პირობად არის დათქმული. საბანკო გარანტიის სწრაფი ამოქმედება მხარეთა ლოგიკური ინტერესია და კანონმდებელმაც გაითვალისწინა. ამასთან, საგულისხმოა, რომ კოდექსის ეს ნორმა დისპოზიციურია და მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, გვერდიც აუარონ მას. მითითებული მუხლის შესაბამისად, საბანკო გარანტია შეიძლება ძალაში შევიდეს უფრო გვიანი თარიღიდან, ვიდრე გაცემის თარიღია, - თუკი ეს პირდაპირაა გათვალისწინებული მის ტექსტში. ეროვნული კანონმდებლობების ეს ნორმები შეესაბამება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებს. საბანკო გარანტია საერთაშორისო კომერციის ინსტრუმენტია და ქართულმა კანონმდებლობამ საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმათა რეცეფცია მოახდინა.(31, 326-348).

URDG-ის მე-4 მუხლის თანახმად, გარანტია გაცემულად ითვლება მისი გაგზავნის მომენტიდან. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს, რომ ის ძალაშია გაცემის მომენტიდან, მაგრამ იქვე ადგენს განსხვავებასაც, რომ გაცემა და ძალაში შესვლა ერთი და იგივე არ არის და გარანტიაში შეიძლება მიეთითოს მისი ძალაში შესვლის უფრო გვიანდელი ვადა, ვიდრე გაცემის თარიღია. ქართული სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ ძალაში შესვლის პირობა ბენეფიციარის მიერ გარანტიის მიღებაა, რაც არასწორია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს იმპერატიულ მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ გარიგებაში ვადა აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს კალენდარული თარიღის მითითებით ან დროის მონაკვეთით, რომელიც გამოითვლება დღეებით, თვეებით ან წლებით (მუხლი 121-127), ასევე მოვლენით, რომელიც გარდაუვლად უნდა

დადგეს. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ვადის დასაწყისად შეიძლება აღებულ იქნეს ესა თუ ის მოვლენა, ხოლო მოთხოვნის ან ვალდებულების წარმოშობა შეიძლება დამოკიდებული იყოს მოქმედებაზე (131-ე მუხლი). საბანკო გარანტია, რომლის შეწყვეტის პირობად რაიმე მოვლენაა მითითებული, ალბათ გაუქმების პირობით დადებულ გარიგებად უნდა მივიჩნიოთ (მუხ.97-ე), რაც ქართული სამართლისათვის მისაღებია. ამასთან, საბანკო გარანტიის ინსტიტუტის მიმართ გამოსაყენებელი სამოქალაქო კოდექსის ნორმები (879-890-ე მუხლები) არ შეიცავს მოთხოვნას გარანტიის ბათილობის თაობაზე, თუ მასში არ არის მითითებული კალენდარული თარიღით ან დროის მონაკვეთით განსაზღვრული ვადა. მოთხოვნებზე დაწესებული საერთო ხანდაზმულობის მიხედვით ეს ვადა სამ წელს არ უნდა აღემატებოდეს, ზუსტად იგივე ვადაა დადგენილი URDG-ს 25-ე მუხლის (c) პუნქტითაც (96).

3.5.5. გარანტიის, კონტრგარანტიის დამოუკიდებლობა

URDG N 758-ის მე-5 მუხლი განსაზღვრავს დამოუკიდებელი გარანტიის დამოუკიდებელ ბუნებას და შემდეგი რედაქციითაა მიღებული:

(a) გარანტია თავისი ბუნებით არ არის დამოკიდებული ძირითად გარიგებასა და განცხადებებზე, ხოლო გარანტი არანაირად არ არის შეზღუდული და არ არის შემოსაზღვრული ამგვარი გარიგებებით. იდენტიფიკაციის მიზნით, გარანტიაში ძირითადი გარიგების მითითება, არ ცვლის გარანტიის დამოუკიდებელ ბუნებას. გარანტის ვალდებულება გადაიხადოს გარანტიით, არ არის დამოკიდებული რაიმე ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებსა და პრეტენზიებზე, გარდა გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობისა.

(b) კონტრგარანტია, თავისი ბუნებით არ არის დამოკიდებული არც ძირითად გარიგებაზე, არც განცხადებასა და არც ნებისმიერ რომელიმე კონტრგარანტიაზე, რაც მას ეხება. ხოლო კონტრგარანტი არანაირად არ არის დამოკიდებული ან შეზღუდული ამგვარი გარიგებებით. კონტრგარანტიაში მითითებული ძირითადი გარიგება დაზუსტებისა და იდენტიფიკაციის მიზნით, არ ცვლის კონტრგარანტიის დამოუკიდებელ ბუნებას. კონტრგარანტის ვალდებულება გადაიხადოს კონტრგარანტიით, არ არის დამოკიდებული რაიმე ურთიერთობიდან გამომდინარე

მოთხოვნებსა და პრეტენზიებზე, გარდა კონტრგარანტსა და გარანტს (ან სხვა კონტრგარანტს) შორის ურთიერთობისა.

საქართველოს კანონმდებლობა კონტრგარანტიას არ იცნობს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რატომ არ გამოიყენება ჩვენი სახელმწიფოს შიდა ტერიტორიაზე ლოკალური კონტრგარანტია, ანუ არაპირდაპირი გარანტია, რომელსაც სუპერგარანტიადაც მოიხსენიებენ.

გარანტიის დამოუკიდებლობა განსაკუთრებულ იურდიული ბუნებას უსვამს ხაზს. მისი განმარტება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლში შემდეგნაირად: საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. გარანტიის დამოუკიდებელი ბუნების განმსაზღვრელია ასევე 887-ე მუხლის მეორე პუნქტი, სადაც მითითებულია, თუ ბენეფიციარი ხელმეორედ წარმოადგენს მოთხოვნას, გადახდა გარანტიის მიხედვით უნდა მოხდეს მაშინაც, თუ ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში უკვე მთლიანად შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლით ან ბათილია. ამ ძირითადი პრინციპით სამოქალაქო კოდექსი და საერთაშორისო წესები შეესაბამება ერთმანეთს.

3.5.6. დოკუმენტები და საქონელი, მომსახურება ან შესრულებული სამუშაო

URDG N 758-ის მე-6 მუხლი ადგენს, რომ გარანტებს საქმე აქვთ დოკუმენტებთან და არა დოკუმენტებთან დაკავშირებულ საქონელთან, მომსახურებასთან ან სამუშაოს შესრულებასთან.

ამ ჩანაწერით დგინდება, რომ საბანკო გარანტია დოკუმენტური ოპერაციების სახეს მიეკუთვნება. საქართველოს კანონმდებლობაში ასეთ რამ მითითებული პირდაპირ არ არის. სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლში წერია, რომ გარანტს მხოლოდ ფულადი ვალდებულების შესრულება ეკისრება. საბანკო პრაქტიკით ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ გარანტია აკრედიტივის, ასე ვთქვათ, შებრუნებული ფინანსური ინსტიტუტია, ხოლო აკრედიტივის ოპერაცია ცალსახად დოკუმენტური ოპერაციების სფეროა. ამ ოპერაციების დოკუმენტური ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ გარანტი არ ამოწმებს ხელშეკრულების

დარღვევის ფაქტებსა და ხარისხს (დათქმული ოდენობით მოხდა საქონლის მიწოდება თუ არა, ხარისხიანი მასალით შესრულდა დაკვეთა თუ არა). გარანტი მხოლოდ მასთან წარდგენილ დოკუმენტებს ეყრდნობა და ისე იღებს გადაწყვეტილებას. სწორედ ამიტომ ეწოდება მას დოკუმენტური ოპერაცია. მსოფლიოს ფინანსური ინსტიტუტებისთვის და გარანტიის სხვა ემიტენტებისთვის ნათელი და ერთიანი მიდგომა უნდა იყოს ამ საკითხზე. ცხადია, გარანტიის ემიტენტები საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციებით ეხმარებიან კლიენტებს URDG N 758 -ის პირობების გაგებაში. მაგრამ, ამავდროულად, უნდა ითქვას, რომ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს პრეცედენტი, რითაც გარანტს მიეთითა თავად გაერკვია რა ძირითადი ვალდებულება დაარღვია პრინციპალმა ბენეფიციართან დადებულ ხელშეკრულებაში. ნაცვლად იმისა, რომ ბენეფიციარისთვის მიეცა სათანადო მითითება შეესრულებინა თავისი ერთადერთი ვალდებულება გარანტის წინაშე - სათანადო წესით წარედგინა საბანკო გარანტიაში მითითებული დოკუმენტები. ამ დისერტაციაზე მუშაობის დასრულებისას, სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ შესულა, ამიტომ მის შემდგომ განხილვას არ მოვახდენთ და მის გარშემო არ ვიმსჯელებთ.

3.5.7. არადოკუმენტური პირობები

URDG N 758-ის მე-7 მუხლის მიხედვით დადგენილია, რომ გარანტია არ უნდა შეიცავდეს პირობებს, განსხვავებულს თარიღის ან დროის ამოწურვისა იმ დოკუმენტის გარეშე, რაც ადასტურებს შესაბამისი პირობის დადგომას. თუ გარანტიაში ასეთი დოკუმენტი მითითებული არ არის, არც გარანტის რაიმე სხვა ჩანაწერით და არც გარანტიაში მითითებული მაჩვენებლით დასტურდება, გარანტმა უნდა ჩათვალოს, რომ ასეთი პირობა გარანტიაში არ ჩაწერილა და არ უნდა გაითვალისწინოს იგი, გარდა შემოწმებითი მიზნებისა იმისთვის, რომ გაუთვალისწინებლობა წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს გარანტიის სხვა მონაცემებთან ან გარანტიის მიხედვით წარმოდგენილ დოკუმენტებთან.

ჩვენი კანონმდებლობა ასეთ ჩანაწერს არ შეიცავს. სამაგიეროდ სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულია, რომ მოთხოვნას გადახდაზე, - უნდა ერთოდეს დოკუმენტები, რაც გარანტიაშია მითითებული. თავად ბენეფიციარის მოთხოვნაში კი უნდა მიეთითოს, რაში გამოიხატა ძირითადი ვალდებულების დარღვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გარანტიის ემიტენტს ყურადღება მართებს ამ საკითხში. ეს კი

ნიშნავს, რომ გარანტმა გარანტიის გაცემამდე ყურადღებით უნდა შეისწავლოს ძირითადი ვალდებულების წყარო, რათა გარანტიაში ზუსტად მიუთითოს შესაბამისი ჩანაწერი, მიუხედავად იმისა, გარანტია საერთაშორისო ხასიათისაა თუ საქართველოს ფარგლებში უნდა იმოქმედოს.

3.5.8. გარანტიის და ინსტრუქციის შინაარსი

URDG N 758-ის მე-8 მუხლი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ადგენს დამოუკიდებელი გარანტიის პირობებსა და ელემენტებს. იგი შემდეგი რედაქციითაა ჩამოყალიბებული: ყველა ინსტრუქცია გარანტიის გაცემასთან დაკავშირებით უნდა იყოს ზუსტი და ნათელი და არ უნდა შეიცავდეს ზედმეტ დეტალებს. რეკომენდებულია ყველა გარანტიაში მიეთითოს:

აპლიკანტი;

ბენეფიციარი;

გარანტი;

ნომერი ან სხვა ინფორმაცია, რომელიც ძირითადი გარიგების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;

ხოლო კონტრგარანტიისას კი კონტრგარანტიის;

თანხა ან მაქსიმალური თანხა, რაც გადახდას ექვემდებარება გარანტიით;

ასევე ვალუტა, რომელშიც შეიძლება გადახდა მოხდეს;

გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვა;

გადახდის მოთხოვნასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირობა;

პირობას, მოთხოვნის და სხვა დოკუმენტების ქალაქში ან ელექტრონულად წარმოდგენის აუცილებლობის შესახებ;

რა ენაზე უნდა იქნეს წარმოდგენილი დოკუმენტები გარანტიის შესაბამისად;

ხარჯებზე პასუხისმგებელი მხარე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს გარანტიის ტექსტში გასათვალისწინებელ აუცილებელ პირობებს და ელემენტებს, რაც პრობლემას ქმნის იმაში, რომ ყველა ბანკის გარანტიის ტექსტი სხვადასხვანაირია და ამის მიზეზი დღემდე ბენეფიციარებისთვის გაუგებარია. ემპირიული კვლევებით დავადგინეთ, რომ პრინციპალებს ხშირად მიაქვთ ერთ ბანკში სხვა რომელიმე ბანკის გარანტიის ტექსტი და ითხოვენ მაინცდამაინც მისი

ანალოგის მომზადებას, რაც დიდ უხერხულობას ქმნის ზოგადად საგარანტიო ბიზნესში. ამისი მიზეზი სწორედ ამ პირობებისა და ელემენტების კანონში არარსებობაა. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სასამართლო პრაქტიკის დახვეწას და განვითარებას. აღნიშნულთან დაკავშირებით გვაქვს რეკომენდაცია, აისახოს სამოქალაქო კოდექსში შესაბამისი მუხლის დამატებით საბანკო გარანტიის აუცილებელი პირობები და ელემენტები უნიფიცირებული წესების შესაბამისად საქართველოს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით. ამ საკითხთან დაკავშირებით მოცემულია შესაბამისი რეკომენდაცია და შეთავაზება წინამდებარე ნაშრომში, ხოლო საბანკო გარანტიის ტექსტის ნიმუში (იხილეთ დანართი N 1, გვერდზე 242).

3.5.9. გარანტისათვის მიუღებელი განცხადება

URDG N 758-ის მე-9 მუხლი ადგენს გარანტის ვალდებულებას დაუყოვნებლივ შეატყობინოს აპლიკანტს, თუ ის არ აპირებს გარანტიის გაცემას. აღნიშნული შემდგენაირადაა ჩამოყალიბებული:

თუ გარანტი არ არის მზად, ან არ შეუძლია გასცეს გარანტია, მან ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ინსტრუქციის გამცემს.

საქართველოს კანონმდებლობით ეს საკითხი სამოქალაქო კოდექსით არ არის მოწესრიგებული, მაგრამ სამაგიეროდ 334-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ თუ საქმიან ურთიერთობებში აქცეპტი ხორციელდება შეცვლილი პირობებით, ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად, თუკი აქცეპტანტს უფლება ჰქონდა ევარაუდა ოფერენტის თანხმობა და ეს უკანასკნელი მაშინვე არ განაცხადებს უარს. საბანკო გარანტიის გაცემამდე პრინციპალი, რა თქმა უნდა უკავშირდება გარანტიის გამცემს განაცხადის დაწერით და მისთვის მაშინვე ცნობილი ხდება, მოემსახურებიან თუ არა საბანკო გარანტიით. ამდენად, ამ საკითხთან დაკავშირებით, რაიმე პრობლემა დღეს-დღეობით არც თეორიულად და არც პრაქტიკით არ დასტურდება და რაიმე სახის რეკომენდაცია ან შეთავაზება ამ ნაწილში არ გვაქვს.

3.5.10. გარანტიის და ცვლილებების ავიზირება

URDG N 758-ის მე-10 მუხლი ადგენს, რომ:

- (a) გარანტია შესაძლებელია იყოს ავიზირებული - ავიზირების მხარის მიერ. ავიზირების მხარე ატყობინებს ბენეფიციარს, რომ გარემოების შესაბამისად ის ნათლად დარწმუნდა გარანტიის ნამდვილობაში და რომ გაგზავნილი შეტყობინება ზუსტად ასახავს იმ გარანტიას, რაც მიიღო ავიზირების გამცემმა;⁴
- c) ავიზირების მხარე ავიზირებას უკეთებს გარანტის რაიმე დამატებითი დარწმუნების და დამატებების ან ვალდებულების გარეშე ბენეფიციარის წინაშე;⁵
- d) თუ ავიზირების მხარე არ არის მზად, ან არ შეუძლია გარანტიის ან მასში ცვლილების ავიზირება, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს გარანტის გამცემს;
- e) თუ ავიზირების გამცემი მხარე თანახმაა ჩაატაროს ავიზირების პროცედურა, მაგრამ ვერ დარწმუნდა გარანტიის ან ავიზირებაზე შეტყობინების თვალსაჩინო ნამდვილობაში, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ინსტრუქტაჟის გამცემს. თუ მიუხედავად აღნიშნულისა, ავიზირება მაინც მოხდება, - მაშინ ავიზირების გამცემმა უნდა შეატყობინოს ბენეფიციარს, რომ ვერ შეძლო დარწმუნებულიყო თვალსაჩინო ნამდვილობაში;
- f) გარანტმა, რომელმაც გამოიყენა ავიზირების მხარე გარანტიის ავიზირებისას, შეძლებისდაგვარად, გარანტიაში ცვლილების შეტანისას უნდა გამოიყენოს იგივე ავიზირების მხარე.⁶

საერთაშორისო უნიფიცირებული წესებით, ავიზირებას ტექნიკური, პრაქტიკული ხასიათი აქვს და დამოწმება სპეციალური „გასაღებით“ ხდება, ანუ ციფრების კომბინაციით მიღებული კოდის შეტანით პროგრამაში. პრაქტიკაში ძალიან იშვიათად, მაგრამ რთულ შემთხვევებში, საბანკო გარანტიის ტექსტის პროექტი წარედგინება ბენეფიციარს და წინასწარ თანხმდება მასთან, მაგრამ ეს იშვიათია. სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ბენეფიციარის წინასწარ თანხმობას გარანტიის ტექსტზე. ავიზირება

⁴ ეხება მეორე ავიზირების მხარესაც, ზუსტად ანალოგიურად, რაც მოცემულია URDG 758-ის 10-ე მუხლის “ბ” ქვეპუნქტში, ამიტომ ეს პუნქტი აღარ მოვიყვანეთ.

⁵ ეხება მეორე ავიზირების მხარესაც, რაც გაწერილია იმავე პუნქტში.

⁶ ეხება მეორე ავიზირების მხარესაც, რაც გაწერილია იმავე პუნქტში.

გამოყენება საერთაშორისო ხასიათის ელექტრონულად გაცემულ გარანტიებში. ცვლილება გარანტიაში, როცა ის ელექტრონულად, სვიფტის ფორმატით იგზავნება, ცხადია, ავიზირებას საჭიროებს იმავე რეჟიმით, როგორც გარანტიის გაცემისას. ისიც ლოგიკურია, რომ ავიზირების მხარე იგივე უნდა იყოს, ვინც გარანტიის ავიზირება მოახდინა.

3.5.11. ცვლილებები დამოუკიდებელ გარანტიაში

URDG N 758. მე-11 მუხლით დადგენილია, რომ:

(a) გარანტიაში ცვლილების შესახებ ინსტრუქციის მიღებისას გარანტს არ შეუძლია გარანტიაში ცვლილების გაცემა ან არ არის მზად, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს აღნიშნულის შესახებ ინსტრუქტაჟის გამცემ მხარეს.

(b) ბენეფიციარის თანხმობის გარეშე გარანტიაში შეტანილი ცვლილება ბენეფიციარს არ აკისრებს რაიმე ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, გარანტი გამოუთხოვდად შეზღუდულია გარანტიის ცვლილებით გაცემის მომენტიდან მანამ, სანამ ბენეფიციარი არ უარყოფს აღნიშნულ ცვლილებებს.

(c) თუ ცვლილება გარანტიაში შეტანილი არ იყო გარანტიაში მითითებული წესით, ბენეფიციარი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარყოს იგი მანამ, სანამ გარანტისათვის გაგზავნილი შეტყობინებით არ დაეთანხმება ცვლილებას ან მოთხოვნას არ წარუდგენს გარანტს გარანტიაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

(d) ავიზირების გამცემი მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბენეფიციარის უარი ან თანხმობა ცვლილებების თაობაზე ინსტრუქტაჟის გამცემ მხარეს;

(e) ცვლილებების ნაწილობრივი მიღება დაუშვებელია და განიხილება, როგორც უარი ცვლილებების მიღებაზე.

(f) ცვლილების დოკუმენტში ჩაწერილი პირობა მასზე, რომ ცვლილება ძალაში შედის თუ ბენეფიციარის მიერ არ იქნება უარყოფილი გარკვეულ დროის მონაკვეთში, მხედველობაში არ მიიღება.

სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს საბანკო გარანტიაში ცვლილებების შეტანას და არც ტექსტობრივ ფორმატს. გარანტიის გამოთხოვა და მასში ცვლილებების შეტანა უნდა მოხდეს იმავე ტექსტობრივ-რედაქციული ფორმატით, როგორც გარანტია გაიცა. ხოლო თუ საბანკო გარანტიის პირობებით დაშვებულია გარანტის მიერ მისი გამოთხოვა ან მასში ცვლილების შეტანა, გარანტის ვალდებულება შეცვლილად ან შეწყვეტილად ჩაითვლება გარანტის მიერ ბენეფიციარის თანხმობის მიღების მომენტიდან. ვთვლით, ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან უკვე გაცემულ გარანტიაში ცვლილების შეტანა, არსებითად ცვლის გარანტიის მთავარ პირობებს. ცვლილება შეიძლება ყველა პირობას შეეხოს. გარანტიის თანხას, ვადას, ბენეფიციარის მიერ შესასრულებელ პირობებს, გამოთხოვას, ტრანსფერაბელობას, პრინციპალის ან ბენეფიციარის შეცვლას. ცვლილებები გარანტიაში თავისი მნიშვნელობით გარანტიის გაცემას უთანაბრდება. პრაქტიკულად დღეს მოქმედი ტარიფებით თუ გარანტიის გაცემა 30 ლარია, ცვლილების შეტანა 50 ლარითაა განსაზღვრული. ცივილისტებში ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრებაა და კონსენსუსი არ არის. ზოგიერთი ფიქრობს, რომ გარანტიაში ცვლილება არ უნდა შევიდეს, მოქმედი გარანტია უკან უნდა დაბრუნდეს და ახალი გაიცეს. ოღონდ აქ ორი იურიდიული პრობლემა იჩენს თავს.

პირველი, თუ გარანტია უკან დაბრუნდა ახლის გაცემამდე, ბენეფიციარს უზრუნველყოფა უქრება, ახალი კი შეიძლება აღარ გაიცეს. თუ ახალი გარანტია ისე გაიცა, რომ წინა ჯერ არ დაბრუნებულა, მაშინ ბენეფიციარს, ერთი და იგივე ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე ორი საბანკო გარანტია ექნება ხელთ, თუ საკუთარი ნებით არ დააბრუნებს პირველს.

მეორე შემთხვევაში ახალ გარანტიაში პირდაპირაც რომ ჩაიწეროს, რომ წინა გარანტია ძალადაკარგულია ახალი გარანტიის გაცემის მომენტიდან, აღნიშნულს ბენეფიციარის წერილობითი თანხმობა სჭირდება და წინა გარანტია უკან უნდა დააბრუნდეს. სხვაგვარად ეს ჩანაწერი არ იქნება ძალმოსილი. შესაძლებელია წმინდა თეორიული თვალსაზრისით საკითხი გარანტიის გამოთხოვას უთანაბრდებოდეს, მაგრამ ჩვენი კვლევის საფუძველზე დადგენილია, რომ საქართველოში გაცემული საბანკო გარანტიის უკან გამოთხოვის ფაქტი არ ყოფილა.

ცივილისტების მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად გამოსავალი სწორედ ცვლილების შეტანაა მოქმედ გარანტიაში, რასაც ვეთანხმებით

გამოკვლევული პრაქტიკის საფუძველზე. თუმცა, ქართველი მეცნიერების ნაშრომებში ვერ იქნა აღმოჩენილი მსჯელობა და მოსაზრებანი ამ თემასთან დაკავშირებით. ჩვენ მეორე პოზიციას ვუჭერთ მხარს და ვთვლით, რომ ცვლილების შეტანა უკვე გაცემულ მოქმედ გარანტიაში ყოველგვარ სავარაუდო გაუგებრობას და დავას სპობს. გარდა ამისა, SWIFT ფორმატი ითვალისწინებს ელექტრონულად გაცემულ გარანტიაში ცვლილებას, რაც ნიშნავს, რომ ეს საკითხი საერთაშორისო პრაქტიკაში დიდი ხანია მიღებულია, რითაც საზღვარგარეთის ბანკები სარგებლობენ, მას ასევე ინტენსიურად და წარმატებით იყენებენ ქართული ბანკები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი მომწესრიგებელი ნორმის არსებობა სამოქალაქო კოდექსში მიზანშეწონილად მიგვაჩნია და რეკომენდაციაცაა შეთავაზებული. საბანკო გარანტიაში ცვლილების სანიმუშო ტექსტობრივი ფორმატი მოცემულია N 4 დანართში.

3.5.12. გარანტის პასუხისმგებლობის ფარგლები

აღნიშნული ფარგლები დადგენილია URDG N 758-ის მე-12 მუხლით და შემდეგია:

გარანტი აგებს პასუხს ბენეფიციარის წინაშე პირველ რიგში გარანტიის პირობების შესაბამისად, მეორე რიგში ამ წესების შესაბამისად იმ ზომით, რა ზომითაც გარანტია შეესაბამება ამ წესებს, საგარანტიო თანხის ფარგლებში.

სამოქალაქო კოდექსი ადგენს გარანტის ვალდებულების ფარგლებს 888-ე მუხლით, სადაც მითითებულია, რომ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზეც გაიცა გარანტია. მაგრამ საკითხი ასე მარტივადაც არ არის. საკითხი ეხება გარანტის პასუხისმგებლობის ფარგლებს. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობიდან და აბსტრაქტულობიდან გამომდინარე, გარანტს არა აქვს უფლება წაუყენოს ბენეფიციარს შესაგებელი ან რამე სახის პრეტენზია მოთხოვნაზე, რაც გამომდინარეობს იმ ძირითადი ვალდებულებიდან, რის უზრუნველსაყოფადაც გარანტია გაიცა, იგივე ვრცელდება სხვა ვალდებულებებზე, მათ შორის, შეთანხმებაზე საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ. თავის შესაგებელში, ბენეფიციარის წინააღმდეგ გარანტი არ არის უფლებამოსილი მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც არ არის მითითებული გარანტიაში. თუ სახეზე გვაქვს ისეთი გარემოება, როცა პრინციპალმა თავისი უფლებები გარანტს დაუთმო, არც მაშინ აქვს გარანტს უფლება, ბენეფიციართან ურთიერთმოთხოვნები გაქვითოს, თუ ასეთი

რამ საბანკო გარანტიის ტექსტით არ გათვალისწინებულა. გარანტი პასუხს აგებს ბენეფიციარის წინაშე გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, საგარანტიო თანხის გადაუხდელობისთვის ან გადახდის დაგვიანებისთვის ან ნაწილობრივი გადახდისთვის თუ ბენეფიციარს ნაწილობრივი გადახდა არ მოუთხოვია. ასევე პასუხს აგებს გადახდის უსაფუძვლო შეჩერებისთვის, გადასახდელი ვალუტის თვითნებურად შეცვლის გამო, ან ისეთი გარემოებისას, როცა პრინციპალის ინსტრუქცია გაითვალისწინა და ამის შესახებ ბენეფიციარს დაუყოვნებლივ არ აცნობა, ან პირიქით. როგორც აქ აღნიშნულიდან ჩანს, გარანტის პასუხისმგებლობა საკმაოდ მოცულობითია და მისმა არადროულმა ან უსაფუძვლო მოქმედებამ შესაძლებელია ერთდროული ზიანი მიაყენოს პრინციპალსაც და ბენეფიციარსაც, ხოლო თავად რეპუტაციული რისკი გაეზარდოს და ნდობის ხარისხი შეუმცირდეს, რაც მის შემოსავლებზე აისახება. გარანტის უფლებამოსილების ფარგლები შესაზღუდია ბენეფიციარის მიმართ შესაგუებლების წარდგენის ნაწილში. საბანკო გარანტიის არააქცესორულობიდან და აბსტრაქტულობიდან გამომდინარე, გარანტს არა აქვს უფლება წაუყენოს ბენეფიციარს შესაგებელი ან რამე სახის პრეტენზია მოთხოვნაზე, იმ ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე, რომლის უზრუნველყოფაც გარანტიაა, ასევე რომელიმე სხვა ვალდებულებიდან, მათ შორის, საბანკო გარანტიის გაცემაზე შეთანხმებიდან, გარდა იმ შესაგებლებისა, რაც საბანკო გარანტიიდან გამომდინარეობს. საბანკო გარანტიაში მხოლოდ გარანტის ვალდებულება ჩანს, მისი უფლებები ასე ვთქვათ ფარულია. ესენი პირველი და მეორე უარის უფლებაა გადახდაზე.

URDG N 758 -ის შემდეგი მუხლიც, რომელსაც ახლა განვიხილავთ საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში, სწორედ ისეთ მნიშვნელოვან ცვლილებას ეხება, როგორცაა საბანკო გარანტიაში თანხის შეცვლა.

3.5.13. გარანტიის თანხის შეცვლა

URDG N 758-ის მუხლი 13 ადგენს საგარანტიო თანხის შეცვლის საკითხს და იგი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

გარანტია შეიძლება ითვალისწინებდეს გარანტიის თანხის გაზრდას ან შემცირებას განსაზღვრული თარიღის ან მოვლენის დადგომისას, რაც გარანტიის პირობების შესაბამისად იწვევს გარანტიის თანხის შეცვლას. ამ მიზნით, მოვლენა დამდგარად ითვლება მხოლოდ მაშინ:

- (a) როცა გარანტს წარედგინება დამადასტურებელი დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული მოვლენა დადგა, ან
- (b) თუ გარანტიაში ასეთი დოკუმენტი გათვალისწინებული არ არის, მაშინ ასეთი მოვლენის დადგომა შესაძლებელია განისაზღვროს გარანტის საკუთარი ჩანაწერებით ან გარანტიაში განსაზღვრული ინფორმაციით (მაჩვენებლით).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსით, ცვლილება გარანტიაში მოწესრიგებული არ არის. უკვე გაცემულ საბანკო გარანტიაში, გარანტის თანხის შემცირება და გაზრდა, პრაქტიკაში იმდენად ხშირი მოვლენაა, მასზე ყურადღების გამახვილება მიზანშეწონილია. კომერციული იურდიული პირების მოქმედება ყოველთვის განპირობებულია მოკლე დროში მიზნის მიღწევით, ამიტომ ისინი გაცილებით კრეატიულები და ოპტიმიზებულები არიან, ვიდრე კანონმდებლობა და მეცნიერული კვლევები. ამ კონკრეტულ თემაზეც იმავეს თქმა შეიძლება. ქართული ბანკების მიერ გაცემულ საბანკო გარანტიებში პირდაპირაა მითითებული, რომ გარანტის თანხა ავტომატურად მცირდება გარანტის თანხის გადახდილი ნაწილით, თუ ბენეფიციარი ერთი გარანტის ფარგლებში მოთხოვნას ნაწილ-ნაწილ წარმოადგენს. ხშირია პრაქტიკაში ისეთი შემთხვევები, როდესაც გარანტიაში ცვლილების დოკუმენტის შედგენაა საჭირო პრინციპალის ან ბენეფიციარის თხოვნით, ზუსტი საბუღალტრო აღრიცხვის საწარმოებლად და საგარანტიო ბიზნესის ადმინისტრირებისთვის. გარანტის ფულადი ვალდებულების შემცირების ფარგლები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მიზანშეწონილია აღნიშნულს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებდეს. უნიფიცირებული წესების ეს მუხლი იგივე საბანკო გარანტიაში ცვლილებაა, რომელიც ამ წესების მე-11 მუხლის ფარგლებშია შესაძლებელი განვიხილოთ, რადგან იგივე შედეგები უკავშირდება და ბენეფიციარის პოზიცია მნიშვნელოვანი ხდება. ამჟამად ქართული ბანკების პრაქტიკით თითქმის ყველა საბანკო გარანტიაშია მითითებული ასეთი ჩანაწერი: „გარანტის თანხა ავტომატურად მცირდება ამ საბანკო გარანტის ფარგლებში ჩვენს მიერ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისი ყოველი გადახდით.“ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარანტის თანხის გაზრდის შესახებ ამგვარი პირდაპირ ჩანაწერები არც ერთ შესწავლილ საბანკო გარანტიაში არ შეგვხვებოდა. გარანტის თანხის გაზრდა, მხოლოდ ცვლილების შეტანით შედის გაცემულ გარანტიაში და ამის საფუძვლად ძირითადი ვალდებულების მოცულობის გაზრდის დამადასტურებელი დოკუმენტი გარანტს აუცილებლად წარედგინება.

3.5.14. მოთხოვნის წარდგენა გარანტისათვის ბენეფიციარის მიერ

URDG N 758-ის მე-14 მუხლით დადგენილია, რომ:

(a) წარდგენა უნდა მოხდეს:

- i. გარანტიის გაცემის ადგილზე ან სხვა იმ ადგილზე, რაც გარანტიაშია მითითებული და,
- ii. არა უგვიანეს გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღისა;

(b) წარდგენა უნდა იყოს სრულყოფილი, თუ მასში არ არის მითითებული, რომ მოგვიანებით დასრულდება. ასეთ შემთხვევაში წარდგენა უნდა დასრულდეს გარანტიის ვადის ამოწურვამდე.

(c) იმ შემთხვევაში, თუ გარანტიაში მითითებულია, რომ ის უნდა წარედგინოს ელექტრონული ფორმით, გარანტიაში დათქმული უნდა იქნეს ფორმატი, მონაცემთა გადაცემის სისტემა და ელექტრონული მისამართი, სადაც უნდა წარედგინოს; თუ გარანტია არ შეიცავს შესაბამის მითითებებს, მაშინ დოკუმენტი შესაძლებელია წარედგინოს ნებისმიერი ელექტრონული ფორმატით, რაც მისი ავთენტურობის შემოწმების შესაძლებლობას იძლევა ან ქაღალდის დოკუმენტით. ელექტრონული დოკუმენტი, რომლის ავთენტურობის შემოწმება შეუძლებელია, წარდგენილად არ ჩაითვლება.

(d) თუ გარანტიაში მითითებულია, რომ წარდგენა უნდა მოხდეს ქაღალდის მატარებელზე, გაგზავნის განსაზღვრული წესით, ოღონდ თუ გამორიცხული არ არის გადაგზავნის სხვა წესი, მაშინ პირის მიერ წარდგენა, - ადგილზე და ვადებში, ჩაითვლება მისაღებ წარდგენად.

(e) იმ შემთხვევაში, თუ გარანტიაში არ მითითებულა, რომ წარედგინება ელექტრონული ფორმით, ან ქაღალდის მატარებელზე, მაშინ წარედგინება ქაღალდის მატარებელზე.

(f) ყოველ წარდგენაში უნდა იყოს იდენტიფიცირებული ის გარანტია, რომლისთვისაც წარედგინა, მაგალითად, გარანტიის იმ ნომრის ჩვენებით, რაც გარანტმა მიანიჭა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემოწმების ვადა (20-ე მუხლი), აითვლება გარანტიის იდენტიფიკაციის თარიღიდან. ამ პუნქტის არც ერთი დებულება არ ემსახურება

გარანტიის ვადის გაზრდას ან მე-15 მუხლის (a) და (b) პუნქტების შეზღუდვას, ცალკე წარსადგენ დოკუმენტებთან მიმართებით მოთხოვნაზე მითითების ნაწილში, რომელსაც ეს დოკუმენტები ეხება.

(გ) თუ თავად გარანტიაში სხვა რამ არ არის მითითებული, დოკუმენტები გადაცემული აპლიკანტის ან ბენეფიციარის მიერ ან მათი სახელით, რაც შეიცავს ნებისმიერ მოთხოვნას გარანტიასთან დაკავშირებით, შედგენილი უნდა იქნეს გარანტიის ენაზე. დოკუმენტები, გაცემული ნებისმიერი სხვა პირის მიერ, შესაძლებელია გაფორმდეს ნებისმიერ ენაზე.

როგორც საერთაშორისო წესების ამ მუხლის ანალიზით ირკვევა, URDG N 758 -ის მიხედვით წარდგენა არ ეხება მხოლოდ ბენეფიციარს და მის მიერ გარანტთან წერილობითი მოთხოვნის გარანტთან წარდგენას. ის ეხება ნებისმიერი ხასიათის წარდგენას რაც საბანკო გარანტიასთანაა დაკავშირებული, მათ შორის პრინციპალის შეტყობინებებს და მიმართვებს. URDG N 758-ის ამ მუხლის ანალიზით ნათლად დგინდება, რომ გარანტიის ტექსტში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული რომელ ადგილზე, ანუ რა მისამართზე უნდა წარედგინოს დოკუმენტები, გადახდაზე მოთხოვნა ან სხვა შეტყობინებები, თუ ეს მატერიალური დოკუმენტით უნდა შესრულდეს. ხოლო თუ ელექტრონული დოკუმენტით სვიფტის მეშვეობით წარედგინება, მაშინ ეს BIC კოდის და სვიფტის გასაღების გამოყენებით ხორციელდება (56).

ამ მუხლში განსაკუთრებული ხაზი აქვს გასმული გარანტიის ფორმატებს, ელექტრონულ გარანტიას და ქალაქის მატარებელზე შესრულებულ გარანტიას, ასევე ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ნებისმიერი წარდგენა უნდა იყოს იმავე ენაზე, რა ენაზეც გარანტიაა შედგენილი, გარდა სხვა პირების მიერ შესრულებული დოკუმენტებისა. წარდგენილი შეტყობინებების სწრაფი ადმინისტრირების მიზნით, მასში იდენტიფიცირებულად უნდა მიეთითოს გარანტია, რომელსაც წარდგენა ეხება, მაგალითად, გარანტიის ნომერი, თარიღი. ეს მნიშვნელოვანია, რადგან გარანტი URDG N 758 -ით პასუხის და გადახდის ვადებში მკაცრად შეზღუდულია და ზედმეტი დროის დაკარგვა პროცედურებს დროში წელავს. შესაბამისად, აქვეა მითითებული იდენტიფიკაციის შეუძლებლობას რა შედეგი მოაქვს. ამ დროს გადაიწევა დოკუმენტების შემოწმების ვადა, რაც ხუთი სამუშაო დღითაა განსაზღვრული და მისი ათვლა დაიწყება არა გარანტის მიერ მათი მიღების მეორე დღიდან, არამედ შესაბამისი გარანტიის იდენტიფიკაციის თარიღიდან. ამ მუხლის ანალიზით ირკვევა, რომ ნებისმიერი წარდგენა გაცემული გარანტიის ფარგლებში სათანადო უნდა იყოს და URDG N 758 -ის ამ მუხლს

უნდა შეესაბამებოდეს, თუ გარანტიაში მითითებულია URDG N 758 -ზე ქვემდებარეობა. სამოქალაქო კოდექსში ასეთი დეტალიზაცია არ არის გათვალისწინებული და სიტყვა წარდგენა, მოხსენიებულია მხოლოდ ერთგან, 885-ე მუხლის პირველ პუნქტში. ეს საკითხი, სხვადასხვა ასპექტშია განხილული რეკომენდაციებსა და შეთავაზებებში, რაც წინამდებარე ნაშრომის ბოლო თავშია მოცემული.

3.5.15. მოთხოვნის წარდგენის წესი

URDG N 758-ის მე-15 მუხლით დადგენილია ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის გადახდაზე მოთხოვნის წარდგენის წესი:

(a) გარანტიის მიხედვით, მოთხოვნა გამყარებული უნდა იქნეს სხვა დოკუმენტებით, რაც გარანტიაშია გათვალისწინებული. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში - ბენეფიციარის იმ განცხადებით (უნდა იქნეს გამყარებული), რომელშიც მიეთითება, თუ რაში გამოიხატა აპლიკანტის მიერ ვალდებულებების დარღვევა ძირითადი გარიგების მიხედვით. ეს განცხადება შეიძლება მიეთითოს მოთხოვნაში ან, არსებობდეს ცალკე ხელმოწერილ დოკუმენტად, რაც თან უნდა ერთოდეს მოთხოვნას ან გაიგზავნოს ცალკე, მაგრამ მასში უნდა მიეთითოს მოცემული მოთხოვნა;⁷

(b) (იხილე სქოლიო)

(c) მოთხოვნა დამასაბუთებელ განცხადებასთან მიმართებით ამ მუხლის მიხედვით გამოიყენება, თუ გარანტია პირდაპირ არ გამორიცხავს ამ მოთხოვნას. ისეთი ფორმულირება მოთხოვნის გამორიცხვის შესახებ, როგორცაა „დამასაბუთებელი განცხადება, გათვალისწინებული 15-ე მუხლის (a) და (b) ქვეპუნქტით გამორიცხულია“ - აკმაყოფილებს ამ პუნქტის მოთხოვნას.

(d) არც მოთხოვნა და არც დამასაბუთებელი განცხადება არ უნდა იყოს დათარიღებული უფრო ადრინდელი თარიღით, ვიდრე ბენეფიციარის მოთხოვნის წარმოშობის თარიღია. ნებისმიერი სხვა დოკუმენტი შეიძლება დათარიღებული იქნეს წინა თარიღითაც. ამასთან, არც მოთხოვნა, დამასაბუთებელი განცხადება და არც

⁷ (b) პუნქტში მითითებულია ზუსტად იგივე ტექსტი, ოღონდ გარანტიის ნაცვლად მოიხსენიება კონტრგარანტია;

ნებისმიერი სხვა დოკუმენტი არ უნდა იყოს დათარიღებული მათი წარდგენის თარიღზე უფრო გვიანდელი თარიღით.

ეს მუხლი საინტერესოა რამდენიმე მიმართულებით. პირველი და მნიშვნელოვანი ეს არის დამასაბუთებელი განაცხადის ჩაწერის ვალდებულება ბენეფიციარის მოთხოვნაში. როგორც აქ არის დათქმული, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა უთითებდეს ბენეფიციარი, თუ რაში გამოიხატა აპლიკანტის მიერ ვალდებულებების დარღვევა ძირითადი გარიგების მიხედვით. თუ თავდაპირველ განაცხადში ეს არ წერია, ცალკე უნდა წარედგინოს ამგვარი დასაბუთება და მასში უნდა მიეთითოს პირველ განაცხადზე, რითაც ფულის მოთხოვნა მოხდა. ეს სავალდებულო ჩანაწერია და მისი მიზანი შემდეგია: გარანტის რეგრესის უფლება პრინციპალის მიმართ საფუძვლიანი და სამართლიანი მაშინ ხდება, თუ ბენეფიციარი დამასაბუთებელ განაცხადს ჩაწერს წერილობით მოთხოვნაში და ზუსტად მიუთითებს ვალდებულებების დარღვევის ფაქტს, აღწერს გარემოებებს და ზედ დაურთავს იმ დოკუმენტს/მტკიცებულებას ვალდებულების დარღვევის შესახებ, რაც გარანტიით მოითხოვებოდა. ეს ბენეფიციარის ერთადერთი ვალდებულებაა საგარანტიო ურთიერთობაში, რომელიც კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე პუნქტი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს ავალდებულებს კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. ასევე 361-ე მუხლი ავალდებულებს ბენეფიციარს, ჯეროვნად შეასრულოს თავისი ვალდებულება, რაც საბანკო გარანტიაში დაითქვა და მოთხოვნა სათანადოდ წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებების დართვით, თუ ასეთს გარანტია ითვალისწინებს.

თუ თავისი არაკეთილსინდისიერი და დაუდევარი ქმედებით ბენეფიციარმა არ წარმოადგინა დამასაბუთებელი განაცხადება, ეს ნიშნავს, რომ სამართლებრივი საფუძველი გამოაცალოს გარანტის უფლებას, - მოითხოვოს პრინციპალისგან ანაზღაურება რეგრესის (reimburse) წესით, სამართლიანობისა და სათანადო მტკიცებულებების არარსებობით და უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხის წინაშე დააყენოს, რაც ზრდის გარანტის რეპუტაციულ რისკს და პირდაპირ მოქმედებს ნდობის ხარისხზე.

ბენეფიციარის სათანადოდ წარდგენილი მოთხოვნა და გარანტის რეგრესის (reimbursement) უფლება პრინციპალისაგან, - პირდაპირ მიზეზშედეგობრივ კავშირშია ერთმანეთთან და ერთმანეთს აწონასწორებს. თუ ეს წონასწორობა ბენეფიციარის მიერ დაირღვევა, გარანტის უფლება რეგრესზე პრინციპალის მიმართ შეიძლება საფრთხის

წინაშე დადგეს, რაც ახალ დავას წარმოშობს პრინციპალსა და გარანტს შორის. სამოქალაქო კოდექსის ნორმების მიხედვით, თუ ასეთი გარანტიით გადახდა მოხდება, სამოქალაქო კოდექსის 890-ე მუხლის ჩანაწერის მიხედვით, ეს აშკარად ნიშნავს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ (შეუსაბამოდ) გადახდას, რითაც უფლება ერთმევა გარანტს, რეგრესის წესით მიიღოს ანაზღაურება პრინციპალისაგან.

საინტერესოა ამ მუხლის (c) ქვეპუნქტის ჩანაწერი, სადაც მითითებულია, რომ დამასაბუთებელი განცხადება და წარმოსადგენი დოკუმენტები შესაძლებელია არც იქნეს წარდგენილი გარანტთან, თუ გარანტიაში პირდაპირ იქნება დათქმული, რომ URDG N 758 -ის 15-ე მუხლის (a) ქვეპუნქტის გამოყენება გამორიცხულია.“ ე.ი. URDG N 758 -ის ეს ჩანაწერი უშვებს ეგრეთ წოდებული უპირობო გარანტიას, სადაც შესაძლებელია არ იყოს ბენეფიციარის დამასაბუთებელი განცხადება. ცხადია, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია პრინციპალის პოზიცია, იქნება თუ არა თანახმა ასეთ უპირობო გარანტიაზე. თუ თანახმაა, მან ეს ცალსახად უნდა აღნიშნოს თავის ინსტრუქციაში გარანტის მიმართ, რაც ასევე უნდა აისახოს გარანტიით მომსახურების ხელშეკრულებაშიც, რათა გარანტის უფლება რეგრესზე პრინციპალის მიმართ არ შეილახოს და ზიანი არ გამოიწვიოს.

ეს საფრთხე მაშინვე შენიშნეს, „ხაფანგი“ უწოდეს და მიუთითეს, რომ ბენეფიციარების ინტერესი (c) პუნქტის გამოყენების სურვილს გაზრდის, ხოლო გარანტები იძულებულნი იქნებიან თავი დაიცვან რეგრესის უფლების შენარჩუნებისთვის (32) (33).

ამჟამად საქართველოში ფეხმოკიდებულია უპირობო გარანტიები, რომელსაც ძირითადად ითხოვენ სახელმწიფო სტრუქტურები. უპირობო გარანტიების მხარდაჭერის სურვილიც გამოითქვა საკანონმდებლო დონეზე (46), რასაც ჩვენი მოსაზრებით ვერ დავეთანხმებით შემდეგის გამო:

სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს ე.წ. უპირობო გარანტიის ცნებას, რაც მხოლოდ დადებითად უნდა ჩაითვალოს. ის ცალსახად ითხოვს 885-ე მუხლის პირველი პუნქტით, რომ ბენეფიციარის მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გარანტია გაიცა და წარმოადგინოს დოკუმენტები, რომლებიც გარანტიაშია მითითებული. ეს არის ბენეფიციარის ვალდებულება, რომლის კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულების ვალდებულება აკისრია. იმ

შემთხვევაში, თუ კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსის საბანკო გარანტიის მომწესრიგებელ ნორმებში ცვლილებებს შეიტანს, სასურველი იქნება, თუ ამ საკითხს ხელუხლებლად დატოვებს და არ შემოიტანს ე.წ. უპირობო საბანკო გარანტიების თემას, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საკმაოდ პრობლემატური საკითხია ბენეფიციარების კეთილსინდისიერებასთან მიმართებით.

3.5.16. ინფორმაცია მოთხოვნის შესახებ

URDG N 758-ის მე-16 მუხლით დადგენილია რომ:

გარანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ინსტრუქტაჟის გამცემს ან კონტრგარანტს ნებისმიერი მოთხოვნის ან თხოვნის შესახებ, რაც გარანტიის ვადის გაგრძელების ალტერნატივას ეხება. კონტრგარანტი ასევე ვალდებული დაუყოვნებლივ აცნობოს ინსტრუქტაჟის გამცემს ნებისმიერი მოთხოვნის ან თხოვნის შესახებ რაც გარანტიის ვადის გაგრძელების ალტერნატივას ეხება.

უნიფიცირებული წესების ეს მუხლიც ცვლილებას ეხება საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელების ან შემცირების ნაწილში. დანართ N 4-ში ჩვენ მოყვანილი გვაქვს მაგალითი, როგორც უნდა შევიტანოთ ცვლილება საბანკო გარანტიაში ვადის გაგრძელების შესახებ. სამოქალაქო კოდექსში ამგვარი ჩანაწერი არ არის, თუმცა 886-ე მუხლში წერია, რომ ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ, გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პრინციპალს და გადასცეს მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ.

ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოდ ბენეფიციარის იმ მოთხოვნას ეხება, რომელიც გარანტიის მიხედვით გადახდას უკავშირდება, მაგრამ ეს ჩვენი ცალმხრივი შეხედულებაა. ჩვენი აზრით, ის ეხება ბენეფიციარის ნებისმერი სახის მოთხოვნას და შესაძლებელია დანართიც ჰქონდეს დოკუმენტების სახით, მაგალითად, მტკიცებულება იმის შესახებ, რატომ ითხოვს საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელებას ან გარანტიის თანხის გაზრდას ან შემცირებას, კუთვნილი მოთხოვნის სხვა პირზე დათმობას და ა.შ., ანუ ამ საკითხთან მიმართებით ასე უნდა ჩამოვყალიბდეთ: გარანტიის ნებისმერი სახის მოთხოვნა თუ ინფორმაციული შეტყობინება, გარანტმა დაუყოვნებლივ

უნდა აცნობოს პრინციპალს და დოკუმენტებიც გადასცეს. პირიქითაც იგივე უნდა მოხდეს, პრინციპალის ნებისმიერი ინსტრუქცია თუ შეტყობინება უნდა გადასცეს ბენეფიციარს მაგრამ ამავდროულად არ უნდა გასცდეს საბანკო გარანტიის ფარგლებს.

3.5.17. ნაწილობრივი და მრავალჯერადი მოთხოვნა, მოთხოვნილი თანხა

URDG N 758-ის მე-17 მუხლის შინაარსი ადგენს შემდეგს:

(a) მოთხოვნა შესაძლებელია წარდგენილი იქნეს უფრო ნაკლებ თანხაზე, ვიდრე გარანტიის თანხაა (“ნაწილობრივი მოთხოვნა”).

(b) შესაძლებელია მოთხოვნის წარდგენა ერთზე მეტჯერ („მრავალჯერადი მოთხოვნა“).

(c) დათქმა „მრავალჯერადი მოთხოვნა აკრძალულია“ ან ანალოგიური დათქმა ნიშნავს, რომ მოთხოვნის წარდგენა დაიშვება მხოლოდ ერთხელ, გარანტიის მთელ თანხაზე ან მის ნაწილზე („ნაწილობრივი მოთხოვნა“).

(d) თუ გარანტიაში გათვალისწინებულია მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ ერთხელ და ასეთ მოთხოვნა უარყოფილი იქნა, გარანტიის ვადის ამოწურვამდე შესაძლებელია სხვა მოთხოვნის წარდგენა.

(e) მოთხოვნა არასათანადოა (შეუსაბამოა), თუ:

i. მოთხოვნა წარდგენილია უფრო მეტ თანხაზე, ვიდრე გარანტიის თანხაა;

ii. დასაბუთებულ განაცხადში ან ნებისმიერ სხვა დოკუმენტში, რაც გარანტიითაა გათვალისწინებული, მითითებულია თანხები, რაც ჯამურად უფრო ნაკლებია, ვიდრე მოთხოვნაში მითითებული თანხა.

პირიქით, მოთხოვნა ვერ გახდება სათანადო მხოლოდ იმ მიზეზით, რომ დამასაბუთებელ განცხადებაში ან სხვა დოკუმენტში მითითებულია თანხა, რომელიც აღემატება მოთხოვნაში მითითებულ თანხას.

ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმით, რომ გარანტიის მიხედვით ნაწილ-ნაწილ გადახდას ეხება. მაგალითად ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიაში, სადაც შესრულება ნაწილ-ნაწილ ხდება, ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნით გარანტიის თანხა ნაწილ-ნაწილ მცირდება ძირითადი ვალდებულების შესრულების კვალობაზე. პირიქით მოვლენა შემდეგნაირია. თუ პრინციპალს აქვს რამდენიმე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ვალდებულება, რაც ერთ ძირითად ხელშეკრულებაშია მოქცეული და

ერთი გარანტიით უზრუნველყოფილი, საიდანაც ორი შეასრულა და ერთი ვერა, მაშინ ბენეფიციარმა მხოლოდ მისი შეუსრულებელი ნაწილის მიხედვით უნდა წარადგინოს მოთხოვნა ბენეფიციარის წინაშე. ასეთ დროს მოხდება ნაწილობრივი გადახდა და გარანტიის თანხა შემცირდება. ასეთი მექანიზმის სწორი მოქმედებისთვის ეს წესი მოკლედ უნდა აღიწეროს საბანკო გარანტიის ტექსტში.

ვინაიდან ეროვნული კანონმდებლობა ასეთ გარემოებებს არ ითვალისწინებს, ამ საკითხს საბანკო გარანტიით მოწესრიგებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სწორედ საბანკო გარანტიის ტვირთია, წინასწარ იქნეს გააზრებული და ჩაწერილი ნაწილობრივი გადახდის და მრავალჯერადი მოთხოვნის წარდგენის საკითხების მოწესრიგება, რადგან გამოირიცხოს დავა და გაუგებრობა.

ამავდროულად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გარანტი ასრულებს პრინციპალის ინსტრუქციას და მის ფარგლებში მოქმედებს. ე.ი., თავის მხრივ, პრინციპალმაც უნდა გაითვალისწინოს და ინსტრუქციაში (განაცხადში) უნდა მიუთითოს თავისი პოზიცია ამ საკითხზე. ტექსტიდან ჩანს, რომ გარანტიით შეიძლება დაშვებული ან აკრძალული იყოს ნაწილობრივი ან მრავალჯერადი მოთხოვნის წარდგენა. ეს იმდენად რთული თემაა, რომ ბანკები URDG N 758 -ის ამ ნორმას იყენებენ თუ ამგვარი გარემოება დგება. სამოქალაქო კოდექსი ამ საკითხს არ აწესრიგებს.

ამ მუხლში განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს (d) ქვეპუნქტი, რომლით განსაზღვრული ურთიერთობაც მუდმივად განხილვის საგანია პრაქტიკოს იურისტებში. სამოქალაქო კოდექსი არც ამგვარ ურთიერთობებს აწესრიგებს, როგორც ამას აღნიშნავს ზვიად გაბისონია თავის მონოგრაფიაში „საბანკო სამართალი“ (1,246). ეს საკითხი ეხება ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პირველი მოთხოვნის არასათანადობის/შეუსაბამობის შემთხვევაში გარანტის მიერ მისთვის წარდგენილი მოთხოვნის უარყოფას. როგორც ამ პუნქტით ირკვევა, ბენეფიციარს მეორედ შეუძლია „სხვა სათანადო“ მოთხოვნა წარადგინოს მანამ, სანამ გარანტიის მოქმედების ვადა არ ამოწურულა. ლადო ჭანტურია მონოგრაფიაში „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“ უთითებს, რომ ასეთი „მოთხოვნა იქნება ბათილი, რაც გარანტს გადახდაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს და იმავდროულად უარის თქმის მოვალეობას აკისრებს (887 I მუხლი)“ (7,222).

აქ კითხვას ბადებს ერთი მომენტი: ბენეფიციარს შეუძლია თუ არა თავისი არასათანადო მოთხოვნის შესწორება და ხელახლა წარდგენა, ჩაითვლება თუ არა ასეთი შესწორებული

მოთხოვნა „სხვა მოთხოვნად“, როგორც ამას URDG N 758 -ის 17-ე მუხლის (d) პუნქტი უთითებს. უნდა ვიგულისხმოდ, რომ კერძო სამართლის პრინციპიდან გამომდინარე, რაკი პირდაპირ არ იკრძალება ერთხელ გარანტიის მიერ ერთხელ უარყოფილი და შესწორებული მოთხოვნის წარდგენა, ის შეიძლება „სხვა“ მოთხოვნად განვიხილოთ და სანამ გარანტიის მოქმედების ვადა არ გასულა, შესაძლებელია წარდგენილი იქნეს და გადახდით დაკმაყოფილებულიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „რაიფაიზენ ბანკის“ გარანტიების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, დოქტორ ანდრეა ჰაუპტმანის მიერ URDG N 758 -ის წარდგინებაში, რაც პორტუგალიისთვის იყო მომზადებული და 2013 წელს ლისაბონში ჩატარდა, კომენტარიც არ გაკეთებულა (51), იმდენად ნათელი იყო ეს საკითხი. იგივე აქვს აღნიშნული ი. რობაქიძეს სახელმძღვანელოში „სახელშეკრულებო სამართალი“ (6,582). ზ. გაბისონიას დასმული აქვს საკითხი ამის თაობაზე (1,246), სხვა ქართველი მეცნიერების ნაშრომებში კი განხილული საერთოდ არ არის.

შემდგომი (e) ქვეპუნქტი არასათანადო მოთხოვნის კიდევ სამ მაკვალიფიცირებელ გარემოებას ადგენს. პირველია, როცა მოთხოვნაში მითითებული თანხა გარანტიის თანხას აღემატება. ხოლო დანარჩენი ორი, როდესაც მოთხოვნაზე თანდართულ დოკუმენტებში მითითებული თანხების ჯამი ნაკლებია ან მეტია მოთხოვნაში მითითებულ თანხაზე (ე.წ. არასწორი გაანგარიშება).

3.5.18. ყოველი მოთხოვნის დამოუკიდებლობა

URDG N 758-ის მე-18 მუხლის შინაარსი შემდეგია:

(a) არასათანადო მოთხოვნის წარდგენა ან მისი გამოთხოვა, არანაირად არ ართმევს და არ ლახავს უფლებას წარდგენილი იქნეს სხვა დროული მოთხოვნა იმისგან მიუხედავად, აკრძალულია თუ არა გარანტიით ნაწილობრივი ან მრავალჯერადი მოთხოვნის წარდგენა.

(b) გადახდა იმ მოთხოვნით, რომელიც არ იყო სათანადო, არ აუქმებს იმ პირობას, რომ სხვა მოთხოვნები სათანადო არ იყოს.

ჩვენი აზრით, ეს მუხლი აკონკრეტებს და ამყარებს წინა, მე-17 მუხლის (d) ქვეპუნქტში მითითებულ გარემოებას, ანუ, ბენეფიციარის მიერ ახალი, შესწორებული სათანადო მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას დამოუკიდებელი გარანტიის მოქმედების

ვადაში. რაც, პრინციპში შესაბამისობაშია საბანკო/დამოუკიდებელი გარანტიის სამართლებრივ ბუნებასთან.

3.5.19. დოკუმენტების შემოწმება გარანტიის მიერ

URDG N 758-ის მე-19 მუხლით დადგენილია გარანტიის მიერ, დოკუმენტების შემოწმების წესი გადახდაზე მოთხოვნის წარდგენისას:

(a) მხოლოდ წარდგენის საფუძველზე გარანტმა უნდა დაადგინოს, არის თუ არა ის გარეგნული ნიშნებით სათანადოდ წარდგენილი.

(b) გარანტიით გათვალისწინებული დოკუმენტის მონაცემები უნდა შემოწმდეს თავად დოკუმენტის კონტექსტით, გარანტიით და ამ წესებით. მონაცემები არ არის სავალდებულო იყოს იდენტური, მაგრამ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მონაცემებს თავად დოკუმენტში, გარანტიით გათვალისწინებულ სხვა ნებისმიერ დოკუმენტში ან თვით გარანტიაში.

(c) თუ გარანტია ითვალისწინებს დოკუმენტის წარდგენას იმაზე მიუთითებლად, უნდა იყოს თუ არა ხელმოწერილი, ვის მიერ უნდა იყოს გამოწერილი და რა შინაარსით, მაშინ:

i. გარანტი იღებს დოკუმენტს იმ სახით, რა სახითაცაა წარმოდგენილი, თუ ის თავისი შინაარსით ასრულებს იმ დოკუმენტის ფუნქციას, რაც გარანტიითაა გათვალისწინებული, ხოლო სხვა დანარჩენით შეესაბამება ამ მუხლის (b) პუნქტს და,

ii. თუ დოკუმენტი ხელმოწერილია, მიღებული იქნება ნებისმიერი ხელმოწერა, ხოლო ხელმოწერის ვინაობის და თანამდებობის მითითება არ მოითხოვება.

(d) თუ წარდგენილია ისეთი დოკუმენტი, რაც არ იყო გათვალისწინებული გარანტიით ან არ არის მოხსენიებული ამ წესებში, მაშინ ასეთი დოკუმენტი არ მიიღება მხედველობაში და შესაძლებელია დაუბრუნდეს წარმომდგენს.

(e) გარანტი არ არის ვალდებული გადაამოწმოს ბენეფიციარის გაანგარიშებანი იმ ფორმულით, რაც მითითებულია ან ნახსენებია გარანტიაში.

(f) გარანტი განიხილავს მოთხოვნას ლეგალიზაციასთან, ვიზირებასთან, დამოწმებასთან და ა.შ. მიმართებით, ისევე, როგორც შეამოწმებს ხელმოწერებს, აღნიშვნებს, შტამპებს ან იარლიყებს, რომლებიც გამოიყურებიან ისე, რომ აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნებს.

ამ მუხლის შინაარსი ნათელია, მაგრამ მისი ანალიზის შედეგად ჩნდება კითხვა, თუ შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ რომელიმე დოკუმენტი არ არის სარწმუნო ამ მუხლში ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით, ან არ კმაყოფილდება მისი რომელიმე პირობა, რა უნდა მოიმოქმედოს გარანტმა? ეს წესები ამ კითხვას 24-ე მუხლით პასუხობს, რასაც ქვემოთ განვიხილავთ, მაგრამ აქვე ვიტყვით, რომ ეს შედეგები მოთხოვნის უარყოფას იწვევს და გადახდაზე უარის საფუძველია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში გარანტიით გადახდა უნდა შეჩერდეს გარკვეული ვადით და დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პრინციპალს და ბენეფიციარს გადახდის შეჩერების ვადის და მიზეზების შესახებ, ხოლო ბენეფიციარისგან გადახდაზე ხელმეორედ მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში გადახდა უნდა მოხდეს. ამ საკითხზე დაწვრილებით ვიმსჯელებთ წინამდებარე ნაშრომის მეხუთე თავში. აქვე აღვნიშნავთ, რომ “ f” ქვეპუნქტი უთითებს იმ საფუძვლებზე, რომლებითაც გარანტმა უნდა დაადგინოს, ხომ არ არის ყალბი აშკარა გარეგნული ნიშნებით წარმოდგენილი მოთხოვნა და თუ მან ეს დაადგინა, მაშინ გადახდა უნდა შეაჩეროს, ან უარი უნდა თქვას გადახდაზე. გადახდის შეჩერებას სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს, ჩვენ ვთვლით, რომ ასეთი უფლებამოსილება გარანტს უნდა ჰქონდეს და ეს დებულება, თავისი რეკომენდაციებით და დასაცავად არის გამოტანილი.

3.5.20. გარანტის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შემოწმების დრო და გადახდა

URDG N 758-ის მე-20 მუხლით დადგენილია, რომ:

- (a) თუ მოთხოვნის წარდგენა არ შეიცავს მითითებას იმაზე, რომ მოგვიანებით დასრულდება, მაშინ გარანტმა უნდა განსაზღვროს არის თუ არა ასეთი მოთხოვნა სათანადო, წარდგენის მეორე დღიდან ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში. ეს დრო არ შემცირდება და არ შეიცვლება იმასთან დაკავშირებით, რომ წარდგენის დღეს ან წარდგენის შემდგომ მალე იწურება გარანტიის ვადა. ოღონდ, თუ წარდგენაში მითითებულია, რომ ის დასრულდება მოგვიანებით, არ მოითხოვება შემოწმება მანამ, სანამ ის არ დასრულდება.
- (b) როცა გარანტი დარწმუნდება, რომ მოთხოვნა სათანადოა, ვალდებულია გადაიხადოს.
- (c) გადახდა უნდა მოხდეს გარანტის ან კონტრგარანტის განყოფილებაში/ფილიალში ან ოფისში, რომელმაც გარანტია გასცა ან სხვა ადგილზე, რომელიც შეიძლება გარანტიაში ან კონტრგარანტიაში იყოს მითითებული („გადახდის ადგილი“).

ეს მუხლი თავისი შინაარსით და სამართლებრივი დატვირთვით იმპერატიულია და ზუსტად განსაზღვრავს ბენეფიციარის მიერ წარდგენილი მოთხოვნის და თანდართული დოკუმენტების შემოწმების ვადას. ასევე ადგენს გადახდის ადგილს. წინა წესები URDG N 458 კონკრეტულ დღეთა რაოდენობის ნაცვლად პერიოდს მიუთითებდა შემდგენაირად „გონივრული ვადა.“ სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლის მეორე პუნქტიც იმავეს იმეორებს, აქაც „გონივრული ვადა“ მითითებული კონკრეტული დღეების რაოდენობის ნაცვლად.

საერთაშორისო წესების მოთხოვნა გასაგებია. საერთაშორისო ბრუნვა იმდენად დაჩქარებულია, რომ ისეთმა ფინანსურმა ინსტრუმენტმა, როგორც გარანტიაა, უნდა უპასუხოს ამ სისწრაფეს. მაგრამ ეროვნული კანონმდებლობის დონეზე რამდენდაა დასაშვები გარანტის შეზღუდვა შემოწმების და გადახდის ვადაში, ამის გამოკვლევა ჩავატარეთ. აღმოჩნდა რომ ქართული ბანკების უმეტესობა ხუთი საბანკო დღის ვადაში კისრულობს გადახდის ვალდებულებას. ვთვლით რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ სასურველია უპასუხოს ამ გამოწვევას და კონკრეტული დღეთა რაოდენობა დათქვას შემოწმებისა და გადახდისთვის. ამით მხოლოდ პრაქტიკის საშუალებითაა თავიდან აცილებული ის საშიშროება, რასაც კნიაჟესკაია უთითებს თავის სადისერტაციო ნაშრომში (25,15).

URDG N 758 -ის ეს მუხლი უთითებს გადახდის ადგილს. შესაბამისად საბანკო გარანტიის ტექსტის შედგენისას სასურველია გათვალისწინებული იქნეს ადგილი სადაც გადახდა უნდა შესრულდეს. აქვე უნდა ითქვას, რომ URDG N 758 ეს მუხლი დაკვირვებით ანალიზის შემდეგ მოსაზრებას ბადებს, რომ ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მეტი იყოს, ვიდრე აქ განსაზღვრული ხუთი სამუშაო დღე. თუ ბენეფიციარმა მოთხოვნა წარადგინა, მაგრამ მიუთითა, რომ დოკუმენტების წარდგენას მოგვიანებით დაასრულებდა, მაშინ შემოწმების ხუთ სამუშაო დღიანი ვადა შეჩერდება მანამ, სანამ დოკუმენტების წარმოდგენა არ დასრულდება და მისი მომდევნო დღიდან დაიწყება მისი დინება. ეს მუხლი ზუსტად უთითებს მოთხოვნის სათანადოობის/შესაბამისობის და თანდართული დოკუმენტების შემოწმების ვადას, რაც ხუთი სამუშაო დღით განსაზღვრა, მაგრამ პირდაპირ არ უთითებს, რომ გადახდა ხუთ სამუშაო დღეში უნდა მოხდეს. ჩვენი მოსაზრებით გადახდა შეიძლება მოხდეს მეექვსე სამუშაო დღეს, ანუ შემოწმებისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან მეორე სამუშაო დღეს. „გონივრული ვადა“ და „გონივრული მზრუნველობა“ URDG -758 -ის განხილვისას

ბუდნოვან ნორმებად იქნა მიჩნეული და მასზე უარი ითქვა მისი საერთაშორისო პრეზენტაციისას. აღნიშნულმა ვადამ გარანტი შეზღუდა და სამართლიანადაც, რადგან ფულს მნიშვნელობა აქვს დროის გარკვეულ მონაკვეთში საქონლის მიწოდების და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. კონკრეტული ვადის განსაზღვრა საშუალებას აძლევს ბენეფიციარს გათვალისწინოს თავისი აქტივი და მომავალი დაბანდებანი, ამასთანავე ბენეფიციარს ხდის ვალდებულს ზუსტად დაიცვას მოთხოვნის წარდგენის წესი რათა ფული სწრაფად მიიღოს, ამდენად თუ ის ნაწილ-ნაწილ დაიწყებს დოკუმენტების წარდგენას, მით უფრო გადაიწევს მისთვის ფულის მიღების ვადა გარანტიის მიხედვით. ვთვლით, რომ საქართველოს კანონმდებლობამაც უნდა ითქვას უარი და იგივე სტანდარტი შემოიღოს შემოწმების დროის ნაწილში, როგორც URDG -758- შია მითითებული.

საბანკო გარანტიით დათქმული მოთხოვნა უნდა შესრულდეს მაშინაც, როცა სახელშეკრულებო ვალდებულება პრინციპალის მიერ უკვე შესრულებულია, მაგრამ ბენეფიციარი განმეორებით მოითხოვს გადახდას. ე.ი. სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით საბანკო გარანტია ვალდებულების “ორმაგი” შესრულების ბუნებით ხასიათდება. ”ორმაგი შესრულებისას” თავს იჩენს პრობლემა, თუ როგორ უნდა შეფასდეს სამართლებრივად ბენეფიციარის ქმედება მეორე მოთხოვნის შემთხვევაში, როგორც უსაფუძვლო გამდიდრება თუ როგორც უფლების ბოროტად გამოყენება? ასეთი შეფასება საქართველოს საერთო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების მიხედვით ჯერჯერობით არ გაკეთებულა და ამ ნაწილში არც ქართული სასამართლო პრაქტიკა არსებობს დღეის მდგომარეობით.

3.5.21. გარანტიის ვალუტა და გადახდის ვალუტა

URDG N 758-ის 21-ე მუხლი ადგენს გარანტიის თანხის გადახდის ვალუტის საკითხს და ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

- (a) გარანტი ვალდებულია გადაიხადოს სათანადო მოთხოვნა იმ ვალუტაში, რაც გარანტიაშია მითითებული.
- (b) თუ იმ თარიღზე, როცა გარანტიის მიხედვით გადახდა უნდა მოხდეს:

- i. გარანტს არ შეუძლია გადაიხადოს იმ ვალუტაში, რაც გარანტიაშია მითითებული, რაც დაკავშირებულია ისეთი გარემოების წარმოშობასთან რაც არ ექვემდებარება გარანტის კონტროლს; ან
- ii. გარანტიაში მითითებულ ვალუტაში გადახდა არღვევს იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რაც გადახდის ადგილზე მოქმედებს,

გარანტმა უნდა გადაიხადოს - გადახდის ადგილის ვალუტაში, მაშინაც კი, თუ გარანტიაში მითითებულია, რომ გადახდა შესრულდება მხოლოდ იმ ვალუტაში, რაც გარანტიაშია მითითებული. გადახდა ამ ვალუტაში, ვალდებულებას აკისრებს ინსტრუქციის გამცემ მხარეს, ხოლო კონტრგარანტიის შემთხვევაში კონტრგარანტს. გარანტი, ხოლო კონტრგარანტიის შემთხვევაში კონტრგარანტი უფლებამოსილია ამოიღოს: მიიღოს თუ არა რეგრესი იმ ვალუტით, რომლითაც გარანტმა გადაიხადა თუ გარანტიის ვალუტაში, ხოლო კონტრგარანტიის შემთხვევაში - კონტრგარანტიის ვალუტაში.

(c) გადახდა ან ანაზღაურება გადახდის ადგილის ვალუტის მიხედვით შედგება გამოსაყენებელი გაცვლითი კურსით, რაც მოქმედებს გადახდის ადგილზე გადახდის, ან ანაზღაურების მომენტისთვის. ამასთან ერთად, გარანტიის თანხის დათქმულ ვადაში გადაუხდელობისას, ბენეფიციარი უფლებამოსილია მოითხოვოს გამოსაყენებელი გაცვლითი კურსით გადახდა იმ მომენტისთვის როცა გადახდა უნდა განხორციელებულიყო, ან კურსით, რაც მოქმედებდა ფაქტობრივი გადახდის მომენტისათვის.

URDG N 758 -ში ეს მუხლიც იწვევს ინოვაციურია. ეს საკითხი საერთაშორისო დონეზე ნათელია და მისაღები, რადგან გარანტი, ბენეფიციარი და აპლიკანტი შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტები იყვნენ და როგორც გარანტიის ვალუტას, ასევე გადახდის და რეგრესისას ვალუტას დიდი მნიშვნელობა აქვს ისევე, როგორც ვალუტირებას. ბენეფიციარის ქვეყანაში შესაძლებელია აკრძალული იყოს უცხოურ ვალუტაში ფულადი ბრუნვა და ამ წესებმა ეს გაითვალისწინა.

საქართველოში მოქმედ ზოგიერთ ფინანსურ ინსტიტუტში, მათ შორის ბანკებშიც, რომლებიც გარანტიას გასცემენ, დღეისთვის გამყარებულია აზრი, რომ გარანტიის მიხედვით გადახდა საქართველოს ტერიტორიაზე არ შეიძლება სხვა ვალუტაში გარდა

ლარისა. ეს ნიშნავს რომ გარანტიაში გარანტიის თანხა სხვა ვალუტაშიც რომ იყოს მითითებული, გადახდისას ლარში უნდა იქნეს გამოყენებული. ეს მოსაზრება გამყარებულია ორგანული კანონით საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, რომლის მეხუთე თავის ოცდამეთოთხმეტე მუხლში მითითებულია, რომ ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე. ბევრ ქვეყანაში, კანონში ასევე პირდაპირ არის მითითებული, რომ გადახდა ეროვნულ ვალუტაში უნდა მოხდეს. გერმანიაში ამ საკითხს სამოქალაქო კოდექსის § 244 აწესრიგებს, რომელიც ადგენს, რომ თუ ევროსაგან განსხვავებული ვალუტით გამოხატული ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს ქვეყნის შიგნით, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს ევროთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა ვალუტით გადახდა სპეციალურად არის შეთანხმებული. გადაცვლა ხორციელდება იმ კურსით, რომელიც გადახდის მომენტისათვის დადგენილია გადახდის ადგილზე (4, 116).

2011 წლის 1 ივლისს, საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის 34-ე მუხლში შევიდა ცვლილება, რომელმაც დაადგინა, რომ გადახდა დაიშვება უცხოურ ვალუტაში, თუ გადახდა ხორციელდება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში (64).

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 07 აპრილის №24/04 ბრძანების მე-11 მუხლით განსაზღვრულია, რომ დასაშვებია უცხოური ვალუტით ნებისმიერი საბანკო ოპერაციის განხორციელება, გარდა საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მიწოდებასა და/ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული გადახდისა, თუკი აღნიშნული ოპერაცია არ არის დაკავშირებული ექსპორტ-იმპორტთან და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირის სასარგებლოდ რეზიდენტის მიერ განხორციელებულ გადახდასთან. მაგრამ 2014 წელს შეტანილი ცვლილებებით, ეს შეზღუდვა აღარ ვრცელდება უცხოური ვალუტით დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების (მათ შორის, სესხის ან დეპოზიტის) ძირითადი თანხის, საპროცენტო სარგებლის, ასევე პროცენტული გამოხატულების მქონე პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმის გადახდის ოპერაციებზე და უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე არარეზიდენტი პირისათვის თანხის გადარიცხვის შემთხვევებზე (76).

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის N 8/04 ბრძანებით „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ,“ მიღებული იქნა 2015 წლის 22 იანვარს და ძალაში შევიდა 2015 წლის 1 მარტიდან. მის 23-ე მუხლში მითითებულია, რომ უცხოური ვალუტით განხორციელებასთან დაკავშირებული შეზღუდვები არ ვრცელდება უცხოური ვალუტით დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების (მათ შორის, სესხის ან დეპოზიტის) ძირითადი თანხის, საპროცენტო სარგებლის, ასევე პროცენტული გამოხატულების მქონე პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმის გადახდის ოპერაციებზე (78).

აღნიშნულთან ერთად, საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-19 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულია, რომ სავალო ვალდებულებას არ მიეკუთვნება საქონლის მიწოდებით ან/და მომსახურების გაწევით წარმოშობილი სავალო ვალდებულებები, ან გარანტიითა და თავდებობით, ან/და სხვა ამგვარი ოპერაციებით წარმოქმნილი ვალდებულებები (67)(68). ამავე საგადასახადო კოდექსის მე-15 მუხლი ფინანსურ ინსტრუმენტს და ფინანსურ მომსახურებას შემდეგნაირად განმარტავს:

„ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი შეთანხმება (ხელშეკრულება), რომელიც წარმოშობს როგორც ერთი პირის ფინანსურ აქტივს, ისე მეორე პირის ფინანსურ ვალდებულებას. იგი მოიცავს: ფულად სახსრებს (ნაღდი და უნაღდო ფორმით), სესხებს (კრედიტებს), სასესხო ვალდებულებებს, თამასუქებსა და ფასიან ქაღალდებს, მათ შორის: კაპიტალში წილებს, აქციებს, ობლიგაციებს და ისეთ წარმოებულ ფასიან ქაღალდებს, როგორებიცაა: ოფციონი, ფიუჩერსი, ფორვარდი, სვოპი და სხვა. ფინანსური ინსტრუმენტი აგრეთვე მოიცავს ფულადი გამოსახვის მქონე, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ ნებისმიერ შეთანხმებას ორ სუბიექტს (კონტრაგენტს) შორის.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ფინანსურ ოპერაციას განეკუთვნება:

- ა) ფინანსური ინსტრუმენტის მიმოქცევა და მიმოქცევასთან დაკავშირებული ოპერაციები ნაღდი და უნაღდო ფორმით და გადახდის ნებისმიერი ინსტრუმენტით სარგებლობა;
- ბ) გარანტიების, ან ანალოგიური შინაარსის ფინანსური ინსტრუმენტების გაცემა, დამოწმება, მართვა, განკარგვა ან ასეთი ინსტრუმენტის შეძენა/მის ბენეფიციარად ყოფნა;
- გ) ფინანსური ინსტრუმენტებით გარიგების პირობებისა და ანგარიშსწორების გარანტიად (მათ შორის, მესამე მხარედ) გამოსვლა, ასევე ფინანსურ ინსტრუმენტებთან ან/და ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურება (67).

ჩამოთვლილი ნორმატიული აქტების ნორმების ანალიზით დასტურდება, რომ თუ საქართველოს ტერიტორიაზე საბანკო გარანტია გაცემულია აშშ დოლარში ან ევროში, ბენეფიციარის მოთხოვნის შემთხვევაში გარანტიის თანხის გადახდა დაშვებულია გარანტიის ვალუტაში მოხდეს, რადგან:

- ა) საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, აქ მითითებული ცვლილებით დაადგინა, რომ უცხოური ვალუტით გადახდა დაიშვება ფინანსურ ინსტრუმენტებზე, ე.ი. კონკრეტულად განსაზღვრა ის შემთხვევა როცა გადახდა შეიძლება მოხდეს უცხოურ ვალუტაში;
- ბ) თავის მხრივ, ფინანსური ინსტრუმენტის ცნება დეტალურად განმარტა საქართველოს საგადახადო კოდექსმა, სადაც პირდაპირი მითითებაა საბანკო გარანტიებზე;
- გ) საბანკო გარანტია არ არის ანგარიშსწორება - დაკავშირებული საქონლის მიწოდებასთან - რადგან არ არის დამოკიდებული იმ ხელშეკრულებაზე ან მის ნამდვილობაზე - რომლის ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისთვისაც გაიცა;
- დ) პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის დადებულ ხელშეკრულებაში შეიძლება ზუსტად იყოს მითითებული მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გადახდა გარანტიის მიხედვით. სამოქალაქო კოდექსი გარანტიის მომწესრიგებელ მუხლში აღნიშნულის თაობაზე არაფერს ამბობს. იქვე მითითებული რეგრესის წესი კი ერთ საკითხს ართულებს: ამ მუხლის მიხედვით, გადახდილი საგარანტიო თანხის რეგრესი პრინციპალისაგან გადახდილი გარანტიის თანხის საკრედიტო ვალდებულებად გარდაიქმნება. ამ საკრედიტო ვალდებულების დაფარვის ვადა, გადახდის წესი და საპროცენტო განაკვეთი ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ საბანკო გარანტიით მომსახურების ხელშეკრულებითაა დადგენილი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ცალკე იდება საკრედიტო ხელშეკრულება.

თუ საქართველოს ფარგლებში გაცემული და მოქმედი გარანტია უცხოურ ვალუტაში იყო გაცემული და ლარში შესაბამისი ეკვივალენტით გადაიხადეს, დგება საკითხი, რა ვალუტაში უნდა აღირიცხოს და დაეკისროს საკრედიტო ვალდებულება პრინციპალს. ცხადია, პრინციპალი ცალსახად არ იქნება თანახმა აშშ დოლარში საკრედიტო ვალდებულების შესრულებაზე, რადგან სავალუტო კურსის ცვალებადობამ შეიძლება აზარალოს. სხვა გარემოებაში კი გარანტმა შეიძლება იზარალოს. ვალუტირება ნიშნავს ვალუტებს შორის გაცვლის კურსს შესაბამისი თარიღისთვის და თუ ბენეფიციარს სხვა ვალუტაში გადაუხდიან, ვიდრე გარანტიით იყო გათვალისწინებული, კურსთა სხვაობა შეიძლება არსებითი აღმოჩნდეს და სერიოზული დავა გამოიწვიოს მხარეთა შორის. ეს

საკითხი ისე უნდა გადაწყდეს, როგორც მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს. საბანკო გარანტიით გათვალისწინებული საგარანტიო თანხა შეიძლება მითითებული იქნეს უცხოურ კოტირებად ვალუტაში და გადახდა გარანტიის ვალუტაში შესრულდეს. რაც შეეხება საერთაშორისო გარანტიებს, გადახდა ბენეფიციარისთვის უმეტესად საგარანტიო თანხის ვალუტაში ხორციელდება. URDG N 758 ითვალისწინებს ისეთ გარემოებასაც, როცა საგარანტიო გადახდა ბენეფიციარის ქვეყნის ვალუტაში შეიძლება განხორციელდეს. თუ ბენეფიციარის სახელმწიფოში აღნიშნულის თაობაზე შეზღუდვა არსებობს. ასე რომ პრაქტიკაში, შემდგომში გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ არც საერთაშორისო გარანტიებით და არც საქართველოს ტერიტორიაზე გაცემული და რეზიდენტი ბენეფიციარების სასარგებლოდ მოქმედი გარანტიებით საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია, რომ გარანტიის მიხედვით შესაძლებელია უცხოურ ვალუტაში, თუ გარანტიაში ვალუტად უცხოური ვალუტაა დათქმული და პრაქტიკაშიც ასე უნდა დაინერგოს.

3.5.22. გადახდაზე მოთხოვნის ასლის გადაცემა

URDG N 758-ის 22-ე მუხლით დადგენილია გარანტის ვალდებულება გადასცეს აპლიკანტს/პრინციპალს ბენეფიციარისგან გადახდაზე მიღებული მოთხოვნა და მასზე თანდართული დოკუმენტები. ეს ვალდებულება ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

გარანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს სათანადო მოთხოვნის ასლი და ნებისმიერი მასთან დაკავშირებული დოკუმენტი ინსტრუქტაჟის გამცემ მხარეს ან შესაბამისად კონტრგარანტს ინსტრუქტაჟის გამცემი მხარისთვის გადასაცემად. ამასთან ერთად, არც კონტრგარანტი და არც ინსტრუქტაჟის გამცემი მხარე, გარემოებიდან გამომდინარე, არ არის უფლებამოსილი დააყოვნოს გადახდა ან ანაზღაურება ასეთი გადაცემის მოლოდინის გამო.

ეს საკითხი სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლის პირველ ნაწილში რეგულირებულია შემდეგნაირად: ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ პრინციპალს და გადასცეს მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ. URDG N 758 -ის ეს მუხლი უთითებს, რომ მოლოდინი, რაც ამ გადაცემას და შეტყობინებას უკავშირდება, ვერ გასცდება ხუთ სამუშაო დღეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსი შემოწმებისთვის

კონკრეტულ ვადას არ აწესებს, ის „გონივრულ ვადას“ უთითებს. იმის გათვალისწინებით, რომ გარანტიის ემიტენტები ძლიერი ფინანსური ინსტიტუტებია და კომპეტენტური კადრებით არიან დაკომპლექტებული, მოიაზრება, რომ ეს ვადა ნამდვილად იქნება გონივრული და უსაფუძვლოდ არ გაგრძელდება. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სამოქალაქო ბრუნვა იმდენად დაჩქარდა, უკვე სასურველია კონკრეტული ვადის არსებობა, თუმცა გონივრულ ვადაში დოკუმენტების შემოწმება და გადახდა, უფრო ადრე შეიძლება ვიდრე კონკრეტული ვადით იქნება განსაზღვრული.

3.5.23. ალტერნატიული მოთხოვნა „ვადა გააგრძელე ან გადაიხადე“

URDG N 758-ის 23-ე მუხლი ადგენს, რომ:

(a) თუ სათანადო მოთხოვნა შეიცავს ალტერნატივის სახით თხოვნას გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, გარანტს შეუძლია შეაჩეროს გადახდა გარანტიის მიხედვით, არაუმეტეს 30 დღის ვადით, რომელიც აითვლება მოთხოვნის მიღების მეორე დღიდან.

(b) თუ ასეთი შეჩერების შემდეგ გარანტი წარადგენს სათანადო მოთხოვნას კონტრგარანტიის მიხედვით, რაც შეიცავს ალტერნატივის სახით თხოვნას ვადის გაგრძელების შესახებ, კონტრგარანტს შეუძლია შეაჩეროს გადახდა დროის იმ პერიოდით, რომელიც არ აღემატება დროის იმ მონაკვეთს, როცა გარანტიის მიხედვით გადახდაა შეჩერებული - მინუს ოთხი კალენდარული დღე.

(c) გარანტი დაუყოვნებლივ ატყობინებს ინსტრუქტაჟის გამცემ მხარეს, ხოლო კონტრგარანტიის შემთხვევაში კონტრგარანტს გარანტიის მიხედვით გადახდის ვადის შეჩერების შესახებ პერიოდის მითითებით. კონტრგარანტი, თავის მხრივ, ატყობინებს აღნიშნულის შესახებ ინსტრუქტაჟის გამცემ მხარეს შეჩერების და საერთოდ გადახდის ყველანაირი შეჩერების შესახებ კონტრგარანტიით. ამ მუხლის მოთხოვნის დაცვა ნიშნავს მე-16 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულებას მხარის ინფორმირების თაობაზე.

(d) თუ განაცხადში მითითებულია გაგრძელების პერიოდი ან სხვაგვარადაა შეთანხმებული განაცხადის წარმდგენთან, და აკმაყოფილებს ამ მუხლის (a) და (b) პუნქტებს, მოთხოვნა გადახდაზე გათხოვილად ჩაითვლება. თუ გაგრძელების პერიოდი არ იქნება მითითებული, სათანადო მოთხოვნა გადახდაზე, უნდა შესრულდეს რაიმე მორიგი მოთხოვნის წარდგენის აუცილებლობის გარეშე.

(e) გარანტი, ან კონტრგარანტი უფლებამოსილია უარი თქვას ნებისმიერ გაგრძელებაზე მაშინაც კი, თუ ინსტრუქციას მიიღებს ვადის გაგრძელებაზე და ასეთ შემთხვევაში უნდა გადაიხადოს.

(f) გარანტი ან კონტრგარანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მხარეს, რომლისგანაც მიიღო ინსტრუქცია, საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ გააგრძელოს ვადა (d) პუნქტის შესაბამისად ან გადაიხადოს.

(g) არც გარანტი და არც კონტრგარანტი არ აგებენ პასუხს გადახდის შეჩერების გამო, თუ ის ზემოთ მითითებულ პროცედურებს ეყრდნობა.

ეს მუხლი ინოვაციურია იმით, რომ გარანტიით გადახდის შეჩერების უფლებაა გათვალისწინებული ოცდაათი დღით, ბენეფიციარის სათანადო მოთხოვნის მიღების მეორე დღიდან. გარემოება, რაც ამ შეჩერებას იწვევს, ბენეფიციარის მოთხოვნაა გარანტიის ვადის გაგრძელებაზე, ან თუ ვადა არ გაგრძელდება - გადახდაზე. რა თქმა უნდა, შეტყობინება აპლიკანტისთვის ბენეფიციარისგან ალტერნატიული მოთხოვნის მიღებაზე დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს. ეს არის ეგრეთ წოდებული ალტერნატიული შეთავაზება ბენეფიციარისგან გარანტისათვის და ერთის შესრულება მეორეს გამორიცხავს. ანუ თუ ვადა გაგრძელდება, - გადახდაზე მოთხოვნა გათხოვილად ჩაითვლება. თუ გარანტი გადახიხდის, მაშინ გარანტიის მოქმედება დასრულდება. ასეთი ვადის გაგრძელება შეიძლება გამოიწვიოს ძირითად ვალდებულებაში ცვლილებების შეტანამ, ახალი ვალდებულებების დამატებამ ან ძირითადი ხელშეკრულების ვადის გაგრძელებამ, რომელსაც, თავის მხრივ ობიექტური მიზეზი ჰქონდეს. ვადის გაგრძელება თავისთავად ნიშნავს მოქმედ გარანტიაში ცვლილებების შეტანას, რასაც სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს.

ამ ნაწილში გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობას უნდა დავეყრდნოთ, თუ ბენეფიციარი ნებას გამოხატავს და გარანტი თანახმაა, მაშინ ვადა გაგრძელდება. აპლიკანტის ნებაც კი, რომელსაც გარანტი მაშინვე ატყობინებს ვადის გაგრძელების მოთხოვნის მიღების შესახებ და აწვდის მას დოკუმენტს, - მთავარი არ არის. ასეთ შემთხვევაში თავად გარანტი წყვეტს ვადის გაგრძელების საკითხს დამოუკიდებლად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე - საგარანტიო ვალდებულების ბოჭვის ფარგლებში. ის უფლებამოსილია არ გაიზიაროს აპლიკანტის ინსტრუქცია ვადის გაგრძელების შესახებ, არც ბენეფიციარის მოთხოვნა მიიღოს ვადის გაგრძელებაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ვალდებულია გადაიხადოს საგარანტიო თანხა, თუ ბენეფიციარის

მოთხოვნა სათანადობის სტატუსს აკმაყოფილებს. სს თიბისი ბანკის პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც გარანტს ბენეფიციარმა ერთი გარანტიის ფარგლებში სამჯერ წარუდგინა მოთხოვნა ტექსტით, „გააგრძელე ან გადაიხადე.“ შედეგად ბანკმა სამჯერვე დააკმაყოფილა მოთხოვნა და გააგრძელა საბანკო გარანტიის ვადა. პრაქტიკასთან დაკავშირებული კვლევების ჩატარებამ გვიჩვენა, რომ საგარანტიო ურთერთობები გაცილებით ფართოა, ვიდრე ამას სამოქალაქო კოდექსი ადგენს. ამ თემასთან დაკავშირებით, შესაძლებელია სასამართლო დავა გადახდის ვადამ წარმოშვას. გარანტს ალტერნატიული მოთხოვნის მიღებისას უფლება აქვს მინიჭებული გადახდა შეაჩეროს ოცდაათი დღით, მაგრამ თუ მოთხოვნა სათანადოა და თანაც გარანტი არ აპირებს ვადის გაგრძელებას, მოთხოვნის მიღების მეორე დღიდან ხუთ სამუშაო დღეში უნდა გადაუხადოს ბენეფიციარს გარანტიის თანხა, როგორც ეს URDG N 758 -ის მე-20 მუხლითაა დადგენილი. ხუთ სამუშაო დღესა და ოცდაათ დღეს შორის დროის პერიოდი შთამბეჭდავია. ეს დრო სამოქალაქო ბრუნვისთვის, მით უმეტეს დოკუმენტური ოპერაციებისა და საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროში საკმაოდ დიდია. ესეც გაითვალისწინა ICC-მ და ამ მუხლის ბოლო პუნქტში ჩაიწერა, რომ არც გარანტს და არც კონტრგარანტს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა გადახდის შეჩერების გამო, თუ ისინი დაეყრდნობიან ამ მუხლში მითითებულ პროცედურებს. ერთი შეხედვით, შეიძლება დაიბადოს კითხვა, ხომ არ აღმოჩნდებიან ისინი მათთვის ხელსაყრელ მდგომარეობაში? თუ ასეთი მოთხოვნა გარანტმა გარანტიის ვადის გასვლის ბოლო დღეს მიიღო ბენეფიციარისგან, მაშინ ეს მართლაც შესაძლებელია. გადახდა დათქმული ვადით შეაჩეროს და ოცდამეათე დღეს გადაიხადოს, თუ უარს ეტყვის ვადის გაგრძელებაზე ბენეფიციარს. გადახდის ასეთი გადავადების გამო გარანტს არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. დროში რომ არ იზარალოს, ბენეფიციარს, როგორც გამოცდილ მიმწოდებელს, ყურადღება მართებს თავისი ქმედებების მიმართ და უნდა იზრუნოს იმისთვის, რომ ბოლო დღემდე არ გადადოს თავისი ინტერესების დაკმაყოფილება.

3.5.24. სათანადო მოთხოვნა, თანხმობა მიღებაზე და შეტყობინება

URDG N 758-ის 24-ე მუხლი ადგენს გარანტის უფლებებს არასათანადოდ/შუსაბამოდ წარდგენილი მოთხოვნის შემთხვევაში და ის შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

(a) თუ გარანტი დაადგენს, რომ მოთხოვნა გარანტიის მიხედვით არასათანადოა/შუსაბამოა, ის უფლებამოსილია უარყოს ასეთი მოთხოვნა, ან იმოქმედოს

საკუთარი შეხედულებით და მიმართოს ინსტრუქტაჟის გამცემ მხარეს ან კონტრგარანტიის შემთხვევაში კონტრგარანტს, რათა მიიღოს თანხმობა, მიიღოს განსხვავებებით წარმოდგენილი მოთხოვნა.

(b) თუ კონტრგარანტი დაადგენს, რომ მოთხოვნა გარანტიის მიხედვით არასათანადოა/შეუსაბამოა, ის უფლებამოსილია უარყოს ასეთი მოთხოვნა, ან იმოქმედოს საკუთარი შეხედულებით და მიმართოს ინსტრუქტაჟის გამცემ მხარეს, რათა მიიღოს თანხმობა მიიღოს განსხვავებებით წარმოდგენილი მოთხოვნის მიღებაზე.

(c) ამ მუხლის ზემოთ მითითებული არც ერთი პუნქტი (a) და (b) არ აგრძელებს გადახდის ვადას, რაც დათქმულია მე-20 მუხლში და არ ცვლის მე-16 მუხლის მოთხოვნას. თანხმობის მიღება კონტრგარანტისაგან ან ინსტრუქტაჟის მიმცემისგან არ ავალდებულებს გარანტს ან კონტრგარანტს მიიღოს რაიმე განსხვავება.

(d) თუ გარანტი უარს ამბობს მიღებაზე, ის ვალდებულია გაუგზავნოს მოთხოვნის წარმდგენ პირს მხოლოდ ერთი შეტყობინება. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს:

i. რომ გარანტი უარყოფს შეტყობინებას და,

ii. უთითებს ყოველ განსხვავებაზე, რის გამოც უარს ამბობს მიღებაზე.

(e) შეტყობინება, რაც გათვალისწინებულია ამ მუხლის (d) პუნქტით, უნდა გაიგზავნოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს მოთხოვნის წარმოდგენის მეორე დღიდან მეხუთე დღის ბოლომდე.

(f) თუ გარანტი არ დაიცავს ამ მუხლის (d) და (e) პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, მას ერთმევა უფლება მიუთითოს, რომ მოთხოვნა და მასზე თანდართული დოკუმენტები არ არის სათანადო მოთხოვნა.

(g) ამგვარი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, გარანტს შეუძლია ნებისმიერ მომენტში დაუბრუნოს წარმომდგენ პირს ქალაქის მატარებლებით წარმოდგენილი დოკუმენტები, ასევე მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რასაც მიიჩნევს მისაღებად ელექტრონულ ჩანაწერებთან მიმართებით, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე.

(h) ამ მუხლის (d) (f) და (g) პუნქტების მიზნებისათვის გარანტში მოიაზრება ასევე კონტრგარანტი.

ეს მუხლი არსებით საკითხს აწესრიგებს. ეს არის ბენეფიციარის მოთხოვნის „სათანადობის“, გარანტიასთან შესაბამისობის სამართლებრივი არსი, რადგან მხოლოდ სათანადობის შემთხვევაში უჩნდება გარანტს ვალდებულება - გადაუხადოს ბენეფიციარს გარანტიით დათქმული თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უფლება აქვს უარყოს

ბენეფიციარის „არასათანადო“ მოთხოვნა და უარი უთხრას გადახდაზე, ან საკუთარი შეხედულებით მიმართოს აპლიკანტს (ინსტრუქციის გამცემს) და გამოითხოვოს ნებართვა ბენეფიციარის „არასათანადო“ მოთხოვნის მიღებისა და შესაბამისად გადახდის შესრულებაზე.

აქ საინტერესოა მივმართოთ სარეზერვო აკრედიტივების თემას, რაც იგივე საბანკო/დამოუკიდებელი გარანტიაა და რომელიც აშშ-ში გამოიყენება. IIBPL-ის დირექტორმა 2012 წლის მაისში რუსეთში ჩატარებულ პრაქტიკულ სემინარზე (ICC Russia) სპეციალურად მიუთითა ე.წ. „ნიუ-იორკის დათქმების შესახებ“ სარეზერვო აკრედიტივში და აზრობრივ შესატყვისობაზე. მან აღნიშნა, რომ თუ სარეზერვო აკრედიტივი ითხოვს პირდაპირ ციტირებას, რაც მის ტექსტში ბრჭყალებშია აღნიშნული და უთითებს ბენეფიციარს, რომ ზუსტად იგივე უნდა ჩაწეროს მოთხოვნაში გადახდის შესახებ, ბენეფიციარმა მოთხოვნაში ზუსტად უნდა გადმოიტანოს ბრჭყალებში მითითებული ტექსტი. ხშირია, როცა ადგილი აქვს გადახრას ბენეფიციარის მხრიდან შეთავაზებული შაბლონის ნაწილში და ისმის კითხვა, არის თუ არა საჭირო, ზუსტი ციტირების მოყვანა სარეზერვო აკრედიტივის ტექსტის შესაბამისად. თუ აღნიშნული მოითხოვება ISP98 „4.09 (c)“ პუნქტის შესაბამისად, მაშინ აკრედიტივში წერია დათქმა, რომ ზუსტად უნდა აღიწეროს შაბლონში მითითებული ტექსტი, თუნდაც ის შეცდომას შეიცავდეს. თუ ასეთი დათქმა არ არსებობს, მაშინ მხოლოდ შინაარსობრივი შესატყვისობა მოითხოვება და თუ აკრედიტივის შემოთავაზებულ შაბლონურ ტექსტში შეცდომაა, ბენეფიციარს შეუძლია ეს შეცდომა არ გაიმეოროს (ISP98 -4.09 (b) პუნქტი) (57) (103) (104).

მიუხედავად პრინციპალსა და გარანტს შორის ურთიერთობისა, გარანტი უნდა ჩაეტიოს დოკუმენტების შემოწმების ხუთ სამუშაო დღიან ვადაში. ხოლო თუ ალტერნატიული მოთხოვნაა წარმოდგენილი, მაშინ ვერ გაცდება ოცდაათდღიან ვადას გადახდის შეჩერების შემთხვევაში. ამ ვადების დარღვევა დაუშვებელია. საინტერესო ის არის, რომ აპლიკანტისგან თანხმობის მიღებასაც კი გარანტისათვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. თუ გარანტი უარყოფს არასათანადო მოთხოვნას, ის დაუყოვნებლივ უგზავნის მოთხოვნის წარმომდგენს მხოლოდ და მხოლოდ ერთ, შეტყობინებას რითაც უცხადებს მოთხოვნის უარყოფას და უთითებს ყოველ განსხვავებაზე, რის გამოც მოთხოვნა უარყოფილი იქნა. ეს გარანტის უპირობო ვალდებულებაა, თუ ეს ვალდებულება დაირღვევა, გარანტი დაკარგავს უფლებას უარყოს მოთხოვნა არასათანადობის გამო და შესაბამისად ვალდებული იქნება გადაუხადოს.

სამოქალაქო კოდექსი ამ გარემოებას 887-ე მუხლის პირველი პუნქტით აწესრიგებს და უთითებს, რომ გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს გადახდაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს. აღნიშნულის შესახებ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს. სამოქალაქო კოდექსი არ უთითებს, რა შეიძლება მოჰყვეს გარანტის ქმედებას, თუ ის ამგვარ შეტყობინებას და თანაც დასაბუთებულს არ გაუგზავნის ბენეფიციარს. ეს თემა ღიად არის დარჩენილი და სავარაუდოა, რომ დავის შემთხვევაში მხარეები ან URDG N 758 -ის ამ მუხლს გამოიყენებენ ანალოგიად, ან მიუთითებენ კონკლუდენტურ მოქმედებაზე „დუმილი თანხმობაა,“ რადგან გარანტიის ემიტენტის და ბენეფიციარის უმეტესწილად მეწარმეები არიან. აქვე უნდა იქვას, რომ ბოლო ხუთი წლის პრაქტიკაში მხოლოდ ორი შემთხვევა გვქონდა, როდესაც ბენეფიციარი ფიზიკური პირი იყო საბანკო გარანტიაში. ერთი იყო ღია ოფერტი, რასაც რეკლამით სთავაზობდა სს „საქართველოს ბანკი“ ახალ მშენებლობაში საცხოვრებელი ბინების შესაძენად გადახდილი ფულის დაბრუნების გარანტიით უზრუნველყოფას, თუ მშენებლობა პროექტით დათქმულ ვადებში არ დასრულდებოდა, ხოლო მეორე შემთხვევა იყო ჩვენი პრაქტიკიდან, როდესაც ფიზიკურმა პირმა ავტომანქანა შემოიყვანა საქართველოში და შემოსავლების სამსახურში საბანკო გარანტია წარადგინა საბაჟო გადასახდელის უზრუნველსაყოფად, თუ ის გარკვეული დროის მანძილზე არ განაბაჟებდა ავტოტრანსპორტს. როგორც კი ფიზიკურმა პირმა საზღვარი იმავე ავტომანქანით გადაკვეთა, შემოსავლების სამსახურმა წერილობით განგვიცხადა უარი საბანკო გარანტიით მინიჭებული უფლების გამოყენებაზე და გარანტიის დედანი უკან დააბრუნა. აქვე უნდა ითქვას, რომ ფიზიკური პირების, როგორც ბენეფიციარების, მომსახურება საბანკო გარანტიით საკმაოდ იშვიათია. ამისი ახსნა შესაძლებელია იმით, რომ საბანკო გარანტია საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებისას გამოიყენება, სადაც მეტწილად მსხვილი აქტივების მქონე იურდიული პირები ვაჭრობენ, ხოლო ქვეყნის შიდა ბაზარზე ამ მიმართულებით ცალსახა ლიდერია სს ლიბერთი ბანკი, რომელიც ელექტრონულ გარანტიას გასცემს აუქციონზე ვაჭრობისთვის, განურჩევლად მოვაჭრის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

3.5.25. გარანტიის თანხის შემცირება და გარანტიის შეწყვეტა

URDG N 758-ის 25-ე მუხლი ადგენს გარანტიის თანხის შემცირებისა და გარანტიის მოქმედების შეწყვეტის საფუძვლებს, რაც შემდეგი რედაქციითაა ჩამოყალიბებული:

(a) თანხა, რომელიც შეიძლება გადახდილი იქნეს გარანტიით, მცირდება ნებისმიერი თანხით:

i. რაც გადახდილია გარანტიით.

ii. გამომდინარე მე-13 მუხლის გამოყენებიდან, ან

iii. ბენეფიციარის ხელმოწერილი დოკუმენტით გარანტის ვალდებულებისგან ნაწილობრივი განთავისუფლების შესახებ.

(b) მიუხედავად იმისა, გარანტს დაუბრუნდა გარანტიის ორიგინალი თუ არა, გარანტია წყდება:

i. ვადის ამოწურვით,

ii. თუ ამოიწურა თანხა, რაც უნდა გადახდილიყო გარანტიით, ან

iii. გარანტისათვის წარდგენილი ბენეფიციარის ხელმოწერილი განცხადებით გარანტის გარანტიით ნაკისრი ვალდებულებისგან განთავისუფლების შესახებ.

(c) თუ გარანტიაში ან კონტრგარანტიაში არ არის მითითებული ვადის ამოწურვის თარიღი, ან მოვლენა, რომელიც განსაზღვრავს ვადის ამოწურვას, გარანტიის მოქმედება წყდება მისი გაცემის თარიღიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, ხოლო კონტრგარანტია წყდება გარანტიის ვადის გასვლიდან 30 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ.

(d) თუ გარანტიის მოქმედების ვადის გასვლა ემთხვევა არასამუშაო დღეს მოთხოვნის წარდგენის ადგილზე, მაშინ ვადის ამოწურვის დღედ ითვლება მომდევნო პირველი სამუშაო დღე იმავე ადგილზე.

(e) იმ შემთხვევაში, თუ გარანტისათვის ცნობილი გახდა, რომ გარანტია წყვეტს თავის მოქმედებას ამ მუხლის (b) პუნქტში მითითებული ნებისმიერი ჩამოთვლილი საფუძვლით, ან სხვაგვარად, გარანტი ვალდებულია აცნობოს ინსტრუქტაჟის გამცემ მხარეს ან კონტრგარანტს (სიტუაციიდან გამომდინარე). ვიდრე დადგება ვადის ამოწურვის თარიღი, ამ შემთხვევაში კონტრგარანტი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს ინსტრუქტაჟის გამცემს.

ამ მუხლს ნაწილობრივ შეესატყვისება სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლი, მაგრამ არაფერს ამბობს ისეთ შემთხვევაზე, როგორცაა მოქმედი გარანტიის შეწყვეტა თანხის

შემცირების გამო. გარანტიის თანხის შემცირება URDG N 758 -ის მიხედვით სამი საფუძვლით ხდება. პირველია - როცა გარანტიის მიხედვით თანხის ნაწილის გადახდა მოხდა ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნის საფუძველზე; მეორე მოწესრიგებულია ამავე წესების მე-13 მუხლით, რაც ეხება გარანტიის თანხის შემცირებას ან გაზრდას ბენეფიციარის მოთხოვნით, სამართლებრივ საფუძველებს. ეს მუხლი კი ადგენს გარანტიის თანხის შემცირების გარემოებებს რაც შედეგად გარანტიის მოქმედების შეწყვეტას იწვევს. შემცირება ასევე ხდება როცა ბენეფიციარი ხელმოწერილი შეტყობინებით გარანტს ნაწილობრივ გაათავისუფლებს გარანტიით ნაკისრი ვალდებულებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ გარემოებას სამოქალაქო კოდექსი არ აწესრიგებს, კვლევით დადგინდა, რომ პრაქტიკაში ეს საკითხი უკვე მოწესრიგებულია. თითქმის ყველა შესწავლილ გარანტიაში ჩაწერილია, რომ გარანტიის თანხა ავტომატურად მცირდება ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად ნაწილ-ნაწილ გადახდილი თანხების კვალობაზე. სახელმძღვანელოში „სახელშეკრულებო სამართალი“ (6, 574). თუ საბანკო გარანტიის თანხა ამოიწურება, გარანტიის მოქმედება წყდება. ეს ვითარება არ იწვევს საბანკო გარანტიაში ცვლილების შეტანის აუცილებლობას და გარანტის პროგრამული ჩანაწერებით აღირიცხება, ასევე შესაბამისი გადარიცხვის დამადასტურებელი საგადახდო დავალებებით და ბენეფიციარების საბანკო ანგარიშებზე გარანტიის თანხის ჩარიცხვით დასტურდება, რაც, თავის მხრივ, საბანკო ანგარიშის ამონაწერებში აისახება და უტყუარი დოკუმენტებია. მნიშვნელოვანია ამ მუხლის ჩანაწერი გარანტიის სამწლიანი ვადის შესახებ. მითითებულია, რომ გარანტია უნდა შეიცავდეს მისი მოქმედების ამოწურვის თარიღს. მაგრამ თუ გარანტიაში ან კონტრგარანტიაში არ არის მითითებული ვადის ამოწურვის თარიღი, ან მოვლენა, რომელიც განსაზღვრავს ვადის ამოწურვას, გარანტიის მოქმედება შეწყდება მისი გაცემის თარიღიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, ხოლო კონტრგარანტია წყდება გარანტიის ვადის გასვლიდან 30 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ. ეს ნიშნავს, რომ გარანტიაში მისი მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღი მითითებულია. გარანტია შეიძლება უფრო მეტი ვადითაც მოქმედებდეს, ვიდრე სამი წელი ე.წ. უვადო გარანტიების მოქმედების შემთხვევაში. მაგრამ უცხოური სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს ამგვარი უვადო გარანტიების არსებობის მიზანშეუწონლობას და ბათილად აცხადებს, როგორც ეს აღვიშნეთ ქვეთავში „უცხოური სასამართლო პრაქტიკა.“ როგორც ემპირიული კვლევით დადგინდა, საქართველოში ე.წ. უვადო საბანკო გარანტიების გაცემის ფაქტი არ დასტურდება.

საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტის საფუძველებთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რომ გარანტისათვის საბანკო გარანტიის დედნის უკან დაბრუნების საჭიროება არ არის,

თუ ბენეფიციარი წერილობით გამოხატავს ნებას და უარს იტყვის გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე. სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლის პირველ ნაწილში გამოხატული სხვა საფუძვლებით საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას კი არ ესაჭიროება გარანტიის უკან დაბრუნება, რაც ელექტრონული დოკუმენტით გარანტიის შემთხვევაში ისედაც გამორიცხულია.

საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტა ვადამდე, ანუ მანამ, სანამ გარანტიის მოქმედების ვადა არ დასრულებულა სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ორი ერთდროული მოქმედებით ხდება. ბენეფიციარმა, გარანტიიდან გამომდინარე, თავის უფლებებზე უნდა თქვას უარი და საბანკო გარანტიის დედანი უკან უნდა დააბრუნოს. თუმცა ეს ქვეპუნქტი ხარვეზიანია. „ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმისა და მათი გარანტისათვის დაბრუნებისას“ რა იგულისხმება ბუნდოვანია. რა უნდა დააბრუნოს ბენეფიციარმა საბანკო გარანტია თუ უფლება? წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, ბენეფიციარმა წერილობით უნდა თქვას უარი თავის უფლებებზე და ზედ საბანკო გარანტიის დედანი უნდა დაურთოს. ამ პუნქტის ხარვეზი ისაა, რომ არ უთითებს უარის თქმის „წერილობით“ ფორმატს და სიტყვის „მათის“ ნაცვლად უნდა ეწეროს „საბანკო გარანტიის“, ანუ უფლება კი არ უნდა დაბრუნდეს, არამედ საბანკო გარანტიის დედანი, როგორც ეს კონვენციის ნორმებით და URDG-758-ით ირკვევა. საბანკო გარანტიის დედნის დაბრუნება მხოლოდ ერთ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ის პრინციპალს ხელზე გადაეცა, ბენეფიციართან არ წარუდგენია და მისი უკან დაბრუნება სურს. იმ შემთხვევაში, როცა ბენეფიციარი გადახდას ითხოვს და მოთხოვნას საბანკო გარანტიის დედანს ურთავს, ეს საბანკო გარანტიის უკან დაბრუნებად არ ჩაითვლება.

URDG-ის მე-3 მუხლის (ე) პუნქტის შესაბამისად, საბანკო გარანტია უნდა შეიცავდეს ვადას, რომლითაც იგი გაცემულია, ან მიუთითებდეს მოვლენაზე, რომლის დადგომისას იგი წყვეტს მოქმედებას (96).

კონვენციის მე-12 (ბ) მუხლის თანახმად, ვალდებულების (საბანკო გარანტიის) ვადის გასვლა შესაძლოა დამოკიდებული იყოს რაიმე მოქმედების შესრულებაზე ან მოვლენაზე, თუ ამ მოქმედების შესრულება ან მოვლენის დადგომა დადასტურდება დოკუმენტურად ან თვით ბენეფიციარის მიერ (94). ძირითადი ვალდებულების (ხელშეკრულების) შესრულება კი სწორედ ისეთ მოვლენებს განეკუთვნება, რომლებიც ლოგიკურად შეიძლება დადასტურებულ იქნეს კრედიტორის, ანუ ბენეფიციარის მიერ, ან/და

შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით. ჩვენი აზრით, ამ საკითხთან მიმართებით სწორედ საერთაშორისო კერძო სამართლის პოზიცია უნდა იქნეს მიჩნეული მართებულად, ვინაიდან საბანკო გარანტია, როგორც აღინიშნა, საერთაშორისო კომერციის პროდუქტია და უფრო მეტ გამოცდილებასა და პრაქტიკას ემყარება, ვიდრე საქართველოშია დაგროვილი. უნდა ითქვას ასევე, რომ იმ შემთხვევაში, თუ გარანტიის მოქმედების ვადა განსაზღვრულია ძირითადი ხელშეკრულების შესრულებით, მნიშვნელოვანია გარანტიის ტექსტშივე მიეთითოს, თუ რომელი დოკუმენტის წარმოდგენით უნდა დადგინდეს ეს ფაქტი. ამას მოითხოვს საბანკო გარანტიების დოკუმენტურობის პრინციპი, რაც გამორიცხავს ბევრ გაუგებრობას, რომლებიც კონტრაქტის შესრულება-შეუსრულებლობის შესახებ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის აზრთა სხვაობამ შეიძლება გამოიწვიოს. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა – დროის ის მონაკვეთია, რომლის განმავლობაშიც არსებობს ბენეფიციარის უფლება მოთხოვნის წაყენების თაობაზე. ეს ვადა იმდენად აღმკვეთი ხასიათისაა, რომ სასამართლოს მიერაც კი ვერ იქნება აღდგენილი, თუ ბენეფიციარი ამ ვადას გაუშვებს. ვინაიდან გადახდის მოთხოვნა გარანტიის მიხედვით გარანტს უნდა წარედგინოს გარანტიის მოქმედების პერიოდში, - ძალიან მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს ამ ვადის დასრულება. კომერციული ოპერაციის მიმდინარეობისას წარმოშობილი ობიექტური მიზეზების შედეგად, შესაძლებელია დადგეს საბანკო გარანტიის მოქმედების გახანგრძლივების აუცილებლობა. არაპირდაპირი (კონტრგარანტიის) შემთხვევაში ასეთი გახანგრძლივების აუცილებელი პირობაა გარანტი ბანკისა და ემიტენტი ბანკის თანხმობა. URDG-ის 26-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ბენეფიციარი ითხოვს გარანტიის ვადის გაგრძელებას, როგორც გადახდაზე მოთხოვნის წარმოდგენის ალტერნატივას, ამის შესახებ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პრინციპალს და საშუალება მისცეს მას და ბენეფიციარს, მოლაპარაკებით მოაგვარონ უთანხმოება.

შეთანხმება გარანტიის ვადის გაგრძელების თაობაზე მიღწეული თუ ვერ იქნება, ხოლო ბენეფიციარი კვლავაც წამოაყენებს გარანტიის მიხედვით გადახდაზე მოთხოვნას, გარანტი ვალდებულია დააკმაყოფილოს ბენეფიციარი. ამაში ვლინდება მოთხოვნით გარანტიების რისკი, ვინაიდან არაკეთილსინდისიერმა ბენეფიციარმა იგი შეიძლება გამოიყენოს პრინციპალზე ზეწოლისათვის, იმაზე დაყრდნობით, რომ ბანკი ამგვარ ვითარებაში, გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე, მაინც ვალდებული იქნება თანხა გადაიხადოს.

3.5.26. ფორსმაჟორი

URDG N 758-ის 26-ე მუხლის რედაქცია შემდეგია:

(a) ამ მუხლის მიხედვით ფორსმაჟორი ნიშნავს სტიქიურ უბედურებებს, ამბოხებებს, სახალხო მღელვარებებს, აჯანყებებს, ომებს, ტერორისტულ აქტებს, ან ნებისმიერ სხვა გარემოებას, რაც სცილდება გარანტიის ან კონტრგარანტიის კონტროლის ფარგლებს და რომლებიც ეწინააღმდეგებიან (ხელს უშლიან) მათ, ამ წესებით მოწესრიგებული მოქმედებების განხორციელებაში.

(b) თუ გარანტიის ვადის გასვლა ემთხვევა იმ დროს, როცა წარდგენას ან გადახდას ხელს უშლის ფორსმაჟორი, მაშინ:

i. ყოველი გარანტია და შესაბამისად კონტრგარანტია გრძელდება 30 კალენდარული დღით იმ თარიღიდან, რომელშიც ისინი უნდა ამოწურულიყვნენ და, როგორც გამოჩნდება შესაძლებლობა, გარანტმა უნდა აცნობოს ინსტრუქციის გამცემს, კონტრგარანტიის შემთხვევაში, კონტრგარანტს ფორსმაჟორის დადგომის და ვადის გაგრძელების შესახებ, ხოლო კონტრგარანტმა შესაბამისად უნდა შეატყობინოს ინსტრუქციის გამცემს;

ii. ვადის ათვლა შემოწმებისათვის მე-20 მუხლის შესაბამისად წარდგენისას, რომელიც განხორციელდა, მაგრამ შეუმოწმებელია ფორსმაჟორის დადგომამდე, შეჩერდება გარანტიის საქმიანობის განახლებამდე და

iii. სათანადო მოთხოვნა გარანტიის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია ფორსმაჟორის დადგომამდე, მაგრამ არ გადახდილა ფორსმაჟორის დადგომის გამო, გარანტმა უნდა გადაიხადოს ფორსმაჟორის დასრულებისთანავე მაშინაც კი, თუ გარანტიის მოქმედების ვადა ამ მომენტისთვის ამოიწურება, ამასთან, გარანტს უნდა ჰქონდეს უფლება წარმოადგინოს მოთხოვნა კონტრგარანტიის მიხედვით 30 კალენდარული დღის განმავლობაში, ფორს-მაჟორული გარემოების შეწყვეტიდან, მაშინაც კი თუ კონტრგარანტიის მოქმედების ვადა ამოწურულია.

(c) თუ კონტრგარანტიის ვადა იწურება მაშინ, როცა წარდგენას ან გადახდას ფორს-მაჟორული გარემოება აფერხებს, მაშინ:

i. კონტრგარანტია გრძელდება 30 კალენდარული დღით იმ თარიღიდან, რომელშიც კონტრგარანტმა გარანტი გააფრთხილა ფორსმაჟორული გარემოების დასრულების შესახებ. თავის მხრივ, კონტრგარანტი ვალდებულია, შესაძლებლობის გაჩენისთანავე

გააფრთხილოს ინსტრუქტაჟის გამცემი მხარე, ფორსმაჟორისა და ვადის გაგრძელების შესახებ;

ii. ვადის ათვლა შემოწმებისათვის, მე-20 მუხლის შესაბამისად წარდგენისას, რომელიც განხორციელდა, მაგრამ შეუმოწმებლია ფორსმაჟორის დადგომამდე, შეჩერდება კონტრგარანტიის საქმიანობის განახლებამდე; და

iii. სათანადო მოთხოვნა კონტრგარანტიის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია ფორსმაჟორის დადგომამდე, მაგრამ არ გადახდილა ფორსმაჟორის დადგომის გამო, გადახდილი უნდა იქნეს ფორსმაჟორის დასრულებისთანავე მაშინაც კი, თუ კონტრგარანტიის მოქმედების ვადა ამ მომენტისთვის ამოიწურება.

(d) ნებისმიერი გაგრძელება, შეჩერება ან გადახდა ამ მუხლის შესაბამისად, აკისრებს ვალდებულებას ინსტრუქციის გამცემ მხარეს.

(e) არანაირი დამატებითი პასუხისმგებლობა ფორსმაჟორული გარემოების შედეგების გამო გარანტს და კონტრგარანტს არ ეკისრებათ.

ეს ნორმა, გარანტიების შესახებ საერთაშორისო წესების არსებობის მანძილზე, პირველად URDG N 758-ში გაჩნდა და ნოვატორულია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაუძლეველი ძალის შესახებ ნორმა 1995 წლიდან ჩაწერილია დოკუმენტური ინკასოს წესების URC N522 -ის მე-15 მუხლში და მისი შინაარსი შემდეგია: “ბანკებს არ ეკისრებათ არანაირი პასუხისმგებლობა ან ვალდებულება იმ შედეგების გამო, რაც წარმოიშობა მათი საქმიანობის შეჩერების შედეგად, რაც გამოწვეულია სტიქიური უბედურებებით, აჯანყებებით, ამბოხებებით, სამოქალაქო არეულობით, ომებით ან ნებისმიერი სხვა მიზეზებით, რაც არ ექვემდებარება მათ კონტროლს ან გამოწვეულია ლოკალური და გაფიცვებით” (102). ICC-ის UCP N 600 პუბლიკაციაში დოკუმენტური აკრედიტივების შესახებ, დოკუმენტური ინკასოს წესების URC N522 ეს მუხლი მთლიანად ასახულია, ოღონდ აკრედიტივის თავისებურებიდან გამომდინარე, დამატებულია შემდეგი: „ბანკი თავისი საქმიანობის განახლების შემთხვევაში არ შეასრულებს გადახდის ვალდებულებებს ან ნეგოციაციას აკრედიტივის მიხედვით, თუ მისი მოქმედების ვადა გავიდა ბანკის საქმიანობის შეჩერების პერიოდში“ (103). URDG N 758 -ის ამ ახალი მუხლის და ICC-ის N522 და N 600 დოკუმენტების აქ მოყვანილი მუხლების შინაარსის ერთმანეთთან შედარებით დგინდება, რომ გარანტის ვალდებულება გაცილებით უფრო რთული და საპასუხისმგებლოა, ვიდრე სხვა საერთაშორისო წესებით დადგენილი აქ მოყვანილი ნორმები გვიჩვენებს. გარანტიით გადახდას დროებით აფერხებს ფორსმაჟორი, მაგრამ გარანტის ვალდებულება არ უქმდება დაუძლეველი ძალის გამო.

სტიქიური მოვლენები სამოქალაქო კოდექსში დაუძლეველ ძალად არის მოხსენიებული და ზოგიერთი კონკრეტული გარიგების მომწესრიგებელ თავებში არის, მაგრამ საბანკო გარანტიის შესახებ თავში არ არის. საერთაშორისო წესებმა სწორად გაითვალისწინა ეს მოვლენა. ბოლო ხუთ წელიწადში მომხდარმა დიდმა კატასტროფებმა დედამიწაზე, მართლაც დაადასტურა ამგვარი ჩანაწერის აუცილებლობა, რითაც დაიცვა ამ სამართლებრივი ურთიერთობის მხარეთა ინტერესები. უნიფიცირებული წესების გარანტიების მომწესრიგებელ დოკუმენტებს შორის, 758-ე გამოცემაში პირველად იქნა განმარტებული დაუძლეველი ძალის ცნება, რომელსაც ფორსმაჟორად მოიხსენიებს. ინგლისურენოვან რედაქციაში ჩაწერილია, რომ ფორსმაჟორი გულისხმობს ღმერთის ქმედებებს (“force majeure” means acts of God) ეს ჩვენთვის მოიაზრება სტიქიურ უბედურებად და ოფიციალურ თარგმანებშიც ასე მოიხსენიება. გლობალური ანგარიშსწორების არეალი მთელი დედამიწაა, ყველა ქვეყანა და სახელმწიფოა. ამიტომ სტიქიური მოვლენები, ან (a)ქვეპუნქტში ჩამოთვლილი გარემოებები შესაძლებელია ყოველდღიური შემთხვევებიც იყოს.

ასეთ ვითარებაში, საერთაშორისო წესების მიხედვით, თუ გარანტიის ვადის გასვლა ემთხვევა იმ დროს, როცა ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენას ან გადახდას ხელს უშლის ფორსმაჟორული გარემოება, ყოველი გარანტია და კონტრგარანტია გრძელდება ოცდაათი კალენდარული დღით იმ თარიღიდან, როცა გარანტიის მოქმედება უნდა ამოწურულიყო. ამ გარემოებას, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, გარანტი მოქმედებს შეტყობინებებით აპლიკანტის ანუ პრინციპალის მიმართ, პირველივე შესაძლებლობის გაჩენისთანავე და ატყობინებს ფორსმაჟორის დადგომისა და გარანტიის ვადის გაგრძელების შესახებ. თუ ფორსმაჟორი გარანტის ქვეყანაში დადგა, ბენეფიციარის მოთხოვნა წარდგენილი იყო მანამდე, მაგრამ ფორსმაჟორის გამო შემოწმება ვერ მოხერხდა, შემოწმების ვადის ათვლა ჩერდება გარანტის საქმიანობის განახლებამდე. თუ შემოწმება მოესწრო, მაგრამ გადახდა ფორსმაჟორმა შეაჩერა, როგორც კი შემაფერხებელი გარემოება დასრულდება, გარანტმა უნდა გადაიხადოს, თუნდაც გარანტიის მოქმედების ვადა ამოწურული იყოს. შესაბამისად კონტრგარანტიაზეც ვრცელდება ეს პირობები, ოღონდ გარანტს ეძლევა ოცდაათი დღის ვადა ფორსმაჟორის შეწყვეტიდან კონტრგარანტისთვის მოთხოვნის წარსადგენად მაშინაც კი, თუ კონტრგარანტიის ვადა ამოწურება. კონტრგარანტიის ვადაც ოცდაათი დღით გრძელდება, იმ თარიღიდან, რომელშიც კონტრგარანტმა გარანტი გააფრთხილა ფორსმაჟორის დასრულების შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ კონტრგარანტიამ ყველა შემთხვევაში უნდა გადაფაროს გარანტიის ვადა, რათა გარანტსა და კონტრგარანტს შორის

რამბურსის ოპერაცია განხორციელებული იქნეს. კონტრაგანტის ვალდებულება, მუდმივად საქმის კურსში ამყოფოს აპლიკანტი(ჩვენს შემთხვევაში პრინციპალი) ხელშეუხებელი რჩება. წესებით მოწესრიგებულია, რომ ვადის ნებისმიერი გაგრძელება, შეჩერება ან გადახდა ვალდებულებას ინსტრუქტაჟის გამცემ მხარეს აკისრებს, რაიმე დამატებითი პასუხისმგებლობა ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, გარანტს და კონტრაგანტს არ ეკისრებათ.

რადგან სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს საბანკო გარანტიის მოქმედებისას დაუძლეველი ძალის შემთხვევაში გარანტიის სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას, გარანტებმა უნდა მიმართონ URDG N 758 -ის 26-ე მუხლს და ანალოგიით გამოყენონ იმ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება შეაფერხებს საბანკო გარანტიით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას. ვთვლით, რომ ეს გარემოება შემდგომ მეცნიერულ კვლევას მოითხოვს, რადგან საყოველთაოდ ცნობილია რომ საქართველოში დაუძლეველი ძალის მოქმედება გახშირებულია და ის პირდაპირ მოქმედებს სახელშეკრულებო ურთიერთობებზე.

3.5.27. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება დოკუმენტების არანამდვილობისას

URDG N 758-ის 27-ე მუხლის რედაქცია შემდეგია:

გარანტს არ ეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა ან ვალდებულება:

- (a) წარმოდგენილი დოკუმენტის, ან ნებისმიერი ხელმოწერის ფორმაზე, სისრულეზე, სიზუსტეზე, ნამდვილობაზე, გაყალბებასა ან ძალმოსილებაზე;
- (b) ზოგადი ან კერძო ხასიათის განცხადებებზე, რასაც შეიცავს წარმოდგენილი დოკუმენტი ან დამატებითი დანართი;
- (c) საქონლის აღწერაზე, რაოდენობაზე, წონაზე, ხარისხზე, მდგომარეობაზე, შეფუთვაზე, მიწოდებაზე, ღირებულებაზე ან არსებობაზე, მომსახურების გაწევაზე ან სამუშაოს შესრულებაზე ან სხვა მონაცემებზე, რასაც შეიცავს ნებისმიერი წარდგენილი დოკუმენტი ან მოხსენიებულია მასში ნებისმიერი სხვა ფორმით, ან
- (d) ნებისმიერი პირის კეთილსინდისიერებაზე, ქმედებაზე, დაშვებულ შეცდომაზე გადახდისუუნარობაზე, ქმედებების შედეგზე ან რეპუტაციაზე, რომელმაც გამოსცა გარანტისათვის წარსადგენი ნებისმიერი დოკუმენტი ან მოხსენიებულია მასში ნებისმიერი სხვა ფორმით.

ეს საკითხი თავისი მომწესრიგებელი ბუნებით ძალიან არსებითია, რადგან დავის შემთხვევაში გარანტს შესაძლებელია ყველა ამ მუხლში მითითებული საფუძვლით მიედავონ. URDG N 758-ის მე-6 მუხლი უთითებს, რომ გარანტი მხოლოდ დოკუმენტებთან მუშაობს, მას არ ეხება ძირითადი ვალდებულებით მოწესრიგებული პირობების შემოწმება. ეს საკითხი აქაც მეორდება (c) პუნქტში და უფრო დაკონკრეტებულია. საქმე ეხება უშუალოდ დოკუმენტების ნამდვილობას, მათზე შესრულებული ხელმოწერის სისრულის და სიზუსტის შემოწმება და შეფასება, არის თუ არა ისინი იურდიული ძალის მატარებელი, - გარანტის საქმე არ არის. ანუ მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა ან რაიმე ვალდებულება იმ ქონებრივი ზიანისთვის, თუ ბენეფიციარის მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე ხელმოწერის საექვობის საკითხი დადგება, საგარანტიო თანხა კი გადახდილი იქნება და რეგრესის უფლებისას პრინციპალი პრეტენზიას გამოთქვამს იმ მიზეზით, რომ გარანტს არაზუსტი, ყალბი და იურდიული ძალის არმქონე დოკუმენტები შემოწმებისას გამორჩა, ან გაეპარა და ისე გადაუხადა ბენეფიციარს გარანტიის თანხა. ანუ გადახდა მოხდა გარანტიის პირობების შეუსაბამოდ (საწინააღმდეგოდ).

გარანტი ასევე არ არის პასუხისმგებელი იმ საქონლის, მომსახურებისა თუ შესრულებული სამუშაოს მახასიათებლების შემცველი დოკუმენტების ან მათში მოყვანილი ინფორმაციის ნამდვილობაზე. ის ასევე არ აგებს პასუხს და არ ეკისრება არანაირი ვალდებულება იმ პირთა კეთილსინდისიერებასა და ქმედებაზე, ქმედების შედეგსა და რეპუტაციაზე, ვინც მას დოკუმენტები წარმოუდგინა, ან ამ დოკუმენტებში მოიხსენიებიან. ამ გარემოებებში შეიძლება გაჩნდეს კითხვა ან რა ევალეზა გარანტს? ნუთუ მან ვერ უნდა შენიშნოს, რომ ხელმოწერა გაყალბებულია ან დოკუმენტები არასრულ ინფორმაციას შეიცავს, ან ბენეფიციარი საქონლის მესამე პარტიის მიწოდების წინ გაკოტრების რეჟიმში მოექცა? პასუხი, რა თქმა უნდა არსებობს. მთელი პასუხისმგებლობა მთლიანად აპლიკანტზე, ანუ ინსტრუქციის გამცემ მხარეზე გადადის. ზემოთ არაერთგან აღვნიშნეთ, რომ გარანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს მოთხოვნა და ყველა დანართი აპლიკანტს/პრინციპალს. ამ უკანასკნელისთვის კი ცნობილია, რომ გარანტი ხუთ სამუშაო დღეში გადაიხდის. ეს ვადა გარანტიით მომსახურების ხელშეკრულებაში რაც გარანტსა და აპლიკანტს შორის იდება, - ყოველთვისაა მითითებული. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტების ნაწილი სარწმუნო არ არის. ამიტომ მას რჩება გზა სასამართლოს განჩინების ძალით გარანტიის მიხედვით

გადახდა შეაჩეროს. ამ მუხლის ანალიზით ირკვევა, რომ გარანტს მხოლოდ ერთი მოვალეობა აკისრია შეამოწმოს წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისობა/სათანადობა და ემთხვევა თუ არა ერთმანეთს გარანტიაში მოთხოვნილი და წარმოდგენილი დოკუმენტები ერთმანეთს. როგორ ეს მუხლი, ასევე URDG N 758 -ის მომდევნო 28-31-ე მუხლები მთლიანად იზიარებს დოკუმენტური ინკასოს წესების URC N522 -ის მე-12-14 მუხლების პრინციპს, ოღონდ უფრო დახვეწილად და ოპტიმიზებულად. დოკუმენტური ინკასოს წესები ასევე უნიფიცრებული წესებია, შემუშავებულია ICC-ის მიერ, 1995 წლის რედაქციით ძალაში შევიდა 1996 წლის პირველი იანვრიდან და დღემდე მოქმედებს (102).

სამოქალაქო კოდექსი აღნიშნულზე პირდაპირ ჩანაწერს არ იცნობს, მაგრამ პრაქტიკოსები ვგულისხმობთ, რომ 886-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი ამ პასუხისმგებლობის პრინციპალზე გადატანას ემსახურება. ხოლო მეორე ნაწილი უთითებს რომ გარანტმა უნდა შეამოწმოს შეესაბამება თუ არა მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს. ანუ მხოლოდ გარეგნული ნიშნებით შესწავლის ვალდებულება აკისრია.

მაგრამ შეიძლება დადგეს გარემოება, როცა გარანტმა მოთხოვნა ან თანდართული რომელიმე დოკუმენტი არასარწმუნოდ მიიჩნია, ან აღმოაჩინა, რომ ძირითადი ვალდებულება ბათილია, ან არ დადგა ის გარემოება, როცა გარანტია უნდა ამოქმედებულიყო, ან ბენეფიციარმა უკვე მიიღო შესრულება პრინციპალისაგან ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე, მას სამოქალაქო კოდექსი არ აძლევს უფლებას გადახდა შეაჩეროს, მან მხოლოდ გარანტს და პრინციპალს შეუძლია შეატყობინოს აღნიშნული. პრინციპალს ყველაფრის გასარკვევად ძალიან ცოტა დრო აქვს, მხოლოდ სასამართლოს განჩინებით შეუძლია გარანტით გადახდის შეჩერება. ამას კი დრო სჭირდება. ასეთი ვითარებებისას ვფიქრობთ, რომ სამოქალაქო კოდექსმა გარანტი უნდა აღჭურვოს უფლებით ასეთი გარემოებების აღმოჩენისას რაიმე კონკრეტული ვადით გადახდა შეაჩეროს, რათა პრინციპალმა სამართლებრივი გზით დაიცვას თავისი ინტერესები და თავიდან აირიდოს უფლების ბოროტად გამოყენების გამო ხანგრძლივი სასამართლო დავა.

სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების შესწავლისას და მოქმედი პრაქტიკის გათვალისწინებით არის რიგი შემთხვევებისა, როცა:

- ა) მოთხოვნაზე თანდართული დოკუმენტებიდან რომელიმე არ არის სარწმუნო;
- ბ) გარანტიით უზრუნველყოფილი პრინციპალის ვალდებულება ბათილი აღმოჩნდა;
- გ) გარემოება, რომლის დადგომის შემთხვევაშიც გარანტია უზრუნველყოფს ბენეფიციარის ინტერესს, არ წარმოშობილა;
- დ) ბენეფიციარმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უკვე მიიღო შესრულება პრინციპალისაგან ძირითადი ვალდებულების მიხედვით.

ვფიქრობთ, გადახდა გარანტიის მიხედვით უნდა შეჩერდეს კონკრეტული დღეთა რაოდენობით, რადგან ამ დროში შესაძლებელია მოხდეს რამდენიმე მოვლენა:

პირველი - პრინციპალმა შეიძლება აცნობოს გარანტს, რომ არ ეთანხმება გადახდას ზემოთ მითითებული რომელიმე საფუძვლით. ასეთ ვითარებაში მან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით უნდა შეაჩეროს გადახდა გარანტიის მიხედვით. ეს გარემოება გადატვირთავს სასამართლოს და მოუხერხებელია. თუ გარანტს პირდაპირ კანონით ექნება მინიჭებული გადახდის შეჩერების უფლებამოსილება, პრინციპალის უფლება უკეთესად იქნება დაცული.

მეორე: გარანტმა შენიშნა, რომ მოთხოვნაზე თანდართული დოკუმენტებიდან რომელიმე არ არის სარწმუნო ან ყალბია;

მესამე: ბენეფიციარმა წარმოადგინა განმეორებითი სათანადო მოთხოვნა გადახდაზე, მაშინ, როცა გარანტმა გამოიყენა პირველი უარის უფლება.

ბენეფიციარის პასუხისმგებლობის საკითხი გარანტისა და პრინციპალისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის კანონით არ არის მოწესრიგებული, თუ მეორე მოთხოვნის წარმოდგენისას თანხა გადაიხადა ისეთ ვითარებაში, როცა წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო სარწმუნო, ან წარმოდგენილი მოთხოვნა არ იყო სათანადო.

ასევე, გარანტის გარანტიც უნდა იყოს პასუხისმგებელი, თუ გადახდა უსაფუძვლოდ იქნა შეჩერებული. ამ საკითხის მოგვარება ბენეფიციარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების აღკვეთის შესაძლებლობას აწესრიგებს, რაც ასევე შეამცირებს სასამართლო დავებს;

სამოქალაქო კოდექსი უთითებს, რომ გადახდა ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში მაინც უნდა მოხდეს, თუ ძირითადი ვალდებულება არ

წარმოშობილა, შეწყდა რაიმე მიზეზით ან ბათილია, რაც არააქცესორულობის საფუძველია, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების დადგომისას, გაცილებით მიზანშეწონილია არსებობდეს გარანტის უფლება, - კონკრეტულად განსაზღვრული ვადით შეაჩეროს გადახდა ამგვარი გარემოებების გამოკვლევამდე, ოღონდ იმ პირობით, რომ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს და პრინციპალს, შეჩერების მიზეზის და ვადის მითითებით. თუ უფრო ჩავუღრმავდებით ამ საკითხს, სასამართლო დავა შეიძლება წარმოშვას გარანტის მეორე უარმა გადახდაზე, როცა ბენეფიციარი ხელმეორედ წარმოდგენს მოთხოვნას. გადახდის შეჩერება თავიდან აგვარიდებს სასამართლო დავას მხარეებს შორის უსაფუძვლო გამდიდრების, უფლების ბოროტად გამოყენების და სხვა საფუძველებით.

ამ ვითარებაში, შესაძლებელია დადგეს საფრთხე, რომ გარანტი უსაფუძვლოდ შეაჩერებს გადახდას, ამიტომ გარანტს გადახდის დაუსაბუთებელი ან უსაფუძვლო შეჩერების გამო შესაბამისი პასუხისმგებლობაც უნდა დაეკისროს. „შეჩერება“ თავიდან აგვარიდებს ბენეფიციარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების გამო სასარჩელო წარმოებებს და უფრო სამართლიან გარემოს შექმნის გარანტისა და პრინციპალისათვის. ცხადია, თუ არ არსებობს შეჩერების საფუძველი, მაშინ გარანტმა უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება და გადაიხადოს საბანკო გარანტიაში მითითებული თანხა. განსჯის შედეგად წარმოიშვა აზრი, რომ იმ შემთხვევაში, თუ გარანტმა მოთხოვნის ხელმეორედ წარმოდგენისას თანხა ისეთ ვითარებაში გადაიხადა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო სარწმუნო, ან წარმოდგენილი მოთხოვნა არ იყო დასაბუთებული, უნდა დადგეს ბენეფიციარის პასუხისმგებლობის საკითხი, რაც უნდა გამოიხატოს გარანტისა და პრინციპალისათვის მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში საერთო წესით.

3.5.28. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება გადაცემისას, გაგზავნისას ან არასწორი თარგმანისას

URDG N 758-ის 28-ე მუხლის რედაქცია შემდეგია:

(a) გარანტს არ ეკისრება არანაირი ვალდებულება ან პასუხისმგებლობა იმ შედეგებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება მოხდეს ნებისმიერი დოკუმენტის დაყოვნებისთვის, გზაში დაკარგვისთვის, დამახინჯებისთვის ან სხვა შეცდომებისთვის დოკუმენტების

გადაგზავნისას, თუ ასეთი დოკუმენტი გადაიგზავნა, ან გადაცემული იქნა გარანტიაში მითითებული წესით, ან თუ გარანტს შეეძლო დამოუკიდებლად შეერჩია მიწოდების სამსახური, თუ არ არსებობდა ამ საკითხთან დაკავშირებული ინსტრუქცია.

(b) გარანტს არ ეკისრება არანაირი ვალდებულება ან პასუხისმგებლობა იმ შედეგების გამო, რაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს შეცდომას თარგმანში ან ტექნიკური ტერმინების განმარტებაში და უფლებაში, თარგმანის გარეშე გადასცეს გარანტიის ტექსტი მთლიანად ან ნებისმიერი მისი ნაწილი.

ამ მუხლით ირკვევა, რომ თუ გარანტმა ბენეფიციარს ანდა პრინციპალს დოკუმენტები გადაუგზავნა მაგალითად საკურიერო ფოსტის მეშვეობით (DHL) და ასეთი გაგზავნის წესი დათქმული იყო გარანტიის ტექსტით ან პირიქით, არ იყო დათქმული და ამის გამო გარანტი თავად ირჩევდა გაგზავნის ხერხს, ხოლო შედეგად დოკუმენტები დაზიანდა, დაისვარა, დასველდა ან მთლიანობა დაირღვა, - აღნიშნულზე პასუხს არ აგებს გარანტი. ასევე გარანტი პასუხს არ აგებს იმ შედეგზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს შეცდომას მაგალითად გარანტიის ტექსტის თარგმანში ან მოთხოვნაზე თანდართული დოკუმენტებში არსებული ტექნიკური ტერმინების განმარტებაში. ამიტომაც მას უფლება აქვს თარგმანის გარეშე გადასცეს გარანტიის ტექსტი ან მისი ნაწილი ბენეფიციარს. მიუხედავად იმისა, რომ URDG N 758 -ის პირველი მუხლი ითვალისწინებს, რომ მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარანტს გარანტიის ენაზე უნდა წარედგინოს ყოველგვარი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, მაინც საჭირო გახდა ამ მუხლით გამორიცხულიყო გარანტის პასუხისმგებლობა თარგმანში შეცდომების გამო. როგორც კვლევით იქნა დადგენილი, საქართველოში დოკუმენტების გადაგზავნას გარანტები საკურიერო ფოსტის მეშვეობით ახორციელებენ, ან გარანტის ადგილსამყოფელზე პირდაპირ ხელზე აბარებენ დაინტერესებულ მხარეს. საბანკო გარანტიის ტექსტი, თუ გარანტიამ ქვეყნის შიგნით უნდა იმოქმედოს, სახელმწიფო ენაზე დგება, თუმცა სხვა ენაზე მისი შედგენა არ იკრძალება. რაც შეეხება ქართული ბანკების საერთაშორისო ხასიათის გარანტიებს, ისინი ინგლისურ ენაზეა შედგენილი, ხოლო SWIFT-ით წარდგენილი გარანტიები მხოლოდ ინგლისურენოვანია.

3.5.29. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება მეორე მხარის მოქმედების გამო

URDG N 758-ის 29-ე მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

გარანტი, რომელიც იყენებს სხვა პირის მომსახურებას ინსტრუქტაჟის გამცემი მხარის ან კონტრგარანტის ინსტრუქციის შესრულების მიზნით, ასრულებს მას ინსტრუქტაჟის გამცემი მხარის ან კონტრგარანტის ხარჯით და რისკით.

ხარჯები გარანტიით უზრუნველყოფისას მისი ამ ინსტიტუტის თანმდევი თემაა. როგორც წესი, ხარჯებს გაიღებს დაინტერესებული მხარე. ეს შეიძლება იყოს როგორც აპლიკანტი, ასევე ბენეფიციარი. სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ერთი წინადადებით განსაზღვრავს ამ საკითხს 880-ე მუხლის მეორე პუნქტით და უთითებს, რომ საბანკო გარანტიის მიცემისთვის პრინციპალი უხდის გარანტს შეთანხმებულ საზღაურს. ამ მუხლის საფუძველზე დადგენილმა კვლევამ აჩვენა, რა ხარჯებს მოიცავს პრინციპალისათვის გარანტიით მომსახურება. კვლევით დადგენილი იქნა, რომ კონტრგარანტიით უზრუნველყოფილი გაცემა გარანტის თანხის წლიური 1.20%-დან თვეში და მინიმუმ 25 ერთეული ღირს გარანტის ვალუტაში. დაფარული გარანტის გაცემა წლიური 3.6%-დან თვეში მინიმუმ 25 ერთეული გარანტის ვალუტაში, პირობის ცვლილება გარანტიაში 50 ერთეული გარანტის ვალუტაში თითო ცვლილების პაკეტზე გათვალისწინებით. საბლანკო (არაუზრუნველყოფილი) გაცემა გარანტის თანხის წლიური 8.40%-დან თვეში და მინიმუმ 25 ერთეული გარანტის ვალუტაში. სხვა აქტივებით უზრუნველყოფილი გაცემა წლიური 5-6.00%-დან თვეში და დაითვლება გარანტის თანხიდან. ასევე გარანტიით მომსახურებას შესაძლებელია მოჰყვეს საფოსტო, სატელეფონო, სატელეგრაფო და სხვა ხარჯი, რომელსაც დაინტერესებული მხარე იხდის. ბენეფიციარი, თავის მხრივ, იხდის მოთხოვნის გარანტთან წარმოდგენის ხარჯებს, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების შექმნის ხარჯებს, თუ მაგალითად გარანტიით აუდიტის დასკვნა მოითხოვება და ეს ხარჯი შესაძლებელია საკმაოდ დიდი აღმოჩნდეს. ამდენად, მხოლოდ იმ გარემოებაზე შეჩერება, რომ ხარჯები მხოლოდ პრინციპალმა უნდა გაიღოს, საკმარისი არ არის. ხარჯებს ბენეფიციარიც გაიღებს ხოლმე. მაგალითად, შესრულებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვის და ფორმა N2-ს შესაბამისი ექსპერტიზის ხარჯები ძირითადი ვალდებულების მიხედვით შეიძლება ორივე მხარემ თანაბრად გაიღოს. ამიტომ პრაქტიკაში, საბანკო გარანტიაში მიზანშეწონილია მიეთითოს ხარჯების გამღები მხარე.

3.5.30. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ფარგლები

URDG N 758-ის 30-ე მუხლი შემდეგი რედაქციითაა ჩამოყალიბებული:

27-29-ე მუხლები არ ათავისუფლებს გარანტს მისი ვალდებულებისგან ან პასუხისმგებლობისგან ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით იმოქმედოს კეთილსინდისიერად.

ამ მუხლით დგინდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ გარანტი უფლებამოსილია უარყოს ბენეფიციარის არასათანადო მოთხოვნა, თავისუფალია პასუხისმგებლობისგან 26-29 მუხლებით დადგენილი წესებით, ის ვალდებულია იყოს კეთილსინდისიერი აპლიკანტთან და ბენეფიციართან მიმართებით, შეასრულოს თავისი უფლებები და მოვალეობები მოქმედი გარანტიის ფარგლებში. პირდაპირ არ არის ნათქვამი, მაგრამ გარანტი ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს თავისი მოვალეობები, უნდა იყოს სწრაფი, კრეატიული, ადეკვატური, მოქნილი, ზრუნავდეს თავის საქმიან რეპუტაციაზე, მაღალი ხარისხის მომსახურებაზე, იყოს სანდო და კეთილსაიმედო, ჰქონდეს უახლესი და მაღალი ხარისხის ინფორმაციული ტექნოლოგია, ზუსტი და საიმედო, ყოველგვარი ეჭვის გამომრიცხავი აღრიცხვა, იზრუნოს როგორც თავის კლიენტზე (აპლიკანტზე, კონტრ-გარანტზე კონტრგარანტიის შემთხვევაში), ასევე ბენეფიციარზე და მუდმივად ჩააყენოს საქმის კურსში მხარეები მეორე მხარისგან წარმოდგენილ შეტყობინებაზე, ინფორმაციასა თუ დოკუმენტებზე. ეს რთული საქმეა, თუ წარმოვიდგენთ, რომ მსოფლიოს მსხვილ ბანკებში ყოველდღიურად უთვალავი რაოდენობის გარანტიის მომსახურება ხდება.

ქართულ ბანკებში ათი ათასობით საბანკო გარანტიაა ბრუნვაში გაშვებული და თითოეული მათგანი სპეციალურ კონტროლზეა აყვანილი. მათ ქართულ ბანკებში ერთად აკონტროლებს ერთდროულად ორი სამსახური: საერთაშორისო ანგარიშსწორებისა და დოკუმენტური ოპერაციებით მომსახურების და საკრედიტო ადმინისტრირების დეპარტამენტები. ქართული საბანკო სისტემა ღირსეულად ემსახურება როგორც საერთაშორისო, ასევე ლოკალურ (ქვეყნის შიდა) საბანკო გარანტიებს. რა თქმა უნდა არსებობს დავები საბანკო გარანტიის ურთიერთობებიდან გამომდინარე, მაგრამ ეს ნორმალური მოვლენაა და მთავარია გადაწყვეტილებები სამართლიანი, კანონიერი და კვალიფიციური იყოს.

3.5.31. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება უცხო ქვეყნის კანონებთან და ჩვეულებებთან მიმართებით

URDG N 758-ის 31-ე მუხლის რედაქცია შემდეგია:

ინსტრუქციის გამცემი მხარე, ხოლო კონტრგარანტიის შემთხვევაში კონტრგარანტი უზრუნველყოფს გარანტის ყველა ზარალის ანაზღაურებას, რაც კავშირშია ყველა ამა თუ იმ ვალდებულებებთან ან მოვალეობებთან, რასაც აკისრებს უცხო ქვეყნის კანონმდებლობა და ჩვეულებები, მათ შორის შემთხვევები, როცა ეს კანონები და ჩვეულებები შეიცავენ პირობებს, რასაც აქვთ უპირატესი ძალა იმ პირობებთან შედარებით, რომლებსაც გარანტია ან კონტრგარანტია შეიცავს. ინსტრუქციის გამცემი მხარე უზრუნველყოფს კონტრგარანტისათვის ყველა შესაბამისი ზარალის ანაზღაურებას, რამაც გარანტი გაათავისუფლა ამგვარი პასუხისმგებლობისგან ამ მუხლის შესაბამისად.

ამ მუხლის მიზანია მიუთითოს, ვის დაეკისრება იმ ზარალის ანაზღაურება, რაც შეიძლება გარანტმა განიცადოს უცხო ქვეყნის კანონის მოქმედების, ან იქ არსებული ჩვეულების გამო. ეს იმგვარ გარემოებაში დგება, როცა კონკრეტული სახელმწიფოს კანონმდებლობას უპირატესი ძალა აქვს იმ პირობებთან შედარებით, რასაც შეიცავს გარანტია ან კონტრგარანტია. URDG N 758 -ის 34-35-ე მუხლები უთითებენ, რომ გარანტია, თუ მასში სხვა რამ არ არის მითითებული, ექვემდებარება გარანტიის გამცემის ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედ კანონმდებლობას და დავას განიხილავს იმავე ქვეყნის კომპეტენტური სასამართლო. როცა ურიცხვი გარანტია ბრუნავს საერთაშორისო ვაჭრობაში, ყველა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობებისა და ჩვეულებების შესწავლა გარდა იმისა რომ რთულია, ძალიან დიდ დროს მოითხოვს, გარანტი არ არის ვალდებული ბენეფიციარის ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობა და ჩვეულებები შეისწავლოს. ამიტომ შესაძლებელია დადგეს გარკვეული ზარალი, მაგალითად იმის გამო, რომ კონკრეტულ ქვეყანაში გადახდა აკრძალული იყოს გარანტიის ვალუტაში. ვალუტის კონვერტაციამ კი დაშვებულ ვალუტაში შესაძლებელია ზარალი მიაყენოს გარანტს ვალდებულების შესრულების მომენტში. ჩვენთვის ცნობილია, რომ სავალუტო სპრედები ვალუტის ყიდვასა და გაყიდვას შორის მნიშვნელოვანი მომენტი. როცა გარანტიის თანხა დიდია, ეს სხვაობა არსებითია. ზუსტად ამიტომ, ამ მუხლით ზუსტად არის გაწერილი, ვის ევალება გარანტისათვის ამ ზარალის ანაზღაურება. გარანტიის შემთხვევაში ეს არის

ინსტრუქციის გამცემი მხარე ანუ აპლიკანტი, ხოლო კონტრგარანტიის შემთხვევაში - კონტრგარანტი. ცხადია, ასეთი გარემოება ქართულ ბანკსაც დაუდგება თუ საერთაშორისო გარანტია გასცა და ბენეფიციარის ქვეყნაში გარანტიის ვალუტაში გადახდა აკრძალულია. კონვერტაცია ხარჯებს გამოიწვევს, რადგან ვალუტის შესყიდვა უფრო ძვირია, ვიდრე იმავე ვალუტის გაყიდვა. შესაბამისად, კურსთა სხვაობა ზარალის გამომწვევი იქნება, რომლის გადახდის ვალდებულება პრინციპალს დაეკისრება. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ გარანტიებს, კვლევამ დაადგინა, რომ გადახდის ვალუტასთან დაკავშირებით სხვადასხვა მიდგომა არსებობს და აღნიშნულის თაობაზე ცალკეა მოცემული 3.5.21 ქვეთავში. უნიფიცირებული წესები ადგენს აპლიკანტის ვალდებულებას ამგვარი ზარალის ანაზღაურებაზე გარანტისათვის. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას რომ აქ პრინციპალის ვალდებულებაზეა საუბარი და არა გარანტის რეგრესის უფლებაზე პრინციპალის მიმართ მისგან მიიღოს ზარალის თანხა.

3.5.32. პასუხისმგებლობა ხარჯებისათვის

URDG N 758-ის 32-ე მუხლის რედაქცია შემდეგია:

- (a) მხარე, რომელიც ინსტრუქციას აძლევს მეორე მხარეს, მიიღოს გარკვეული მომსახურება, ამ წესების შესაბამისად, პასუხისმგებელია იმ ხარჯების გადახდაზე, რასაც გასწევს მეორე მხარე მისი ინსტრუქციის შესასრულებლად.
- (b) თუ გარანტია ითვალისწინებს ხარჯების მიკუთვნებას ბენეფიციარისთვის, მაგრამ ამ ხარჯების ამოღება არ ხერხდება, პასუხისმგებელი ამ ხარჯებზე ინსტრუქციის გამცემი მხარეა. თუ კონტრგარანტია ითვალისწინებს ხარჯების მიკუთვნებას ბენეფიციარისთვის, მაგრამ ამ ხარჯების ამოღება არ ხერხდება, პასუხისმგებლობა ამ ხარჯებზე კონტრგარანტს ეკისრება, ხოლო კონტრგარანტის წინაშე - ინსტრუქციის გამცემ მხარეს.
- (c) არც გარანტი და არც ავიზირების გამცემი ნებისმიერი მხარე არ უნდა ითვალისწინებდნენ გარანტიის გაცემას, მის ავიზირებას, გარანტისათვის ან ავიზირების მხარისთვის ცვლილების წარდგენას, გარანტის მიერ ამ ხარჯების ანაზღაურების პირობით.

ხარჯების თემა სამოქალაქო ბრუნვაში მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბიზნესი, როგორც წესი, გასაწევი ხარჯების მიხედვით ირჩევს როგორი გარიგებაა მისთვის ხელსაყრელი.

გარანტია იმიტომ გახდა მთელი მსოფლიოსთვის მისაღები, რომ კრედიტთან შედარებით იაფია. კარგად იცავს ბენეფიციარის ინტერესს და პრევენციულია პრინციპალისათვის. შესაბამისად გარანტიით მომსახურებას ხარჯები ახლავს, რაც გარანტიის გაცემის მომენტიდან იწყება და მისი მოქმედების დასრულების შემდეგაც გრძელდება, თუ გარანტიით გადახდა შესრულდება და რეგრესული ანაზღაურების მომენტი დადგება. გარდა იმ ხარჯებისა, რომელზეც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ და რომელიც აპლიკანტმა და ხანდახან ბენეფიციარმა უნდა გასწიოს, ასევე არის ხარჯი, რომელსაც თავად გარანტი და კონტრგარანტი იხდის, რათა პირნათლად შეასრულონ საკუთარი ვალდებულებები ამ ურთიერთობაში. ეს მუხლი ოდნავ ბუნდოვანია საერთაშორისო წესებში. კომენტარები ან რაიმე კონკრეტული მეცნიერული მოსაზრებები ამ მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ვერ მოვიპოვეთ. ამიტომ ის შევადარეთ USP N 600 –ის შესაბამის, 37-ე მუხლს (103) რათა მისი შინაარსი გასაგები გამხდარიყო. ეს განსაკუთრებით ამ მუხლის (c) პუნქტს შეეხებოდა. შესაბამისად მივედით იმ მოსაზრებამდე, რომ ზოგადად საკითხი ეხება ისეთ გარემოებას, როდესაც პრინციპალს თავისი ვალდებულების შესასრულებლად ესაჭიროება მესამე პირის ანუ გარანტის ჩართვა და, თავად პრინციპალი ინსტრუქციის გამცემია როგორც კონტრგარანტი. ამიტომ ამ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები მას ეკისრება. კონტრგარანტიის შემთხვევაში ასეთი პირი კონტრგარანტია გარანტის წინაშე. შესაბამისად, გარანტი ხარჯებთან დაკავშირებულ მოთხოვნას წარუდგენს კონტრგარანტს, ხოლო თავის მხრივ კონტრგარანტი ინსტრუქციის გამცემ მხარეს.

URDG N 758 -ის მეორე პუნქტი ითვალისწინებს, რომ თუ გარანტიაში ან კონტრგარანტიაში გათვალისწინებულია რაიმე ხარჯის ანაზღაურება და ეს პრაქტიკულად ვერ მოხერხდება, ეს ხარჯები ინსტრუქციის გამცემ მხარეს დაეკისრება. შესაძლოა აპლიკანტმა და ბენეფიციარმა გარანტიით მომსახურების ხარჯები გაიყონ - მათ შორის დადებული ხელშეკრულებით და ამის თაობაზე აპლიკანტმა გარანტს მოსთხოვოს, ბენეფიციარის მიერ კონკრეტულად გასაღები ხარჯის შესახებ გარანტიაში მიუთითოს. ცხადია, ასეთი პირობა გარანტიაში მოხვდება.

ჩვენ URDG N 758 -ის პირველ მუხლში მითითებული განმარტებიდან ცნობილია, რომ ინსტრუქციის გამცემი მხარე, ყველა შეიძლება იყოს კონტრგარანტის გარდა. ე.ი. შეიძლება იყოს როგორც აპლიკანტი, ასევე ბენეფიციარი. აქვე უნდა ითქვას, რომ კონკრეტულ საბანკო ოპერაცია შესაძლებელია შიდა საოპერაციო ხარჯთან იყოს დაკავშირებული, მაგალითად, გადარიცხვის საკომისიო ერთი ქვეყნიდან მეორეში, ან

საკორესპონდენტო ანგარიშის მომსახურების ხარჯები, თუ ერთ ბანკს მეორე ბანკში აქვს გახსნილი ანგარიში. ასევე შესაძლებელია გადარიცხვა არასწორად მოხდეს და ამ თანხების მოძიებას და უკან დაბრუნებასაც გარკვეული ხარჯი აქვს. თუ გარანტიით მომსახურება SWIFT -ით მიმდინარეობს, მაშინ სვიფტის მომსახურებაც გარკვეული თანხა ღირს. ამ ხარჯებს ბანკები ეწევიან საკუთრი თანხებიდან. ამიტომ ჩვენი აზრით, USP 600-ის 37-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივდივით, რომ (c) პუნქტი აქცენტირებს ხარჯებზე, რაც გარანტიით მომსახურების საკომისიოს ეხება. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ისრაელში, თუ პრინციპალი გარანტს საზღაურს არ უხდის, გარანტს შეუძლია უკან გამოითხოვოს გარანტია. შესაბამისად, უნიფიცირებული წესების ეს მუხლი უთითებს, რომ გარანტიის გაცემა და მისი შემდგომი მომსახურება მაინც გრძელდება მიუხედავად იმისა, რომ ამ საზღაურს პრინციპალი არ ან ვერ გადაიხდის. აღნიშნული პირობა უზრუნველყოფს გარანტიის მდგრადობას და ბენეფიციარის ინტერესის დაცვას მაშინაც კი, როცა გარანტი ინსტრუქციის გამცემის მხრიდან საზღაურის გარეშე რჩება. სამოქალაქო კოდექსი ასეთ პირობას არ ითვალისწინებს, მაგრამ უმჯობესია თუ აღნიშნულზე რაიმე ჩანაწერი გაჩნდება, საერთაშორისო წესებთან მისი ჰარმონიზაციისათვის. თუ ქართული ბანკები საერთაშორისო გარანტიას გასცემენ სხვა ქვეყანაში მყოფ ბენეფიციარზე, მაშინ URDG N 758 -ის ამ მუხლის თანახმად, ის გარემოება, რომ პრინციპალი გარანტს არ უხდის მომსახურებისთვის საკომისიოს, ვერ გახდება გაცემული გარანტიის უკან გამოთხოვის საფუძველი. ასევე ვერ გახდება გარანტიაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის საფუძველი.

3.5.33. გარანტიის ტრანსფერაცია (გადაფორმება) და ამონაგების დათმობა

URDG N 758-ის 33-ე მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

(a) გარანტია გადასაპირებელია (ტრანსფერაბელურია), თუ მასში პირდაპირაა მითითებული, რომ გარანტია „გადასაპირებელია“ („ტრანსფერაბელურია“) და ამ შემთხვევაში, ის შეიძლება გადაცემული იქნეს ერთჯერ ან მეტჯერ გარანტიის მთელი თანხით გადაცემის მომენტისთვის. კონტრგარანტია არ შეიძლება იყოს გადასაპირებელი (ტრანსფერაბელური).

(b) იმ შემთხვევაშიც კი როცა გარანტიაში პირდაპირაა მითითებული, რომ ის გადასაპირებელია (ტრანსფერაბელურია), გარანტი არ არის ვალდებული შეასრულოს

თხოვნა გადაპირებაზე (ტრანსფერაციაზე) ასეთ გარანტიაზე მისი გაცემის შემდეგ, გარდა იმ ფარგლებისა და პირობებისა, რომელსაც იგი ნათლად დათანხმდა.

(c) გადასაპირებელი (ტრანსფერაბელური) გარანტია ნიშნავს გარანტიას, რომელიც შეიძლება გარანტის მიერ წარედგინოს ახალ ბენეფიციარს („სამართალმემკვიდრეს“) მოქმედი ბენეფიციარის („ცედენტის“)თხოვნით.

(d) გარანტიის გადაპირებისას (ტრანსფერაციისას) გამოიყენება შემდეგი დებულებანი:

i. გადასაპირებელი (ტრანსფერაბელური) გარანტია უნდა შეიცავდეს ყველა ცვლილებას, რაც შეთანხმდა ცედენტის მიერ გარანტთან გადაპირების თარიღისთვის და,

ii. გარანტია მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს გადაპირებული, როცა ამ მუხლის (a), (b) და (d) (i) პუნქტებით გათვალისწინებულ პირობებთან ერთად ცედენტი წარუდგენს გარანტს ხელმოწერილ განცხადებას მასზე, რომ სამართალმემკვიდრემ შეიძინა ძირითადი გარიგებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

(e) თუ გადაპირების მომენტისთვის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ცედენტი იხდის ყველა ხარჯს, რაც დაკავშირებულია გადაპირებასთან.

(f) გარანტიის მიხედვით, რომელიც გადაპირებული იქნა, მოთხოვნა და ნებისმიერი დასაბუთებული განცხადება ხელმოწერილი უნდა იქნეს სამართალმემკვიდრის მიერ. თუ გარანტია სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ნებისმიერ სხვა დოკუმენტზე ცედენტის სახელწოდების და ხელმოწერის ნაცვლად, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამართალმემკვიდრის სახელწოდება და ხელმოწერა.

(g) იმისგან დამოუკიდებლად, მითითებულია თუ არა გარანტიაში, რომ გადასაპირებელია (ტრანსფერაბელურია) და შესაბამისობაშია გამოსაყენებელ სამართალთან:

i. ბენეფიციარი უფლებამოსილია დათმოს გადახდის ნებისმიერი ნაწილი, რაც ეკუთვნის ან შეიძლება ეკუთვნოდეს მას გარანტიის მიხედვით;

ii. ოღონდ, ამასთან ერთად, გარანტი არ არის ვალდებული განახორციელოს გადახდა ბენეფიციარის მიერ დანიშნული პირის სასარგებლოდ, თუ გარანტმა ასეთი თანხმობა ნათლად არ გამოთქვა.

გარანტიის გადაპირებისას, ანუ ტრანსფერისას გარანტი შემოიფარგლება მხოლოდ იმ პირობებით, რაზედაც თავად დათანხმდება ნათლად გარანტიის გაცემისას. გარანტიის გაცემის შემდეგ, რაიმე შესრულებისაგან URDG N 758 - გარანტს პირდაპირ ათავისუფლებს. რას ნიშნავს ტრანსფერაბელობა? ეს არის ბენეფიციარის შეცვლა საბანკო გარანტიაში. ერთი შეხედვით, მსგავსება შეიძლება დავინახოთ ეგრეთ წოდებულ

გადასაპირებელ თამასუქთან, მაგრამ საქართველოს კანონში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ - მეორე მუხლის 32-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ საბანკო გარანტია არ არის ფასიანი ქაღალდი (70). გადასაპირებელი (ტრანსფერაბელური) გარანტია ნიშნავს იმ გარანტიას, რომელიც შეიძლება გარანტის მიერ წარედგინოს ახალ ბენეფიციარს („სამართალმემკვიდრეს“) მოქმედი ბენეფიციარის („ცედენტის“) თხოვნით. ამ მუხლის ანალიზით ირკვევა, რომ გარანტიაში ბენეფიციარის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ძირითადი ვალდებულებების ცესიის შემთხვევაში, რომლის შესაბამისადაც სამართალმემკვიდრეობა წარმოიშობა ეგრეთ წოდებული ახალი ბენეფიციარისთვის. ცესიის ცნება ჩვენთვის სამოქალაქო კოდექსიდან ცნობილია. თავდაპირველმა ბენეფიციარმა უნდა დაუთმოს ძირითადი კონტრაქტით კუთვნილი მოთხოვნა ახალ ბენეფიციარს (მოთხოვნის დათმობა (ცესია)) წერილობით შეატყობინოს გარანტს, რომ ახალმა ბენეფიციარმა შეიძინა მისი უფლებები და მოთხოვნები ძირითადი ხელშეკრულების მიხედვით. შესაბამისად, გარანტიაში უნდა შევიდეს ყველა ცვლილება, რაც შეთანხმებულია გარანტსა და პირველ ბენეფიციარს შორის ტრანსფერის თარიღისათვის და ისე გადაეცეს ახალ ბენეფიციარს.

URDG N 758 მართალია უთითებს იმას, რომ თავდაპირველ ბენეფიციარს შეუძლია გარანტიის მიხედვით მოთხოვნა დაუთმოს სხვას, მიუხედავად იმისა, აღნიშნულია თუ არა გარანტიის ტექსტში ამის შესახებ, მაგრამ, ამავდროულად უფლებას ანიჭებს გარანტს არ გადაუხადოს საგარანტიო თანხა ახალ ბენეფიციარს, თუ თავად გარანტი არ იქნება თანახმა. ამ მუხლის გამოკვლევით ერთი დასკვნა გამოიკვეთა: საერთაშორისო წესი უშვებს გარანტიის გადაპირებას (ტრანსფერაციას) სხვა პირზე, მაგრამ იმ პირობით, თუ ამავდროულად იმავე პირზე ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე ბენეფიციარის უფლებები დაითმობა. პრაქტიკაში გამოვიკვლიეთ რამდენიმე ასეთი შემთხვევა, ყველა ბენეფიციარის წერილობითი შეტყობინების შესაბამისად განხორციელდა, შედეგად საბანკო გარანტიაში ბენეფიციარი შეიცვალა და ეს ახალი გარანტიის გაცემით განხორციელდა, მაგრამ გარანტიის ტექსტში ჩაიწერა გადაპირების შესახებ, საფუძვლად მიეთითა ცესია და ძველი გარანტიის ნომერი და გაცემის თარიღი. შეიძლება დადგეს ტრანსფერაციის სხვა სახეც, მაგალითად, როცა ბენეფიციარი თვით გარანტს გადასცემს ცესიით თავის უფლებებს მოთხოვნაზე და ცხადია, ამგვარ გადაცემას გარანტის თანხმობა ესაჭიროება, თუ თავად გარანტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ჩვენს პრაქტიკაში იყო გამოცდილება ბენეფიციარის მიერ გარანტზე თავისი უფლებების გადაცემის ნაწილში, რაც წარმატებით განხორციელდა.

ბენეფიციარის მოთხოვნის დათმობისას (გარანტიის ტრანსფერაცია) ჩვენი მოსაზრება შემდეგია: საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა სხვა პირისთვის უნდა დაიშვებოდეს მხოლოდ იმავე პირზე ძირითადი ვალდებულებიდან წარმოშობილი ბენეფიციარის უფლებების იმავდროული დათმობის ან სამართალმემკვიდრეობის პირობით. თუ საბანკო გარანტიით დაშვებულია ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის მოთხოვნის გადაცემა, ასეთი გადაცემა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ გარანტის ცალკე თანხმობით, თუნდაც გარანტიაში თანხმობა ტრანსფერზე თავიდანვე იყოს მითითებული.

როგორც ზემოხსენებულიდან ირკვევა, გარანტიის ტრანსფერის პროცედურა ასე გამოიყურება: თავდაპირველმა ბენეფიციარმა უნდა დაუთმოს ძირითადი კონტრაქტით კუთვნილი მოთხოვნა ახალ ბენეფიციარს (მოთხოვნის დათმობა (ცესია)), შეატყობინოს გარანტს, რომ ახალმა ბენეფიციარმა შეიძინა მისი უფლებები და მოთხოვნები ძირითადი კონტრაქტის მიხედვით, გარანტმა ეს გარემოება უნდა შეატყობინოს პრინციპალს, უნდა დათანხმდეს ტრანსფერს ცალსახად და ნათლად, გარანტიაში უნდა შევიდეს ყველა ცვლილება, რაც შეთანხმებულია გარანტსა და მოქმედ ბენეფიციარს შორის ტრანსფერის თარიღისათვის და ისე გადაეცეს გარანტიის შეცვლილი ტექსტი ახალ ბენეფიციარს. N 758-ე კუბლიკაცია მართალია უთითებს იმას, რომ თავდაპირველ ბენეფიციარს შეუძლია გარანტიის მიხედვით მოთხოვნის ნაწილი დაუთმოს სხვას, მაგრამ იმის მიუხედავად რომ გარანტიის ტექსტში „გადაპირება“ მითითებულია, გარანტი უფლებამოსილია არ გადაუხადოს ახალ ბენეფიციარს, თუ ცალსახად არ გამოხატავს თანხმობას ამგვარ ნაწილობრივ გადახდაზე. ტრანსფერი გარანტიაში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომ სამოქალაქო კოდექსში მნიშვნელოვანია ცვლილებების შეტანა ჩვენს მიერ რეკომენდებული ტექსტით.

3.5.34. გამოსაყენებელი სამართალი

URDG N 758-ის 34-ე მუხლი შემდეგი რედაქციითაა ჩამოყალიბებული:

(a) თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ის რეგულირდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც გარანტის ადგილსამყოფელი ან ოფისია, რომელმაც გარანტია გასცა.

(b) თუ კონტრგარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ის რეგულირდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც კონტრგარანტის ის ადგილსამყოფელი ან კანტორაა, რომელმაც გარანტია გასცა.

ეს მუხლი ადგენს, რომ გარანტიები რეგულირდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც გარანტის ადგილსამყოფელი ან გარანტიის გამცემის სტრუქტურული ერთეულია. გამოსაყენებელი სამართალი, როგორც ტერმინი, საერთაშორისო ინსტიტუტებისთვის კარგადაა ცნობილი. შესაბამისად, თუ დაუშვებთ, რომ სხვა ქვეყნის სასამართლო განიხილავს დავას, - განხილვა გარანტიის გამცემის ქვეყნის კანონმდებლობით უნდა მოხდეს, თუ გარანტიაში სხვა რამ არ იქნება დათქმული. მაგალითად გარანტიაში შესაძლებელია ჩაიწეროს, რომ დავას განიხილავს ICC DOCDEX მაგრამ გამოსაყენებელი სამართალი გარანტიის ემიტენტის ქვეყნის სამართალი იქნება.

შესაბამისად, ირკვევა, რომ მაშინაც კი, როცა გარანტია საერთაშორისოა და ბენეფიციარი არარეზიდენტია, - დავა შესაძლებელია განხილული იქნეს გარანტიის გამცემის ქვეყნის კანონმდებლობით მისივე კომპეტენტური სასამართლოს მიერ. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოში მოქმედი ბანკების მიერ გაცემული საერთაშორისო გარანტიებიდან გამომდინარე დავის შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართალი საქართველოს კანონმდებლობაა თუ საერთაშორისო გარანტიაში არ იქნება მითითებული, მაგ.: ICC DOCDEX საკუთარი რეგლამენტის მიხედვით, რომელიმე სხვა ქვეყნის სამართალი და კომპეტენტური სასამართლო. შესაბამისად, უკვე ნათლად ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი კანონმდებლობის დაახლოება საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებთან, რადგან საბანკო გარანტიაში ასეთი სპეციალური დათქმების არარსებობის შემთხვევაში სადავო საკითხების განხილვა საქართველოს სამართალმა და საქართველოს კომპეტენტურმა სასამართლომ უნდა იკისროს.

3.5.35. იურისდიქცია

URDG N 758-ის 35-ე მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

(a) თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ნებისმერი დავა გარანტსა და ბენეფიციარს შორის, გარანტიიდან გამომდინარე, ექვემდებარება გადაწყვეტას

ექსკლუზიურად კომპეტენტურ იმ ქვეყნის სასამართლოს, სადაც გარანტიის ის განყოფილება ან კანტორაა, რომელმაც ეს გარანტია გასცა.

(b) თუ კონტრგარანტიაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ნებისმერი დავა გარანტსა და ბენეფიციარს შორის გარანტიიდან გამომდინარე, ექვემდებარება გადაწყვეტას ექსკლუზიურად იმ ქვეყნის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც კონტრგარანტიის ის განყოფილება ან კანტორაა, რომელმაც ეს კონტრგარანტია გასცა.

ეს მუხლი განსაზღვრავს რომ დავა გარანტსა და ბენეფიციარს შორის გარანტიიდან გამომდინარე, ექვემდებარება გადაწყვეტას ექსკლუზიურად იმ ქვეყნის კომპეტენტურ სასამართლოს სადაც გარანტია/კონტრგარანტია გაიცა, თუ გარანტიაში სპეციალური დათქმა არ არის. შესაბამისად, ირკვევა, რომ მაშინაც კი, როცა გარანტია საერთაშორისო (ბენეფიციარი არარეზიდენტი) - დავა განხილული უნდა იქნეს გარანტიის გამცემის ქვეყნის კომპეტენტური სასამართლოს მიერ. ე.ი. საქართველოს ბანკების გაცემულ საერთაშორისო გარანტიებზე დავის შემთხვევაში, განმხილველი ორგანო საქართველოს სასამართლო შეიძლება იყოს. შესაბამისად, ნათელია, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი კანონმდებლობის დაახლოება საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებთან.

§ 3.6. საბანკო გარანტიის კლასიფიკაცია ტიპების და სახეების მიხედვით

საერთაშორისო უნიფიცირებული წესების (URDG 758), სამოქალაქო კოდექსის და საბანკო გარანტიების საქართველოში მოქმედი/გაცემული სახეების მიხედვით, საბანკო გარანტიები ტიპების მიხედვით სხვადასხვა მახასიათებლის გათვალისწინებით დავაჯგუფეთ. ისინი მოცემულია ცხრილში და შემდეგია:

ცხრილი N1

საერთაშორისო და ლოკალური საბანკო გარანტიების კლასიფიკაცია ტიპების მიხედვით	
ჩვეულებრივი გარანტია/სარეზერვო აკრედიტივი	
გამოთხოვადი	

გამოუთხოვადი	ამ ტიპების მიხედვით გამოიყენება საბანკო გარანტიების სახეები (ცხრილი N 2 გვერდზე 196), გარდა მითითებული გამონაკლისისა.
პირობითი	
უპირობო	
პირდაპირი	
არაპირდაპირი (კონტრგარანტია)	
დაფარული	
დაუფარავი	
დათმობადი/ტრანსფერაბელური	
დაუთმობადი/არატრანსფერაბელური	გამონაკლისი: კონტრგარანტია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უშვებს გარანტიის გამოთხოვადობას (61) მუხ. 882), თუმცა ამ მუხლის სათაური სხვანაირად განაწყოებს ხელშეკრულების მხარეებს, კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ “საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტის მიერ, თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.” აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბაზარზე გამოთხოვადი ბუნების გარანტიების ბრუნვა პრაქტიკაში ვერ დამკვიდრდა, რადგან კანონმდებელმა არ დაადგინა ის პირობები, რომლების დროსაც გარანტი უფლებამოსილია უკან გაითხოვოს მის მიერ გაცემული გარანტია. “ამგვარი გარანტიის მიხედვით, გარანტი უფლებამოსილია ბენეფიციარისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე შეცვალოს გარანტიის პირობები ან საერთოდ უკან გაითხოვოს იგი. ასეთი გარანტია არ წარმოადგენს ბენეფიციარისათვის საკმარის უზრუნველყოფას (26,210).

სამაგიეროდ ნდობა მოიპოვა გამოუთხოვადმა გარანტიამ, რადგან მისი პირობები არ შეიძლება შეიცვალოს ბენეფიციარის წინასწარი თანხმობის გარეშე, ხოლო გარანტის მიერ მისი უკან გამოთხოვა დაუშვებელია. პირობითი და უპირობო გარანტიები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღნიშნულის თაობაზე პირდაპირ არ უთითებს, რაც მუდმივი დაბნეულობის საგანია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ გარანტმა უნდა დაადგინოს შეესაბამება თუ არა მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს. “პირობითი გარანტია თავისი ბუნებით ნიშნავს იმას, რომ გარანტიაში შესაძლებელია მითითებული იყოს, რომ ბენეფიციარმა, წერილობით მოთხოვნას გადახდის შესახებ, უნდა დაურთოს ის დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება ბენეფიციარის მიერ საკუთარი ვალდებულების შესრულება პრინციპალთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. ასევე მიუთითოს, რომ თავად მან - შეასრულა ვალდებულება, - ხოლო პრინციპალმა - არა. მესამე პირის, მაგალითად სავაჭრო - სამრეწველო პალატის დასტური, რომ პრინციპალმა არ შეასრულა ვალდებულება. ასევე მოთხოვნას უნდა დაერთოს პრინციპალის თანხმობა ბანკის მიერ გარანტიის გადახდაზე.” (26,210).

უპირობო გარანტია, ითვალისწინებს ყოველგვარი დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, უპირობო ვალდებულებას გადახდის შესახებ. ოღონდ, რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გასამყარებლად, ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში უნდა მიეთითოს, თუ რაში გამოიხატა პრინციპალის იმ ვალდებულების დარღვევა, რამაც გამოიწვია ბენეფიციარის მოთხოვნა გადახდაზე. საქართველოს შიდა ბაზარზე მეტწილად სწორედ უპირობო გარანტიები ბრუნავს და მისი ბენეფიციარები ძირითადად საჯარო სამართლის სუბიექტები არიან. გარანტიას პირველივე მოთხოვნით უწოდებენ ისეთ ვალდებულებას, როდესაც ბენეფიციარს ნებადართული აქვს მხოლოდ ფულადი თანხის მოთხოვნა წარმოდგინოს ყოველგვარი დამასაბუთებელი განცხადებისა და დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულების გარეშე (URDG 758-ის მე-15 მუხლი.)

რა განსხვავებაა პირდაპირ გარანტიასა და არაპირდაპირ გარანტიას შორის?

პირდაპირი გარანტის შემთხვევაში პრინციპალის ბანკს პირდაპირი კავშირი აქვს ბენეფიციართან და გასცემს გარანტიას ბენეფიციარისთვის. გარანტიაში პირდაპირაა მითითებული ბენეფიციარი, როგორც მოთხოვნის მიხედვით ფულის მიმღები. აქ თვალსაჩინოა გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე. კონტრგარანტიის შემთხვევაში კი ეს პირდაპირი კავშირი არ არსებობს, რადგან ურთიერთობაში ერთვება მეორე გარანტი (ბენეფიციარის ბანკი), რომელიც გარანტიას თავისი კლიენტის (ბენეფიციარის) სასარგებლოდ გასცემს კონტრგარანტის, ანუ პრინციპალის ბანკის თხოვნით. თავის მხრივ, კონტრგარანტი ამ მოქმედებას ასრულებს პრინციპალის

განაცხადის საფუძველზე. კონტრგარანტია საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ყველა ბანკი უფლებამოსილია გასცეს საბანკო გარანტია, შესაბამისად, გარანტიის ემიტენტი ნებისმიერი სუბიექტი შესაძლებელია კონტრგარანტად გამოვიდეს, მაგრამ პრაქტიკაში ეს უფრო ბანკების პრეროგატივაა მათი ცნობადობის გამო, რადგან საერთაშორისო ურთიერთობებში ბანკები მეტი უპირატესობით სარგებლობენ, ვიდრე სხვა სპეციალური სუბიექტები. კონტრგარანტიის შემთხვევაში ურთიერთობა მყარდება გარანტსა და ბენეფიციარს შორის, რომლებიც უფრო ხშირად ერთი ქვეყნის რეზიდენტები არიან და ანგარიშსწორების სისტემაც და გადახდის ვალუტაც ერთიანია. კონტრგარანტია კი ასე ვთქვათ მეორე რიგის გარანტიაა, რომელიც პირველ გარანტიას უზრუნველყოფს. ამიტომ როდესაც ბენეფიციარი და პრინციპალი სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან, მაშინ კონტრგარანტია ხშირად გამოიყენება. თუ კონტრგარანტს და გარანტს ერთმანეთში მოკორესპონდენტო ანგარიშები აქვთ გახსნილი, მაშინ ურთიერთობა გაიოლებულია, ხოლო თუ ასეთი რამ არ არსებობს, მაშინ შესაძლებელია ამგვარ ურთიერთობაში მესამე ბანკიც ჩაერთოს.

რაც შეეხება დაფარულ და დაუფარავ გარანტიებს, მათ შორის სხვაობა გამოიხატება რეგრესული ანაზღაურების დაკმაყოფილების უზრუნველყოფის სახეებში. დაფარულ გარანტიებად მიიჩნევა ფულით ან საბანკო/სადაზღვევო კომპანიის გარანტიებით უზრუნველყოფილი გარანტიები. ამ დროს პრინციპალის ანგარიშზე რიცხული თანხა იბლოკება და გამოიყენება როგორც უზრუნველყოფა.

დაფარული გარანტიის შემთხვევაში, როცა პრინციპალი ანგარიშზე თანხას აჩერებს გარანტიით უზრუნველსაყოფად, გარანტიის ხელშეკრულებაში მიეთითება, რომ ეს თანხა არის დაგირავებული, უფრო სწორად, მოთხოვნაა დაგირავებული აღნიშნულ თანხაზე. ეს თანხა პრინციპალის მიმდინარე საბანკო ანგარიშიდან, რომელიც 36 კლასის ანგარიშს განეკუთვნება (კლიენტთა მიმდინარე ანგარიშები), გადადის ეგრეთ წოდებული 45 კლასის ანგარიშზე კერძოდ 4504 ანგარიშზე რომელიც სახელდება როგორც „დეპოზიტები გარანტიის მიხედვით“ (90).

ხსენებულ ანგარიშზე თანხა ჩერდება მანამ, სანამ საბანკო გარანტიას მოქმედების ვადა არ გაუვა. იმ შემთხვევაში, თუ გარანტიით გადახდა ბენეფიციარის სასარგებლოდ განხორციელდა, გარანტიით გადახდილი თანხა ჩამოიწერება გარანტის სასარგებლოდ აღნიშნული ანგარიშიდან. ამ ნაწილში რეგულირება ხდება ხელშეკრულების მიხედვით,

რომელიც გარანტსა და პრინციპალს შორის იდება, სადაც მიეთითება თანხის ოდენობა, მისი გაჩერების ვადა და ჩამოწერის წესი.

თუ უზრუნველყოფას სხვა ბანკის/სადაზღვევო კომპანიის გარანტია წარმოადგენს, რეგრესული ანაზღაურების რისკი მინიმალურია.

როდესაც უზრუნველყოფა იპოთეკით ან გირავნობით ხდება, ასეთ გარანტიებს დაუფარავი გარანტიები ეწოდებათ. რაც შეეხება “პირდაპირს” და “სარეზერვოს”, აქ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სარეზერვო აკრედიტივი საბანკო გარანტიის შებრუნებული ფორმაა და შესაბამისად გარანტიის ტექსტში სიტყვების “საბანკო გარანტია”-ს ნაცვლად მიეთითება სიტყვები “სარეზერვო აკრედიტივი”. დანარჩენებს “პირდაპირ გარანტიად” იმიტომ მოიხსენიებენ, რომ ტექსტებში პირდაპირ მიეთითება სიტყვა “გარანტია”.

გარანტიის აშშ ვარიანტი – stand-by letter of credit („სარეზერვო აკრედიტივი) აღმოცენებულია აკრედიტივიდან, რომელიც ხშირად გამოიყენება გადახდის საშუალებად ნასყიდობის ხელშეკრულებაში და რომელსაც ხანდახან commercial letter of credit ან documentary credit -საც უწოდებენ. თანამედროვე გარანტიები აკრედიტივების ბევრ პრინციპს იზიარებს, მათ შორის თანხის ანაზღაურების ნაწილში - მხოლოდ გარანტიაში მოცემული პირობების (რომელიც ხშირად დოკუმენტური ხასიათისაა) შესრულებისას. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გარანტიის პირობები შესრულებულია, ბანკს აღარ აქვს უფლება ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე რაიმე შესაგებლის წამოყენებისა. განსხვავებით აკრედიტივისაგან, რომელიც გადახდის საშუალებად გვევლინება, გარანტიის დანიშნულება უსაფრთხოებაა. ის უზრუნველყოფს ფინანსურ კომპენსაციას დებიტორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას.

ქართულ ბაზარზე, პრაქტიკამ ჩამოაყალიბა მოთხოვნა საბანკო გარანტიის შემდეგ სახეობებზე:

- ავანსის დაბრუნების გარანტია (repayment or advance payment guarantee);
- სატენდერო გარანტია (tender guarantee);
- გადახდის გარანტია (payment guarantee);
- საბაჟო გარანტია (customs guarantee),
 - რეექსპორტისა და ტრანზიტის რეჟიმის დაცვის შესახებ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად დროებითი შემოტანის სამართლებრივ რეჟიმში საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისას.

- იმპორტისა და გადამუშავების საბაჟო რეჟიმის უზრუნველსაყოფად, როდესაც გადამუშავებული პროდუქცია და წარმოების ძირითადი საშუალებები ექსპორტს ექვემდებარება.

- საბაჟო საკონსიგნაციო საწყობის მოსაწყობად, რათა სასაწყობო მეურნეობამ მიიღოს საბაჟო საკონსიგნაციო საწყობის სტატუსი.

- ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია (warranty guarantee):
- სააუქციონო (საკონკურსო) გარანტია: აუქციონზე ქონების შესაძენად, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად (იხილე დანართი N 9);
- შესრულების გარანტია (performance guarantee);
- სასესხო გარანტია: გაცემული კრედიტის დაბრუნების უზრუნველსაყოფად;
- სასამართლო გარანტია (judicial guarantee):
- ფულადი თანხების დაკავების გარანტია- გამოიყენება მშენებლობის შემთხვევაში.

ზემოთ მითითებული ჩამონათვალი შესაძლებელია გაიზარდოს მეწარმეობის სხვადასხვა დარგის განვითარებით. ჩინეთის ბანკები მომხმარებელს ოცდასამი სახის საბანკო გარანტიას სთავაზობენ, რაც ჩინეთის ბანკის (Bank of China (BOC)) ვებგვერდიდან დგინდება (49). ეს რაოდენობით ორჯერ აღემატება საერთაშორისო ბაზარზე ცნობილი საბანკო გარანტიების სახეებს.

თვალსაჩინოებისთვის უკეთესია ცხრილის სახით მათი საბანკო გარანტიების სახეების მიხედვით დალაგება:

ცხრილი N 2

საბანკო გარანტიების კლასიფიკაცია სახეების მიხედვით		
1	ავანსის გადახდის გარანტია (repayment or advance payment guarantee)	პრინციპალის მიერ ავანსის არამიზნობრივად გამოყენების ან სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისთვის რომლის ფარგლებშიც გადახდილი იქნა საავანსო თანხა. (დანართი N6; გვერდზე 252);
2	სატენდერო გარანტია	სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (დანართი N10; გვერდზე 262);

	(tender guarantee):	
3	გადახდის გარანტია (payment guarantee)	მიწოდებული პროდუქციის/მომსახურების ღირებულების გადახდის უზრუნველსაყოფად. (დანართი N8, გვერდზე 258);
4	ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია (warranty guarantee):	მიწოდებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ან მომსახურების უხარისხობის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად. (დანართი N11, გვერდზე 264);
5	სასესხო/საკრედიტო გარანტია:	გაცემული კრედიტის დაბრუნების უზრუნველსაყოფად.
6	სასამართლო გარანტია (judicial guarantee):	სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების და სასამართლო ბაჟის გადახდის უზრუნველყოფისთვის. (63, მუხ.:57 (2); 58; 199; 356 ¹⁷ ;445 (2გ)).
7	შესრულების გარანტია (performance guarantee):	სახელშეკრულებო ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. (დანართი N12 , გვერდზე 265);

8	<p>საბაჟო გარანტია (customs guarantee):</p>	<ul style="list-style-type: none"> • რეექსპორტისა და ტრანზიტის რეჟიმის დაცვის შესახებ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად დროებითი შემოტანის რეჟიმში საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისას; • იმპორტისა და გადამუშავების საბაჟო რეჟიმის უზრუნველსაყოფად, თუ გადამუშავებული პროდუქცია და წარმოების ძირითადი საშუალებები ექსპორტს ექვემდებარება; • საბაჟო საკონსიგნაციო საწყობის მოსაწყობად, რათა სასაწყობო მეურნეობამ მიიღოს საბაჟო საკონსიგნაციო საწყობის სტატუსი. (დანართი N 5, გვერდზე 250);
9	<p>სააუქციონო/საკონკურსო გარანტია:</p>	<p>საჯარო აუქციონზე ქონების შესაძენად, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საგარანტიო თანხის გადახდის უზრუნველსაყოფად; (დანართი N9 , გვერდზე 260);</p>
10	<p>ფულადი თანხების დაკავების გარანტია</p>	<p>მშენებლობისას, ეტაპობრივი გადახდებზე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დასაკავებელი 5%-იანი ოდენობის თანხების გადახდის უზრუნველსაყოფად.</p>

თავი IV. საბანკო გარანტიის სამართლებრივი ურთიერთობის პრაქტიკული მხარე

§4.1. გარანტიის ფაკულტატიური (დამატებითი) პირობები

ქვემოთ მითითებული პირობები მნიშვნელოვანია გარანტიის სხვადასხვა კონკრეტული სახისთვის, რომლებიც შეიძლება შეტანილი იქნეს საერთაშორისო/მოთხოვნით გარანტიებში და URDG N 758 შეიცავს. მიუხედავად მისი საერთაშორისო ხასიათისა, კვლევით დავადგინეთ, რომ ეს ფაკულტატიური პირობები აქტიურად გამოიყენება ქართული ბანკების მიერ, მეტწილად მიმსგავსებულად ლოკალური გარანტიებისთვის, შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

4.1.1. დრო მოთხოვნის წარსადგენად თუ განსხვავებულია გარანტიის გაცემის თარიღისგან

მოთხოვნა ამ გარანტიის მიხედვით შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს დაწყებული [მიეთითება თარიღი ან მოვლენა მაგალითად:

აპლიკანტის/პრინციპალის ანგარიშზე [მიეთითოს ვალუტა და ზუსტი თანხა, რაც უნდა იქნეს მიღებული ავანსის გადასახდელის სახით] ჩარიცხვა [მიეთითოს ანგარიშის ნომერი], რაც იწარმოება გარანტთან, იმ პირობით, რომ ასეთი გადახდის რეკვიზიტებიდან შესაძლოა იმ გარანტიის იდენტიფიცირება, რომელსაც ის შეესაბამება;

გარანტის მიერ [მიეთითოს ვალუტა და ზუსტი თანხა, რაც უნდა იქნეს მიღებული ავანსის გადასახდელის სახით] მიღება, აპლიკანტის/პრინციპალის ანგარიშზე ჩასარიცხად [მიეთითოს ანგარიშის ნომერი], რაც იწარმოება გარანტთან, იმ პირობით, რომ ასეთი გადახდის რეკვიზიტებიდან შესაძლოა გარანტიის იდენტიფიცირება, რომელსაც ის შეესაბამება; ან გარანტისათვის წარდგენილი განცხადებით, რაც ითვალისწინებს [გარანტის განთავისუფლებას ვალდებულებისგან სატენდერო გარანტიით], [დოკუმენტური აკრედიტივის გახსნა, რაც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: მიუთითეთ თანხა, ბანკი ემიტენტი ან დამადასტურებელი ბანკი და საქონლის/მომსახურების აღწერა] ან [ძირითადი ხელშეკრულების ძალაში შესვლა].

შემოთავაზებული პირობა ძალაში შესვლის შესახებ ხშირად გამოიყენება საავანსო, ან ფულადი სახსრების დაკავების გარანტიებში. ორივე შემთხვევაში ეს დათქმა უზრუნველყოფს გარანტიის მიხედვით გადახდის შეუძლებლობას იმ მომენტამდე, სანამ შესაბამისი თანხა არ იქნება გადახდილი ბენეფიციარის მიერ აპლიკანტისთვის ძირითადი გარიგებით. არსებობს ორი გზა ასეთი დათქმის შესადგენად. პირველი ვარიანტის შესაბამისად შემოთავაზებულია, გარანტია ჩაითვალოს ნამდვილად (მოქმედად) მხოლოდ მაშინ, როცა დათქმული თანხა ფაქტობრივად ჩარიცხულია აპლიკანტის ანგარიშზე. ამასთან, ბენეფიციარს/გადამხდელს რჩება გადარიცხვისას შეცდომის ან თანხის დაყადაღების რისკი მესამე პირის მიერ მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში. მეორე ვარიანტის შემთხვევაში, ბენეფიციარის ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება, როცა გადახდა მიღებულია გარანტის მიერ, რომელიც თავად აწარმოებს აპლიკანტის ანგარიშს. ამ შემთხვევაში ანგარიშზე ჩარიცხვის ნებისმიერი შეფერხების რეგულირება ხდება გარანტსა და აპლიკანტს შორის, იმ შეთანხმებით, რაც გარანტსა და პრინციპალს/აპლიკანტს შორისაა დადებული ან მიღებულია სამართლის ნორმებით. საავანსო გარანტიები ფართო მასშტაბით გამოიყენება საქართველოში მოქმედი ბანკების პრაქტიკაში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში. საავანსო გარანტიის ტექსტის ნიმუში მოცემულია წინამდებარე ნაშრომის N 6 დანართში.

4.1.2. პირობა გარანტიის თანხის შეცვლის შესახებ

❖ გარანტიის თანხა შემცირდება [მიუთითეთ საგარანტიო თანხის პროცენტი ან ზუსტი თანხა და ვალუტა] [შეირჩეს ქვემოთ მითითებული ვარიანტებიდან ერთი ან რამდენიმე:

- გარანტისათვის შემდეგი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში: [მიუთითეთ დოკუმენტების ჩამონათვალი];
- იმ შემთხვევაში, თუ შემცირების ინიცირებისთვის დამოუკიდებელ გარანტიაში მითითებულია რომელიმე მაჩვენებელი [მიეთითება მაჩვენებლის რაოდენობრივი მნიშვნელობა, რაც იწვევს გარანტიის თანხის შემცირებას]; ან,
- (გადახდის გარანტიის შემთხვევაში): გადასახდელ თანხაზე [მიეთითება ზუსტი თანხა და ვალუტა], რაც ჩარიცხება ბენეფიციარის ანგარიშზე [მიეთითოს ანგარიშის ნომერი], რომელიც იწარმოება გარანტთან, იმ პირობით, რომ გადარიცხვის რეკვიზიტებიდან გამომდინარე, გარანტს აქვს საშუალება

მოახდინოს იმ გარანტიის იდენტიფიცირება, რომელსაც ეს გადარიცხვა შეესაბამება (მაგ. მითითება გარანტიის ნომერზე).]

❖ გარანტიის თანხა გაიზრდება [მიუთითეთ პროცენტი ან ზუსტი თანხა ვალუტის ჩვენებით] [შეარჩიეთ ქვემოთ მითითებული ვარიანტებიდან ერთი ან რამდენიმე:

- გარანტისათვის შემდეგი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში [მიეთითება დოკუმენტების ჩამონათვალი];
- გარანტისათვის აპლიკანტის მიერ განცხადების წარდგენის შემთხვევაში მითითებით, რომ ძირითადი ხელშეკრულება შეიცვალა, გაიზარდა მოცულობა ან სამუშაოების ღირებულება და ასევე ახალი თანხა და გადახდის ვალუტა]; ან
- იმ შემთხვევაში, თუ თანხის გაზრდის ინიცირებისთვის გარანტიაში აღნიშნულია რაიმე მაჩვენებელი [მიეთითება მაჩვენებლის რაოდენობრივი მნიშვნელობა, რაც იწვევს გარანტიის თანხის გაზრდას].]

§ 4.2. გარანტი და პრინციპალი

გარანტსა და პრინციპალს შორის ურთიერთობები პრაქტიკაში შემდეგი პროცედურით მიმდინარეობს: პრინციპალი გარანტს მიმართავს განაცხადით, სადაც მითითებულია ინსტრუქცია საბანკო გარანტიის პირობების შესახებ. განაცხადს ხშირად თან ერთვის ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის დადებული (ძირითადი) ხელშეკრულება.

ამ ხელშეკრულებაში ხშირად უკვე გაწერილია ის ვალდებულება, რისი უზრუნველყოფის საშუალებადაც უნდა იქნეს გამოყენებული საბანკო გარანტია. გარანტი დეტალურად სწავლობს აღნიშნულ ხელშეკრულებასა და მუშა პროცესში არკვევს დასაზუსტებელ საკითხებს პრინციპალთან. ეს ძირითადად ეხება გასაცემი გარანტის სახეს, ფორმატს, გარანტიით მომსახურების ღირებულებას და გასაფორმებელი საგარანტიო მომსახურების ხელშეკრულების პირობებს. ამ უკანასკნელის ძალით გარკვეული ფულადი სასყიდლის სანაცვლოდ, ბანკი ვალდებული უნდა გახდეს პრინციპალის წინაშე, ბენეფიციარისთვის საბანკო გარანტიის გაცემაზე. აღნიშნული მოქმედება მიმდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლის შესაბამისად. ამის შემდეგ იდება საბანკო გარანტიით

მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, მზადდება გარანტიის ტექსტი და გაიცემა გარანტია.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საბანკო გარანტია საბანკო კრედიტთან შედარებით იაფი ინსტრუმენტია. საბანკო კრედიტების საპროცენტო განაკვეთი საქართველოში, ბიზნესის დაფინანსების მიზნობრიობით, წლიურ 11-20%-ს შეადგენს, ხოლო საბანკო გარანტიით მომსახურების საფასური მხოლოდ წლიური 4-6%-ია და სულ ოთხი დოკუმენტის შედგენა სჭირდება. ესენია: პრინციპალის განაცხადი საბანკო გარანტიის მისაღებად; საბანკო გარანტიით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება; ამ ხელშეკრულებით გარანტის რეგრესის უფლების უზრუნველყოფა პრინციპალის მიერ (იპოთეკა, გირავნობა ან ფულის ბლოკირება საბანკო ანგარიშზე) და საბანკო გარანტიის გაცემა. არის ერთი დამატებითი ნიუანსი, - შიდასაბანკო პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს ბანკის საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილებას გარანტიის გაცემის შესახებ. ეს გადაწყვეტილება სამ საბანკო დღეში მიიღება თუ საბანკო გარანტია დაუფარავია. თუ პრინციპალი თანახმაა, რომ გარანტმა ბანკმა მისი ფულის ბლოკირება მოახდინოს საბანკო ანგარიშზე რეგრესის უზრუნველყოფის სახით, ამგვარ შემთხვევაში ქართულ პრაქტიკაში ბანკის საკრედიტო კომიტეტზე საკითხი აღარ განიხილება და გარანტია გაიცემა არაუგვიანეს იმავე ან მეორე დღისა.

აქ შესაძლოა დაისვას ლოგიკური კითხვა, თუ პრინციპალი გარანტიის გაცემისთვის გარანტს ფულად უზრუნველყოფას სთავაზობს, რაღა ინტერესი აქვს გარანტიის მისაღებად? რეალურად ბიზნესინტერესიც და იურიდიული ინტერესიც დიდია. ის შემდეგში გამოიხატება:

- ა) ბანკში ბლოკირებულ თანხაზე პრინციპალმა შეიძლება მოითხოვოს და მიიღოს ანაზრის პროცენტი;
- ბ) სწრაფად დააკმაყოფილოს ბენეფიციართან დადებული ხელშეკრულების მოთხოვნა – წარადგინოს საბანკო გარანტია ნაკისრი ვალდებულების შესრულებისთვის;
- გ) საქონლის მიწოდებისას, დაელოდოს ბენეფიციარისგან ძირითადი ვალდებულების შესრულებას და მხოლოდ შემდეგ გადაიხადოს;
- დ) ბენეფიციარი მშვიდად ასრულებს მომსახურებას ან აგზავნის საქონელს და დარწმუნებულია იმაში, რომ თუ პრინციპალისგან ფულს ვერ მიიღებს, მაშინ მას უფლება აქვს მოითხოვოს გადახდა გარანტისგან საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში და

დარწმუნებულია, რომ თუ მოთხოვნას გადახდაზე ჯეროვნად წარადგენს, ფულს ნამდვილად მიიღებს.

საქართველოს საბანკო სისტემაში რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლებიდან გამომდინარე პრაქტიკა შემდეგნაირად ვითარდება:

- თუ პრინციპალის ვალდებულება გარანტის სასარგებლოდ ანაზღაურებაზე ქონებრივი უზრუნველყოფითაა დაფარული, მაშინ საგარანტიო თანხა განაღდებულის ფარგლებში (სრულად ან ნაწილობრივ) - პრინციპალისათვის საბანკო კრედიტად გარდაიქმნება. თავისი გარე ბალანსის ანგარიშიდან ბანკს ბენეფიციარისთვის გადახდილი თანხა გადმოაქვს შიდა ბალანსზე, პრინციპალთან დებს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას, დგება კრედიტის გადახდის გრაფიკი და შემდგომი ურთიერთობა საბანკო კრედიტის მომსახურების ფორმით გრძელდება.
- საქმე მიქცევა აღსრულებაზე უზრუნველყოფის რეალიზაციის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით პრინციპალის ფულადი დავალიანების დასაფარავად გარანტის სასარგებლოდ;
- თუ უზრუნველყოფა ფულით იყო წარმოდგენილი, მაშინ პრინციპალს თანხა ჩამოიწერება ბლოკირებული ანგარიშიდან გარანტის მიერ გადახდილი თანხის ფარგლებში.

§ 4.3. გარანტი და ბენეფიციარი

გარანტის იურდიული ინტერესი ბენეფიციარის მიმართ ორ ეტაპიანია. პირველზე მზადდება საბანკო გარანტიის ტექსტი, პრინციპალის მიერ წარდგენილი განაცხადის თანახმად, რომელიც შეიცავს შესაბამის ინსტრუქციებს საგარანტიო პირობებზე. ამ განაცხადს თითქმის ყოველთვის თან ერთვის ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულება, სადაც უკვე გაწერილია ის ვალდებულება, რისი უზრუნველყოფის საშუალებადაც უნდა იქნეს გამოყენებული გარანტია. გარანტი დეტალურად სწავლობს განაცხადს, ასევე, გარეგნული ნიშნებით სწავლობს ძირითად ვალდებულებას, რომელიც საბანკო გარანტიამ უნდა უზრუნველყოს. ქართულ ბიზნეს-პრაქტიკაში ფეხმოკიდებულია ტენდენცია და ამგვარ ხელშეკრულებაში პირდაპირ მიეთითება ბენეფიციარის მოთხოვნა, რომ პრინციპალმა წარუდგინოს საბანკო გარანტია ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. ბანკი აყალიბებს ბენეფიციარისთვის

საბანკო გარანტიის მისაღებ ტექსტს. ამგვარ ურთიერთობას პრაქტიკული თვალსაზრისით მინიმუმადე დაჰყავს ძირითადი ხელშეკრულების ბათილობის რისკი, მიუხედავად იმისა, რომ საბანკო გარანტიის მოქმედება მის ბათილობაზე არ არის დამოკიდებული. ლოკალური გარანტიის ტექსტის პროექტი პერმანენტულად პრინციპალის მეშვეობით გადაეცემა ბენეფიციარს, რათა მან გადახედოს, რამდენად მისაღებია მისთვის გარანტიის ტექსტი. თუ რაიმე პრეტენზია არ გამოითქმება, მაშინ მას გარანტია იღებს საბოლოო სახეს, მზადდება ბანკის საქმიანი მიმოწერის ბლანკზე, ენიჭება ნომერი, თარიღი და ხელი ეწერება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ხელწერილით ბარდება პრინციპალს და გარანტია აღირიცხება ბანკის შიდა პროგრამულ სისტემაში.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ჩამოაყალიბა განმარტება საბანკო გარანტიის ძალაში შესვლის საკითხში და კონკრეტული დავის ფარგლებში მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა - რაც დღესდღეობით ეწინააღმდეგება URDG-ს N 758 -ის ხსენებულ ნორმასა და საბანკო გარანტიის არსს (86). ოღონდ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს გადაწყვეტილება 2009 წელს არის მიღებული, ხოლო საერთაშორისო უნიფიცირებული წესები ძალაში 2010 წელს შევიდა.

ბენეფიციარსა და გარანტს შორის ურთიერთობის მეორე ეტაპი იწყება მაშინ, როცა ბენეფიციარი გარანტიის მიხედვით მოთხოვნას წარუდგენს გარანტს და მოითხოვს გადახდას. გარანტის შემდგომი მოქმედების პროცედურა გაწერილია მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 886-ე მუხლში. მოთხოვნის მიღებისთანავე, გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ საკუთარ კლიენტს (პრინციპალს) და გადასცეს მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ დედნები გარანტთან რჩება. გარანტმა გონივრულ ვადაში უნდა განიხილოს მოთხოვნა და დაადგინოს, შეესაბამება თუ არა ბენეფიციარის წერილში მითითებული მოთხოვნა და დართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს. თუ შესაბამისობა სახეზეა, – დგება გადახდის ვალდებულება, ხოლო თუ შესაბამისობა არ დგინდება, მაშინ გარანტი წერილობით განუცხადებს ბენეფიციარს უარს გადახდაზე.

პირველი უარის შემდეგ შეუძლია თუ არა ბენეფიციარს ხელახლა წარუდგინოს გარანტს მოთხოვნა აღმოფხვრილი ხარვეზებით? სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მეორე ნაწილის ბოლო წინადადება: “ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას” არ იძლევა საფუძველს, რომ გარანტი უნდა “დაელოდოს” ბენეფიციარის “შესწორებულ” წერილობით მოთხოვნას. ჩვენი აზრით, ეს არ იქნება “ხელმეორე მოთხოვნა” იმ გაგებით, რაც ხსენებულ მუხლშია მითითებული. ი. რობაქიძე უთითებს, რომ „გარანტის უარი, არ ნიშნავს, რომ გარანტის ვალდებულება წყდება. ბენეფიციარს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს საბანკო გარანტიის მოქმედების დარჩენილი დროის განმავლობაში ხელმეორედ წარუდგინოს მოთხოვნა გარანტის მიმართ და მოსთხოვოს მას საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება“ (6,584). ეს საკითხი მოწესრიგებულია URDG N 758 -ის მე-17 მუხლის (d) ქვეპუნქტით და მე-18 მუხლის (a) პუნქტით, რომელშიც ნათქვამია: არასათანადო მოთხოვნის წარდგენა ან მისი გამოთხოვა, არანაირად არ ართმევს და არ ლახავს უფლებას წარდგენილი იქნეს სხვა დროული მოთხოვნა იმისგან მიუხედავად, აკრძალულია თუ არა გარანტიით ნაწილობრივი ან მრავალჯერადი მოთხოვნის წარდგენა. ამდენად ეს საკითხი დასაბუთებულად და გადაწყვეტილად უნდა მივიჩნიოთ.

ბენეფიციარსა და გარანტს შორის ურთიერთობა ბენეფიციარის ჯეროვან სიზუსტესა და კონტროლს მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბენეფიციარი შესაძლოა უზრუნველყოფის გარეშეც დარჩეს. ყველაზე რთული მომენტი, როცა პრინციპალს შესრულებული აქვს თავისი ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ ან ასეთი ვალდებულება შეწყვეტილია ან გაბათილდა და ბენეფიციარი მაინც ითხოვს გადახდას. რა თქმა უნდა, გარანტი აცნობებს ორივე მხარეს წერილობით, რომ გადახდის პირობები არ არსებობს. ამის შემდეგ გარანტი უნდა დაელოდოს ბენეფიციარის პასუხს. დროის ეს მონაკვეთი არ ჩაითვლება გარანტის მიერ გადახდის ვადის გადაცილებად ბენეფიციარის წინაშე. ეს ვადა მოიცავს იმ დროის მონაკვეთსაც, როცა გარანტი განმეორებით მოთხოვნას მიიღებს და მისი შესწავლისთვის კიდევ დასჭირდება გონივრული ვადა.

ვიზიარებთ ებერჰარტის მოსაზრებას გარანტიის ტექსტის დეკლარაციულობაზე პირველივე მოთხოვნით გარანტიებში. ტექსტი „ყოველგვარი პრეტენზიისა და გასაჩვრების გარეშე გადაგიხდით“ - წმინდა დეკლარაციული ხასიათის მატარებელია და გარანტის ვალდებულების აბსტრაქტულობას ჩვეულებრივზე მეტად არ ზრდის როგორც ავტორი ამბობს. იმისთვის, რომ ბენეფიციარმა შეცდომა არ დაუშვას გარანტიით

სარგებლობისას, ასეთი დეკლარაციული სახის ჩანაწერებს ყურადღება არ უნდა მიაქციოს, რადგან მისი მხრიდან შეიძლება არასწორად იქნეს გაგებული ამგვარი ტექსტი (უბიძგოს სურვილისკენ უფლება ბოროტად გამოიყენოს). გარანტიაში არ ჩანს ბანკის ნამდვილი უფლებები, იქ მხოლოდ გადახდის ვალდებულება ჩანს, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ამიტომ ბენეფიციარმა თავის მოთხოვნაში ნათლად უნდა მიუთითოს, თუ რატომ ითხოვს გადახდას. ამ ახსნას მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ბანკს ჰქონდეს ოფიციალური ახსნა-განმარტება და ადვილად შეძლოს საჭირო მტკიცებულებების მოპოვება რეგრესის უფლების შემდგომში განსახორციელებლად, თუმცა გადახდაზე მოთხოვნის მიღებისას, არსებით ექსპერტიზას არ ჩაატარებს (19,23). ასევე მართებულია და სწორი ლ. ჭანტურიას იგივე შინაარსის მოსაზრება (7,222-223), როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ.

§ 4.4. საბანკო გარანტიის პირობები და ელემენტები

URDG N 758 -ის დანართში, მოცემულია მოთხოვნით გარანტიის ფორმატი, რომელიც დღესდღეობით გამოიყენება საბანკო გარანტიის ემიტენტების მიერ იმიტომ, რომ საქართველოს კანონმდებლობაში რეკომენდაციის სახით სანიმუშო ფორმატი არ მოიძებნება. მხოლოდ სასწავლო ლიტერატურაში „სახელშეკრულებო სამართლის“ წიგნშია მოყვანილი ისეთი ფორმატი, რაც ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ გარანტიის და ტექსტზე წარმოდგენის შესაქმნელად. საქართველოს საბანკო სექტორი 2010 წლის შემდეგ ეყრდნობა URDG N 758 -ის შემდეგ რეკომენდებულ ფორმატს:

[გარანტია უნდა შესრულდეს წერილობით, საფირმო ბლანკზე ან SWIFT კოდირებული შეტყობინებით];

ვის: - [მიეთითება ბენეფიციარის სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია];

თარიღი: [მიეთითება გაცემის თარიღი];

გარანტიის სახე: [მიეთითება გარანტიის სახე: სატენდერო გარანტია, ავანსის დაბრუნების გარანტია, შესრულების გარანტია, გადახდის გარანტია, ფულადი სახსრების დაკავების გარანტია, საგარანტიო ვადის გარანტია (ეს უკანასკნელი გამოიყენება სამუშაოს/მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად)];

გარანტიის ნომერი: [მიეთითება გარანტიის ნომერი];

გარანტი: [მიეთითება გარანტის სახელწოდება, გარანტიის გაცემის ადგილი (თუ ის არ არის მითითებული საქმიანი მიმოწერის ბლანკზე)];

აპლიკანტი: [მიეთითება სახელწოდება და მისამართი (ჩვენი კანონმდებლობით პრინციპალია)];

ბენეფიციარი: [მიეთითება ბენეფიციარის სახელწოდება და მისამართი];

მირითადი გარიგება: აპლიკანტის ვალდებულება [მიეთითოს იმ ხელშეკრულების იდენტიფიკაცია, რის უზრუნველსაყოფადაც გარანტია გაიცა, ტენდერის პირობები ან სხვა ვალდებულება აპლიკანტსა და ბენეფიციარს შორის];

გარანტიის მაქსიმალური თანხა და ვალუტა: [მიეთითება მაქსიმალური თანხა ციფრებით და სიტყვებით, რაც ექვემდებარება გადახდას და ვალუტა, რომელშიც უნდა გადაიხადოს];

ნებისმიერი დოკუმენტი რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს გადახდის მოთხოვნის გასამყარებლად, გარდა დამასაბუთებელი განცხადებისა, რომელიც ქვემოთ მითითებული წესის თანახმად ექვემდებარება აუცილებელ წარმოდგენას:

[მიეთითება ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტი, რაც აუცილებელია გადახდის მოთხოვნის გასამყარებლად (დასადასტურებლად), თუ გარანტიის პირობების მიხედვით არ არის გათვალისწინებული არანაირი დოკუმენტის წარდგენა მოითხოვება გარდა მოთხოვნისა და დამასაბუთებელი განცხადებისა, შესაბამისი ველი შეუვსებელი რჩება ან მიეთითება „არ მოითხოვება“];

ენა ნებისმიერი მოთხოვნილი დოკუმენტისათვის: [მიეთითება ენა ნებისმიერი მოთხოვნილი დოკუმენტისათვის. აპლიკანტის მიერ გაცემული დოკუმენტები ან ბენეფიციარის მიერ გაფორმებული უნდა იყოს გარანტიის ენაზე, თუ აქ სხვა რამე არ იქნება მითითებული];

მოთხოვნის წარდგენის ფორმა: [მიეთითება, გამოიყენება თუ არა ქალაქის მატარებელი თუ ელექტრონული ფორმა. ქალაქის მატარებელზე წარდგენის შემთხვევაში მიეთითება მიწოდების/გაგზავნის ხერხი. ელექტრონული ფორმით წარდგენის შემთხვევაში მიუთითეთ ფორმატი და ის ელექტრონული მისამართი, სადაც უნდა მოხდეს წარდგენა];

მოთხოვნის წარდგენის ადგილი: [გარანტმა უნდა მიუთითოს ფილიალის მისამართი, სადაც უნდა მოხდეს მოთხოვნის ქალაქის მატარებლით წარდგენა ან, ელექტრონული ფორმატით წარდგენისას, ელექტრონული მისამართი, მაგალითად გარანტის SWIFT მისამართი. თუ ამ ველში წარდგენის ადგილი მითითებული არ არის, წარდგენის ადგილი იქნება გარანტიის გაცემის ადგილი, რაც მითითებულია ზემოთ];

ვადის ამოწურვის თარიღი: [მიეთითება ვადის ამოწურვის თარიღი ან მოვლენა, რაც განსაზღვრავს ვადის ამოწურვის თარიღს]

ხარჯების გადახდაზე პასუხისმგებელი მხარე: [მიუთითეთ მხარე/ სახელწოდება];

“როგორც გარანტი, წინამდებარე გარანტიით ვკისრულობთ გამოუთხოვად ვალდებულებას გადავუხადოთ ბენეფიციარს ნებისმიერი თანხა გარანტიის თანხის ფარგლებში, ბენეფიციარის მიერ სათანადო მოთხოვნის წარმოდგენისთანავე ზემოთ მითითებული ფორმით, რომელსაც შესაძლებელია ახლდეს სხვა, ზემოთ მითითებული დოკუმენტები, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებლად უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ კონკრეტულად რომელი ვალდებულება იქნა დარღვეული აპლიკანტის მიერ ძირითადი ხელშეკრულების მიხედვით. აღნიშნული მითითება შესაძლებელია ჩაიწეროს თავად მოთხოვნაში ან შესრულდეს ცალკე ხელმოწერილი დოკუმენტით და დამატებით უნდა იქნეს წარმოდგენილი მოთხოვნაზე მითითებით. ნებისმიერი მოთხოვნა ამ გარანტიის მიხედვით ჩვენ მიერ მიღებული უნდა იქნეს არაუგვიანეს ვადის გასვლისა იმ მისამართზე, რაც მითითებულია ზემოთ. ეს გარანტია ექვემდებარება მოთხოვნით გარანტიის უნიფიცირებულ წესებს URDG 2010 წლის რედაქციას გამოქვეყნებულს საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მიერ პუბლიკაციის ნომრით N758.

ხელმოწერა (უფლებამოსილი პირის)” (96). (იხილეთ დანართი N2).

საბანკო გარანტიის მიზანი უზრუნველყოს პრინციპალის ფულადი ვალდებულების შესრულება ბენეფიციარის წინაშე, სწორედ გადახდაა. უნიფიცირებული წესების წინამორბედი ვერსიაც ითვალისწინებდა გარანტიის ტექსტის სანიმუშო ფორმატებს, მაგრამ აქ მოცემული ფორმატი გაცილებით სრულყოფილია და მეტ წარმოდგენას უქმნის პრინციპალს და ბენეფიციარს გამოსაყენებლად. საზღვარგარეთის ბანკები იმდენად მნიშვნელოვნად თვლიან ამ საკითხის სწორად გააზრებას ბენეფიციარებისთვის და აპლიკანტებისთვის/პრინციპალებისათვის, რომ პრაქტიკული ახსნა-განმარტება და გარანტიების სახეები თავის ვებგვერდზე საჯაროდ აქვთ გამოქვეყნებული. ასევე სანიმუშო სახით გამოქვეყნებული აქვთ საბანკო გარანტიის ტექსტები (50) მაგალითად „დანსკე ბანკს“ (დანია) თავის ვებგვერდზე მოცემული აქვს ინსტრუქცია დამოუკიდებელი გარანტიის შესახებ, მოქმედების სქემა და პირობები, გარანტიის სახეები მოკლე დახასიათებით. თავის ვებ-გვერდზე მითითებული აქვს: გადახდა საერთაშორისო გარანტიის მოქმედებისას მნიშვნელოვანია, ამიტომ პრინციპალმა და ბენეფიციარმა უნდა მოილაპარაკონ იმ პირობებზე, რა შემთხვევაში გამოიყენებენ გარანტიას. ბენეფიციარმა მხოლოდ ვალდებულების დარღვევაზე უნდა მიუთითოს (პირველივე მოთხოვნით

გარანტია), თუ ბანკი უნდა დაელოდოს ურთიერთობის დარეგულირებას პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის (მაგალითად სასამართლოს გადაწყვეტილებას). ეს ზუსტად უნდა ჩაიწეროს გარანტიაში იმდენად ნათლად, რომ ყველა მხარემ უნდა იცოდეს, თუ როდის იქნება ბენეფიციარის პრეტენზია გადახდაზე დაკმაყოფილებული ბანკის მიერ“ (48,1-3). „დანსკე ბანკი“ აღნიშნავს, რომ პირობით გარანტიებს ბევრ ქვეყანა არ ღებულობს და რეკომენდაციას უწევს მომხმარებლებს რჩევისთვის მიმართონ ბანკს გარანტიის ტექსტის ფორმულირებისთვის (48,1-3). ჩვენ მივუთითეთ საბანკო გარანტიის აუცილებელი პირობები და ელემენტები, აქ მოყვანილ ფორმატზე დაყრდნობით, რაც მოცემულია დანართი N 1, (გვერდზე 242) რაც დიდი ხნის პრაქტიკული გამოცდილების შედეგია.

§ 4.5. ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის ნიმუში

❖ სატენდერო გარანტიის შემთხვევაში დასაბუთებულ განცხადებაში შეიძლება მიეთითოს, რომ აპლიკანტმა:

- გაიხმო თავისი წინადადება ტენდერის ვადის განმავლობაში ან მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტი ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა, აპლიკანტმა ხელი არ მოაწერა ხელშეკრულებას მისი წინადადების შესაბამისად ან/და არ წარადგინა გარანტია, რაც ტენდერის პირობებით იყო გათვალისწინებული.
- შესრულების გარანტიის შემთხვევაში დასაბუთებულ განცხადებაში შეიძლება მიეთითოს, რომ:

❖ აპლიკანტმა დაარღვია ძირითადი გარიგებით მის მიერ ნაკისრი თავისი ვალდებულება, რადგან [მოწოდება შეფერხდა] [კონტრაქტის შესრულება ვადაგადაცილებულია] [ხელშეკრულების მიხედვით საქონლის არასრული მიწოდებაა] [შესრულებულ სამუშაოს გააჩნია ხარვეზები] და ა.შ.

❖ გადახდის გარანტიის შემთხვევაში დასაბუთებულ განცხადებაში შეიძლება მიეთითოს, რომ:

- აპლიკანტმა არ შეასრულა ძირითადი ხელშეკრულებით ნაკისრი თავისი ვალდებულება თანხის გადახდის შესახებ.

ივარაუდება, რომ დამასაბუთებელ განცხადებაში რაც მოითხოვება დამოუკიდებელი გარანტიის სხვა სახეებისთვის, (ავანსის დაბურნების გარანტია, ფულადი სახსრების დაკავების გარანტია, მიწოდების გარანტია, ტექნიკური მომსახურების გარანტია,

გარანტია საგარანტიო პერიოდზე და ა.შ.) ასევე უნდა იყოს მაქსიმალურად ზოგადი, ბენეფიციარისთვის იმისი აუცილებლობის დასაბუთების ან დარღვევის დეტალური ტექნიკური წვრილმანების წარმოდგენის გარეშე, თუ ის არ არის ზუსტად ჩამოყალიბებული თავად გარანტიაში.

ზემოთ მოყვანილი ფორმატი გამოიყენება საერთაშორისო პირობითი გარანტიებისთვის. უპირობო გარანტიის შემთხვევაში, თვითონ გარანტიის ტექსტში მიეთითება, რომ URDG -ის 15 მუხლის (a) ქვეპუნქტის გამოყენება გამორიცხულია. საქართველოს კანონმდებლობა ასეთ დეტალიზაციაში არ შედის. ისიც უნდა გავითვალისწინოთ რომ სამოქალაქო კოდექსის ნორმები მხოლოდ ლოკალურ, ქვეყნის შიგნით მოქმედ საბანკო გარანტიებს ეხება და უპირობო გარანტიას როგორც ასეთს, საერთოდ არ იცნობს.

§ 4.6. უარი გადახდაზე და მისი შედეგები

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს გარანტის მიერ საგარანტიო თანხის გადახდაზე უარის თქმის მხოლოდ ორ შესაძლებლობას, რაც 887-ე მუხლის პირველ ნაწილშია მითითებული:

პირველი: - თუ ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტაცია არ შეესაბამება საბანკო გარანტიაში გაწერილ პირობებს.

მეორე: - გავიდა საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა და მოთხოვნა არ იყო წარმოდგენილი ვადის გასვლამდე.

გადახდაზე უარი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. URDG N 758 -ის მე-17 (d) და მე -18 მუხლების დანაწესი, ამ საკითხის რეგულაციას ეხება. ეს მუხლები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ. საბანკო გარანტიით გადახდაზე უარი ისეთი თემაა, რაც მუდმივად განხილვის საგანია ბანკის იურისტებს შორის. სამოქალაქო კოდექსი ამგვარ ურთიერთობას არ აწესრიგებს (1,246). საკითხი ეხება ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პირველი მოთხოვნის არასათანადობის შემთხვევაში გარანტის მიერ უარყოფას. ლადო ჭანტურია უთითებს, რომ ასეთი „მოთხოვნა იქნება ბათილი, რაც გარანტს გადახდაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს და იმავდროულად უარის თქმის მოვალეობას აკისრებს“ (7,222). § 4.3 -ში დავასაბუთეთ, რომ ბენეფიციარს თავისი არასათანადო მოთხოვნის შესწორება და ხელახლა წარდგენა ჩაითვლება „სხვა მოთხოვნად“ URDG N 758 -ის მე-17

მუხლის (d) პუნქტის შესაბამისად. სანამ გარანტიის მოქმედების ვადა არ გასულა, იგი შესაძლებელია წარდგენილი იქნეს და გადახდით დაკმაყოფილებულიც. აღნიშნული დასტურდება URDG N 758-ის მე-18 მუხლით, რომელიც უთითებს, რომ არასათანადო მოთხოვნის წარდგენა ან მისი გამოთხოვა, არანაირად არ ართმევს და არ ლახავს უფლებას წარდგენილი იქნეს სხვა დროული მოთხოვნა იმისგან მიუხედავად, აკრძალულია თუ არა გარანტიით ნაწილობრივი ან მრავალჯერადი მოთხოვნის წარდგენა. გადახდა იმ მოთხოვნით, რომელიც არ იყო სათანადო, არ აუქმებს იმ პირობას რომ სხვა მოთხოვნები სათანადო არ იყოს.

თუ პრინციპალს ჯეროვნად ჰქონდა შესრულებული ძირითადი ვალდებულება და ბენეფიციარმა ხელმეორედ მოითხოვა ფულის გადახდა გარანტისგან, მიუხედავად იმისა, რომ გარანტისათვის პრინციპალისაგან ცნობილია, რომ ვალდებულება შესრულებულია, ის მაინც ვალდებულია გადაიხადოს გარანტის თანხა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს სამ ჯგუფად ყოფს:

„ა) დაუყოვნებელი (იმავედროული) დაბრუნების ვალდებულება (*dolo agit, qui petit, quod statim redditurus est* (ლათინურიდან – „მზაკვრულად მოქმედებს ის, ვინც იმას ითხოვს, რაც იმავედროულად უკანვე უნდა დააბრუნოს.“). უფლების ბოროტად გამოყენება არის კრედიტორის მიერ ისეთი საგნების მოთხოვნა, რომელიც მან მოვალეს სხვა სამართლებრივ საფუძველზე (მაგ. ზიანის ანაზღაურება ან უსაფუძვლო გამდიდრება) უკან უნდა დაუბრუნოს (მაგ., მესამე პირის სარჩელი, როდესაც მოსარჩელეს თვითონაც ეკისრება პასუხისმგებლობა (შდრ. აგრეთვე: §§ 273, 387));

ბ) უფლებამოსილი პირის კანონისმიერი ინტერესის არარსებობა. მაგ., სარჩელი ინფორმაციის მოპოვების თაობაზე იმ მიზნით, რომ ინფორმაცია გამოყენებულ იქნეს კონკურენციის მიზნებისთვის;

გ) არათანაზომიერება. უმნიშვნელო ვალდებულების დარღვევა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მასშტაბური სამართლებრივი შედეგების მისაღებად. მაგ., ხელშეკრულებაზე უარის თქმა უმნიშვნელო ვადის გადაცილების გამო.“(4,116).

ქართველი იურისტები შესრულებული ვალდებულების შემთხვევაში გარანტისათვის ხელმეორედ ფულის მოთხოვნას, უფლების ბოროტად გამოყენებად მოიხსენიებენ (7). არის ისეთი გარემოებაც, როდესაც მოთხოვნა ან მასზე დართული დოკუმენტები

იმდაგვარად შეიძლება იყოს გაყალბებული, რომ გარეგნული ნიშნებითაც აშკარად შეიმჩნეოდეს. ასეთ ვითარებაში გარანტს უნდა ჰქონდეს უფლება გადახდა შეაჩეროს და შეტყობინება გაგზავნოს პრინციპალთან და ბენეფიციართან. დაინტერესებულმა მხარემ კი სამართალდამცავ ორგანოებს უნდა მიმართოს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლი დანაშაულად შერაცხავს ყალბი საკრედიტო და სხვა საგადასახადო დოკუმენტის ან ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტის დამზადებას ან შექმნას გასაღების ან გამოყენების მიზნით, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი (65, მუხ.210) და ეს სწორედ საბანკო გარანტიას ეხება. საბანკო გარანტიის სიყალბის შემთხვევაში, საგარანტიო თანხის ანაზღაურება არ უნდა განხორციელდეს, ვინაიდან გარიგება დოკუმენტის სიყალბის გამო არც წარმოშობილა. საბანკო გარანტიის სიყალბის და ნამდვილობის შემოწმება ბანკს ადვილად შეუძლია, რადგან მკაცრი აღრიცხვა იწარმოება. რაც შეეხება (887.II) -ს ჩვენი შეხედულება კანონის შეთავაზებულ პროექტის შესაბამისი მუხლის ვერსიაშია ჩამოყალიბებული (დანართი N13 გვერდზე 267).

§ 4.7. კონტრგარანტია, მისი აუცილებელი პირობები და ელემენტები

URDG N 758 -ის დანართში N3 მოცემულია კონტრგარანტიის ფორმატი, რომელიც დღესდღეობით მთლიანად გამოიყენება გარანტიის ემიტენტების მიერ იმიტომ, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არანაირი სანიმუშო ფორმატი არ მოიძებნება. შესაბამისად საქართველოს საბანკო სექტორი მთლიანად ეყრდნობა ხსენებულ ფორმატს საერთაშორისო ბაზარზე კონტრგარანტიით მოქმედების შემთხვევაში. კონტრგარანტია, ისევე როგორც ჩვეულებრივი დამოუკიდებელი გარანტია, უნდა შესრულდეს წერილობით, კონტრგარანტის საფირმო ბლანკზე ან SWIFT-ის კოდირებული შეტყობინებით. მისი თავისებურება ისაა, რომ მოიცავს როგორც გარანტიის სრულ ტექსტს, ასევე კონტრგარანტიის სრულ ტექსტს და მოცულობით ორჯერ აღემატება საბანკო გარანტიის ჩვეულ ტექსტს.

დანართ N3-ში მოცემულ სანიმუშო ტექსტს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. სანამ ძირითად ხელშეკრულებას ხელი მოეწერება, სავაჭრო პარტნიორი აუცილებლად უნდა იყოს საქმის კურსში რა პირობები მოქმედებს საბანკო/დამოუკიდებელ გარანტიებთან და კონტრგარანტიებთან მიმართებით პრინციპალის ქვეყანაში. მაგალითად, პრაქტიკა დანიაში არ ემთხვევა სხვა ქვეყნების პრაქტიკას. ზოგიერთ ქვეყანაში დიდი ყურადღება

ექვევა გარანტიის მოქმედების ვადას. დანიაში კონტრგარანტიის ინსტიტუტი ქვეყნის შიგნითაც მოქმედებს, საქართველოსგან განსხვავებით, ოღონდ მოიხსენიება თავდებობად. მხარეები ხშირად ვერ წყვეტენ საკითხს, რა ფინანსური ინსტრუმენტი შეარჩიონ, დოკუმენტური აკრედიტივი თუ საბანკო გარანტია. ექსპორტიორები დოკუმენტურ აკრედიტივს ირჩევენ, იმპორტიორები - საბანკო გარანტიას. ზოგიერთ შემთხვევაში ბენეფიციარები ნაცვლად საბანკო გარანტიის შესაბამისი მოთხოვნისა, დოკუმენტური აკრედიტივით დადგენილი წესით ითხოვენ გადახდას (48,1-3). პრაქტიკაშიც ბევრჯერ გვექონია არაერთი შემთხვევა, როცა განაცხადით დამოუკიდებელ გარანტიას ითხოვენ, მაგრამ უთითებენ USP 600-ზე დაქვემდებარებით გაცემას, რაც არასწორია. ასეთი განაცხადის განხილვაზე უარი ცხადდება, რაც წერილობით იგზავნება განმცხადებელთან. აქ აღწერილი გარემოება უთითებს იმაზე, რომ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობს და საჭიროა უნიფიცირებულ წესებზე (URDG 758) მითითება დამოუკიდებელი გარანტიის ტექსტში მრავალი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. თუ საქართველოში სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სპეციალური სუბიექტები, საკრედიტო დაწესებულებები და ფინანსური ორგანიზაციები საბანკო გარანტიების გაცემას დაიწყებენ, შესაძლებელია ქვეყნის შიგნითაც ამოქმედდეს კონტრგარანტიის ინსტიტუტი. ასეთ შემთხვევაში კონტრგარანტია აუცილებლად გახდება შემდგომი თეორიული კვლევის საგანი ქართველი მეცნიერების მიერ.

§ 4.8. საბანკო გარანტიის ელექტრონული ფორმატი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და IBAN

საბანკო გარანტია ქაღალდის მატარებელზე შესრულებული ან ელექტრონული ფორმატის მქონე დოკუმენტია, რომლის ეფექტი ფულის სწრაფი გადახდაა ბენეფიციარისთვის. გადახდის პროცესის მექანიზმები მათი მოქმედების ეფექტურობის, სისწრაფისა და საიმედოობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია. სამოქალაქო კოდექსში ჩაწერილი ბენეფიციარის ელექტრონული მოთხოვნის შესახებ შეტანილი ცვლილება, ამჟამად მხოლოდ სახელმწიფო ტენდერებთან დაკავშირებით გამოიყენება და ქვეყნის შიდა სამართლისთვის ახალია. ჯერ მხოლოდ სს "ლიბერთი ბანკი" სთავაზობს ელექტრონულ საბანკო გარანტიებს საჯარო აუქციონში მონაწილეობის მსურველებს შიდა ბაზარზე, მაგრამ საერთაშორისო გარანტიები ელექტრონული ფორმატით ქართული საბანკო სისტემისთვის დიდი ხანია ცნობილია.

საგარანტიო თანხის გადახდა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ხორციელდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით. გადახდის წესი პრიორიტეტულად უნაღდოა ამ ინსტრუმენტის გამოყენებისას. ეკონომიკურმა ინტეგრაციამ, ევროს შემოღებამ და საერთაშორისო ანგარიშსწორებამ ფინანსური წრეების დაახლოება გამოიწვია. განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციების შემოდინებამ საერთაშორისო-ფინანსური, საგადახდებლო და კლირინგის⁸ სისტემების როლი გაზარდა. ამ მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია SWIFT⁹, ანუ ფინანსური ტელეკომუნიკაციების მსოფლიო ბანკთაშორის საზოგადოება (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication). სვიფტი (SWIFT) მძლავრი კომპანიაა, რომელიც აწარმოებს ანგარიშსწორების ოპერაციებს საერთაშორისო მასშტაბით მონაცემთა დისტანციური გადაცემის სრულად ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით. დღეს საქართველოში მოქმედი ყველა ბანკი SWIFT-ის წევრია. ეს ნიშნავს, რომ სრულადაა უზრუნველყოფილი: სისწრაფე, რადგან მონაცემთა გადაცემის დრო ბანკიდან ბანკამდე მინიმუმამდეა დაყვანილი; უზრუნველყოფილია საიმედოობა და უსაფრთხო კავშირი, რადგან სპეციალური სტანდარტიზაცია და საკონტროლო ელემენტები გამორიცხავენ მონაცემთა გადაგზავნის ყალბ ინტერპრეტაციას ან დამახინჯებას; ეკონომიურობა - სისტემა ფუნქციონირებს და მუშაობს დოკუმენტების გარეშე, რაც იწვევს შრომითი რესურსისა და საბანკო ოპერაციების განხორციელების ოპტიმიზაციას.

სვიფტში ოპერაციების ჩასატარებლად, კონტრგარანტიის მოქმედების შემთხვევაში, საჭიროა ინსტრუქციის მიმცემი ბანკი და შემსრულებელი ბანკი სვიფტის სისტემის წევრები იყვნენ და გაცვალონ ამ სისტემით მიღებული დაშიფრული სატესტო გასაღებები (Authentication Keys). ამ გზით ნებისმიერ ბანკს შეუძლია მეორე ბანკთან იოლად და მოხერხებულად აწარმოოს ანგარიშსწორება და ინფორმაციის გაცვლა. სვიფტში სამი

⁸კლირინგი (საკლირინგო ხელშეკრულება) – უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა, ასრულებს მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლას.

⁹SWIFT-ბრიუსელი, ორი ძირითადი საანგარიშსწორებო ცენტრით ჰოლანდიასა (ემსახურება დედამიწის აღმოსავლეთ ნახევარსფეროს) და აშშ-ში (ემსახურება დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროს). სვიფტის წევრი ბანკების უმეტესობა მისივე აქციონერია. სვიფტის სახელწოდებაში სიტყვა “ბანკთაშორისი” პირობითია, ვინაიდან იგი არასაბანკო დაწესებულებებსაც ემსახურება, როგორცაა საინვესტიციო კომპანიები, დეპოზიტური და კლირინგული ორგანიზაციები, მსოფლიოში აღიარებული ბირჟები,

ტიპის ოპერაცია იწარმოება: 1) გადახდები და ანგარიშსწორებები; 2) სავალუტო გარიგებები, ფულადი ბაზრები, მისი ელემენტები და ფასიანი ქაღალდები; 3) სავაჭრო-კომერციული მომსახურებები (მათ შორის გარანტიების მომსახურება) (3, 150-160).

სვიფტში შეტყობინებათა სამი ძირითადი ტიპია: მომხმარებელთაშორისი (ფინანსური), სისტემური და მომსახურების შეტყობინებები. მათგან პირველი ტიპი მოიცავს ცხრა კატეგორიას, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ოპერაციების სხვადასხვა შტოს. მათგან მეშვიდე - სწორედ გარანტიებს და სარეზერვო აკრედიტივებს აწესრიგებს. მეორე სახის შეტყობინებები იგზავნება უშუალოდ სვიფტის სისტემასა და მომხმარებლებს შორის, ხოლო მესამე – იმავე მხარეთა შორის, ოღონდ ერთიანი გლობალური ქსელის საკომუნიკაციო მომსახურების ნაწილში. სვიფტის სისტემაში თითოეულ ბანკს 8 ან 11 ნიშნა საიდენტიფიკაციო კოდი (BIC) ენიჭება ქსელში სამუშაოდ. ეს კოდი გამოიყენება როგორც ფინანსური ოპერაციების წარმოებისას, ასევე მოცემულ ბანკში ყველა სახის ინფორმაციის გასაგზავნად.

როდესაც ევროკავშირის ქვეყნებში ერთიანი ევროვალუტა მიმოქცევაში შემოვიდა, ევროპის სხვა კლირინგული სისტემებიც ამუშავდნენ: EAF – European Access Frankfurt – ევროპული კავშირი ფრანკფურტი (ფრანკფურტი), EBA – European Banking Association – ევროპის საბანკო ასოციაცია (ფრანკფურტი), TARGET – Trans-European Automated Real-time Gross-settlement Express Transfers (ფრანკფურტი)- ტრანსევროპული რეალურ დროში მომუშავე მთლიანი გადახდების ავტომატური ექსპრეს გადარიცხვები. ეს სისტემა ევროზონის ქვეყნების ცენტრალური ბანკების დამაკავშირებელი რგოლია და მისი მეშვეობით გადახდები წამიერად ხორციელდება.

უმნიშვნელოვანესი ელემენტი საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომერია, რისი მეშვეობითაც უნაღდო ანგარიშსწორება ხდება. უნაღდო ანგარიშსწორების ძირითადი ფორმებია: საგადახდო დავალებები; საგადახდო მოთხოვნები; დოკუმენტური ინკასოები; დოკუმენტური აკრედიტივები; გარანტიები, ჩეკები, თამასუქები და პლასტიკური ბარათები. საერთაშორისო პრაქტიკაში ასეთი ანგარიში ცნობილია IBAN-ის (International Bank Account Number) სახით. ამ ანგარიშმა საერთაშორისო გადახდების ეფექტურობა გაზარდა და გადარიცხვის თვითღირებულება შეამცირა, გაიზარდა შესრულების სისწრაფე და ხარისხი. IBAN-ის დანერგვის მიზანი ანგარიშსწორებათა და გადახდების სტანდარტიზაცია და საბანკო ანგარიშების იდენტიფიკაცია იყო ყოველი კონკრეტული

კლიენტისთვის. ევროპულ ქვეყნებში და საქართველოში ამოქმედებულია სტანდარტული ანგარიშის ნომრის სისტემა, რომლის მიხედვითაც IBAN იყენებს მოქმედ საბანკო კოდს, ადგილობრივ კლირინგულ კოდსა და ანგარიშის ნომერს, ორციფრიან ქვეყნის კოდთან და საკონტროლო ციფრებთან ერთად. დღეს, საქართველოში მოქმედ ყველა ბანკს მინიჭებული აქვს IBAN, რაც გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე (77).

IBAN საერთაშორისო სტანდარტია, მაგრამ მისი ბოლო ორი კომპონენტი სამამულო დონეზე იქმნება. IBAN-ის მნიშვნელობის გასაგებად ერთი ფაქტის აღნიშვნაც კმარა: პრინციპალმა ან გარანტმა შესაძლოა არ იცოდეს ბენეფიციარის ბანკის არც სვიფტის კოდი, არც ფილიალი და არც ანგარიშის ნომერი. მაგრამ თუკი მისთვის ცნობილია ბენეფიციარის IBAN-ი, საბანკო ოპერაცია მაინც დაუბრკოლებლად ხორციელდება. უკვე მეცხრე წელია, რაც ევროზონის ქვეყნების ბანკები პასუხისმგებლობას აღარ კისრულობენ მათ მომსახურებაში მყოფი კლიენტების თანხების შეუფერხებელ ჩარიცხვაზე თუ ეს უკანასკნელები არ მიაწოდებენ თავიანთ პარტნიორებს საერთაშორისო საბანკო ანგარიშს (3, 56), (77). IBAN-ის შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია საბანკო სტანდარტების ევროკომისიაში (ECBS) ან ამ ორგანიზაციის ინტერნეტ-გვერდზე: www.ecbs.org.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გლობალურ საერთაშორისო-საანგარიშსწორებო სისტემებში მონაწილეობა, არამედ თავისი საკუთარი კლირინგული სისტემის ქონა, რომელიც დროის რეალურ რეჟიმში მუშაობს. ეს სისტემა თანამედროვე ტექნოლოგიების დამსახურებით მყისიერად ახდენს ანგარიშსწორებას ლარში. რაც შეეხება აშშ დოლარს, მას ემსახურება CHIPS ბანკთაშორისი გადახდების სისტემის კლირინგული სახლი (Clearing House Interbank Payments System) - რომელიც ასევე რეალური დროის რეჟიმში ახდენს საბოლოო ანგარიშსწორებას ორმხრივი და მრავალმხრივი ნეტინგის გამოყენებით (მოთხოვნა-ვალდებულებების ურთიერთჩათვლა-გაქვითვას) მაქსიმალური ლიკვიდურობის დაცვით. ეს სისტემა აშშ დოლარებში დენომინირებული საერთაშორისო გადახდების 95%-ზე მეტს ამუშავებს (3, 53).

ევროს შემოღებასთან ერთად, წამყვანმა ევროპულმა ქვეყნებმა, პარალელურად შექმნეს ევროზონის მომსახურებისთვის საერთაშორისო და ადგილობრივი საგადამხდელო სისტემები. მაგალითად: CHAPS – Clearing House Automated Payment System - ლონდონის

კლირინგული სახლის ორნაწილიანი ავტომატური საგადამხდელო სისტემა - CHAPS Sterling და CHAPS Euro. ანუ ორ ვალუტას მოიცავს: ფუნტ-სტერლინგს და ევროს. მისი წევრებია მსოფლიოს უდიდესი ბანკები “დოიჩე ბანკი”, “აბნ-ამრო”, “სიტიბანკი”, “ბარკლაის ბანკი” და ა.შ. ამ სისტემის უმთავრესი მიზანია გადარიცხვების დამუშავების ოპერატიულობა და მოქნილობა, უსაფრთხოების მექანიზმის მაქსიმალური ფუნქციონირებით და უამრავ ფინანსურ ინსტიტუტს ეფექტურად, ურისკოდ და საიმედოდ ემსახურება ანგარიშსწორებით ორივე ვალუტაში იმავე დღეში (3,54).

დავუბრუნდეთ ყველაზე ცნობილ სისტემას SWIFT -ს, გარანტიის ტექსტის ელექტრონული ფორმატის განხილვის მიზნით. გარანტიები და სარეზერვო აკრედიტივები სვიფტის სტანდარტში მოთავსებულია მე-7 კატეგორიაში და სტანდარტიზებულია 2014 წლისთვის შემდეგნაირად, MT -ს (message text) მიხედვით:

MT 760: გარანტია (Guarantee / Standby Letter of Credit);

MT 767: ცვლილება გარანტიაში (Guarantee Amendment);

MT 768: გარანტიის შესახებ შეტყობინების დადასტურება (Acknowledgment of a Guarantee Message);

MT 769: შეტყობინება გარანტის ვალდებულებისგან სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლების შესახებ (Advice of Reduction or Release);

სვიფტის ფორმატით შედგენილი გარანტიის ტექსტობრივი ნიმუში მოცემულია ბიბლიოგრაფიაში (56) მითითებულ ბმულზე.

დღეისთვის არსებითად მნიშვნელოვანია ელექტრონული სახით გაცემული გარანტიების ლეგიტიმურობა სამოქალაქო კოდექსში აისახოს. ქართული ბანკების ელექტრონულად გაცემული საერთაშორისო საბანკო გარანტიები ათი წელია საერთაშორისო ბაზარზე ბრუნავს, ელექტრონული გარანტიები ლოკალურადაც გაიცემა, მაგ., სატენდერო და სააუქციონო (ლიბერთი ბანკი). ელექტრონული საბანკო გარანტიების ლეგიტიმაციის დრო დამდგარია და საამისოდ ვითარებაა მომწიფებული.

დასკვნა და რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის საბანკო/დამოუკიდებელი გარანტიის შესახებ შედარებით-სამართლებრივ კვლევას. ნაშრომში დეტალურად არის გაანალიზებული საბანკო/დამოუკიდებელი გარანტიის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები ქართული და საერთაშორისო კერძო სამართლის მაგალითზე. ნაშრომი აქტუალურია, რადგან გამოადგებათ ფინანსურ ინსტიტუტებს დოკუმენტური ოპერაციების შიდა ნორმატიული დოკუმენტაციისა და პროცედურების შესამუშავებლად, დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი გახდება URDG N758-ის ოცდათხუთმეტივე მუხლის ქართულენოვანი თარგმანი და მეცნიერული მსჯელობა კვლევის საგანთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე.

თანამედროვე სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში საქმიანი წრეების წარმომადგენლები დაინტერესებულები არიან სასამართლო და საარბიტრაჟო დავის გარეშე, შეუფერხებლად მიიღონ ხელშეკრულებით დათქმული კუთვნილი ფულადი თანხა. საბანკო/დამოუკიდებელი გარანტიით დაინტერესება მკვეთრად გაიზარდა, რადგან ის აღსრულების სწრაფი საშუალებაა.

ნაშრომში განხილული გვაქვს საბანკო/დამოუკიდებელი გარანტიის დადებითი მხარეები, რაც ბიზნესგარემოსთვის მიმზიდველს ხდის მის გამოყენებას. დავინტერესდით რითაა გამოწვეული მის მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომა. სასამართლო პრაქტიკა ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებთან დაკავშირებით უკვე ჩამოყალიბდა, საბანკო გარანტიასთან მიმართებით კი მაინც განსხვავებული ხედვაა. ეს ერთგვარი ინდიკატორია ქვეყნის ბიზნესგარემოს განვითარებაში, რადგან პირდაპირ უკავშირდება ინვესტიციების მოზიდვას. ამ ნაწილში შეფასება ასეთია: აღნიშნულის მიზეზი რიგი ნორმების არარსებობაა სამოქალაქო კოდექსის საბანკო გარანტიის მომწესრიგებელ ნორმებში.

როცა დიდი ბაზრის მქონე ქვეყნები ცდილობენ თავიანთი კანონმდებლობა დაუახლოვონ საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებს და მაქსიმალურად განავითარონ, ვერც საქართველო დარჩება ამ პროცესების მიღმა. მან ფეხი უნდა აუწყოს საკუთარი კანონმდებლობის სრულყოფის პროცესს და დანერგოს სამართლის ის ნორმები,

რომლებიც ხელს შეუწყობს საბანკო გარანტიის სამართლებრივი ინსტიტუტის განვითარებას. შესაბამისად, დასკვნა შემდეგია: ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებთან, სრულყოფს საქართველოს კანონმდებლობას, მის ნორმებს გასაგებს და მისაღებს გახდის როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის შიდა ვაჭრობაში.

საბანკო გარანტიით მომსახურება თავისთავად კომერციული საქმიანობაა და მოგებაზეა გათვლილი. მისი განვითარება პირდაპირ გულისხმობს ბიზნესის ამ სეგმენტის განვითარებას, რაც დადებითი მოვლენაა ქვეყნის ეკონომიკისთვის, თანაც ეს ხელს უწყობს სასამართლოს სისტემის განტვირთვას. ამ ნაწილში დასკვნა შემდეგია: საბანკო გარანტია სწრაფი აღსრულების შესანიშნავი საშუალებაა, ამიტომ მისი მომწესრიგებელი ნორმების დაზუსტება და შევსება ამაღლებს მისდამი ნდობას და განავითარებს საგარანტიო ბიზნესს.

საქართველოს სასამართლოებმა დაიწყეს URDG 758 -ის გამოყენება დავების გადაწყვეტისას, რაც მიუთითებს საჭირო ნორმების არარსებობაზე ეროვნულ კანონმდებლობაში. მეცნიერული ჰიპოთეზიდან, კვლევის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში გამოვყავით ხარვეზები და გარემოებანი, საკანონმდებლო და პრაქტიკული კუთხით შევიმუშავეთ რეკომენდაციები ეროვნული კანონმდებლობის დახვეწის, საერთაშორისო ნორმებთან მისი ჰარმონიზაციის, სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და საბანკო გარანტიის ინსტიტუტის შემდგომი განვითარებისთვის. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა, არის პირველი ნაშრომი, რაც არსობრივად წარმოაჩენს საბანკო/დამოუკიდებელი გარანტიის ინსტიტუტს საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებთან მიმართებით.

რა ხდის საბანკო გარანტიას მიმზიდველს? - სისწრაფე, მოქნილობა, ეფექტურობა, ნაკლები ხარჯი, სანდოობა და ავტორიტეტი, რასაც მძლავრი ფინანსური ინსტიტუტის, ბანკის ჩართულობა უზრუნველყოფს. სინამდვილეა რომ არც ერთი ბიზნესმენი ან ინვესტორი არ დაიწყებს ქართველი მეცნიერების ნაშრომებისა და მონოგრაფიების კითხვას იმისთვის, სწორად როგორ გაიგოს საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი ქართული კანონმდებლობის ნორმები. კანონში ჩახედვისას კი აღმოაჩენს რომ რიგი სამართლებრივი ურთიერთობებისა არ არის მოწესრიგებული, შესაბამისად, თავს ვერ იგრძნობს დაცულად როგორც პრინციპალი ან ბენეფიციარი. ამ გარემოებას

შემაყოვნებელი ეფექტი აქვს. შესაბამისად, დასკვნა ასეთია: ჩატარებული კვლევა აუცილებელი და საჭირო იყო იმ ხარვეზების გამოსაკვლევად და რეკომენდაციების შესამუშავებლად, რაც ხელს უშლის არჩევანის შეჩერებას საბანკო გარანტიის გამოყენებაზე.

ის ფაქტი, რომ საბანკო გარანტია, ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სახეა, ვთვლით, რომ სასურველია აისახოს საბანკო გარანტიის ცნებაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლში, მისი ბუნება სწორედ ცნებაში უნდა გამოჩნდეს და ერთიანად უნდა იყოს აღქმული იმ მოცემულობასთან ერთად, რასაც ამჟამად შეიცავს ცნება.

სამოქალაქო კოდექსი აღიარებს ბენეფიციარის მოთხოვნის ელექტრონულად წარდგენას, მაგრამ არ აღიარებს თავად საბანკო გარანტიის ელექტრონულად გაცემის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საბანკო გარანტიების გაცემა უკვე წლებია SWIFT -ის მეშვეობით მიმდინარეობს, ქვეყნის შიდა კანონმდებლობა ელექტრონული ფორმით გაცემულ საბანკო გარანტიაზე არაფერს ამბობს. ამიტომ პრაქტიკაც ერიდება საბანკო გარანტიის ელექტრონულად გაცემას ქვეყნის შიგნით. როცა სამოქალაქო კოდექსი ძალაში შევიდა, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო საქართველოში განვითარებული ინფორმაციული ტექნოლოგიები. გასაგებიც იყო ამ ნორმის არარსებობა. დღეს ვითარება შეცვლილია და უკვე დამდგარია დრო, ელექტრონული სახით გაცემული საბანკო გარანტიების ლეგიტიმურობა აისახოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

იმის გამო, რომ სამოქალაქო კოდექსში და არც რომელიმე სხვა ნორმატიულ აქტში არ არის განსაზღვრული საბანკო გარანტიის აუცილებელი პირობები და ელემენტები, საბანკო გარანტიების ტექსტები სხვადასხვა შინაარსით და კონსტრუქციული ფორმით ყალიბდება, რაც ხშირად ბენეფიციარების უკმაყოფილების მიზეზია. ისინი ინტენსიურად ითხოვენ მაინცდამაინც რომელიმე სხვა კონკრეტული ბანკის ფორმატი იქნეს გამოყენებული, რაც სერიოზულ უხერხულობას ქმნის. ამ ნაწილში დასკვნა და რეკომენდაცია ასეთია: ამ ვითარების გამოსასწორებლად, მიზანშეწონილია საკანონმდებლო დონეზე რეკომენდაციის სახით ჩამოყალიბდეს საბანკო გარანტიის აუცილებელი პირობები და ელემენტები. ეს ერთნაირად სანდოს გახდის სპეციალური სუბიექტების მიერ მომზადებულ საბანკო გარანტიის ტექსტს.

რაც შეეხება საბანკო გარანტიების გამცემი სპეციალური სუბიექტების უფლებამოსილებას - გასცენ საბანკო გარანტიები, გარდა კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ ” საქართველოს კანონისა, არ არის ასახული მათი საქმიანობის მომწესრიგებელ კანონებში. შესაბამისად, რეკომენდებულია რომ ეს უფლება, საქმიანობის სახედ აისახოს შესაბამის კანონებში, რათა ბანკების გარდა, სამოქალაქო კოდექსით დადგენილ სხვა სპეციალურ სუბიექტებსაც მიენიჭოთ ეს უფლებამოსილება მათი საქმიანობის მომწესრიგებელი სპეციალური კანონით. აღნიშნული ცვლილებები გაამყარებს სადაზღვევო კომპანიების და სხვა საკრედიტო დაწესებულებების უფლებამოსილებას და კონკურენტუნარიან გარემოს შექმნის საგარანტიო ბიზნესში.

დღეს, კანონმდებლობაში არ არის ასახული გარანტის უფლებამოსილების ფარგლები, კერძოდ საჭიროა შეზღუდვა იმ ნაწილში, რომ გარანტს, არ უნდა ჰქონდეს უფლება წაუყენოს ბენეფიციარს შესაგებელი ან პრეტენზია მოთხოვნაზე, იმ ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე, რისი უზრუნველყოფაც საბანკო გარანტიაა. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ განხილული იქნა დავები, სადაც გარანტები სწორედ ძირითადი ვალდებულების შემცველი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ამართლებენ უარს გადახდაზე.

გარანტის უფლებამოსილებს ფარგლებს უკავშირდება შემდეგი საკითხი: გარანტი, ბენეფიციართან ურთიერთობაში, უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ გარემოებებით, რაც საბანკო გარანტიაშია მითითებული. ეს საკითხი დღეს მოუწესრიგებელია და გარანტები ბენეფიციარებს უთითებენ ისეთ გარემოებებზე, რომელიც საბანკო გარანტიის პირობებით არ დათქმულა. ცხადია რომ კანონის ამჟამინდელი ნორმები პრაქტიკაში საკმარისი არ არის. ამიტომ მიზანშეწონილია კანონში მიეთითოს, რომ თავის შესაგებელში ბენეფიციარის წინააღმდეგ, გარანტი არ არის უფლებამოსილი მიუთითოს იმ გარემოებებზე, რაც საბანკო გარანტიაში არ არის მითითებული. ამ საკითხის მოწესრიგება გასაგებს გახდის გარანტიებისთვის უფლებამოსილების ფარგლებს, რაც ასევე ნათელი იქნება ბენეფიციარისთვის, შესაბამისად ხელი შეეწყობა სასამართლო დავების შემცირებას.

ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა კრედიტორსა და დებიტორს შორის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ საბანკო გარანტია განსხვავებული თვისებების მატარებელი სამართლებრივი ინსტიტუტია. მისი არააქცესორულობიდან გამომდინარე, რაკი ის

ძირითად ვალდებულებაზე დამოკიდებული არ არის, პრინციპალის მიერ თავისი უფლებების გარანტიისათვის დათმობა ბენეფიციარისთვის სარისკოა იმ კუთხით, რომ გარანტიით გადახდის ნაცვლად გარანტმა მას შეიძლება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა შესთავაზოს, რაც ბენეფიციარისთვის მიუღებელი შეიძლება აღმოჩნდეს. ამდენად, მიზანშეწონილია კანონში აღინიშნოს, რომ პრინციპალის მიერ თავისი უფლებების გარანტიისათვის დათმობისას, გარანტს არ აქვს უფლება ბენეფიციართან ურთიერთმოთხოვნები გაქვითოს, თუ ასეთი რამ საბანკო გარანტიით არ იქნება გათვალისწინებული. ასეთი დანაწესი ბენეფიციარის უფლებას დაიცავს და საბანკო გარანტიას, როგორც უზრუნველყოფის საშუალებას, თავის ძირითად ფუნქციას შეუნარჩუნებს.

შესწავლილი კანონმდებლობის, საერთაშორისო სავაჭრო პალატის დოკუმენტის URDG 758-ის და ქართული ბანკების მიერ გაცემული საბანკო გარანტიების სახეების მიხედვით, მოვახდინეთ საბანკო გარანტიების კლასიფიკაცია ტიპებად და სახეებად მათი სისტემატიზაციის მიზნით. ამ კლასიფიკაციას ქართული ბაზარზე მბრუნავი საბანკო გარანტიების ტიპები და სახეები დაედო საფუძვლად. სისტემატიზაციის საკითხი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შემდგომი კვლევებისთვის, ასევე გამოყენებული იქნეს პრაქტიკაში გარანტიის გამცემი სუბიექტების პროგრამულ რეესტრებში გასაწერად, გაცემული საბანკო გარანტიების შემდგომი მომსახურებისა და ადმინისტრირების ოპტიმიზაციისთვის, აუცილებელია სწორი სტატისტიკის საწარმოებლად და ამავდროულად იძლევა საგარანტიო ბიზნესის პროგნოზირების საშუალებას.

გარანტიებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ გაცემულ საბანკო გარანტიებში, მისი მოქმედების პერიოდში რიგი ცვლილებები შედის (თანხის შემცირება, გაზრდა, ვადის ცვლილება, ბენეფიციარის შეცვლა). ეს საკითხი კანონმდებლობით მოუწესრიგებელია. საგარანტიო ურთიერთობის მხარეებისთვის გაურკვეველია, როგორ უნდა შევიდეს ცვლილება უკვე გაცემულ გარანტიაში, რაც რა თქმა უნდა, არ გულისხმობს მხოლოდ მარტივი წერილობითი დოკუმენტის შედგენას. ვითარება იმითაც რთულდება, რომ კანონი არ შეიცავს საბანკო გარანტიის პირობებს და ელემენტებს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონმა გაითვალისწინოს საბანკო გარანტიის გამოთხოვის, ან მასში ცვლილების შეტანის წესი, იმავე ტექსტობრივი ფორმატის გამოყენებით, როგორითაც საბანკო გარანტია გაიცა. საბანკო გარანტიის რეკომენდებული პირობებისა და ელემენტების შემოტანით კანონმდებლობაში თავისთავად ნათელს გახდის საბანკო

გარანტიაში ცვლილების შეტანის სწორ სამართლებრივ რეჟიმს, რაც ამჟამად სახეზე არ გვაქვს.

ამ თემატიკას უკავშირდება ბენეფიციარის ინტერესების დაცვა, როცა საბანკო გარანტიის გამოთხოვას ან მასში გარანტიის თანხის შემცირებას პრინციპალი ითხოვს. აქ კანონმდებლის მიერ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: საბანკო გარანტიის პირობებით დაშვებული საბანკო გარანტიის გამოთხოვის ან მასში ცვლილების შეტანისას, გარანტის ვალდებულება შეცვლილად ან შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს ბენეფიციარის თანხმობის მიღების მომენტიდან. აღნიშნული უზრუნველყოფს ბენეფიციარის კანონიერი ინტერესის დაცვას.

რაც შეეხება საბანკო გარანტიის მიხედვით ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის დათმობას, კანონი არ ითვალისწინებს, რა შემთხვევაშია შესაძლებელი საბანკო გარანტიაში ბენეფიციარის შეცვლა. რეკომენდებულია და მიზანშეწონილია საკანონმდებლო დონეზე აისახოს, რომ გარანტიიდან წარმოშობილი მოთხოვნის დათმობა (ტრანსფერაცია) დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ბენეფიციარი თავის მოთხოვნებს მესამე პირს დაუთმობს ან სახეზე სამართალმემკვიდრეობა დადგება. ამ ცვლილების შეტანა მნიშვნელოვნად იმიტომ მიგვაჩნია, რომ გამოირიცხოს საბანკო გარანტიის ფასიან ქაღალდთან მიმსგავსება, რომლის გადაპირებაც თავისუფლად შესაძლებელი. ამასთან, მიუხედავად იმისა, გაცემულ საბანკო გარანტიაში დათქმულია თუ არა მოთხოვნის გადაცემის შესაძლებლობა, გარანტის ცალკე გამოხატული თანხმობა ამგვარ გადაცემაზე მაინც საჭიროა, ეს ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გარანტის ან პრინციპალისათვის არასასურველ ხელში აღმოჩნდეს და საბოლოო ჯამში დიდი ზარალი გამოიწვიოს. შესაბამისად, კანონმა უნდა უზრუნველყოს გარანტის ინტერესების დაცვა საბანკო გარანტიის ტრანსფერაციის შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე ICC 458 უშვებდა და ამჟამად ICC 758-იც უშვებს უპირობო დამოუკიდებელი გარანტიების არსებობას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს უპირობო საბანკო გარანტიის ინსტიტუტს, რაც უდავოდ, დადებითი მოვლენაა. ზოგიერთ სახელმწიფო სტრუქტურას პირდაპირ თავისი კანონქვემდებარე აქტებით აქვს მითითებული რომ მხოლოდ უპირობო გარანტიებს მიიღებენ და ტექსტობრივი ფორმატიც აქვთ შემუშავებული. ნორმატიული აქტების შესახებ

საქართველოს კანონით სამოქალაქო კოდექსი იერარქიულად ამ ბრძანებებზე უფრო მაღლა მდგომი ნორმატიული აქტია. ამიტომ ის კანონქვემდებარე აქტები, რომლებშიც უზრუნველყოფის სახით მოითხოვება უპირობო საბანკო გარანტიები, სასურველია შესაბამისობაში მოვიდეს კოდექსთან და უპირობო გარანტიების საკითხი დღის წესრიგში აღარ დადგეს. საქართველოში უპირობოდ თვლიან ისეთ საბანკო გარანტიას, სადაც არ არის მითითებული დოკუმენტების წარმოდგენის სავალდებულოა და არ მოითხოვება ბენეფიციარის მიერ იმის მითითება, თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა ბენეფიციარის მიმართ. ჩვენი მოსაზრებით, ეს პრაქტიკა არამყარ საფუძველს უქმნის გარანტის რეგრესის უფლებას პრინციპალის მიმართ, რადგან გადახდის საფუძველი, პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტის აღწერა ბენეფიციარის მოთხოვნაში - არ მიეთითება. გარანტს კი მყარი სამართლებრივი საფუძველი უნდა გააჩნდეს რეგრესის უფლების განსახორციელებლად. ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია უპირობო საბანკო გარანტიების პირობითი გარანტიებით ჩანაცვლება.

სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის 1¹ პუნქტი ხარვეზიანია. მითითებულია, რომ ბენეფიციარის მოთხოვნის წერილობითი ფორმით წარდგენა საჭირო არ არის, თუ მოთხოვნა გარანტს ელექტრონულად წარედგინება. ამ ნაწილში დასკვნა ასეთია: მოთხოვნა გადახდაზე, რა თქმა უნდა, წერილობით უნდა წარედგინოს გარანტს, ოღონდ ნაცვლად ქალაქში შესრულებული დოკუმენტისა, ელექტრონული დოკუმენტი უნდა შედგეს და წარდგენაც ელექტრონულად უნდა მოხდეს. შესაბამისად რეკომენდებულია ხარვეზი გასწორდეს, რადგან არასწორ მოსაზრებას უშვებს, თითქოს ბენეფიციარმა შესაძლებელია მოთხოვნა ზეპირად წარადგინოს, რაც დაუშვებელია. ნაცვლად მოქმედი ნორმისა, რეკომენდებულია მიეთითოს რომ ფულადი თანხის გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა წარედგინება გარანტს ელექტრონულად. ამით ხარვეზი გასწორდება და სამართლებრივი ურთიერთობა სწორად იქნება აღქმული.

საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი მუხლები ე.ი. „განუსაზღვრელი ნორმებით“ გამოირჩევა, მაგალითად, როგორცაა დოკუმენტების შემოწმების და გადახდის „გონივრული ვადის“ და „გონივრული მზრუნველობის გამოჩენა“ (886 II). თავის დროზე ეს ნორმა გამართლებული იყო, სანამ ინფორმაციული ტექნოლოგიები ფეხს მოიკიდებდა საქართველოში და ბანკები პროგრამული უზრუნველყოფით აღიჭურვებოდნენ, ამჟამად საქონლის ბრუნვა დაჩქარებულია და თანხის დროულ გადახდას დიდი მნიშვნელობა

აქვს. ჩვენ მიერ შესწავლილი პრაქტიკიდან დადგინდა რომ ბანკები არაუგვიანეს ხუთი საბანკო დღის განმავლობაში ახდენენ გადახდას გარანტიის მიხედვით. ამიტომ ჩვენ მიერ რეკომენდებულია კონკრეტულ საბანკო დღეთა რაოდენობით განისაზღვროს ეს ვადები, იმ პირობით, რომ ამავდროულად გარანტს დარჩეს უფლება, საბანკო გარანტიის ტექსტით დაადგინოს მოთხოვნის განხილვისა და გადახდის სხვა ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტულ საბანკო დღეთა რაოდენობას. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი ნორმების ჰარმონიზაციას საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებთან და ბენეფიციარის და პრინციპალის მზაობას მისაღები/ასანაზღაურებელი თანხების მიღების ვადასთან დაკავშირებით, რაც საშუალებას მისცემს პრინციპალს მოიძიოს რეგრესით ასანაზღაურებელი თანხა და გათვალისწინოს ხარჯი, ხოლო ბენეფიციარმა დაგვემოს თავისი ბიზნესი უახლოესი დროის მონაკვეთში.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს გარემოებები, როცა: ბენეფიციარის მოთხოვნაზე თანდართული დოკუმენტებიდან რომელიმე არ არის სარწმუნო; ძირითადი ვალდებულება ბათილია; გარემოება, რომლის დადგომის შემთხვევაშიც გარანტია უზრუნველყოფს ბენეფიციარის ინტერესს, არ წარმოშობილა ან ბენეფიციარმა, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უკვე მიიღო შესრულება პრინციპალისაგან ძირითადი ვალდებულების მიხედვით. ასეთ დროს გარანტს ეძლევა გადახდაზე „პირველი უარის“ უფლება. აქ მნიშვნელოვანია ბენეფიციარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების საფრთხე. მიზანშეწონილია ამ გარემოებების პრევენცია საწყისშივე. თუ ბენეფიციარს უფლების ბოროტად გამოყენების განზრახვა ამოძრავებს, ის მაშინვე წარმოადგენს ხელმეორე მოთხოვნას, რაც დაკმაყოფილებას დაექვემდებარება. ასეთ ვითარებაში, პრინციპალს საშუალება უნდა მიეცეს თავისი კანონიერი უფლებები დაიცვას. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კანონმა გაითვალისწინოს გარანტიის მიხედვით გადახდის შეჩერება კონკრეტულ დღეთა რაოდენობით, რაც პრინციპალს ფინანსური ზარალისგან თავის დაცვის საშუალებას აძლევს. მხარეთა თანასწორობის ბალანსის დასაცავად, გარანტსაც უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა თუ საბანკო გარანტიის მიხედვით გადახდა უსაფუძვლოდ იქნა შეჩერებული.

ბენეფიციარის უფლებამოსილების ფარგლების დასაზუსტებლად მიზანშეწონილია საკანონმდებლო დონეზე დადგინდეს ბენეფიციარის პასუხისმგებლობა გარანტის ან/და პრინციპალისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის იმ შემთხვევაში, თუ

გარანტმა მოთხოვნის ხელმეორედ წარმოდგენისას თანხა გადაიხადა ისეთ ვითარებაში, როცა წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო სარწმუნო ან მოთხოვნა არ იყო სათანადო. ვთვლით, რომ გარანტი და პრინციპალი კანონის დონეზე უნდა იყვნენ დაცული ბენეფიციარის მიერ თავისი უფლების ბოროტად გამოყენებისგან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლის „გ“ პუნქტი ხარვეზიანია და სასურველია შესწორდეს, რათა ზუსტად განისაზღვროს, რომ საბანკო გარანტიის მოქმედების შესაწყვეტად ბენეფიციარის მხოლოდ წერილობითი უარია საჭირო საბანკო გარანტიით მინიჭებულ თავის უფლებებზე. ამ მუხლში მითითებული სხვა საფუძვლებით საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას ისედაც არ ესაჭიროება საბანკო გარანტიის უკან დაბრუნება, ხოლო ელექტრონული დოკუმენტით გაცემული საბანკო გარანტიის უკან დაბრუნება პრაქტიკაში ისედაც არ ხდება. საბანკო გარანტიის დედნის გარანტთან დაბრუნებას მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მხოლოდ მაშინ, თუ ის მატერიალური დოკუმენტის სახით პრინციპალმა ხელზე მიიღო ბენეფიციარისთვის წარსადგენად, მაგრამ გადაიფიქრა, გონივრული მზრუნველობა გამოიჩინა და გარანტთან უკან დააბრუნა.

შემდეგი დასკვნა და რეკომენდაცია ეხება პრინციპალის უფლებებსა და მოვალეობებს, რომელიც მოქმედ კანონმდებლობაში დაუზუსტებელია. გაწერილი არ არის გარანტისგან მიღებული ბენეფიციარის მოთხოვნისა და დოკუმენტების შესწავლის შემდეგ საკუთრივ მას რა უფლებები გააჩნია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ან დაეთანხმება ბენეფიციარის მოთხოვნას ან არა. თუ მოთხოვნა გადახდაზე სათანადოა, ვადაშია წარმოდგენილი, მაგრამ პრინციპალი გადახდაზე თანახმა არ არის, მან შეიძლება დავა წამოიწყოს რეგრესზე უარის საფუძველით. შესაბამისად, გარანტის უფლება, მოითხოვოს რეგრესული ანაზღაურება პრინციპალის მიმართ, პრინციპალის კანონისმიერი ვალდებულებით უნდა შეიცვალოს. ჩვენი მოსაზრებაა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი უფლება, როგორც გარანტის სასარგებლო რეგრესია, სათანადოდ უნდა იქნეს დაბალანსებული პრინციპალის ვალდებულებით და არ უნდა ჰქონდეს მინდობილი მხოლოდ საბანკო გარანტიით მომსახურების ხელშეკრულებას თუნდაც იმიტომ, რომ თავდებობისას ეს კანონისმიერი უფლებაა.

თუ სახეზე ბენეფიციარის არასათანადო მოთხოვნაა, გარანტის მიერ გადახდილი თანხის რეგრესით ანაზღაურებაზე პრინციპალმა შესაძლებელია თანხმობა განაცხადოს

მოგვიანებითაც ანუ თუ გარანტიით მომსახურებაზე შეთანხმებაში ასეთი გადახდა გათვალისწინებული არ იყო. შესაბამისად რეკომენდებულია სამოქალაქო კოდექსის 890-ე მუხლის მეორე პუნქტს ბოლოში დაემატოს ფრაზა: „ან თუ პრინციპალმა თანხმობა განაცხადა გადახდაზე.“ აღნიშნული გაამყარებს რეგრესის უფლებას იმ შემთხვევაშიც თუ გარანტმა თანხა საბანკო გარანტიის პირობების შეუსაბამოდ გადაიხადა, ოღონდ პრინციპალის თანხმობით ან თხოვნით. ეს საკითხი არსებითია საგადასახადო დაბეგვრის კუთხითაც.

საბანკო გარანტიის, როგორც დამოუკიდებელი გარიგების ბუნებიდან გამომდინარე, გარანტი საკუთარ ვალდებულებას ასრულებს ბენეფიციარის წინაშე. შესაბამისად, სასურველია ფრაზა: „რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ“ შეიცვალოს ასე: „რომელიც გადახდილი იქნა ბენეფიციარისთვის გარანტიის პირობებთან შეუსაბამოდ.“ გარანტი ახორცილებს საბანკო გარანტიით გადახდას და არა თანხის ანაზღაურებას ბენეფიციარისთვის (889,II). აღნიშნულის დაზუსტება მიზანშეწონილია საგადასახადო კანონმდებლობის ტერმინოლოგიიდან გამომდინარე.

პრაქტიკოსებისთვის გვაქვს ორი რეკომენდაცია: პირველი, საბანკო გარანტიის მიხედვით გადახდა საქართველოში შესაძლებელია მოხდეს გარანტიის ვალუტაშიც, თუ გარანტიის თანხად მითითებულია უცხოური ვალუტა და მეორე, თუ ძირითადი ვალდებულების შემცველ დოკუმენტში არ არის მითითებული პრინციპალის მიერ საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულება, ეს არ უნდა გახდეს საბანკო გარანტიის გაცემის შემაფერხებელი გარემოება, რადგან დაშვებულია კანონმდებლობით.

საბანკო/დამოუკიდებელი გარანტია სასამართლო დავის თავიდან აცილებისა და სასამართლოს განტვირთვის შესანიშნავი საშუალებაა. ჩვენს კანონმდებლობაში საბანკო გარანტიის სამართლებრივი რეჟიმის სრულყოფას ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებთან ჰარმონიზაციით არსებით მნიშვნელობას იმიტომ ვანიჭებთ, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში მეწარმეებისა და ფინანსური ინსტიტუტების მიერ ერთნაირად იქნება გაგებული და გაცილებით კონკრეტული იქნება, რაც მისადმი ნდობას აამაღლებს.

ვიმედოვნებთ, რომ სადისერტაციო ნაშრომი წაადგება თანამედროვე ქართულ ცივილისტიკას და მომავალში უფრო ღრმა და სრულყოფილი მეცნიერული

კვლევებისთვის შექმნის საფუძველს. ნაშრომი ასევე გამოადგებათ ფინანსურ ინსტიტუტებს დოკუმენტური ოპერაციების შიდა ნორმატიული პროცედურების შესამუშავებლად, დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი გახდება URDG N758-ის მთლიანი და სრულფასოვანი ქართულენოვანი თარგმანი და მეცნიერული მსჯელობა თითოეული დებულების ირგვლივ. ჩვენი რეკომენდაციების გათვალისწინება საბანკო გარანტიის სამართლებრივ ინსტიტუტს გაცილებით მოქნილს, გასაგებს და საიმედოს გახდის ყველა მონაწილე მხარისათვის როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე და ხელს შეუწყობს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას საერთაშორისო კანონმდებლობასთან საბანკო/მოთხოვნით გარანტიების მომწესრიგებელი ნორმების ნაწილში.

ბიბლიოგრაფია

წიგნები და მონოგრაფიები:

ქართულ ენაზე

1. გაბისონია ზ. 2012. *საბანკო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
2. გარიშვილი მ., ხოფერია მ. 2010. *რომის სამართლის საფუძვლები*. თბილისი: თბილისის სააპელაციო სასამართლო.
<http://www.tbappeal.court.ge/?lan=geo&cat=20&sub=185&rec=1258> (18.11.2012);
3. კაციტაძე კ., 2006. *სავალუტო ურთიერთობები საბანკო სფეროში: დასავლური გამოცდილება და თანამედროვე რეალობა*. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. კროპკოლერი ი. 2014 *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. სასწავლო კომენტარი*. ქართული თარგმანი. დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ. თბილისი. GIZ, IRZ.
5. შენგელია რ., შენგელია ე. 2014. *საბანკო სამართლის საფუძვლები*. თბილისი: სამართალი.
6. ძლერიშვილი ზ. ცერცვაძე გ. რობაქიძე ი. სვანაძე გ. ცერცვაძე ლ. ჯანაშია ლ. 2012. *სახელშეკრულებო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
7. ჭანტურია ლ. 2012. *კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი*. თბილისი: სამართალი.
8. ჭანტურია ლ. ზოიძე ბ. ნინიძე თ. შენგელია რ. ხეცურიანი ჯ. 2001. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*. წიგნი მეოთხე. ტომი 2. თბილისი: სამართალი.
9. ჭეჭელაშვილი ზ. 2011. *ქართული ბიზნესსამართალი*. თბილისი: საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია.

ინგლისურ ენაზე:

10. Bertrams R. 1996. *Bank Guarantees in International Trade*. 2 ed. The Hague: (Kluwer).
11. Chuah, J., 2002. *Law of international trade*, 3rd ed., London: Sweet & Maxwell.
12. Stathopoulos M. 2009. *Contract law in Greece*. Kluwer Law International. Second revised edition.
13. Rodrigo T. 2012. *Mitigating the Risk of Unfair Demands under On-demand Guarantees in the Export and Construction Industries in Sri Lanka: A Proposal for Legal and Structural Reform*. Thesis. Griffith University Law School. Australia.

14. Horn N. Wymerseeh E. 1989. *Bank-Guarantees, Stand-by Letters of Credit and Performance Bonds in International Trade*. Boston. The Law of International Trade and Finance;
15. Kelly-Louw M. 2008. *Selective legal aspects of bank demand guarantees*. Thesis. University of Cape Town. South Africa.
16. Wood P. R. 1995. *Comparative Law of Securities and Guarantees*. London. Sweet&Maxwell;
17. Zimmermann R. 1996. *The Law of Obligations. Roman Foundations of the Civilian Tradition*. Oxford University Press.

გერმანულ ენაზე:

18. Von Westphalen F.G. 1990. *Die Bankgarantie im internationalen Handelsverkehr*. Heidelberg.
19. Eberhardt M. 1999. *Erscheinungsformen der bankgarantie*. Institut für Deutsches und Internationales Bank- und Kapitalmarktrecht an der Universität Leipzig.

რუსულ ენაზე:

20. Ануфриева Л.П. 2002. *Международное частное право. Особенная часть*. - Москва.: БЕК.
21. Байгушева, Ю. 2008. *Банковская гарантия. Автореферат диссертационной работы*. Ярославль. Ярославский государственный университет.
22. Вебер Х. 2009. *Обеспечение обязательств*. Изд.8. Wolters Kluver. Москва.
23. Вершинин С. 2007. *Правовое регулирование использования банковской гарантии в предпринимательской деятельности. Автореферат диссертационной работы*. Российский государственный гуманитарный университет. Москва.
24. Ерпылева Н.Ю. 1998. *Международное Банковское право*. Москва (форум);
25. Княжеская А. 2004. *Правовое регулирование банковских гарантий и резервных аккредитивов: российская, зарубежная и международная практика. Автореферат диссертационной работы*. Московский государственный институт международных отношений (Университета) МИДА России. Москва.
26. Михайлов Д.М. 1998. *Международные расчеты и гарантии*. Москва ФБК-Пресс;
27. Овсейко С.В. 2003. *Международные банковские операции. Право международной торговли*. Минск. БГУ;
28. Олейник О.М. 1997. *Основы банковского права*. Москва.: Юристъ.

29. Травкин А., и коллектив авторов. 2001. *Банковское право*. Волгоград. Волгоградского государственного университет.
30. Отарова, К. 2005. *Правовое регулирование применения банковской гарантии в предпринимательской деятельности*. Автореферат диссертационной работы. Московский государственный университет им. М.В.Ломоносова. Москва.

პერიოდული ელექტრონული გამოცემები:

ქართულ ენაზე:

31. ხოტენაშვილი პ. 2003. საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთი საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით. *ქართული სამართლის მიმოხილვა*, 6 2-3. გვ.326-348.

ინგლისურ ენაზე:

32. Baranello j., Avidon M., 2010. „New oportunites in trade finance: Undrestanding the U R D G 7 5 8” *Global voice*. Moses & Singer LLP.(pp 16-17.)
<http://www.mosessinger.com/site/files/TradeFinanceURDG758.pdf> (15.06.2015);
33. Baranello j., 2010. Undrestanding the U R D G 7 5 8. *Treasury Pulce. Douche Bank*. Global transaction banking.
http://www.fpsc.com/DB/TreasuryPulse/PDF/Fall10_article4.pdf (05.07.2015)
34. Fung V.K., Pascal L., Collyer G. 2010. An ICC Banking Commission Market Intelligence Report. Global Survey. *Rethinking trade finance 2010. ICC World business organization*. (Pg.2.);
35. Illescás-Ortiz R., 1998. International demand guarantees: The interaction of the Uncitral Convention and the URDG Rules of the ICC’, 1998, *New developments in international commercial and consumer law*. Oxford. (pp. 168);
36. O'Driscoll P.1985. Performance Bonds, Bankers' Guarantees, and the Mareva Injunction. *Northwestern Journal of International Law & Business*. N7.(pp.380-412).
37. Kozlovich B. 1985. Bank Guarantees and Letters of Credit: Time for a Return to the Fold. *Northwestern Journal of International Law & Business. Issue & Published as University of Pennsylvania Journal* N11. (pp. 1-80).

რუსულ ენაზე:

38. Аванесова Г. 1998. Министерство юстиции РФ и НП Журнал «Хозяйство и право». Банковские гарантии в международной торговле. «Хозяйство и право». №9, Ст.47-53. www.hozpravo.ru/archive/1998/1998-9.pdf (05.07.2015).
39. Аникина Е., Шубенин В., 2015. Покрытие по банковской гарантии и риски его использования. *Методический журнал Международные банковские операции*. N1/2015. Ст. 37-44. http://www.reglament.net/bank/mbo/2015_1/get_article.htm?id=3874 (05.07.2015);
40. Прончатов Е.А., Тренина Д.Д. 2006. Банковская гарантия и смежные институты права в деятельности кредитных и страховых организаций. *Страховое право*. №1. с.25-29.
41. Ранних Н. 2010. «Новая редакция Унифицированных правил для гарантий по требованию. Метидический журнал «Международные банковские операции.» № 1/2010; http://www.reglament.net/bank/mbo/2010_1_article.htm (01.07.2015).
42. Рубанов. А.2000. «Международная унификация правил о банковской гарантии и Гражданский кодекс России» *Журнал "Хозяйство и право"* 2000. № 5/2000. ст.51-56.
43. Тамаев Р. 2012. Пределы независимой гарантии. "Закон", N 9. Ст.193-203.

ინტერნეტი:

44. გაბუნია დ. David A. Mchedlishvili. საბანკო გარანტიების სამართლებრივი რეგულირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. *CIVIL* ენციკლოპედიური ლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2843> (08.05.2015);
45. საქართველოს ბანკების IBAN კოდები. National Bank Of Georgia. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=500> (08.05.2015);
46. ხატიაშვილი ა. კონსტიტუციის 42-ე მუხლი. გადახდის მექანიზმი - საბანკო (დამოუკიდებელი) გარანტიის "უპირობო" ხასიათის განმსაზღვრელი. <http://commerciallaw.ge/gadakhdis-meqanizmi-sabanko-damoukidebeli-garantiis-/74> (08.05.2015);
47. Ahvenainen L. Laurea-ammattikorkeakoulu. On Demand Guarantees in Iran. Laurea University Finland. (08.07.2015). https://www.theseus.fi/bitstream/handle/10024/1957/Ahvenainen_Laura.pdf (08.07.2015).

48. Danske Bank. Danske Bank A/S CVR-nr. 6112 62 28 – København. International guarantees.
[https://www.danskebank.com/en-gb/Documents/International_guarantees\[1\].pdf](https://www.danskebank.com/en-gb/Documents/International_guarantees[1].pdf)
(08.05.2015);
49. Delegation of the European Union to Georgia. eeas.europa.eu.
http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/trade_relation/index_en.htm
(08.05.2015);
50. Ofert at Bank of China about bank guarantee. Bank of China (BOC).
<http://www.boc.cn/en/cbservice/cb3/cb31/> (05.07.2015).
51. Hauptmam A. Weebly Inc. Presentation URDG N 758 in Lisbon, Portugal.
http://iccportugal.weebly.com/uploads/1/4/0/0/14003085/april_2013_final_ii_andrea_hauptamn.pdf (15.06.2015).
52. Kayembe GL. University of Cape Town. The fraud exception in the bank guarantee.
https://open.uct.ac.za/bitstream/handle/11427/4645/thesis_law_kymgra001.pdf?sequence=1
(05.07.2015).
53. Muravska Iu. Datascan Font Service. Independent Bank Guarantees in International Trade: Protection and Risk Exposure. Interleges Award.
http://www.datascan.co.uk/interleges/images/stories/interleges_pdfs/sra_essays/julia_muravska_essay.pdf (05.07.2015).
54. Röchert N. University of Cape Town. Performance guarantees on first demand and the fraud exception in international trade.
https://open.uct.ac.za/bitstream/handle/11427/4541/thesis_law_rchnor002.pdf?sequence=1
(05.07.2015).
55. Sankalp J. Social Science Electronic Publishing. Commercial Instruments: Bank Guarantee and Letter of Credit.
http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2460246 (05.07.2015).
56. SWIFT Integration Projects. Oracle Corporation.
<https://docs.oracle.com/cd/E19509-01/820-7113/ahcce/> (08.07.2015).
57. Дубинична С. Legal Insight Magazine. Обзор мастер-класса Джеймса Бёрна (James Byrne), Директора Института международного банковского права и практики (IBPL), США, 22.05.2012г.
<http://legalinsight.ru/guarantees-and-documentary-letters-of-credit/#ftnref2> (08.07.2015).

58. Свит Ю.П. Сейчас.ру. Легитимность гарантий, выданных в формате SWIFT или в электронном формате.
<http://www.lawmix.ru/bux/4765> (05.06.2015).
59. Оферт на услуги. ICG TAXC Limited. Банковская гарантия SWIFT MT 760.
http://www.taxc.com.ua/bank_guarantee_mt.html (05.07.2015).

სახელისუფლებო დოკუმენტები:

ქართულ ენაზე:

60. საქართველო. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი. (26.12.1964) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები. N 36; 26.12.1964. მუხ.662.
61. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (786-III, 24.07.1997წ) პარლამენტის უწყებანი. 31, 24.07.1997წ., რეგისტრაციის კოდი 040.000.000.05.001.000.223.
www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31702
 (08.11. 2012).
62. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ. (828-III. 02.09.1997) პარლამენტის უწყებანი.(N 37-38, 10.09.1997წ.) რეგისტრაციის კოდი: 010.340.000.09.001.001.016.
63. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი. “საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.” საქართველოს პარლამენტის უწყებანი. N47-48. (N1106-III. 31.12.1997წ.) სარეგისტრაციო კოდი 060.000.000.05.001.000.301. matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=29962# 17.11.2012).
64. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2011. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. (№5001-რს 01/07/2011წ.) სარეგისტრაციო კოდი 220010000.04.001.016022; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ვებგვერდი 110715004, 15/07/2011;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1406394>
65. საქართველო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების

შეტანის შესახებ”. (3446-რს. 16.07.2010წ) “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” (N 44 28.07.2010წ.)რეგისტრაციის კოდი 080.000.000.05.001.004.136.

www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=92926#
(08.11.2012).

66. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. (3537-რს, 21.07.2010წ.) “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” N 47 05.08.2010. სარეგისტრაციო კოდი 040.000.000.05.001.004.166
matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=93070 (08.11.2012).
67. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2010. საქართველოს საგადასახდო კოდექსი. (N 3591 17/09/2010) სარეგისტრაციო კოდი 200000000.05.001.016012; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N 54, 12/10/2010;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717> (05.06.2015)
68. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2012. საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახდო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.
(N 6312- II). სარეგისტრაციო კოდი 200000000.05.001.016773; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, 12/06/2012;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1672225#> (05.06.2015);
69. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2008. საქართველოს კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ. სარეგისტრაციო კოდი 320.110.000.05.001.003.166; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N 7 26/03/2008;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/20866> (05.06.2015);
70. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1998. საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. (№1745–IIს). სარეგისტრაციო კოდი 040.170.280.05.001.000.467. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N1(8) 14/01/1999;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196#> (05.07.2015);
71. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1996. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ. N 121; პარლამენტის უწყებანი, 003, 23/03/1996წ., სარეგისტრაციო კოდი 220.020.000.05.001.000.126;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32962> (05.07.2015);
72. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2006. საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ. N 3482; სსიპ საქართველოს

საკანონმდებლო მაცნე N30, 27/07/2006; სარეგისტრაციო კოდი 220.090.000.05.001.002.367;

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/24328> (05.07.2015);

73. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2002. საქართველოს კანონი არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ. (N 1608). სსმ, 23, 24/07/2002. რეგ. კოდი 220.030.000.05.001.001.117;
74. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1997. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ. (N 690). პარლამენტის უწყებანი, 21-22, 31/05/1997; რეგისტრაციის კოდი: 290.000.000.05.001.000.207;
75. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი “საჯარო რეესტრის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. (3888-IIს, 07.12.2010წ.) საკანონმდებლო მაცნე I, №67 09.12.2010წ. რეგ. კოდი 040000000.05.001.016076; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1130815>(08.07.2015);
76. საქართველო. საქართველოს ეროვნული ბანკი. 2011. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება (N 58/04 19.06.2014) „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ; სარეგისტრაციო კოდი 220090000.18.011.016139; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ვებგვერდი, 20/06/2014; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2375690> (05.06.2015);
77. საქართველო. საქართველოს ეროვნული ბანკი. 2010. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება (N 44/01 17.03.2010) „საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.“ სარეგისტრაციო კოდი 220010040.18.011.014360; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 30, 19/03/2010წ.; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1009459> (15.06.2015);
78. საქართველო. საქართველოს ეროვნული ბანკი. 2015. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N 8/04. 22/01/2015 „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ.“ სარეგისტრაციო კოდი 220090000.18.011.016152; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2692106> (15/06.2015.);

79. საქართველო. 2011 წელი. საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N 509 დადგენილება “საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ”. სსიპ “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”. ვებგვერდი 30.12.2011. რეგ. კოდი 040150000.10.003.016669. matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1549305 (05.06.2015);
80. საქართველო. 2011 წელი, საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის დადგენილება №11 „ქ. თბილისის თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.“ სსიპ “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”. ვებგვერდი 120111, 12/01/2011 რეგ. კოდი 200250000.10.003.016171
81. საქართველო. 1994. საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება N 25. 25.05.1994წ.; ეროვნული ბანკის გამგეობა. დროებითი დებულება “საბანკო დაწესებულებების მიერ სესხებთან დაკავშირებული გარანტიების გაცემისა და რეგისტრაციის შესახებ”.
82. საქართველო. 2007. საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 26 ივნისის წ. N 166 ბრძანება “საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ”. სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”. N 97. 10.07.2007წ. რეგისტრაციის კოდი 220.090.000.18.011.010.546. matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=71326# (18.05.2015).
83. საქართველო. იუსტიციის სამინისტრო. 2011. მინისტრის ბრძანება ცვლილებების შეტანის თაობაზე “იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესის და პროცედურების დამტკიცების შესახებ” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის N 21 ბრძანებაში. (148, 21.11.2011). სსიპ “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.” ვებგვერდი 111121011, 21/11/2011წ. სარეგისტრაციო კოდი 070010110.22.027.016215.

www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1512638
(05.06.2015);

84. საქართველო. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. 2011. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ.” (9, 07.04.2011). სსიპ “საქართველოს საკონომდებლო მაცნე”. ვებგვერდი 1100408019, 08.04.2011წ., სარეგისტრაციო კოდი 010240060.21.014.016016.
https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1279790(08.05.2015);
85. საქართველო. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2012. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 26/07/2012წ. №290 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ “საქართველოს საკონომდებლო მაცნე,” ვებგვერდი 31/07/2012წ., სარეგისტრაციო კოდი 230210000.22.033.016424
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1709684>
86. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. გადაწყვეტილებათა კრებული. (7; 2009წ. 51-57) სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-562-871-09 #ას-562-871-09 ბიჯისი; 20.10.2009წ.
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-07.pdf> (08.11.2012);
87. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N 1ას-786-1073-09 27.09.2010წ.
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20119.pdf> (08.07.2015).
88. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1303-1229-2012 15.10.2012წ.
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201211.pdf> (08.07.2015).
89. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N ას-781-996-08 17.03.2009წ.
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-07.pdf> (08.07.2015).
90. საქართველო. საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია. 2000. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის N3 დადგენილება: საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული

აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ”. (3, 26.10.2000) თბილისი: საკანონმდებლო მაცნე. კონსოლიდირებული პუბლიკაციები 15.11.2003.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/51580?publication=1> (05.07.2015);

რუსულ ენაზე:

91. Республика Казахстан. Постановление Верховного совета Республики Казахстан. 1994. Закон Республики Казахстан Гражданского Кодекс Республики Казахстан. (№ 269-XII, 27.12.1994).
http://online.zakon.kz/Document/?doc_id=1006061 (05.07.2015);
92. Российская Федерация. Государственная Дума. 1994. Закон Российской Федерации. Гражданский кодекс Российской Федерации. (N 51-ФЗ 21.10.1994 ч.1);
93. Российская Федерация. Высший Арбитражный Суд. 1998. Информационное письмо Высшего Арбитражного Суда Российской Федерации "Обзор практики разрешения споров, связанных с применением норм Гражданского кодекса Российской Федерации о банковской гарантии" (N 27,15.01.1998);
http://pda.arbitr.ru/as/pract/vas_info_letter/3024.html (05.07.2015);

საერთაშორისო დოკუმენტები ინგლისურ ენაზე:

94. United Nations Convention on Independent Guarantees and Stand-by Letters of Credit at 1995;
95. Explanatory note by the UNCITRAL secretariat on the United Nations Convention on Independent Guarantees and Stand-by Letters of Credit, 1995;
<http://www.uncitral.org/pdf/english/texts/payments/guarantees/guarantees.pdf>
(08.11.2012).
96. ICC Publication No 758 Uniform Rules for Demand Guarantees including model forms” 2010 revision. International Chamber of Commerce. The world business organization.
97. ICC Publication No. 458E, ICC Uniform Rules for Demand Guarantees 1992 ed.
98. ICC Publication No 325 Uniform Rules for Contract Guarantees. 1978 ed.
International Chamber of Commerce. The world business organization.

ICC Publication No 503 Model Forms for Issuing Demand Guarantees, Uniform Rules for Contract Guarantees. 1978 ed. International Chamber of Commerce. The world business organization.

99. ICC Publication No 510 Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees 1994 ed. International Chamber of Commerce. The world business organization.
100. ICC Publication N 406 Model Forms for Issuing Contract Guarantees , 1997 ed. International Chamber of Commerce. The world business organization.
101. ICC Publication N 547 NY Bank Guarantees in International Trade 1997, ed. International Chamber of Commerce. The world business organization.
102. ICC Publication No 522 Uniform Rules for Collections. 1995 ed. International Chamber of Commerce. The world business organization.
103. ICC Publication No 600 Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UPC)2007 ed. International Chamber of Commerce. The world business organization.
104. ICC Publication No. 590E, 1998 ed. International Chamber of Commerce. The world business organization.

დამატება (დანართები)

დანართი N 1

საბანკო გარანტიის პირობები და ელემენტები, რომლებიც რეკომენდებულია აისახოს კანონმდებლობაში

საბანკო გარანტიის სახე (სახელწოდება);

გაცემის თარიღი;

პრინციპალი;

ბენეფიციარი;

გარანტი;

ნომრით ან სხვა ინფორმაციით იდენტიფიცირებული ძირითადი ვალდებულება რომლის შესრულებასაც უზრუნველყოფს გარანტია;

გარანტიის თანხა ან გარანტიის მაქსიმალური თანხა ვალუტის ჩვენებით, რაც ექვემდებარება გარანტიით გადახდას ან მისი განსაზღვრის წესი;

ვალუტა, რომელშიც შეიძლება მოხდეს გადახდა;

გარანტიის მოქმედების ვადა;

გარანტის დაპირება, რომ კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს გარანტიის თანხა ბენეფიციარის სათანადოდ შესრულებული მოთხოვნის წარმოდგენისას;

გადახდის ვადა;

გარემოება, რომლის დადგომისას უნდა იქნეს გადახდილი გარანტიის თანხა;

საბანკო გარანტია შეიძლება შეიცავდეს პირობას გარანტიის თანხის შემცირებაზე ან გაზრდაზე გარკვეული ვადის ან გარკვეული მოვლენის დადგომისას.

გადახდაზე მოთხოვნასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირობას;

სათანადოდ შესრულებული მოთხოვნის და სხვა დოკუმენტების ქალაქით ან და ელექტრონულად წარმოდგენის აუცილებლობის შესახებ პირობას;

ენაზე მითითებას, რომელზეც უნდა შესრულდეს მოთხოვნა გადახდაზე და მასზე თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი;

მოთხოვნის წარდგენის ადგილი;

გამოსაყენებელი სამართალი და დავის განმხილველი ორგანო;

ხარჯებზე პასუხისმგებელი მხარე.

ხელმოწერა უფლებამოსილი პირის _____

მოთხოვნით გარანტიის რეკომენდებული ტექსტობრივი რედაქცია

URDG 758-ის შესაბამისად

[გარანტია უნდა შესრულდეს წერილობით, საფირმო ბლანკზე ან SWIFT კოდირებული შეტყობინებით];

ვის: - [მიეთითება ბენეფიციარის სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია];

თარიღი: [მიეთითება გაცემის თარიღი];

გარანტიის სახე: [მიეთითება გარანტიის სახე: სატენდერო გარანტია, ავანსის დაბრუნების გარანტია, შესრულების გარანტია, გადახდის გარანტია, ფულადი სახსრების დაკავების გარანტია, საგარანტიო ვადის გარანტია (ეს უკანასკნელი გამოიყენება სამუშაოს/მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად)];

გარანტიის ნომერი: [მიეთითება გარანტიის ნომერი];

გარანტი: [მიეთითება გარანტის სახელწოდება, გარანტიის გაცემის ადგილი (თუ ის არ არის მითითებული საქმიანი მიმოწერის ბლანკზე)];

აპლიკანტი: [მიეთითება სახელწოდება და მისამართი (ჩვენი კანონმდებლობით პრინციპალი)];

ბენეფიციარი: [მიეთითება ბენეფიციარის სახელწოდება და მისამართი];

ძირითადი გარიგება: აპლიკანტის ვალდებულება [მიეთითოს იმ ხელშეკრულების იდენტიფიკაცია, რის უზრუნველსაყოფადაც გარანტია გაიცა, ტენდერის პირობები ან სხვა ვალდებულება აპლიკანტსა და ბენეფიციარს შორის];

გარანტიის მაქსიმალური თანხა და ვალუტა: [მიეთითება მაქსიმალური თანხა ციფრებით და სიტყვებით, რაც ექვემდებარება გადახდას და ვალუტა, რომელშიც უნდა მოხდეს გადახდა];

ნებისმიერი დოკუმენტი რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს გადახდის მოთხოვნის გასამყარებლად, გარდა დამასაბუთებელი განცხადებისა, რომელიც ქვემოთ მითითებული წესის თანახმად ექვემდებარება აუცილებელ წარმოდგენას:

[მიეთითება ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტი რაც აუცილებელია გადახდის მოთხოვნის გასამყარებლად (დასადასტურებლად), თუ გარანტიის პირობების მიხედვით არ არის გათვალისწინებული არანაირი დოკუმენტის წარდგენა მოითხოვება გარდა მოთხოვნისა და დამასაბუთებელი განცხადებისა, შესაბამისი ველი შეუვსებელი რჩება ან მიეთითება „არ მოითხოვება“];

ენა ნებისმიერი მოთხოვნილი დოკუმენტისათვის: [მიეთითება ენა ნებისმიერი მოთხოვნილი დოკუმენტისთვის. აპლიკანტის მიერ გაცემული დოკუმენტები ან ბენეფიციარის მიერ გაფორმებული უნდა იყოს გარანტიის ენაზე, თუ აქ სხვა რამე არ იქნება მითითებული];

მოთხოვნის წარდგენის ფორმა: [მიეთითება, გამოიყენება თუ არა ქალაქის მატარებელი თუ ელექტრონული ფორმა. ქალაქის მატარებელზე წარდგენის შემთხვევაში მიეთითება მიწოდების/გაგზავნის ხერხი. ელექტრონული ფორმით წარდგენის შემთხვევაში მიუთითეთ ფორმატი და ის ელექტრონული მისამართი, სადაც უნდა მოხდეს წარდგენა];

მოთხოვნის წარდგენის ადგილი: [გარანტმა უნდა მიუთითოს ფილიალის მისამართი, სადაც უნდა მოხდეს მოთხოვნის ქალაქის მატარებლით წარდგენა ან, ელექტრონული ფორმატით წარდგენისას, ელექტრონული მისამართი, მაგალითად გარანტის SWIFT მისამართი. თუ ამ ველში წარდგენის ადგილი მითითებული არ არის, წარდგენის ადგილი იქნება გარანტიის გაცემის ადგილი, რაც მითითებულია ზემოთ];

ვადის ამოწურვის თარიღი: [მიეთითება ვადის ამოწურვის თარიღი ან მოვლენა, რაც განსაზღვრავს ვადის ამოწურვის თარიღს]

ხარჯების გადახდაზე პასუხისმგებელი მხარე: [მიუთითეთ მხარის სახელწოდება];

“როგორც გარანტი, წინამდებარე გარანტიით ვკისრულობთ გამოუთხოვად ვალდებულებას გადაუხადოთ ბენეფიციარს ნებისმიერი თანხა გარანტიის თანხის ფარგლებში, ბენეფიციარის მიერ სათანადო მოთხოვნის წარმოდგენისთანავე ზემოთ მითითებული ფორმით, რომელსაც შესაძლებელია ახლდეს სხვა, ზემოთ მითითებული დოკუმენტები, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებლად უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ კონკრეტულად რომელი ვალდებულება იქნა დარღვეული აპლიკანტის მიერ ძირითადი ხელშეკრულების მიხედვით. აღნიშნული მითითება შესაძლებელია ჩაიწეროს თავად მოთხოვნაში ან შესრულდეს ცალკე ხელმოწერილი დოკუმენტით და დამატებით უნდა იქნეს წარმოდგენილი მოთხოვნაზე მითითებით. ნებისმიერი მოთხოვნა ამ გარანტიის მიხედვით ჩვენს მიერ მიღებული უნდა იქნეს არაუგვიანეს ვადის გასვლისა იმ მისამართზე, რაც მითითებულია ზემოთ. ეს გარანტია ექვემდებარება მოთხოვნით გარანტიის უნიფიცირებულ წესებს URDG 2010 წლის რედაქციას გამოქვეყნებულს საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მიერ პუბლიკაციის ნომრით N758. ხელმოწერა (უფლებამოსილი პირის)” (96).

კონტრგარანტიის ტექსტობრივი ნიმუში URDG -758 ის შესაბამისად

[კონტრგარანტია უნდა შესრულდეს წერილობით, კონტრგარანტის საფირმო ბლანკზე ან SWIFT კოდირებული შეტყობინებით];

ვის: - [მიეთითება გარანტის სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია];

თარიღი: [მიეთითება გაცემის თარიღი];

გთხოვთ, გასცეთ ჩვენი პასუხისმგებლობის ქვეშ თქვენი გარანტია ბენეფიციარის სასარგებლოდ ქვემოთ მითითებული ტექსტის შესაბამისად:

[აქ იწყება მოთხოვნით/დამოუკიდებელი გარანტიის სრული ციტირება, URDG N 758 -ის შესაბამისად. მოკლედ მიეთითება გარანტიის დეტალები ან გამოყენებული უნდა იქნეს კონტრგარანტის შექმნილი გარანტიის ტექსტი, გამომდინარე იქედან, რომელი უფრო მოსახერხებელია];

გარანტიის სახე: [მიეთითება გარანტიის სახე: სატენდერო გარანტია, ავანსის დაბრუნების გარანტია, შესრულების გარანტია, გადახდის გარანტია, ფულადი სახსრების დაკავების გარანტია, საგარანტიო ვადის გარანტია (ეს უკანასკნელი გამოიყენება სამუშაოს/მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად) და ა.შ.];

გარანტიის ნომერი: [გარანტის მიერ მიეთითება გარანტიის ნომერი]

გარანტი: [მიეთითება გარანტის სახელწოდება, გაცემის ადგილი (თუ ის არ არის მითითებული საქმიანი მიმოწერის ბლანკზე)]

აპლიკანტი: [მიეთითება სახელწოდება და მისამართი]

ბენეფიციარი: [მიეთითება ბენეფიციარის სახელწოდება და მისამართი]

ძირითადი გარიგება: აპლიკანტის ვალდებულება (მიეთითოს იმ ხელშეკრულების იდენტიფიკაცია, რის უზრუნველსაყოფადაც გარანტია გაიცა, ტენდერის პირობები ან სხვა ვალდებულება აპლიკანტსა და ბენეფიციარს შორის)

გარანტიის მაქსიმალური თანხა და ვალუტა: [მიეთითება მაქსიმალური თანხა ციფრებით და სიტყვებით, რაც ექვემდებარება გადახდას და ვალუტა რომელშიც უნდა მოხდეს გადახდა]

ნებისმიერი დოკუმენტი რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს გადახდის მოთხოვნის გასამყარებლად, გარდა დამასაბუთებელი განცხადებისა, რომელიც ქვემოთ მითითებული წესის თანახმად ექვემდებარება აუცილებელ წარმოდგენას:

[მიეთითება ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტი რაც აუცილებელია გადახდის მოთხოვნის გასამყარებლად (დასადასტურებლად), თუ გარანტიის პირობების მიხედვით არ არის გათვალისწინებული არანაირი დოკუმენტის წარდგენა, გარდა მოთხოვნისა და დამასაბუთებელი განცხადებისა, შესაბამისი ველი შეუვსებელი რჩება ან მიეთითება „არ მოითხოვება“]

ენა ნებისმიერი მოთხოვნილი დოკუმენტისათვის: [მიეთითება ენა ნებისმიერი მოთხოვნილი დოკუმენტისთვის. აპლიკანტის მიერ გაცემული დოკუმენტები ან ბენეფიციარის მიერ გაფორმებული უნდა იყოს გარანტიის ენაზე, თუ აქ სხვა რამე არ იქნება მითითებული]

მოთხოვნის წარდგენის ფორმა: [მიეთითება, გამოიყენება თუ არა ქალაქის მატარებელი თუ ელექტრონული ფორმა. ქალაქის მატარებელზე წარდგენის შემთხვევაში მიეთითება მიწოდების/გაგზავნის ხერხი. ელექტრონული ფორმით წარდგენის შემთხვევაში მიუთითეთ ფორმატი და ის ელექტრონული მისამართი, სადაც უნდა მოხდეს წარდგენა]

მოთხოვნის წარდგენის ადგილი: [გარანტმა უნდა მიუთითოს ფილიალის მისამართი, სადაც უნდა მოხდეს მოთხოვნის ქალაქის მატარებლით წარდგენა ან, ელექტრონული ფორმატით წარდგენისას, ელექტრონული მისამართი, მაგალითად გარანტის SWIFT მისამართი. თუ ამ ველში წარდგენის ადგილი მითითებული არ არის, წარდგენის ადგილი იქნება გარანტიის გაცემის ადგილი, რაც მითითებულია ზემოთ]

ვადის ამოწურვის თარიღი: [მიეთითება ვადის ამოწურვის თარიღი ან მოვლენა, რაც განსაზღვრავს ვადის ამოწურვის თარიღს]

ხარჯების გადახდაზე პასუხისმგებელი მხარე: [მიუთითეთ მხარის სახელწოდება]

“როგორც გარანტი, წინამდებარე გარანტიით ვკისრულობთ გამოუთხოვად ვალდებულებას გადავუხადოთ ბენეფიციარს ნებისმიერი თანხა გარანტიის თანხის ფარგლებში, ბენეფიციარის მიერ სათანადო მოთხოვნის წარმოდგენისთანავე ზემოთ მითითებული ფორმით, რომელსაც შესაძლებელია ახლდეს სხვა, ზემოთ მითითებული დოკუმენტები, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებლად უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ კონკრეტულად რომელი ვალდებულება იქნა დარღვეული აპლიკანტის მიერ ძირითადი ხელშეკრულების მიხედვით. აღნიშნული მითითება შესაძლებელია ჩაიწეროს თავად მოთხოვნაში ან შესრულდეს ცალკე ხელმოწერილი დოკუმენტით და დამატებით უნდა იქნეს წარმოდგენილი მოთხოვნაზე მითითებით.

ნებისმიერი მოთხოვნა ამ გარანტიის მიხედვით ჩვენს მიერ მიღებული უნდა იქნეს არაუგვიანეს ვადის გასვლისა იმ მისამართზე, რაც მითითებულია ზემოთ.

ეს გარანტია ექვემდებარება მოთხოვნით გარანტიის უნიფიცირებულ წესებს URDG 2010 წლის რედაქციას გამოქვეყნებულს საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მიერ პუბლიკაციის ნომრით N758.

[ციტატის დასასრული] (96)

როგორც კონტრგარანტი ჩვენ, ვკისრულობთ გამოუთხოვად ვალდებულებას გადავუხადოთ გარანტს ნებისმიერი თანხა კონტრგარანტიის თანხის ფარგლებში რაც ქვემოთაა მითითებული, გარანტის მიერ სათანადო მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე ქვემოთ მითითებული ფორმით, რომელსაც თან უნდა ახლდეს გარანტის განცხადება იმის მითითებით, რომ გარანტმა მიიღო სათანადო მოთხოვნა გარანტიის მიხედვით; ასეთი განცხადება შეიძლება იყოს თვით მოთხოვნაში ან ცალკე ხელმოწერილ დოკუმენტში რაც უნდა ერთოდეს მოთხოვნას ან დამატებით უნდა გაიგზავნოს და შეიცავდეს მითითებას მოთხოვნაზე.

ნებისმიერი მოთხოვნა ამ კონტრგარანტიის მიხედვით უნდა იქნეს მიღებული ჩვენს მიერ არაუგვიანეს ვადის ამოწურვის თარიღისა წარმოდგენის ადგილზე, რაც მითითებულია ქვემოთ.

კონტრგარანტიის ნომერი: [მიეთითება კონტრგარანტიის ნომერი]

კონტრგარანტი: [მიეთითება კონტრგარანტის სახელწოდება, გაცემის ადგილი (თუ ის არ არის მითითებული საქმიანი მიმწერის ბლანკზე)]

გარანტი: [მიეთითება გარანტის სახელწოდება, გარანტიის გაცემის ადგილი]

წარდგენის ფორმა: [მიეთითება, გამოიყენება თუ არა ქალაქის მატარებელი თუ ელექტრონული ფორმა. ქალაქის მატარებელზე წარდგენის შემთხვევაში მიეთითება მიწოდების/გაგზავნის ხერხი. ელექტრონული ფორმით წარდგენის შემთხვევაში მიუთითეთ ფორმატი და ის ელექტრონული მისამართი, სადაც უნდა მოხდეს წარდგენა];

წარდგენის ადგილი: [კონტრგარანტმა უნდა მიუთითოს ფილიალის მისამართი, სადაც უნდა მოხდეს მოთხოვნის ქალაქის მატარებლით წარდგენა ან, ელექტრონული ფორმატით წარდგენისას, ელექტრონული მისამართი, მაგალითად კონტრგარანტის SWIFT მისამართი. თუ ამ ველში წარდგენის ადგილი მითითებული არ არის, წარდგენის ადგილი იქნება კონტრგარანტიის გაცემის ადგილი, რაც მითითებულია ზემოთ];

კონტრგარანტიის ვადის ამოწურვა: [მიეთითება ვადის ამოწურვის თარიღი ან მოვლენა, რაც განსაზღვრავს ვადის ამოწურვის თარიღს. მიაქციეთ ყურადღება კონტრგარანტიის ვადის ამოწურვის თარიღი როგორც წესი, უნდა იყოს სამი დღით უფრო გვიან, ვიდრე გარანტიის ამოწურვის თარიღი საფოსტო გზავნილის ვადის გათვალისწინებით];

ხარჯების გადახდაზე პასუხისმგებელი მხარე: [კონტრგარანტი];

გარანტი ვალდებულია დაადასტუროს გარანტიის გაცემის ფაქტი.

ეს კონტრგარანტია ექვემდებარება მოთხოვნით გარანტიის უნიფიცირებულ წესებს URDG 2010 წლის რედაქციას გამოქვეყნებულს საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მიერ პუბლიკაციის ნომრით N758.

ხელმოწერა უფლებამოსილი პირის.”

ცვლილების ტექსტობრივი ნიმუში საბანკო გარანტიაში

დამატებითი ფურცელი

__ . __ .2014წ. № XXXX საბანკო გარანტიაზე ვადის გაგრძელების შესახებ

გარანტი:

საფირმო სახელწოდება და ს/კ __ ;

მისამართი: საქართველო, თბილისი

_____;

ბენეფიციარს:

საფირმო სახელწოდება ს/კ _____;

მისამართი: საქართველო, ქ. მცხეთა

_____;

საქართველო, თბილისი, გაცემის თარიღი 2014 წლის _____

საბანკო გარანტიაზე:

N XXXX თარიღით __. __.2014 წ.

პრინციპალი:

საფირმო სახელწოდება_ ს/კ _____;

მისამართი: _____

ბენეფიციარი:

საფირმო სახელწოდება _____ ს/კ _____;

მისამართი:

საფუძველი:

პრინციპალის 2014 წლის N __ განაცხადი

N XXXX - BG/2 __. __.2014 წ. საბანკო გარანტიის

მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, __. __.2014წ. გაცემულია საბანკო გარანტია N XXXX რაც უზურუნველყოფს პრინციპალის ვალდებულების შესრულებას ბენეფიციარის წინაშე გარანტიის თანხით _____ (სიტყვიერად) ლარი, რომლის მოქმედების ვადა იწურება 2014 წლის __ აგვისტოს 17:00 საათზე თბილისის დროით. პრინციპალის განაცხადის საფუძველზე გაცნობებთ, რომ __. __.2014 წლის N XXXX საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა გაგრძელდა და მისი მოქმედება ამოიწურება 2014 წლის 29 სექტემბერს, თბილისის დროით 17:00 საათზე, მაშინაც კი თუ ეს საბანკო გარანტია თქვენს მიერ უკან არ იქნება დაბრუნებული. __. __.2014 წლის N XXXX საბანკო გარანტის ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს __. __.2014 წლის N XXXX საბანკო გარანტიის განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

_____ [ხელმოწერა უფლებამოსილი პირის]

დანართი N 5

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 26/07/2012წ. №290 ბრძანების
„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების
შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ დანართი V-01

საბაჟო ვალდებულების შესრულების გარანტია

GUARANTEE OF FULFILLMENT OF CUSTOMS LIABILITY

საბანკო გარანტია

BANK GUARANTEE

№ ----- ” ----- 20-- წ.

გარანტის სრული დასახელება

და იურიდიული მისამართი: -----

FULL NAME AND ADDRESS OF THE

GUARANTOR:

პრინციპალის სრული დასახელება

და იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი -----

FULL NAME AND ADDRESS OF THE

PRINCIPAL, THE IDENTIFICATION CODE

ბენეფიციარი: -----

BENEFICIARY:

გარანტიისობიექტი: -----

OBJECT OF GUARANTEE:

გარანტორის ვალდებულება:

GUARANTOR`S OBLIGATION:

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გარანტორი იღებს გამოუწვევად ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე გადაუხადოს ბენეფიციარს ნებისმიერი თანხა ან თანხები, მაგრამ არაუმეტეს გარანტიით გათვალისწინებული თანხისა, მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

გარანტიის თანხა: -----

GUARANTEE AMOUNT:

გარანტიის მოქმედების ტერიტორია: -----

TERRITORY OF GUARANTEE

VALIDITY:

გარანტიის მოქმედების პერიოდი: -----

PERIOD OF GUARANTEE VALIDITY:

გარანტის ხელმოწერა:

GUARANTOR (Signed) -----

ავანსის უზრუნველყოფის შესახებ საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ნიმუში

საბანკო გარანტია N XXXX

გადახდილი საავანსო თანხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად

გარანტისგან:

ბენეფიციარს:

მისამართი:

მისამართი:

პრინციპალი:

მისამართი:

საქართველო, თბილისი. საბანკო გარანტიის გაცემის თარიღი: 2014 წლის «XX» სექტემბერი.

გარანტიის თანხა: არაუმეტეს XXXX (სიტყვიერად) ლარისა;

გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება: გარანტი კისრულობს უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას, გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის მიღების მეორე დღიდან - ხუთი (5) საბანკო დღის განმავლობაში შეუფერხებლად გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა, რომელიც არ აღემატება გარანტიის თანხას.

გარანტიის საფუძველი (კონტრაქტი): გარანტიის გაცემის ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის, თბილისში XX>XX> 2014 წელს დადებული ხელშეკრულება N XXXXX სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლის საგანია მცხეთის მუნიციპალიტეტში, წიწამურში, ილია ჭავჭავაძის ძეგლის კვარცხლბეკის, მისასვლელი კიბეების რეკონსტრუქციისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამშენებლო-სამუშაოების შესყიდვა. გარანტიის გაცემის საფუძველია დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდში (შესრულებული სამუშაოს ღირებულების 2,5%) ავანსად გადახდილი თანხის დაბრუნების უზრუნველყოფა; საბანკო გარანტია გაიცა სს XXX მიერ იმავე მიზნით გაცემული N XX საბანკო გარანტიის ჩასანაცვლებლად.

ბენეფიციარის მოთხოვნა: გარანტი ასრულებს თავის ვალდებულებას ამ გარანტიის მიხედვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებს ბენეფიციარისაგან

წერილობით მოთხოვნას მასზედ, რომ პრინციპალმა არ შეასრულა კონტრაქტით დათქმული ვალდებულება და ავანსი არ იქნა დაბრუნებული ბენეფიციარისთვის.

ძალაში შესვლა, ეს გარანტია ძალაში შედის გაცემის პრინციპალის XXXX საბანკო მოქმედების ვადა: ანგარიშზე ავანსის თანხის ჩარიცხვის თარიღიდან და მისი ვადა ავტომატურად იწურება 2015 წლის 08 დეკემბერს, თბილისის დროით 17:00 საათზე, მაშინაც კი, თუ ეს საბანკო გარანტია დედნის სახით არ იქნება გარანტთან დაბრუნებული.

მოთხოვნის წარმოდგენის წესი: მოთხოვნა, გადახდაზე წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, შესრულებული ბენეფიციარის საფირმო ბლანკზე და გარანტიის მოქმედების ვადაში. მასში უნდა აღიწეროს ფაქტი, თუ რომელი საკონტრაქტო ვალდებულება არ შეასრულა პრინციპალმა და ავანსად გადახდილი თანხა (სრულად/ნაწილობრივ) ბენეფიციარისთვის არ იქნა დაბრუნებული. მოთხოვნა ხელმოწერილი უნდა იქნეს ბენეფიციარის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. მას თან უნდა ერთოდეს სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა მის ელექტრონულ ვერსიასთან ერთად, რაც უნდა მოიცავდეს კონტრაქტის მე-9 მუხლში მითითებულ ინფორმაციას. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება თუ: ა) მოთხოვნა არ იქნება შესრულებული აქ მითითებული ფორმით და შინაარსით ან, ბ) წარმოდგენილი იქნება საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ; გ) არ იქნება თანდართული აქ მითითებული დოკუმენტი;

სხვა პირობები: გარანტია გაცემულია ბენეფიციარის სასარგებლოდ და მისი დათმობა მესამე პირზე დაუშვებელია. გარანტიის თანხა ავტომატურად მცირდება ბენეფიციარის მოთხოვნით ჩვენს მიერ ყოველი გადახდილი თანხით. ყველა უფლება და მოვალეობა წარმოშობილი ამ გარანტიიდან წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოში გარანტის ადგილსამყოფელის მიხედვით. ხარჯებს საბანკო გარანტიაში

მითითებული დოკუმენტების წარმოდგენისთვის გაიღებს
ბენეფიციარი.

გარანტია შეწყდება: 1. ვადის გასვლით; 2. საგარანტიო თანხის გადახდით; 3. ვადის
ამოწურვამდე, ბენეფიციარის მიერ გარანტთან წარმოდგენილი
წერილობითი უარით გარანტიიდან გამომდინარე უფლებებზე,
რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ეს საბანკო გარანტია.

ხელმოწერა უფლებამოსილი პირის _____

დანართი N7

SWIFT ფორმატის საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ნიმუში

----- Message Header -----

Swift Input : FIN 760 Guarantee

Sender : XXXGGE22XXX

XXXX BANK GEORGIA JSC

TBILISI GE

Receiver : EURIXXX

EURASIAN BANK

XXXX KAZXXXXXXXXX

----- Message Text -----

27: Sequence of Total 1/1

20: Transaction Reference Number: XXXXXXXXXXXX

23: Further Identification: ISSUE

30: Date: XXXXXX

40C: Applicable Rules: URDG 758

77C: Details of Guarantee

G-TEE NO. XXXXXXXXXXXX

ISSUANCE DATE: XXXXXXXX

APPLICANT: XXXX (ADRES XXXXX)

BENEFICIARY: ENERGY-RESOURCES. LLP (6/1 ADRES: ____ ____)

CURRENCY: USD

AMOUNT: XXXXXXXX

EXPIRY DATE: 17 JULY 2010

DEAR SIRS,

WITHOUT ANY PAYMENT OBLIGATIONS FROM YOUR SIDE, PLEASE ADVISE OUR
BELOW PAYMENT GUARANTEE TO ENERGY-RESOURCES.KZ LLP (ADRES: ____ ____).

QUOTE

PAYMENT GUARANTEE NO. XXXXXX
GUARANTOR: XXXXXXXX JSC
ADDRESS: XXXXXXXX,TBILISI,GEORGIA
TO: XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX
ADDRESS: XXXXXXXXXXXXXXXXXXXX)

WE HAVE BEEN INFORMED THAT YOU HAD CONCLUDED A CONTRACT NO.
022/14 DATED 17.05.2010 WITH MESSRS XXXX LTD, N XXXX TBILISI,GEORGIA
(HEREINAFTER AS: THE APPLICANT) FOR THE SUPPLY OF PRODUCTS (DIESEL EN590
(PPN50) FOR TOTAL AMOUNT OF XXXXXXXX (IN WORDS: XXXXXXXXXXXXX)
(HEREINAFTER AS: THE CONTRACT).

ACCORDING TO THE CONTRACT, DUE FULFILLMENT OF APPLICANT'S PAYMENT
OBLIGATIONS SHALL BE SECURED BY A BANK GUARANTEE IN YOUR FAVOR. THIS
BEING STATED, WE, JSC XXXXXX (HEREINAFTER AS: THE GUARANTOR), HEREBY
IRREVOCABLY UNDERTAKE TO PAY TO YOU WITHOUT DELAY ANY AMOUNT UP TO
THE MAXIMUM OF XXXXXX (IN WORDS: XXXXXX ONLY) UPON RECEIPT OF YOUR
FIRST WRITTEN COMPLYING DEMAND FOR PAYMENT (HEREINAFTER AS: THE
DEMAND) STATING THAT:

- A) THE APPLICANT IS IN BREACH OF ITS OBLIGATIONS UNDER THE
CONTRACT: AND
- B) THE RESPECT IN WHICH THE APPLICANT IS IN BREACH.

YOUR DEMAND MUST BE ACCOMPANIED WITH THE COPIES OF THE RELEVANT
UNPAID INVOICES AND COPY OF TRANSPORT DOCUMENTS EVIDENCING THE
SHIPMENT OF GOODS TO THE APPLICANT. ALL DOCUMENTS MUST BEAR THE
CONTRACT No XXXXXXXX ANY DOCUMENTS ISSUED BY THE PARTY OTHER THAN
THE APPLICANT OR THE BENEFICIARY, SHALL BE MADE IN ENGLISH LANGUAGE.
YOUR DEMAND CAN NOT BE PRESENTED EARLIER THAN ___ DAYS AFTER THE DATE
OF INVOICE.

OUR OBLIGATION UNDER THIS GUARANTEE SHALL BE REDUCED PRO RATA OF EACH
EFFECTED PAYMENT UNDER THE CONTRACT UPON PRESENTATION TO US BY THE
APPLICANT OF COPIES OF PAID COMMERCIAL INVOICES AND PAYMENT ORDERS
VERIFIED WITH THE STAMP OF PAYING BANK.

FOR THE PURPOSE OF IDENTIFICATION OF AUTHENTICITY THE DEMAND MUST BE SIGNED BY AUTHORIZED REPRESENTATIVES OF YOUR COMPANY AND DULY STAMPED, AND SUBMITTED TO US THROUGH THE ADVISING BANK/YOUR BANK CONFIRMING THAT THE SIGNATURES ON YOUR DEMAND ARE LEGALLY VALID AND BINDING UPON YOUR COMPANY. THE BANK CONFIRMATION SHALL BE MADE VIA TESTED TELEX OR AUTHENTICATED SWIFT TO OUR TELEX/SWIFT

ADDRESS: XXXXXXXXXXXXXXXX

IN CASE YOUR DEMAND IS SUBMITTED NOT IN COMPLIANCE WITH THE TERMS OF THIS GUARANTEE, THE GUARANTOR WILL HAVE THE RIGHT NOT TO HONOUR SUCH DEMAND.

THIS GUARANTEE IS VALID UNTIL 11 JULY 2014 INCLUSIVE AND EXPIRES FULLY AND AUTOMATICALLY, IF THE ORIGINAL OF THIS GUARANTEE HAS NOT BEEN RETURNED TO US PRIOR TO THAT DATE ABOVE. ANY DEMAND UNDER THIS GUARANTEE MUST BE RECEIVED BY US ON OR BEFORE THE EXPIRY DATE OF THIS GUARANTEE AT OUR ADDRESS INDICATED ABOVE.

THIS GUARANTEE IS PERSONAL TO YOU AND IS NOT TRANSFERABLE.

ALL RIGHTS AND OBLIGATIONS UNDER THIS GUARANTEE SHALL BE GOVERNED BY THE UNIFORM RULES FOR DEMAND GUARANTEES (URDG) 2010 REVISION (ICC PUBLICATION NO.758).

UNQUOTE.

ALL BANKING CHARGES OUTSIDE OF GEORGIA ARE FOR THE BENEFICIARY'S ACCOUNT.

PLS INFORM US WITH THE DATE OF G-TEE ADVISING AND BNF'S ACCEPT/NON ACCEPT.

72: SENDER TO RECEVIER INFORMATION:

BEST REGARDS, _____ .

დანართი N8

სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის შესახებ
საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ნიმუში

საბანკო გარანტია № XXXX

საქართველო, თბილისი. საბანკო გარანტიის გაცემის თარიღი: 2014 წლის 25 აგვისტო;

გარანტისგან:	ბენეფიციარს:
მისამართი:	მისამართი:
პრინციპალი:	
მისამართი:	

გარანტიის თანხა არაუმეტეს XXXXXXXX (სიტყვიერად) ლარისა;
გარანტი კისრულობს გამოუთხოვად ვალდებულებას პრინციპალის მიერ ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების უზრუნველყოფილი დარღვევის საფუძველზე გადახდის შესახებ თქვენი პირველივე ვალდებულება წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე შეუფერხებლად გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა, რომელიც არ აღემატება საბანკო გარანტიის თანხას.

ვალდებულების წარმოშობის საფუძველი (კონტრაქტი) ბენეფიციარის 11/08/2014წ. N XXX წერილობითი შეტყობინება, პრინციპალთან კონტრაქტის დადების თაობაზე ივნისის XXXX გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების შესახებ, რითაც მოთხოვნილია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების საბანკო გარანტიის წარდგენა კონტრაქტის მთლიანი ღირებულების 5%-ის ოდენობით; ქალაქ საგარეჯოში ბაგა-ბაღის ასაშენებლად;

გარანტიის მოქმედების ვადა საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა იწურება 2014 წლის 11 აპრილს 17.00 საათამდე თბილისის დროით და მისი მოქმედების ვადა სრულად და ავტომატურად იწურება მითითებულ თარიღზე და დროს.

მოთხოვნის
წარმოდგენის წესი

წერილობითი მოთხოვნა, გარანტიის მიხედვით გადახდაზე, წარმოდგენილი უნდა იქნეს ბენეფიციარის საფირმო ბლანკზე, ბენეფიციარის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. წერილობით მოთხოვნაში აღწერილი უნდა იქნეს, თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა ეს საბანკო გარანტია და რის გამოც გადახდას მოითხოვთ. გადასახდელად მოთხოვნილი თანხა უნდა მიეთითოს ციფრებით და სიტყვებით. წერილობით მოთხოვნას უნდა ერთოდეს ეს საბანკო გარანტია და შპს “საქესპერტიზას” მიერ შესრულებული დასკვნა კონტრაქტის მე-11 მუხლში მითითებული დოკუმენტების დართვით, მათ ელექტრონულ ვერსიასთან ერთად;

სხვა პირობები

- 1.გარანტია გაცემულია ბენეფიციარის სასარგებლოდ და მისი დათმობა მესამე პირზე არ დაიშვება.
- 2.საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილი უნდა იქნეს გარანტის ზემოთ მითითებულ მისამართზე გარანტიაში მითითებული ვადის და დროს გასვლამდე.
- 3.ყველა უფლება და მოვალეობა, რაც წარმოშობილია ამ საგარანტიო ვალდებულებიდან რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 4.ხარჯებს ამ საბანკო გარანტიაში მითითებული დოკუმენტების წარმოსადგენად გაიღებს ბენეფიციარი.

გარანტიის შეწყვეტის
საფუძველია:

1. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლა;
2. ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნება.
3. საგარანტიო თანხის გადახდა.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: _____

დანართი N9

აუქციონის/კონკურსის საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ნიმუში

საბანკო გარანტია № XXXXXXXXX

საქართველო, თბილისი, 2012 წლის XX სექტემბერი

გარანტი: XXXXXX

ბენეფიციარს: XXXXX

იურიდიული მისამართი: XXXXX

მისამართი: XXXXX

პრინციპალი: XXXXX

მისამართი: XXXXXX

გარანტიის თანხა: XXXXXXXX (სიტყვიერად) ლარი;

გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება: გარანტი კისრულობს უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას, გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის მიღების მეორე დღიდან - ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში შეუფერხებლად გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა, არაუმეტეს გარანტიის თანხისა.

გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულების წარმოშობის საფუძველი: აუქციონის წესების შესაბამისად ინტერნეტ აუქციონში პრინციპალის მონაწილეობის მისაღებად და ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ბენეფიციარის მიერ ორგანიზებულ ინტერნეტ აუქციონში, განაცხადის ნომრით № XXXXX; თბილისში, გელოვანის გამზირი №41-ში მდებარე XXXX კვმ. არასაცხოვრებელი ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკ.კოდით XXXX;

მოთხოვნის წარმოშობა: იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალმა, გაიმარჯვა აუქციონში და აუქციონის დასრულებიდან (..2012წ.) 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში არ გადაიხადა ნაყიდი ქონების სრული ღირებულება.

გარანტიის ძალაში გარანტია ძალაში შედის გაცემის თარიღიდან და მისი მოქმედება

შესვლა და ვადა: იწურება 2012 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით 17.00 საათზე თბილისის დროით სრულად და ავტომატურად თუ მანამდე ეს საბანკო გარანტია დედნის სახით არ იქნება მიღებული ჩვენს მიერ, ვადის ამოწურვის თარიღზე ადრე, თქვენს წერილთან ერთად გარანტიიდან გამომდინარე თქვენს უფლებებზე უარის შესახებ.

მოთხოვნის წარმოდგენის წესი: მოთხოვნა გადახდაზე, წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, ბენეფიციარის საფირმო ბლანკზე შესრულებული სახით, მასში უნდა მიეთითოს თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა (სრულად/ნაწილობრივ), რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა ეს გარანტია. მოთხოვნა ხელმოწერილი უნდა იყოს ბენეფიციარის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ და მას უნდა ერთოდეს სანოტარო წესით დამოწმებული ამ უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნიმუში - დედნის სახით. მოთხოვნა წარედგინება ბანკს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე, აქ მითითებულ მისამართზე;

სხვა პირობები: გარანტია გაცემულია ბენეფიციარის სასარგებლოდ და მისი დათმობა მესამე პირზე დაუშვებელია. გარანტიის თანხა ავტომატურად მცირდება გარანტის მიერ ყოველი გადახდილი თანხით - ბენეფიციარის მოთხოვნის შესაბამისად. ყველა უფლება და მოვალეობა წარმოშობილი ამ საგარანტიო ვალდებულებიდან წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

გარანტიის შეწყვეტა: გარანტია წყდება: 1. საბანკო გარანტიის ვადის გასვლით; 2. გარანტის მიერ, გარანტიით გათვალისწინებული შესაძლო გადასახადელების ბენეფიციარისთვის გადახდით საბანკო გარანტიის ფარგლებში; 3. ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე წერილობითი უარის თქმით და წინამდებარე საბანკო გარანტიის ბანკში დაბრუნებით.

ხელმოწერა უფლებამოსილი პირის _____

დანართი N10

სატენდერო საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ნიმუში

საბანკო გარანტია № XXXXXX
სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად

გარანტისგან: XXXXXXXX ბენეფიციარს: XXXXXXXXX
მისამართი: XXXXXXXXX მისამართი: XXXXXXXXX

პრინციპალი: XXXXXXXXX
მისამართი: XXXXXXXXX

საბანკო გარანტიის გაცემის თარიღი: 2012 წლის XX აპრილი.

ვითვალისწინებთ რომ შპს „XXXXXXXXX“ (შემდგომში „პრეტენდენტი“, ს/კ XXXXX, ადგილსამყოფელი: XXXXXX, მზად არის წარმოადგინოს თავისი სატენდერო წინადადება XXXXXXXXXXXX მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, სატენდერო განცხადების ნომრით № XX (კლასიფიკატორის CVP კოდით და კლასიფიკატორის დანაყოფით XXXXX – „ხიდის განახლების სამუშაოები, რაც ითვალისწინებს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მე-XXXX კმ-ზე მდინარე ქსანზე არსებული სახიდე გადასასვლელის პრევენციის სამუშაოების შესყიდვას.“

ჩვენ როგორც გარანტი (შემდგომში “ბანკი”)

ვ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ თ, რ ო მ

ვიღებთ ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც ჯამში არ აღემატება XXXX (სიტყვიერად) ლარს, შემდეგ შემთხვევებში:

- თუ სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ პრეტენდენტმა უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე ან/და,

- თუ პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად ან/და,

- თუ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

გარანტია ძალაშია გაცემის თარიღიდან და მისი ვადა იწურება 2012 წლის 11 ივნისს 16:30 საათზე თბილისის დროით.

ბანკი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას ბენეფიციარის წერილობითი/ელექტრონული ფორმით მოთხოვნის მიღებისთანავე, მისი მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ ბენეფიციარის ელექტრონულ/წერილობით მოთხოვნაში მითითებული იქნება რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევის (შემთხვევების) დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და ბენეფიციარის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე.

ხელმოწერა უფლებამოსილი პირის _____

დეფექტებზე პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ნიმუში (ხარისხის უზრუნველყოფა)

საბანკო გარანტია № XXXXX

საბანკო გარანტია გაიცა საქართველოში, თბილისში, 20__ წლის ოცდამეორე დეკემბერს

გარანტი: XXXXX

ბენეფიციარს: XXXXX

მისამართი: XXXXX

მისამართი: XXXXX

პრინციპალი: XXXXX

მისამართი: XXXXX

გარანტიის თანხა: XXXXX (სიტყვიერად) ლარი.

წინამდებარე საბანკო გარანტია გაცემულია გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის, პრინციპალის დავალებით. იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი ვერ შეძლებს ბენეფიციართან დადებული N XXXXXX წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, აღმოფხვრას გამოვლენილი დეფექტები, (თუ იგი არ იქნება გამოწვეული არასწორი ექსპლუატაციით) ან, არ შეასრულებს საკონტრაქტო მოვალეობებს, გარანტი კისრულობს გამოუთხოვად ვალდებულებას, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე, თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე აგინაზღაუროთ ნებისმიერი თანხა გარანტიის თანხის ფარგლებში. მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადოდ ხელმოწერილი, ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით საფირმო ბლანკზე, სადაც მიეთითება მოთხოვნილი თანხა და გარემოება, რომლის გამოც წარმოდგენილია მოთხოვნა. მას უნდა ერთოდეს ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმებული ნიმუში და ეს საბანკო გარანტია. გარანტია ძალაშია გაცემიდან და მისი მოქმედების ვადა იწურება 2012 წლის 09 აგვისტოს 17:00 საათზე თბილისის დროით. მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ამ თარიღისა გარანტის იურიდიულ მისამართზე. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა წყდება: ვადის გასვლით; გარანტიის თანხის გადახდით; ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი უარით და ამ საბანკო გარანტიის ჩვენთვის დაბრუნებით.

ხელმოწერა უფლებამოსილი პირის _____

დანართი N12

საბიუჯეტო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისთვის
საბანკო გარანტიის ტექსტობრივი ნიმუში

საბანკო გარანტია N XXXXX

ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად

საქართველო, თბილისი, თარიღი: 2013 წლის XX სექტემბერი

გარანტი: XXXXXXXXXX (ს/კ _____);
პრინციპალი : XXXXXXXXX; ს/კ _____ ;
ბენეფიციარი : XXXXX (ს/კ XXXX, მისამართი:XXXXX

გარანტიის თანხა: XXXXXXXX (სიტყვიერად);

გარანტიის
გაცემის საფუძველი: 2013 წლის XX აგვისტოს N XXX საგადასახადო მოთხოვნასთან
(შემდგომში „საგადასახადო მოთხოვნა“) დაკავშირებით
(საგადასახადო დავა „ბენეფიციარსა“ და „პრინციპალს“ შორის
XXXX ლარზე) შესაბამისად, საგადასახადო დავალიანების
უზრუნველსაყოფად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 254-ე
მუხლის საფუძველზე პრინციპალი წარადგენს წინამდებარე
საბანკო გარანტიას.

გარანტის
ვალდებულება: “გარანტი” კისრულობს ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა
და გასაჩივრების უფლების გარეშე, “ბენეფიციარის” პირველივე
წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის
ვადაში გადაუხადოს მას გარანტიის თანხა საგარანტიო წერილის
პირობების შესაბამისად.

გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გაცემა
მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი წარმოადგენს
გადახდა: წერილობით მოთხოვნას, სადაც მითითებული იქნება, რომ
საგადასახადო დავა დასრულდა და კანონიერ ძალაში შევიდა
საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს
გადაწყვეტილება, პრინციპალისათვის ბენეფიციარის

სასარგებლოდ თანხის დაკისრებაზე;

ბენეფიციარმა წერილობით მოთხოვნას უნდა დაურთოს კანონიერ ძალაში შესული საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების დედანი.

საგარანტიო თანხის შემცირება: საგარანტიო თანხა შემცირდება თუ დადგა ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი შემდეგი გარემოება: ბენეფიციარი წერილობით მიმართავს გარანტს საგარანტიო თანხის შესამცირებლად; პრინციპალი გადაუხდის ბენეფიციარს საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე სადაო თანხის ნაწილს, რის შესახებაც პრინციპალმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს გარანტს, იმის მიუხედავად რომელ ბანკის მეშვეობით იქნება გადახდილი; პრინციპალი წარმოუდგენს გარანტს საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ კანონიერ ძალაში შესული საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების დედანს.

გარანტიის ვადა : წინამდებარე გარანტია ძალაშია გაცემის თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 04 მარტის ჩათვლით 17:00 საათამდე თბილისის დროით; მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ “ბენეფიციარის” მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს არაუგვიანეს ამ თარიღისა და დროსი მითითებულ მისამართზე.

ამ გარანტიიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნა/შეტყობინება ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს წერილობით, გარანტის აქ მითითებულ მისამართზე. თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი “ბენეფიციარის” წერილობითი მოთხოვნა მისი დანართებითურთ, მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება. წინამდებარე გარანტიაზე მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნით გარანტებზე (პუბლიკაცია N 758); საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს სასამართლოში (პუბლიკაცია N 758); შესაბამისად.

ხელმოწერა უფლებამოსილი პირის _____ .

საქართველოს კანონი (პროექტი) საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებისა და დამატებებისთვის

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1) 879-882-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

879. საბანკო გარანტიის ცნება და ფორმა

1. საბანკო გარანტია ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა, რომლის ძალითაც გარანტი კისრულობს წერილობით ვალდებულებას სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით, გადაუხადოს ბენეფიციარს (პრინციპალის მიერ მითითებულ პირს) საბანკო გარანტიით განსაზღვრული ფულადი თანხა გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, დათქმულ ფარგლებში და წესით, ბენეფიციარის მიერ ჯეროვნად შედგენილი წერილობითი მოთხოვნის გარანტისათვის წარდგენის საფუძველზე.

2. ბენეფიციარის მოთხოვნა ჩაითვლება ჯეროვნად თუ მოთხოვნა და მასზე თანდართული დოკუმენტები შეესაბამება საბანკო გარანტიის პირობებს და იძლევა საბანკო გარანტიით გადასახდელი თანხის დადგენის შესაძლებლობას გარანტის მიერ ვალდებულების შესრულების მომენტისთვის.

3. საბანკო გარანტია გაიცემა წერილობითი ფორმით (მათ შორის ელექტრონული დოკუმენტის სახით, რაც გადაიცემა კავშირგაბმულობის არხებით და საშუალებას იძლევა უტყუარად დადგინდეს დოკუმენტის გაგზავნა ხელშეკრულების მხარის მიერ), რაც საშუალებას იძლევა სარწმუნოდ დადგინდეს გარანტიის პირობები, განსაზღვრული პირის მიერ მისი გაცემის ნამდვილობა კანონმდებლობით დადგენილი წესით, საერთაშორისო წესებით და მიმოქცევის ჩვეულებებით ან გარანტთან ბენეფიციარის შეთანხმებით.

4. საბანკო გარანტია შეიძლება გაიცეს ბანკების (საბანკო გარანტიები), სხვა საკრედიტო ორგანიზაციების და სადაზღვევო კომპანიების მიერ. სხვა კომერციული ორგანიზაციების მიერ გაცემული დამოუკიდებელი გარანტიების მიმართ გამოიყენება თავდებობის წესები.

5. საბანკო გარანტიაში რეკომენდებულია მიეთითოს:

გაცემის თარიღი;

პრინციპალი;

ბენეფიციარი;

გარანტი;

ნომრით ან სხვა ინფორმაციით იდენტიფიცირებული ძირითადი ვალდებულება, რომლის შესრულებასაც უზრუნველყოფს გარანტია;

გარანტიის თანხა ან გარანტიის მაქსიმალური თანხა, რაც ექვემდებარება საბანკო გარანტიით გადახდას ან მისი განსაზღვრის წესი;

ვალუტა, რომელშიც შეიძლება მოხდეს გადახდა;

გარანტიის მოქმედების ვადა;

გარემოება, რომლის დადგომისას უნდა იქნეს გადახდილი გარანტიის თანხა;

გარანტია შეიძლება შეიცავდეს პირობას გარანტიის თანხის შემცირებას ან გაზრდაზე გარკვეული ვადის ან გარკვეული მოვლენის დადგომისას.

გადახდაზე მოთხოვნასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირობას;

მოთხოვნის და სხვა დოკუმენტების ქაღალდით ან და ელექტრონულად წარმოდგენის აუცილებლობის შესახებ პირობას;

რა ენაზე უნდა იქნეს შესრულებული მოთხოვნა გადახდაზე და მასზე თანდართული დოკუმენტები;

მოთხოვნის წარდგენის ადგილი;

ხარჯებზე პასუხისმგებელი მხარე.

მუხლი 880. საზღაური საბანკო გარანტიისათვის

საბანკო გარანტიისთვის პრინციპალი გარანტს უხდის შეთანხმებულ საზღაურს.

მუხლი 881. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა სხვა ვალდებულებებისგან

1. საბანკო გარანტიით დადგენილი გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, ასევე რომელიმე

სხვა ვალდებულებაზე, რაც წარმოშობილია გარანტსა და პრინციპალს შორის, ან სხვა რომელიმე ვალდებულებებზე მაშინაც კი, როცა საბანკო გარანტია შეიცავს მითითებას მათზე.

2. გარანტს არა აქვს უფლება წაუყენოს ბენეფიციარს შესაგებელი მოთხოვნაზე, რაც გამომდინარეობს იმ ძირითადი ვალდებულებიდან რის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, ასევე რომელიმე სხვა ვალდებულებიდან, მათ შორის საბანკო გარანტიის გაცემაზე შეთანხმებიდან. გარანტი თავის შესაგებელში ბენეფიციარის წინააღმდეგ არ არის უფლებამოსილი მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც არ არის მითითებული საბანკო გარანტიაში.

3. გარანტს არა აქვს უფლება წაუყენოს ბენეფიციარს მოთხოვნა იმ ურთიერთმოთხოვნათა გასაქვითად, რაც დაეთმო პრინციპალისაგან, თუ გარანტის ბენეფიციართან შეთანხმებით ან საბანკო გარანტიით ან სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 882. საბანკო გარანტიის გამოთხოვა და შეცვლა

1. საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტის მიერ, თუ საბანკო გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. თუ საბანკო გარანტიის პირობებით დაშვებულია გარანტის მიერ მისი გამოთხოვა ან შეცვლა, მაშინ ასეთი გამოთხოვა ან შეცვლა დაიშვება იმავე ფორმით, რა ფორმითაც საბანკო გარანტია გაიცა.

3. თუ საბანკო გარანტიის პირობებით დაშვებულია გარანტის მიერ მისი გამოთხოვა ან შეცვლა ბენეფიციარის თანხმობით, მაშინ გარანტის ვალდებულება ჩაითვლება შეცვლილად ან შეწყვეტილად ბენეფიციარის თანხმობის მიღების მომენტიდან.

მუხლი 883. უფლების გადაცემა საბანკო გარანტიის მიხედვით

1. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, ბენეფიციარის კუთვნილი უფლება გადახდის მოთხოვნაზე გარანტის მიმართ, არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. საბანკო გარანტიის მიხედვით, ბენეფიციარის მოთხოვნაზე კუთვნილი უფლების გადაცემა სხვა პირისთვის დაიშვება მხოლოდ იმავე პირზე ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე ბენეფიციარის უფლებების იმავდროული დათმობის პირობით.

3. თუ საბანკო გარანტიით დაშვებულია ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის მოთხოვნის გადაცემა, ასეთი გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ გარანტის თანხმობით, თუ საბანკო გარანტიაში სხვა რამ არ არის მითითებული.

2. 884-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 884¹ მუხლი:

მუხლი 884¹. ცვლილება საბანკო გარანტიაში

1. საბანკო გარანტიაში ცვლილების შეტანისას რეკომენდებულია მიეთითოს თუ რა იცვლება მოქმედ საბანკო გარანტიაში.

2. ცვლილება შესაძლებელია ეხებოდეს:

ა. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელებას ან შემცირებას;

ბ. საგარანტო თანხის გაზრდას, შემცირებას, გადახდის ვალუტის შეცვლას ან გადახდის წესის შეცვლას;

გ. ძირითად ვალდებულებაში შეტანილ სხვა ცვლილებას, რაც მოქმედებს საბანკო გარანტიის პირობებზე.

3. თუ მოქმედ საბანკო გარანტიაში ცვლილება შეტანილია ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნით, რასაც პრინციპალი დაეთანხმა, ცვლილება ძალაშია მისი გაცემის მომენტიდან და არ საჭიროებს დამატებით აქცეპტს. სხვა შემთხვევაში ცვლილება ძალაში შედის ბენეფიციარის თანხმობის მომენტიდან. მიუხედავად ამისა, გარანტი გამოუთხოვადად შეზღუდულია ცვლილებით გაცემის მომენტიდან მანამ, სანამ ბენეფიციარი არ უარყოფს აღნიშნულ ცვლილებებს.

4. თუ ცვლილების შეტანა ან შეტანის წესი საბანკო გარანტიაში დათქმული არ იყო ან ცვლილება ბენეფიციარს არ მოუთხოვია, ბენეფიციარი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარყოს იგი მანამ, სანამ გარანტისათვის გაგზავნილი შეტყობინებით არ დაეთანხმება

ცვლილებას ან მოთხოვნას გადახდაზე არ წარუდგენს გარანტს საბანკო გარანტიაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

5. ცვლილებების ნაწილობრივი მიღება დაუშვებელია და განიხილება როგორც უარი ცვლილებაზე.

6. ცვლილების დოკუმენტში ჩაწერილი პირობა მასზე, რომ ცვლილება ძალაში შედის თუ ბენეფიციარის მიერ არ იქნება უარყოფილი დროის გარკვეულ მონაკვეთში, მხედველობაში არ მიიღება.

3. 885-887-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 885. მოთხოვნის წარდგენა

1. ბენეფიციარის ჯეროვანი მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ საბანკო გარანტიის მიხედვით უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტობრივი გარემოებები, რომლების დადგომაც იწვევს გადახდას საბანკო გარანტიის მიხედვით.

1¹. ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის ფულადი თანხის გადახდის შესახებ წერილობითი მოთხოვნა წარედგინება ელექტრონულად, თუ ბენეფიციარსა და გარანტს შორის არსებობს შეთანხმება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნის მიღების თაობაზე.

2. ბენეფიციარის ჯეროვანი მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის დამთავრებამდე.

მუხლი 886. გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისას

1. ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ პრინციპალს და გადასცეს მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ.

2. გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით უნდა განიხილოს ხუთ საბანკო დღეში. თუ მოთხოვნა ჯეროვანია, განახორციელოს გადახდა. საბანკო გარანტიით შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მოთხოვნის განხილვის სხვა ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს თხუთმეტ საბანკო დღეს.

მუხლი 887. გარანტის უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე

1. გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება საბანკო გარანტიის პირობებს ან და ისინი წარედგინა გარანტს გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ. გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ ამ კოდექსის 886-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში და მიუთითოს უარის მიზეზი.

2. თუ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისათვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძველებით ან ბათილია, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს.

3. გარანტი უფლებამოსილია შეაჩეროს გადახდა შვიდი საბანკო დღით, თუ არსებობს გონივრული საფუძველი ივარაუდოს, რომ:

- ა) რომელიმე წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის სარწმუნო;
- ბ) გარემოება, რომლის დადგომისას საბანკო გარანტია უზრუნველყოფდა ბენეფიციარის ინტერესს, არ წარმოშობილა;
- გ) საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი პრინციპალის ძირითადი ვალდებულება ბათილია;
- დ) ბენეფიციარმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მიიღო შესრულება პრინციპალისაგან ძირითადი ვალდებულების მიხედვით.

გადახდის შეჩერების შემთხვევაში გარანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბენეფიციარს და პრინციპალს გადახდის შეჩერების მიზეზების და ვადის შესახებ.

4. გარანტი პასუხს აგებს ბენეფიციარის და პრინციპალის წინაშე გადახდის დაუსაბუთებელი შეჩერებისთვის.

5. ამ მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ არ არსებობს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი რომელიმე საფუძველი ბენეფიციარის მოთხოვნაზე უარის სათქმელად, გარანტი ვალდებულია გადაიხადოს საბანკო გარანტიის მიხედვით ბენეფიციარის ხელმოწერა მოთხოვნისთანავე.

4. 887-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 887¹ მუხლი:

მუხლი 887¹. ბენეფიციარის პასუხისმგებლობა

ბენეფიციარი ვალდებულია აუნაზღაუროს გარანტს და პრინციპალს მიყენებული ზარალი, თუ ზარალი გამოწვეულია იმით, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო სარწმუნო ან წარდგენილი მოთხოვნა დაუსაბუთებელი აღმოჩნდა.

5. 888-890 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 888. გარანტის ვალდებულების ფარგლები

1. საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება გარანტიის პირობების შესაბამისად იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.

2. თანხა, რომელიც შესაძლებელია გადახდილი იქნეს საბანკო გარანტიის მიხედვით, მცირდება ნებისმიერი იმ თანხით:

ა. რაც გადახდილია საბანკო გარანტიის მიხედვით;

ბ. ბენეფიციარის მიერ ხელმოწერილ წერილობით დოკუმენტში მითითებული თანხის ფარგლებში გარანტის ნაკისრი ვალდებულებისგან ნაწილობრივ განთავისუფლების შესახებ.

მუხლი 889. საბანკო გარანტიის შეწყვეტა

1. საბანკო გარანტიის მიხედვით გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წყდება:

ა) საბანკო გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა;

ბ) ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზეც საბანკო გარანტია გაიცა;

გ) ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით, რაც უნდა წარედგინოს გარანტს.

2. გარანტი, რომლისთვისაც ცნობილი გახდა საბანკო გარანტიის შეწყვეტა ამ მუხლის „ბ“ და „გ“ საფუძვლებით, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პრინციპალს ამის თაობაზე.

მუხლი 890. გარანტისათვის საბანკო გარანტიით გადახდილი თანხის ანაზღაურება

1. პრინციპალი ვალდებულია აუნაზღაუროს გარანტს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გადახდილი ფულადი თანხა, თუ გარანტის გაცემის შესახებ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. გარანტს არა აქვს უფლება მოსთხოვოს პრინციპალს ფულადი თანხის ანაზღაურება, რაც გადახდილი იქნა ბენეფიციარისთვის საბანკო გარანტიის პირობებთან შეუსაბამოდ ან გარანტის ვალდებულების დარღვევის გამო ბენეფიციარის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პრინციპალთან გარანტის შეთანხმებით სხვა რამ იქნა გათვალისწინებული ან პრინციპალმა თანხმობა განაცხადა გადახდაზე.